



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ე  
1977/3

ენისა  
და  
ლიტერატურის  
სერია

4-1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

15-808



თბილისი  
ТБИЛИСИ

4-1977

კ. მანუშაძის სსრ საქ. სსრ  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
თბილისი



ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
 Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ მ ჯ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ჯ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
 თ. გამყრელიძე, ალ. ვვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
 ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
 Гамкрелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),  
 Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი  
 Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
 Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
 ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.XI.77; შვებ. 3440; ანაწილის ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
 ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.80; სააღრიცხვო-სავაჭრომცემლო  
 თაბახი 16,37; უფ. 04301; ტირაჟი 1 700;  
 ფას: 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
 Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
 Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავი

გ. მერკვილაძე, დიდი ოქტომბრის პირშო — ქართული საბჭოთა ლიტერატურა	5
ე. მერტველი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე	19
გ. ვაგაშელი, შემოქმედებითი გარდასახვა	41
გ. ნადარეიშვილი, გალაკტიონ ტაბიძის შეიღმარცვლელთა რიტმისათვის	52
ი. კიკნაძე, რიტმული პროზის ერთი ნიმუში	67
ი. მერველიძე, ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი ქართული კულტურის შესახებ	71
ვ. ასათიანი, დავით ბაგრატიონის „მითოლოგია“	86
მ. შაჩხანელი, ათონის ქართველთა ლავრის ერთ-ერთი ქტიტორის — გიორგის ენაობისათვის	101
ვ. გაბელაძე, ალ. ბესტუფევის მოთხრობების თარგმანები „ცისკრის“ ფურცლებზე	114
თ. ქურდოვანიძე, ფანტასტიკის არსი ჯადოსნურ ზღაპარში	129
მ. შაიხურაძე, ქართულ-სირიული ლიტერატურის ურთიერთობის ისტორიიდან	132
მ. აბაშიძე, საქართველოს შესახებ უცხოური წყაროების პუბლიკაციები	142
თ. ჭავჭავაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტიკის შესწავლის ისტორიიდან	152
დ. მელიქიშვილი, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში	159
მ. შიქელიძე, მეტყველების ნაწილები ნასესხობათა თვალსაზრისით	167
<b>პრონიკა და ინფორმაცია</b>	
ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	175
ახალი წიგნები	191

## СОДЕРЖАНИЕ

### 60-летие Великой Октябрьской Социалистической революции

Г. И. Мерквиладзе, Грузинская советская литература, рожденная Великим Октябрем	5
Е. П. Метревели, Институт рукописей в канун 60-летия Октябрьской революции	19
Г. Т. Гавашели, В творческом преображении	41
Г. Ш. Надарейшвили, К вопросу о семисложном размере в ритмике поэзии. Г. Табидзе	52
И. Г. Кикнадзе, Один образец ритмической прозы	67
И. В. Мегрелидзе, Книга Е. Болховитнинова о культуре Грузии	71
В. Р. Асатиани, «Мифология» Давида Багратиони	86
М. З. Мачхачели, О личности Георгия, одного из ктиторов ивирской лавры на Афоне	101
В. Г. Габедава, Переводы рассказов А. Бестужева на страницах журнала «Цискари»	114
Т. Д. Курдованидзе, Сущность фантастики в волшебной сказке	129
М. Д. Майсурадзе, Из истории грузинско-сирийских литературных отношений	132
М. Д. Абашидзе, Публикации иностранных источников о Грузии	142
Т. А. Чавчавадзе, Из истории изучения ферейданского диалекта грузинского языка	152
Д. Н. Меликишвили, Об истории выражения категории инклюзив-эксклюзива в грузинском глаголе	159
М. В. Микеладзе, Части речи с точки зрения заимствования	167

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

Э комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Рустаели «Витязь в барсовой шкуре»	175
Новые книги	191



## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავი

გიორგი მიქაპილაძე

დიდი ოქტომბრის პირველი — ქართული  
საბჭოთა ლიტერატურა

დიდმა ოქტომბერმა შვა ახალ სულიერ მოთხოვნილებათა შესატყვისი ახალი კულტურა, როგორც ახალი ბაზისის ზედნაშენი ფენომენი თავისი განსხვავებული მიზნებითა და ამოცანებით, ჰემმარიტად ხალხური ხასიათით. საერთოდ, დიდი ოქტომბერი ის ნიშანსვეტია, რომელიც იწყებს ახალ ერას კაცობრიობის ისტორიის ყველა სფეროში, ქმნის სრულიად ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ახალ სახელმწიფოებრივ სისტემას, ახალ ეკონომიკურ საფუძველსა და ახალ სულიერ ყოფას. იგი ხორცს ასხამს მთელ თაობათა სასუქვარ ოცნებებს ახალი, ყველაზე უფრო სამართლიანი და პროგრესული, თავისუფალი და დემოკრატიული წყობილების შესახებ — ისეთი საზოგადოების აგების შესახებ, სადაც მრავალმხრივად და მაქსიმალურად გამოვლინდება პიროვნების უნარი და ნიჭი.

საბჭოური ლიტერატურა სრულიად ახალი ლიტერატურაა. მაგრამ იგი არ შექმნილა შიშველ ადგილზე. მასში, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, თავისი გამოხატვა პოვა მთელი კაცობრიობის მიერ დაგროვილმა უმდიდრესმა კულტურულმა გამოცდილებამ, რომლის ღირსეულ მემკვიდრესაც წარმოადგენს გამარჯვებული პროლეტარიატი, მშრომელი ხალხი. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის ათვისება გადაიქცა საბჭოთა კულტურის იმ აუცილებელ კანონზომიერებად, რომლის ვარსებაც შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო ჩვენი საზოგადოების შემდგომი კულტურული წინსვლა.

მთელს ჩვენი კულტურის სიამაყის — დიდი ოქტომბრის პირველი საბჭოთა ლიტერატურის მიერ განვლილი სახელოვანი გზა სისხლხორცეულად დაკავშირებულია საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ისტორიასთან, სოციალიზმის ქვეყნის ხალხთა წინსვლასა და გამარჯვებებთან.

საბჭოთა ლიტერატურის გზა — ეს არის ახალი ტიპის მხატვრული აზრის განვითარების მეტად საინტერესო, მდიდარი და რთული ისტორია, ისტორია მისი თანდათანობითი იდეურ-მხატვრული სრულყოფისა.

ჰემმარიტად ხალხური ხასიათი, ჰუმანური აზრი, მიზნის სიცხადე, იდეური გამიზნულობა, რითაც გამოხატულია მისი პარტიული ბუნება, მაღალი ესთეტიკური ღირსებანი, საბჭოთა ლიტერატურას აქცევენ ყველაზე მოწინავე, პროგრესულ მხატვრულ ფენომენად მთელს თანამედროვე მსოფლიოში.

„სოციალიზმმა მშრომელებისათვის ფართოდ მისაწვდომი გახადა ცოდნა, სულიერი კულტურის საუნჯე, — როგორც ეს მითითებულია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში — ... აყვავდა საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებსაც უდიდესი წვლილი შეაქვთ მთელ მსოფლიო კულტურაში“.

საბჭოთა ლიტერატურის როლი და დანიშნულება განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება დღეს, როდესაც მსოფლიოს ბევრი ხალხი ექვითა და შეშფოთებით



შესტერის მომავალს იმ ახალი გამანადგურებელი ომის მოლოდინში, იმპერიალიზმი რომ უმზადებს კაცობრიობას.

ამ რთულსა და დაძაბულ ვითარებაში, როდესაც ბევრი საზღვარგარეთელი მხატვარი დაბნეულობდასა და პესიმიზმს თუ მისტიციზმს მისცემდა, ხოლო მთელი რიგი დეკადენტური სკოლები ათასობით ადამიანურ მორალსა და შემოქმედების წმინდა არსს, თავისი ხალხის ინტერესების გამომხატველი და თავისი პარტიის იდეებით აღჭურვილი საბჭოთა მწერლობა გამოდის მშვიდობის მებრძოლად, ადამიანის აქტიურ დამცველად, მომავლის მტკიცე რწმენისა და მაღალი ჰუმანისტური პრინციპების მქადაგებლად და დამწერგავად.

სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ახლა ის სულიერი და მატერიალური ძალაა, რომელიც არა მარტო იმედს თესავს ხალხთა შორის, არამედ უდიდეს ზემოქმედებასაც ახდენს ადამიანებზე, აქტიური მოქმედებისათვის მომართავს მათ.

ოქტომბერმა მისცა ნოყიერი ნიადაგი და განვითარების ყველა პირობა შეუქმნა საბჭოთა ხალხების როგორც ხანგრძლივი ისტორიის მქონე, ისე შედარებით ახლად შობილ ლიტერატურებს. უფრო მეტიც — დიდი საბჭოეთის მთელი რიგი ხალხების ლიტერატურისა და კულტურის ისტორია სწორედ ოქტომბრიდან იწყება.

თანამედროვე ქართული მწერლობა, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ხალხების ლიტერატურა და ხელოვნება, მთელი კულტურა, იმის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს, თუ განვითარების რა განუსაზღვრელი საშუალებანი მისცა მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ ბოძებულმა ჰუმანიტარმა სოციალურმა, პოლიტიკურმა, ეროვნულმა თავისუფლებამ და უჩვეულო აღმავლობისათვის შექმნილმა ყველა პირობამ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის ფესვები შორეულ წარსულში მიდის; იგი ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა და მისი ბევრი საამაყო ძეგლი საკაცობრიო კულტურის საგანძურში ჯერ კიდევ ადრე იყო შეტანილი. მაგრამ იმასთან ერთად, რომ ქართულმა კლასიკამ, მასში გამოხატული იდეების რეალური განხორციელების შედეგად, საბჭოთა ეპოქაში ახლებური ამეტყველება პოვა, თანამედროვე ქართული მხატვრული აზრის განვითარებამ ახალ უმნიშვნელოვანეს სიმაღლეებს მიაღწია სწორედ ჩვენს დროში. იგი უფრო მასობრივი, საყოველთაო, სახალხო, ფართომომცველი გახდა; ერთსა და იმავე დროს უფრო ღრმაეროვნულ და ინტერნაციონალურ ფენომენად იქცა. სწორედ ჩვენს დროში ქართული ლიტერატურის საგანძურს შეემატა ბევრი დიდი შემოქმედის მემკვიდრეობა და სახელი; ქართულ ლიტერატურას არასოდეს არ ჰქონია ასეთი თემატური მრავალფეროვნება და ჟანრობრივ-სახეობრივი სიმდიდრე, არასოდეს განუცდია თაობათა ასე ინტენსიური მემკვიდრეობითი შენაცვლება და არასოდეს ყოლია ასე ბევრი მკითხველი.

კვლავ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს სიკეთე აღმოცენდა იმ ნაყოფიერ ნიადაგზე, რომელიც ქართული ლიტერატურის საბჭოთა თაობას დახვდა უმდიდრესი ეროვნული კლასიკური მემკვიდრეობის სახით — კლასიკური მემკვიდრეობისა, რომლის გვირგვინსაც წარმოადგენენ რუსთველი, გუარამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა და რომელიც მთლიანად შემოდის ჩვენს ახალ ლიტერატურაში როგორც მისი უძლიერესი ბირთვი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ლიტერატურას, ხელოვნებას ფართო სარბიელი მიეცა და განვითარების ძლიერი ბაზა შე-

ექმნა. უკვე 1921—1922 წლებიდან, და უფრო გვიანაც, გამოსვლა იწყო მრავალმა ახალმა სალიტერატურო ჟურნალმა თუ გაზეთმა; შეიქმნა მძლავრი სახელმწიფო გამომცემლობანი; დაინერგა როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის მასობრივი გამოცემანი; ლიტერატურა გახდა ქვეშაირიტად სახალხო, როგორც თავისი შინაარსით, ასევე გავრცელების მასშტაბებით.

ამას თან ემატებოდა პარტიის მიერ დაშვებული სხვადასხვა სტილისა და მიმართულების თავისუფალი არსებობა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც განვითარების მძლავრი სტიმული.

ყოველივე ამის შედეგად ახალი, საბჭოური სინამდვილის პოზიციებზე თანდათანობით იწყეს გადმოსვლა პოეტთა რევოლუციამდელი თაობების ისეთმა ნიჭიერმა წარმომადგენლებმაც, პირველ ხანებში რომ ერთგვარი ეჭვით იყვნენ შეპყრობილნი და მერყეობდნენ. ეს იყო სწრაფვა ეროვნული ლიტერატურული ძალების კონსოლიდაციისაკენ კომუნისმის იდეების გარშემო, ახალი სოციალისტური საქართველოს საკეთილდღეოდ.

რასაკვირველია, ოქტომბრის იდეებს ჩვენში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ჰყავდა თავისი შთაგონებული მომღერალი ეგრეთ წოდებული რევოლუციურ-პროლეტარული მწერლობის უფროსი თაობის სახით და მისი ტრადიციები შემდგომ ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანეს საბჭოთა მწერლობის ახალი თაობის ნიჭიერმა წარმომადგენლებმა, მაგრამ ქვეშაირიტი ლიტერატურის ტონს, მათთან ერთად, ამ დროს ქმნიდნენ ჯერ კიდევ რევოლუციამდელი ლიტერატურულ თაობათა წარმომადგენლები, რომელთა შემოქმედებაში თანმიმდევრულად მკვიდრდებოდა ახალი თემები და სახეები, სულიერი განახლებისა და სოციალურ-პოლიტიკური ძვრების საოცარი ძალის პათოსი.

20-იანი წლების ლიტერატურული პროცესი, ცხადია, არ იყო ერთფეროვანი; სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებებს („სისფერი ყაწვები“, „აკადემიური ასოციაცია“, „მემარცხენეები“, „არაფიონი“) საბჭოთა ლიტერატურაში შექჷნდათ სხვადასხვაგვარი განწყობილებანი და გამოხატადნენ გარკვეული საზოგადოებრივი კლასების, ფენების იდეებსა და მისწრაფებებს, მაგრამ დროის, სინამდვილის გავლენით ისინი თანდათან უახლოვდებოდნენ პარტიის მიერ ლიტერატურაში დასახულ გენერალურ ხაზს, დგებოდნენ ახალი რეალიზმის პოზიციებზე. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ბევრ გამოჩენილ მხატვარს თავისი თვალსაჩინო პრაქტიკით არ შეეძლო დარჩენილიყო საკუთარი დაჯგუფების პრინციპთა ჩარჩოებში და ქმნიდა ახალი ყოფის იდეებს დაქვემდებარებულ, ქვეშაირიტად სახალხო მხატვრულ ნაწარმოებებს.

ოქტომბრის დიდი დამსახურებაა ქართული ლიტერატურის გასვლა ფართო სარბიელზე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში გახდა შესაძლებელი როგორც მნიშვნელოვანი ქართული კლასიკური ძეგლების, ასევე თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებების თარგმნა ჯერ რუსულ და სხვა საბჭოთა ხალხების, ხოლო შემდგომ მსოფლიოს ხალხთა ენებზე. ამგვარად იქცა ქართული მხატვრული კულტურის მნიშვნელოვანი მიღწევები საყოველთაო სულიერი კულტურის კუთვნილებად.

ქართული ლიტერატურის გვერდით საქართველოში მანამდე არნახული ძალით განვითარდა აფხაზური და ოსური მწერლობა; ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს რუსმა, სომეხმა და სხვა ეროვნებების მწერლებმა, ადგილობრივმა სამწერლო ორგანიზაციებმა. ლიტერატურა სულ უფრო ფართოდ



იჭრება ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორც მისი იდეური და ესთეტიკური აღზრდის უძლიერესი საშუალება, სულიერი საზრდო და მასზე ზემოქმედების იარაღი. მისი ასეთი ქვეშაირტად ხალხური ბუნება, მასობრივი ხასიათი დიდმა ოქტომბერმა განაპირობა.

საბჭოთა ლიტერატურა ვითარდებოდა ჩვენი პარტიის ყოველდღიური მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით. ლიტერატურისა და ხელოვნების გამო მიღებული უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტები გამოხატავენ იმ შეუწყვტელ ყურადღებას, რომლითაც დიდი ლენინი, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ეკიდებოდნენ ლიტერატურულ პროცესს მისი განვითარების ყველა ეტაპზე, წარმართავდნენ მას.

ამავე დროს პარტია ყოველთვის ითვალისწინებდა ლიტერატურის, ხელოვნების სპეციფიკას, რომლისთვისაც საზიანოა უხეში ადმინისტრირება; თავისუფალი განვითარებისა და გამოვლენის ფართო შესაძლებლობას აძლევდა მხატვრის ტალანტს. და რა გაბოროტებითაც არ უნდა ცდილობდნენ ჩვენი მტრები საზღვარგარეთ დაამახინჯონ საბჭოთა ლიტერატურისადმი როგორც პარტიული ხელმძღვანელობის, ასევე ლიტერატურის პარტიულობის ნამდვილი არსი, საბჭოთა ადამიანებისათვის, ჩვენი მწერლობისათვის ცხადზე უცხადესია, რომ სწორედ პარტიის მზრუნველი და პრინციპული დამოკიდებულების შედეგად არის მოპოვებული საყოველთაოდ ცნობილი უდიდესი მიღწევები ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

მრავალსაუკუნოვანი დიდი ტრადიციების მქონე ქართულმა პოეზიამ საოცარი ძალით იფეთქა სწორედ ოქტომბრის შემდგომ განვლილი სამოცი წლის მანძილზე. ეს იყო მისი მთელი ისტორიის ახალი საფეხური, როდესაც წარმატებით დაგვირგვინდა ჯერ კიდევ XX საუკუნის პირველ ორ ათწლეულში დაწყებული ნოვატორული ვერსიფიკატორული ძიებანი. ამ საფეხურზე პოეზიამ მოვიდა რამდენიმე ათეული თაობა და ყოველმა მათგანმა მოიტანა თანამედროვეობის შესატყვისი მხატვრული აზრის განუმეორებელი სიახლე; ახალი სიღრმე და სიმაღლე შესძინა ქართულ ლირიკასა თუ პოეტურ ეპოსს, ახალი თემატიკით გაამდიდრა ისინი.

ქართული საბჭოთა პოეზიის მედროშე, მისი ტონის მიმცემი, სიმაღლისა და ძალის განმსაზღვრელი ოციანი წლებიდანვე არის პოეტთა სახელოვანი პლეადა, რომელიც არა მხოლოდ მაღალი პოეტური სიტყვით მიესალმა ოქტომბრის შემოსვლას საქართველოში, არამედ მისი იდეების სამსახურში ჩააყენა საკუთარი ზემოქმედი სიტყვა, ეს იდეები აქცია თავისი შემოქმედებითი წვის უმთავრეს საგნად და მიზნად. ამ პლეადაში, როგორც ითქვა, შედიოდნენ სხვადასხვა თაობა და ესთეტიკური კრედოს პროგრესული, ნიჟიერი, თავისი შემოქმედებით ხალხის ნების გამომხატველი მხატვრები.

ოქტომბრის უძლიერეს რომანტიკას ახალ რუსეთშივე ნაზიარები გალაკტიონ ტაბიძე ჯერ კიდევ 1918 წელს ოცნებობდა იმ დღეზე, როდესაც რევოლუციის ტალღა, ლენინის იდეები საქართველოშიც ძლევამოსილად შემოაღწევდა, ხოლო პაოლო იაშვილი 1921 წლის 25 თებერვალსვე უსაზღვრო აღტაცების გამომხატველი სტრიქონებით შეეგება ოქტომბრის მოსვლას საქართველოში. ეს იყო თითქმის მთელი რევოლუციამდელი პოეტური თაობის გულწრფელი დამოკიდებულება ახალი სინამდვილისადმი, რომელიც მას ბუნებრივად მიაჩნდა თავისი სამშობლოს ქვეშაირტი განახლების დასაწყისად.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ქართული საბჭოთა პოეზიის პირველი ნიმუშები ეძღვნება სწორედ ოქტომბერს, დიდ ლენინს, განახლებულ საქართველოს. გალაკტიონ ტაბიძემ ამ თემების მალახატოვანი, ორიგინალური გააზრებით მთელი ეპოქა შექმნა ქართულ საბჭოურ პოეზიაში. მისი „გემი დალანდი“, „წერილი მეგობრისადმი“, „ოქტომბრის სიმფონია“, „ჯონ რიდი“, „ეპოქისა“ და „რევოლუციური საქართველოს“ ვრცელი ციკლები, ისევე როგორც ომის-დროინდელი თუ ომისშემდგომი პერიოდის მთელი მისი ლირიკა. უძლიერესი პოეტური შთაგონებით შექმნილი, მდიდარი ფერებით გამსჭვალული ეპოქის მხატვრული მატრიანაა. არავის შემოქმედებაში ისე მკაფიოდ არ ასახულა ერთსა და იმავე დროს ეპოქის რთული ხასიათი და ახლის დამკვიდრების რომანტიკაც, მოვლენათა გლობალური ხილვაც და კონკრეტული ეროვნული ფაქტურაც, როგორც გ. ტაბიძის ლირიკაში.

სოციალისტური სინამდვილე, ახალი სულიერი მომართულობის ადამიანი, კომუნისტური იდეების დამკვიდრების პათოსი იყო ახალი პოეტური თაობის ნიჭიერ წარმომადგენელთა — ა. მირცხულავა-მამაშვილის, კ. კალაძის, ი. აბაშიძის, კ. ლორთქიფანიძის, ი. ვაკელის, ა. გომიაშვილის, გ. კახიძისა და სხვ. მთავარი აღსაქმელი საგანი და თემა. რევოლუციური ბრძოლების რომანტიკა, მასების უსაზღვრო შრომითი ერთუზიანობა, ახალ ურთიერთობათა დამკვიდრების რთული პროცესი, რევოლუციურისა და რეაქციულის მძაფრი წინააღმდეგობა და ბრძოლა, ადამიანის სულში მომხდარი უდიდესი ძვრები, პატრიოტიზმისა და ჰუმანიზმის ნოვატორული იდეები განუწყვეტლივ მონაცვლეობდნენ მათს ლირიკაში როგორც მთავარი და მუდმივი თემები, ხოლო ამ თემატური ნოვაციების შესატყვისი პოეტიკა მათთვის ის დასაძებნი და აღმოსაჩენი ფენომენი იყო, რომელსაც უნდა განესაზღვრა ახალი ხელოვნების ესთეტიკური დონე.

ამ თვალსაზრისით ქართული პოეზიის ისტორიაში მკვიდრად შევიდნენ ა. მირცხულავას „პოეტი კაპიტანი“ თუ „დაღადი საქართველოსი“, კ. კალაძის „ხერთვისის განთიადები“ თუ „მამა“, ი. აბაშიძის „პირველი თოვლის სიმღერა“ თუ ფართოდ ცნობილი ბოლდროინდელი ლირიკული ციკლები — „რუსთა-თუ ფართოდ ცნობილი ბოლდროინდელი ლირიკული ციკლები — „რუსთა-ველის ნაკვალევზე“, „პალესტინა, პალესტინა“, ა. გომიაშვილის „ადგილის დედა“ თუ „მონადირის სიკვდილი“ და თანამედროვე ქართული ლირიკის ბევრი სხვა ჩინებული ნიმუში.

ზემოაღნიშნული თემები და პრობლემები უკვე თანდათან იქცეოდა პოეტური ხილვის ასევე მთავარ საგნად ჯერ კიდევ ადრე ჩამოყალიბებული პოეტური პროფილისა და გარკვეული ესთეტიკური მრწამსის პოეტებისათვის (ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ა. აბაშელი, ს. შანშიაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ქუჩიშვილი, კ. ჭიჭინაძე, რ. გვეტაძე, კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე და სხვ.), ხოლო ჩვენს დროში გაჩენილ ახალ დაჯგუფებათა თვალსაჩინო წარმომადგენლები (როგორც იყვნენ, ვთქვათ, „მემარცხენეობაში“ ს. ჩიქოვანი და დ. ვაჩიჩილაძე) წარმატებით სძლევენ ფორმალისტური შეზღუდულობის ტენდენციებს და დიდი ოქტომბრის თვალსაჩინო დამსახურება — მან უდიდესი

ეს იყო დიდი ოქტომბრის თვალსაჩინო დამსახურება — მან უდიდესი მნიშვნელობის სოციალური და ეროვნული პრობლემებისაკენ მთლიანად შემობრუნა, მათ დაუმორჩილა ქართული პოეტური აზრის მდინარება.

ამის საუკეთესო დადასტურება იყო ს. შანშიაშვილის „დღისერთა ლენინთან“ და „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“, ი. გრიშაშვილის „გამოთხოვება“

ძველ თბილისთან“ და „დავებრდი? არა!“, გ. ლეონიძის „ფორთოხალა“, „ოლე“, „ნინოწმინდის ღამე“ და „ქართლის ბაღი“, ტ. ტაბიძის „რიონი-პორტი“ და „ლექსი მეწყერი“, ა. აბაშელის „ფოლადაური“ და „სამშობლოსადმი“, ვ. ვაფრინდაშვილის „ოქტომბრის სტრუქტურები“ და „ისეთი ლექსი დაწერო მინდა“, პ. იაშვილის „ახალი კოლხიდის“ ციკლი და „ზემოური რთველი“, კ. ჭიჭინაძის „რიონის აპოლოგია“ და „საქართველოში ციხეა ორი“, ს. ჩიქოვანის „ვიინა სთქვა“, „შემოდამება ხახმატში“ და „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

ამასთან, ამ პროცესში მთავარი, როგორც კეთილისმყოფელი და მომავლის სიმაღლეებს დამიზნებული ტენდენცია, იყო მაღალი რეგისტრის ჭეშმარიტი პოეტური მეტყველება და არა მკლგპოეტური რიტორიკა, რომელიც თუმცა გაუბრალოების საქაოდ გაერცელებულ ავადმყოფურ სენად იქცა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს იძლია.

მაღე პოეზიაში მოვიდა ახალი თაობა — გ. აბაშიძე, გ. შატბერაშვილი, ლ. ასათიანი, რ. მარგიანი, მ. გელოვანი, ა. შენგელია, ი. ნონეშვილი და სხვ. ეს იყო ცვლა, რომელმაც თან მოიტანა თავისი ორიგინალური სათქმელი, ახალი ჟღერადობა მიანიჭა ქართულ ლექსს და გააფართოვა მშობლიური ლირიკის თემატურ-იდეური რკალი. მათს ლექსებში ახალი სიღრმე შეიძინა ლირიკულმა განცდამ და უკვე მოსალოდნელი დიდი თავდაცვითი ომის წინ გააქტიურებულმა პატრიოტულმა გრძნობამ. აქ ჩნდება თანამედროვეობის თემატიკის ახალი თვალსაწიერი: ქართული ლირიკის ჩარჩოები უფრო ფართოვდება; მასში გაცილებით მძაფრია მოვლენათა ახალ რაკურსში ხილვისაკენ სწრაფვა. „ტრადიციული“ თემების ნოვატორული გააზრება; ახალ ჟღერადობას იძენს ხალხთა ურთიერთობის მოტივები. გ. აბაშიძის „ლენინი სამგორში“ თუ უფრო გვიანდელი „თურმან თორელის“ ციკლი, გ. შატბერაშვილის „ლექსის მარილი“, ლ. ასათიანის „ქრწანისის ყაყაოები“, „ჩემი სამშობლო“ და „სალაღობო“, რ. მარგიანის „მირანგულა“, „მამა“, ი. ნონეშვილის „შემოდგომა თბილისში“, „ჩუქურთმის მკრელის ეპიტაფია“, „მობატყება საქართველოში“ აშკარად მეტყველებენ ლირიკის არა მარტო თემატიკური რკალის განვრცობასა და ვერსიფიკატორულ ნოვაციებზე, არამედ პოეტური აზროვნების სფეროში ახალ ინტერესთა გამოჩენასა და რთული საზოგადოებრივ-სოციალური მოვლენების ახლებური გააზრება-ახსნისაკენ სწრაფვაზე.

ქართული საბჭოთა პოეზიის ყველა წარმატება განუყრელად არის დაკავშირებული იმ ისტორიულ ცვლილებებთან, რომელთაც ოქტომბრის შემდგომ განიცდიდა ჩვენი ეპოქა მისი ისტორიის ყოველ ახალ ეტაპზე. განვითარების უძლიერესი ბიძგის მიმცემი ოქტომბერი თვით იქცა პოეზიის მთავარ საგნად.

საბჭოთა ხალხების დიდი სამამულო ომი ქართულ პოეზიაშიც აისახა როგორც ოქტომბრის მონაპოვართა დაცვისათვის, სამშობლოს თავისუფლებისათვის წარმოებული გრანდიოზული ბრძოლა. ამ დროს მთელი ქართული ლიტერატურის ძალები, მწერლობის ყველა თაობის წარმომადგენლები ყველა ყანარში ქმნიან მებრძოლი, პატრიოტული შემართების მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, მხარში უდგანან მთელ ხალხს; მისი განსაცდელით აღსავსე ცხოვრებით თურწმენითა და მიზნებით ცხოვრობენ, მოღვაწეობენ. ლექსმა შეიძინა განსაკუთრებული მომწოდებლური განცდითი სიმახვილე და ზემოქმედების ძალა. ამ დროს თუ ომისშემდგომს პერიოდში ქართული ლირიკის სახელოვან პლეადას ემატება ახალი პოეტური ძალები, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ჭეშმარიტ განწყობილებებს როგორც ომის მძიმე პერიოდში თუ გამარჯვების სასიხარუ-



ლო დღეებში, ასევე ომისშემდგომ (ანა კალანდაძე, ო. ჭელიძე, ხ. ბერულავა, მ. ლებანიძე, შ. ამისულაშვილი, ფ. ხალვაში, თ. ჯანგულაშვილი...) ა. კალანდაძის საოცარი უშუალოდით დაწერილი „რა ვარ? სტვირი ვარ“, „დაბრუნდით“ და მთელი რიგი სხვა ლექსები, ხ. ბერულავას „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამ-ბერიძე“, „რუსული გული“, ო. ჭელიძის „ტვირით“, „ჩემი მაგნიტური არე“, მ. ლებანიძის „ახალგაზრდობას“, „იმღერე ჩანგო“, „გული იმ მთებში დაეტოვე“ და სხვ. უკვე მიანიშნებენ იმ ტენდენციებზე, ომისშემდგომს ქართულ პოეზიაში რომ ელინდებოდა როგორც მისი გარკვეული თემატური სიახლე და იდეური გამიზნულობა, სწრაფვა ხალხის მიერ ომში ჩადენილი სწორუპოვარი გმირობის არსის თუ ომისშემდგომი დროის სულიერ განწყობილებათა მაღალ-პოეტური გახსნისაკენ.

50—60-იანი წლები კი ქართული საბჭოთა პოეზიის ისტორიის ახალ, ფრიაღმნიშვნელოვან საფეხურად იქცა. შემოქმედებითი შესაძლებლობების გაფართოებამ, მხატვრულ აზროვნებაში ზოგიერთი დოგმატიკური ნორმის გადასინჯვამ, რაც შესაძლებელი გახდა ოქტომბერში შობილი სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარების შედეგად, კიდევ უფრო ფართოდ გაუხსნა გზა პოეტურ აზრსა და ახალ შემოქმედებითს ძალებს. თითქმის ყველა ეპარში, უპირველესად კი ლირიაში, მოვიდა ახალი თაობა, რომელმაც გაბედულად შემოიტანა ახალი ვერსიფიკატორული ფორმები, ახალი თემები, გააფართოვა პრობლემათა რეალი და შექმნა ქართული ლირიკის განვითარების ახალი საფეხური.

ამ დროს შემოიღიან ქართულ პოეზიაში ა. სულაკაური, ო. ჭილაძე, მ. მაქავერიანი, ჯ. ჩარკვიანი, შ. ნიშნიანიძე, მ. ფოცხიშვილი, გ. გეგეჭკორი, ტ. ჭანტურია, მ. კახიძე, მ. ჭელიძე, ნ. გურეშიძე, ნ. კილასონია, ლ. სულაბერიძე, შ. ფორჩხიძე, ვ. ჯავახაძე, ო. შალამბერიძე, ე. კვიციანიშვილი, ნ. გაბრიჩიძე, უფრო გვიან — ბ. ხარანაული, გ. პეტრიაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ვ. ჩხიკვაძე, ზ. ბერიაშვილი, თ. კაკუშაძე, ა. სალუქვაძე, დ. მჭედლური, ნ. ჯალაღონია, მ. წიკლაური, ჯ. ფხოველი და სხვ.

აქ შეგვეძლო დავგეხსახელებინა მაღალლირიკული ოსტატობით დაწერილი მრავალი ნიმუში, რომლებიც ქმნიან გარკვეულ საფეხურს ქართული პოეზიის განვითარებაში. საერთოდ, ამ პერიოდის ქართულ ლირიკას შეემატა მედიტაციური ინტონაცია, მეტი ფსიქოლოგიური წუდომისაკენ სწრაფვა და განზოგადების უნარი. საერთო-საკაცობრიო პრობლემებზე დაფიქრების ელემენტი თუ როგორც ინტერნაციონალური, ასევე ეროვნული პრობლემებით დაინტერესების ახალი ასპექტები. ეს ითქმის საერთოდ თანამედროვე ქართულ ლირიკაზე, მისი ყველა გამოჩენილი წარმომადგენლის შემოქმედებაზე.

ბოლო პოეტური თაობის ლირიკა მეტად მრავალფეროვანი და მრავალხმიანია. მასში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ ა. კალანდაძის ინტიმურ-აღმსარებლური მოტივიც და ჯ. ჩარკვიანის პათეტიკურ-მომწოდებლური ტონიც, ო. ჭილაძის მედიტაციურ-ფილოსოფიური ინტონაციებიც და მ. ლებანიძის პატრიოტულ-აღქმითი ნოვაციებიც, ნ. კილასონიას ლექსების მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პათოსიც და შ. ნიშნიანიძის ლირიკის ფართო-პანორამული განზომილებანიც, მ. ფოცხიშვილის გამაფრებელი „აქტუალიზმიც“ და ბ. ხარანაულის მიმნიშნებლური პოეტური ხილვებიც და ა. შ.

ამასთან, 60-იან წლებში ჩვენს რესპუბლიკაში გამეფებულმა უდარდლობამ თუ მამებლობამ, სოციალისტური ცხოვრების ნორმების დარღვევამ თუ



საქართველოს  
წიგნების  
კავშირის  
საბჭოთაო  
წიგნების  
კავშირის  
საბჭოთაო  
წიგნების  
კავშირის

განუკთხაობამ, მასების როლის უგულვებელყოფამ თუ შემოქმედებითი ისტე-  
ლიგენციისადმი უყურადღებობამ ლიტერატურაშიც პოვეს თავისი უარყოფითი  
გამოვლენა. მნიშვნელოვანწილად შენეულა ჩვენი ლირიკის საზოგადოებრივი  
პათოსი და მისი ინტერნაციონალური მომართულობა; პოეზიაში გამოყოფა  
ვიწროკამერულმა განწყობილებებმა; შესაძინევი გახდა სწრაფვა განყენებული,  
მაღალი საკაცობრიო იდეალებისაგან დაკლილი თემებისა და სახეებისაგან.

დღეს ეს ნაკლი წარმატებით იძლევა, რადგან თანამედროვეობის გარეშე  
არ შეიძლება არსებობდეს კეშმარიტი ხელოვნება. ჩვენს ლირიაში გამოჩნდა  
საინტერესოდ გააზრებული სახე თანამედროვე ადამიანისა; პოეზია არსებითად  
მიუბრუნდა სადღეისო, აქტუალურ პრობლემებს; იგი თავისი თანამედროვეო-  
ბისა და თანამედროვის უფრო აქტიურად შემოქმედი თანამგზავრია.

ჩვენი ლიტერატურის, საერთოდ მთელი კულტურის ეს მნიშვნელოვანი  
შემობრუნება, მისი ახალი მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი ხაზგასმით აღ-  
ნიშნა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის შარშანდელ დადგენილებაში იმის  
თაობაზე, თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ  
ც-ის 1972 წლის ცნობილ ვადაწყვეტილებას პარტიის თბილისის საქალაქო  
კომიტეტის მუშაობის შესახებ: „იდურო-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის  
საქმეში საგრძნობლად გაიზარდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, შე-  
მოქმედებითი კავშირების, კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების  
როლი. საქართველოს სსრ მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს; თეატრისა  
და კინოს მუშაკებს თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ შინაარსით სოცია-  
ლისტური, სულსკვეთებით ინტერნაციონალისტური და ფორმით ეროვნუ-  
ლი ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში. ბოლო წლების  
მანძილზე შეიქმნა მთელი რიგი ნიჟიერი ნაწარმოებები, რომლებშიც პარტიუ-  
ლი პოზიციებიდან ღრმად არის გაანალიზებული თანამედროვეობის საზოგა-  
დოებრივი მოვლენები, რომლებიც უმღერენ შრომითი წარმატებების ჰეროი-  
კასა და პათოსს, მშრომელი ადამიანების აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციასა  
და მაღალ ზნეობრივ თვისებებს“.

ჩვენმა დღევანდელმა დღემ თავისი ზეგარი ადგილი დაიკავა ყველა თაობის  
პოეტთა ლირიკულ ქმნილებებში; იგი აირეკლა როგორც თანამედროვე ადა-  
მიანის დიდება და ღირსება; როგორც ოქტომბრის რევოლუციის შედეგად მო-  
პოვებული დღევანდელი სიმართლე და მომავლის მიმზიდველი პერსპექტივა.

ქართული პოეტური ეპოსი, რომლის ახალი აღმავლობაც საბჭოთა ხელის-  
უფლების პირველი წლებიდან მოყოლებული დღემდე გრძელდება, თავისი  
ტენდენციით მეტად საყურადღებო მოვლენად იქცა თანამედროვე ქართულ  
ლიტერატურაში. გ. ტაბიძემ, გ. ლეონიძემ, კ. კალაძემ, ი. აბაშიძემ, ს. ჩიქო-  
ვანმა, კ. კვიციანიძემ, ი. მოსაშვილმა, ა. მირცხულავამ, გ. აბაშიძემ, ო. კელიძემ,  
ხ. ბერულავამ, ი. ნონეშვილმა, კ. ბობოხიძემ, მ. მაჭავარიანმა, ჯ. ჩარკვიანმა,  
ო. კილაძემ, მ. ლეზანიძემ, შ. ნიშნიანიძემ, გ. გეგეჭკორმა, ო. მამფორიამ,  
ბ. ხარანაულმა, ვ. ჯავახიძემ და სხვ. შექმნეს ბევრი ფორმალმნიშვნელოვანი ეპი-  
კური ტილო, რომლებშიაც ხატოვანი ხორცშესხმა პოვა ჩვენი ხალხის სახელო-  
ვანმა ისტორიამ თუ დღევანდელმა დღემ, 20—30-იანი წლების კლასობრივმა  
ბრძოლამ თუ ისტორიული მნიშვნელობის სოციალისტურმა გარდაქმნებმა,  
სამამულო ომის მოვლენებმა თუ საბჭოთა ხალხების ინტერნაციონალურმა სო-  
ლიდარობამ, მძაფრმა ეროვნულმა პრობლემებმა თუ საზოგადოებრივ ცხოვრე-  
ბაში ადამიანის ადგილსა და როლზე დაფიქრებამ...



თანამედროვე ქართული პოემის განვითარების ტენდენცია ემყარება როგორც კლასიკურ ტრადიციებს მათი ნოვატორული გამოყენებით, ასევე ახალ, უკვე ძლიერ ნაკადად ქვეულ ლირიკულ-ეპიკური პოეტური ეპოსის ფორმას.

ქართული პოეზიის დღევანდელი მდგომარეობა, მრავალფეროვნება, მრავალხმიანობა, თვალსაჩინო ლირიკული ნიმუშების პოპულარობა როგორც საბჭოთა მკითხველების ფართო წრეებში, ასევე საზღვარგარეთ ადასტურებს თანამედროვეობის შესატყვისის მის მაღალ დონეს, რაც განპირობებულია წინათაობების პოეტთა ტალანტის უზერებლობით და ახალგაზრდა ნიჭიერ შემოქმედთა გაბედული ძიებებითა და მიგნებებით.

ქართულ საბჭოთა პროზას განსაკუთრებით სოციალისტური რევოლუციის შემდეგ შეექმნა განვითარების უჩვეულოდ ფართო ასპარეზი და მეტად ხელსაყრელი პირობები. ჩვენს დროში იგი იქცა ეროვნული მხატვრული აზროვნების ერთ-ერთ მთავარ დარგად და თავისი არსებობის ექვსი ათეული წლის მანძილზე მოგვცა მთელი რიგი ისეთი ქმნილებანი, თანამედროვე მსოფლიო „სტანდარტების“ დონეზე რომ დგანან.

რევოლუციის შემდგომს პირველ ხანებში ქართულ პროზაშია შეინიშნებოდა რეალიზმს დაპირისპირებული დასავლეთის მოდერნისტული სკოლების ერთგვარი გავლენები. მაგრამ ისე დიდი იყო კლასიკური რეალისტური პროზის ტრადიციებისა და XX საუკუნის ჯერ კიდევ მოქმედ რეალისტ მხატვართა შემოქმედების გავლენა, რომელსაც მხარს აძლევდა და აფართოებდა ახალი სინამდვილე, რომ უკვე 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დამდეგს საბჭოთა რეალისტურმა პროზამ მთლიანად განდევნა მისთვის უცხო ტენდენციები და სრულიად გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა.

ამ დროს მოღვაწეობენ და ქმნიან ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, მ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, შ. დადიანი, დ. შენგელია, კ. ლორთქიფანიძე, ხ. კლდიაშვილი, ა. ქუთათელი, ნ. მიწიშვილი, რ. გვეტაძე, პ. ჩხიკვაძე, ა. ბელიაშვილი, მ. მრევლიშვილი, ბ. ჩხეიძე, ი. ლისაშვილი, ე. ზედგინიძე და სხვ. მათს რომანებში, მოთხრობებში, ნოველებში აისახა დროის მაჯისცემა, ეპოქის ძვრები, ადამიანის ფსიქოლოგიური გარდაქმნა — ყოველივე ის, რაც მოიტანა დიდმა ოქტომბერმა, როგორც უდიდესი ისტორიული განახლების შედეგი.

მართალია, ამ დროის, განსაკუთრებით კი 20-იანი წლების, პროზა ძირითადად ჯერ კიდევ აგრძელებდა კრიტიკული რეალიზმის ტრადიციებს და გამოხატვის მთავარ საგნად იღებდა ყოფილ ადამიანებს, ძველი სამყაროს გადმონათობებს, ახალ ყოფასთან მათი არა მარტო შეურიგებლობის, არამედ ამ ყოფის წინააღმდეგ მათი ბრძოლის პრობლემას, მაგრამ მასში მაინც მკაფიოდ ისახებოდა ის მთავარი, რასაც მომავალში ძირითადი ადგილი უნდა დაეჭირა პროზის ეპოქალურ ნაწარმოებებში — ახალი დრო და მისი პათეტიკა, ახალი ადამიანი და მისი მაღალი მიზანი თუ მორალი, ახალი გარდაქმნების სიდიადე და პერსპექტივა, ისტორიულ-რევოლუციური წარსული.

უკვე 30-იან წლებში ხდება თითქმის მთელი ქართული პროზის შემობრუნება სწორედ ახალი სინამდვილისაკენ, განახლებული საქართველოს წინაშე წამოჭრილი ამოცანებისაკენ. ოციანი წლების ცნობილი პროზაული ქმნილებების — „ჯაყოს ხიზნებისა“ და „კვაჭი კვაჭანტირაძის“, „დიონისოს ღიმილისა“ და „ქოსა გახუს“, „სანავარდოსა“ და „გიორგი რუსის“, „თავადის ქალ მაიასა“ და „ალმასგირ კიბულანის“, „პროვინციის მივარისა“ და „ეპოპეას“ გვერდით



ოცდაათიან წლებში უკვე იწერება „მთვარის მოტაცება“ თუ „კოლხეთის კარი“, „გვადი ბიგვა“ თუ „ზათა ქექია“, „პირისპირ“ თუ „სართულები“.

20—30-იან წლებში იწყება აღმავლობა ქართული ისტორიული რომანისა, რომელსაც უფრო ადრე გარკვეული ტრადიციები შეუქმნა ვ. ბარბოვმა. ამ დროის ისტორიული რომანი (მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, შ. დადიანის „გიორგი რუსი“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, რ. ვეტიძის „ქიაკოვანა“ და ა. შ.), ისევე როგორც უფრო გვიანდელი პერიოდისაც (კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელი“, შ. დადიანის „გვირგვინიანების ოჯახი“, ა. ბელიაშვილის „ბესიკი“, გ. აბაშიძის ტრილოგია და სხვ.) — ეს არის ახალი თვლით წაკითხული და ახალი გონებით განსჯილი საქართველოს შორეული თუ მახლობელი წარსულის ისტორია, წარსულის მოახლოება დღევანდელ დღესთან, დღევანდელი საქართველოს, როგორც ისტორიული წარსულის გარკვეული შედეგის, მდგომარეობიდან განსჯა მისი ისტორიისა.

საერთოდ, ქართულმა საბჭოთა რომანმა განვითარების საკმაოდ ვრცელი გზა განვლო მისი პირველი ნიმუშებიდან მოყოლებული, ვიდრე ბოლო დროს დაწერილ ფართო ეპიკურ ტილოებამდე. რომანი იქცა ეპოქის ყველაზე უფრო სრულ მხატვრულ მატრიანედ, იმ არსებით ცვლილებათა ხატოვანი გახსნისა და გამოხატვის საშუალებად, ჩვენმა ხალხმა, ახალი საქართველოს მშენებელმა ადამიანმა რომ განიცადა, როგორც მრავალმხრივად რთულმა სულიერმა ფენომენმა. სწორედ ამ სულის ევოლუციის ფონზე ნაჩვენებია საბჭოთა საქართველოს სამეურნეო, პოლიტიკურ, ეროვნულ ცხოვრებაში მომხდარი ისტორიული ძვრების სიღრმე და მასშტაბები.

დიდი სამამულო ომის წლებსა და ამ ომზე უფრო გვიან შექმნილ ქართულ რომანსა, მოთხრობასა და ნოველასა ახალი, უჩვეულო ძალით გამოჩნდა მებრძოლი სულის უკვდავება, პატრიოტიზმის ყოვლისმძლე ძალა, ხალხისა და პარტიის ერთიანობა (ლ. ქიაჩელი „მთის კაცი“, დ. შენგელაიას „წითელი ყაყაჩო“, კ. ლორთქიფანიძის „მწვეანე დილი“ და „უტყუარი მოთხრობები“, რ. ჯავახიძის „ვენების კვირა“, ა. კალანდაძის „პიასტის ნამუხლარზე“, „მაკოზარბთან“, „ბრესტის სიმაგრეში“, თ. იოსელიანის „შავი და ცისფერი მდინარე“, ა. გეჭაძის „მუხარადში ამოსული ყვავილი“, დ. კვიციანიძის „მშვიდობით, უსიერო ტყეებო“ და სხვ.).

ქართული საბჭოთა პროზის ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები მიეძღვნა საქართველოში ოქტომბრის იდეების გამარჯვებას. ეს დიდი ისტორიული მოვლენა გახდა ახალი უდიდესი ეპოქის დასაწყისი ქართველი ხალხის ცხოვრებაში და, ბუნებრივად, მას თავისი შესაბამისი მონუმენტური გამოხატვა, უპირველესად, ფართო ეპიკურ ტილოებში უნდა ეპოვნა. ა. ქუთათელის ეპოპეა „პირისპირ“ ჩვენ წინაშე გადაშლის როგორც მენშევიკური საქართველოს ტრაგედია, ასევე ხალხის ბრძოლას ამ ტრაგედიისაგან თავის დაღწევისა და თავის ქვეყანაში ოქტომბრით ბოძებული თავისუფლების დამკვიდრებისათვის. გ. ჩიჭოვანის რომანი „თებერვალი დაღაო“ ნათელყოფს ქართველი კომუნისტების, მთელი რევოლუციური ხალხის თავდადების ძალას ახალი სოციალური სისტემის დამკვიდრებისათვის. დ. შენგელაიას („თებერვალი“) და კ. ლორთქიფანიძის („ჩემი პირველი კომკავშირელი“ და „ჩემო გაიანე“) ნოველები დიდი სიმართლთა და უშუალოებით ვადმოსცემენ როგორც მენშევიკების დროებითი ბატონობის უკანასკნელი დღეების აგონიას, ასევე რევოლუციური გზებით აღპურვილი ადა-



მიანების ყოვლისმძლე ძალის შემცველ უწმინდესი უშუალოების რომანტიკულ გატაცებას.

ქართული პროზის ბოლო ოცდაათი წლის მიღწევები მოწმობენ მის ახალ მძლავრ აღმავლობას, 20—30-იანი წლების საუკეთესო ტრადიციათა შემდგომ განვითარებას. ამ პერიოდში შექმნილი კ. გამსახურდიას „ვახის ყვავილობა“, ს. კლდიაშვილის „ფერფლი“ (მეორე წიგნი), კ. ლორთქიფანიძის „ნატურისთვალა“, დ. შენგელაიას „განძი“, გ. აბაშიძის „ყორნალი“, გ. რჩულიშვილის მოთხრობები, რ. ჭავჭავაძის „ჭარისკაცის ქვრივი“, „მძიმე ჯვარი“, ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მზიანი ღამე“, გ. ნატროშვილის „ისევ გაზაფხული იყო იორზე“, ნ. წულუგისკირის „თუთარჩელა“, თ. დონეაშვილის „ალაზნა-კვლავთცვენა“, ლ. ავალიანის „ახალი ჰორიზონტი“, თ. დონეაშვილის „აღაზნა-ზე“, ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, თ. ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, ლ. მრელაშვილის „ყაბახი“, მ. მრეკლი-შვილის „ხარატანთ კერა“, გ. ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, თ. ჩხეიძის „კვერნაქი“, ა. სულაქაურის „ოქროს თევზი“, გ. ჩიქოვანის „მიწა“, ა. კალანდაძის „მწვანე შტო“, რ. ბეჟანიშვილის „სამამულე რქა“, თ. ჭილაძის „აუზი“, რ. ჭეიშვილის „ქალაქში დინოზავრები დადიან“, ე. ყიფიანის „ცაში ასროლილი ქუდები“, ი. ურჯუმელაშვილის „ფერიცვალობა“, გ. აბაშიძის, ლ. გოთუას, ა. კალანდაძის, ს. ჭილაიას, ე. მალრაძის და სხვ. ფართო პლანის ისტორიული რომანები, ა. გაწერელიას, რ. ინანიშვილის, გ. გეგუშვილის, ა. გეგუშვილის, ე. ვლიო-ნიშვილის, ა. ადამიას, ფ. ხალვაშის, ე. მაისურაძის, გ. კეკელაძის, თ. გოგოლაძის, დ. ჯავახიშვილის, თ. ბიბილურის, ა. ჩხიკვიშვილის, თ. მალაფერიძისა და სხვ. რომანები, მოთხრობები და ნოველები ეძღვნება თანამედროვე საქართველოს ცხოვრების მრავალმინაარსიანსა და მწვავე პრობლემებს, გამოხატავს ოქტომბრის შემდგომ პერიოდში და უფრო ადრეც ქართველი მუშის, გლეხის, ინტელიგენტის ფსიქიკაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს.

ქართული თანამედროვე პროზის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის — ადამიანის პრობლემის მხატვრულმა გადაწყვეტამ მრავალი ახალი ნიუანსი შეიძინა განსაკუთრებით უკანასკნელი წლების პროზაში; მასში უფრო მეტი ყურადღება დაეთმო XX საუკუნის რთული ვითარების პირშო ადამიანს, როგორც დიდი სოციალური, პოლიტიკური, ტექნიკურ-მეცნიერული ცვლილებების მოწმესა და უშუალო მონაწილეს, ამ ცვლილებებით შთაგონებულსა თუ შემფთობულ პროზაში. ამან კი მეტი ფილოსოფიური დატვირთვა და სიღრმე შესძინა თანამედროვე პროზის ნიმუშებს; მოითხოვა მასში მითოსის პლანის თუ ფსიქოლოგიური ასპექტების ახლებური გამოყენებაც, თანამედროვე დასავლეთის ე. წ. „მაჰიკური რომანის“ ელემენტების შემოტანაც და დროის მონაცვლეობით წარსულის ისტორიული მოვლენების გათანადროვლებაც.

ქართული საბჭოთა პროზა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, ზოგიერთ პერიოდში გამოვლენილი შეღამაზების უარყოფითი ტენდენციის მიუხედავად, გამოხატვისა და განზოგადების საგნად იღებდა ქართველი ხალხის ცხოვრების რთულ და მრავალფეროვან მოვლენებს, სინამდვილეს მისი შთამაგონებელი სიღიადითაც და მეტად მტიკუნეული მხარეებითაც. მისი დამამკვიდრებელი პათოსი ემყარებოდა როგორც ამაღლებულის, იდეალურის აპოლოგიას, ასევე ნეგატიურის დაუნდობელი გამოვლენის ტენდენციას. ორივე შემთხვევაში იგი ამკვიდრებდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ახალი მორალისა და ზნეობის ნორმებს, ადამიანთა ახალ სულიერ მომართულობას. ჯერ კიდევ ოციან





წლებში გამოვლენილი ეს ტენდენცია დღემდე მოჰყვება და გამსჭვალავს ქვეყნის პირობის საუკეთესო ნიმუშებს და მის არსებით ნიშნად რჩება მომავლისათვისაც.

განვლილი ექვსი ათეული წლის მანძილზე ქართული საბჭოთა დრამატურგია ჩამოყალიბდა. განვითარდა როგორც ლიტერატურის, მთელი მხატვრული აზრის ერთ-ერთი წამყვანი ყანარი. არასოდეს ქართული ლიტერატურის ისტორიაში მას არ ჰქონია შექმნილი ესოდენ ნაყოფიერი პირობები ზრდა-განვითარებისა და არასოდეს არ მოუხდენია ესოდენ დიდი ზემოქმედება ადამიანების გულსა და გონებაზე. სწორედ ჩვენს დროში შეიქმნა ქართული დრამატურგიის კემპარიტად კლასიკური ქმნილებანი, როგორც გასული საუკუნის კლასიკური ნიმუშების მიერ დამკვიდრებული ჩინებული ტრადიციების განვითარება და თანამედროვე ხელოვნების ტიპიური ნიმუშები.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიას განვითარების განმსაზღვრელი ტონი მისცა პ. კაკაბაძემ, რომელიც 20-იანი წლებიდან მოყოლებული თვით 70-იანი წლების დამდეგამდე ქმნიდა ჩვენი ლიტერატურის ამ მომძლავრებელი ყანარის თვალსაჩინო ნაწარმოებებს. მისმა „ყვარყვარე თუთაბერმა“ მრავალწლიად განსაზღვრა ქართული საბჭოთა კომედიის განვითარების გზა და ტენდენცია. მასში პირველად მთელი ძალით გამოვლინდა საუკუნეებში დაგროვილი კემპარიტად ხალხური ქართული სატირისა და იუმორის ძალაც და მარაგიც, ხოლო „კოლმეურნის ქორწინებაში“ სათავე მიიღო ახალმა კომედიურმა მიმართულებამ — კომედიის მთავარ გმირად იქცა არა მხოლოდ ობიექტურად გამოვლენილი პათოსი დადებითისა, არამედ თვით დადებითი გმირიც. ცხადია, პ. კაკაბაძის კომედიები, ისევე როგორც დრამები, გარკვეული ეპოქის ტენდენციების პირმშოა და მათში კონკრეტული სინამდვილეა ნიშანდებული, მაგრამ ისინი იმდენად მალღებნიან ამ სინამდვილეზე, რომ ყოველი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ტენდენციებს შეიცავენ და გამოხატავენ. „ლისაბონის ტუსაღებსა“, „კახაბრის ხმალსა“, „ცხოვრების ჯარასა“, „მეფე ვახტანგ გორგასალსა“ და „ბაგრატ მეშვიდეში“ პ. კაკაბაძემ წარმოსახა ხალხთა ისტორიის ძნელი პერიოდები თუ თანამედროვეობის მწვავე პრობლემები.

ქართული საბჭოთა დრამატურგიის პირველი წლების წარმატებები დაკავშირებულია შ. დადიანის, ს. შანშიაშვილის, კ. კალაძის სახელებთან. ს. შანშიაშვილის „ანზორმა“ ქართულ სცენაზე დაამკვიდრა რევოლუციური რომანტიკა, რომელმაც თავისებური გამოვლენა პოვა აგრეთვე კ. კალაძის „როგორში“, ხოლო შ. დადიანის „კაკალ გულში“ და კ. კალაძის „ხატიჯე“ ავითარებდნენ ახალი ქართული საბჭოთა კომედიის მთავარ ხაზს, პ. კაკაბაძის კომედიებთან ერთად აყალიბებდნენ მის ახალ ტრადიციებს. შ. დადიანმა, პირველმა მთელს საბჭოთა დრამატურგიაში, აღადგინა ტრაგედია, შექმნა მისი ახალი სახე („თეთნულდი“). ხოლო „ნაპერწყალში“ ცხოველყოფილად განახატოვნა ახალი იდეების მეშვეობით ადამიანის თვითგახსნისა და გააქტიურების პროცესი.

20—30-იანი წლების, ისევე როგორც შემდგომი პერიოდის, ქართული დრამატურგია პირველ ადგილზე წამოსწევს როგორც თანამედროვეობის, ასევე წარსულის შეტად მწვავესა და აქტუალურ პრობლემებს, დანახულს გარკვეულ იდეოლოგიური და ეროვნულ-ინტერნაციონალური კუთხით. ესენია: ახალი ადამიანის ფსიქიკის ჩამოყალიბების რთული პროცესი, ახლის პათოსი და მკვიდრებადი ძალა, კლასობრივი ბძილობების სიმწვავე და უკომპრომისობა, საბჭოთა ცხოვრების უარყოფითი მხარეების კრიტიკა, შორეული თუ მახლობელი ისტო-



რიული წარსული, მტრული გარემოცვისა და იდეოლოგიების არსის გახსნა და ა. შ.

ეს პრობლემები თუ მოტივები ქართულ დრამატურგიაში მოიჭანა მისმა ახალმა შინაარსობრივმა გამიზნულობამ, ახალ ისტორიულ მიჯნაზე გამოსული სამშობლოსა და მისი ხალხის წინაშე წამოჭრილმა გარდაქმნის კარდინალურმა ამოცანებმა. ისინი ნაქარნახევი იყო თვით უშუალო ეროვნული ცხოვრების მოთხოვნილებებითა და ეროვნული განვითარების აუცილებლობით.

ს. კლდიაშვილის („გმირთა თაობა“), ი. ვაკელის („შური“), ვ. ვაბესკირიას („მათი ამბავი“), ა. მირცხულავას („განგაში“), გ. ბააზოვის („მუნჯები ალაპარაკდნენ“), გ. მდიენის („სამშობლო“), ვ. დარასელის („კიკვიძე“), გ. შატერაშვილის („დუშმანი“), ლ. გოთუას („ერეკლე მეორე“), უ. ჩხეიძის („გეორგი სააკაძე“), ს. მთვარაძის („შლეგი“) და სხვ. პიესები ამკვიდრებდნენ ადამიანთა ახალი ურთიერთობების ნორმებს, ახალ მორალს, წარმოსახავდნენ ამ ურთიერთობათა სირთულეს, წარსულის პროგრესულ ტენდენციებს, ამკვიდრებდნენ მაღალი პატრიოტიზმის გრძნობას.

ასეთი ფართო პრობლემატიკით და აქტუალობის გრძნობით გამსჭვალული, მაღალხატოვანი ხილვის უნარით აღჭურვილი ქართული დრამატურგია მზად შეხვდა უდიდეს განსაცდელს მთელი საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში — ფაშისტური გერმანიის თავდასხმის საბჭოთა ქვეყანაზე. დაიწერა ს. კლდიაშვილის, ი. მოსაშვილის, გ. მდიენის, მ. ჯაფარიძის და სხვ. პატრიოტული გზნების პიესები სამშობლოს გმირი ადამიანების თავდადებაზე.

50-იანი წლები და მისი შემდგომი პერიოდი ქართულ დრამატურგიაშიც იყო ახალი აღმავლობის ხანა. საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელებულმა გარკვეულმა ცვლილებებმა, ხალხის ცხოვრებაში მომხდარი დიდი ისტორიული ძვრების ნოვატორულმა ინტერპრეტაციებმა თავისი აშკარა გამოვლენა პოეზიაში, მრეცელში, ს. კლდიაშვილის („ზვავი“), ს. დოლიძისა და რ. ებრაღიძის („მისი უდიდებულესობა“), ს. კლდიაშვილის („დაბრუნება“), მ. ბარათაშვილის („მარინე“), ი. მოსაშვილის („გზა მომავლისა“), ვ. ვაბესკირიას („უფსკრულთან“, „ახალი წლის ღამეს“), ლ. გოთუას („სამსახეობა რაინდისა“), ი. ვაკელის („რვალი“), გ. აბაშიძის („მოგზაურობა სამ დროში“), გ. ნატროშვილის („მიწაში დამარხული სხივები“), კ. ბუაჩიძის („ეზოში ავი ძალია“), დ. გაჩეჩილაძის („ამირანი“), ვ. კანდელაკის („ქართლის ჩირაღდნები“, „დრო 24 საათი“), ვ. პატარაიას („უჩა უჩარდია“), გ. ქელბაქიანის („სოფლის მასწავლებელი“), თ. ჭილაძის („აქვარიუმი“), თ. ჩიკავაძის („თხუნელა“), გ. ხუხაშვილის („ზღვის შვილები“), მ. ელიოზიშვილის („ბებერი მუხურნეები“), რ. თაბუკაშვილის („რაციონის მდივანი“), გ. ნახუციშვილის („ჰინჯრაქა“), ა. გეწაძის („წმინდანები ჯოჯოხეთში“), გ. ბერბენიშვილის, თ. მამფორიას, ა. სამსონიას, ა. აბშილავას, ა. აღმაძის და სხვ. პიესებში, აგრეთვე ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის, ნ. დუმბაძის რომანების მაღალი ოსტატობით შესრულებულ ინსცენირებებში.

ამ პერიოდის დრამატურგიაში წარმატებით იქნა დაძლეული ე. წ. „უკონფლიქტობის“ თეორიის მავნე ტენდენციები. დრამა თითქმის მთლიანად დაემორჩილა არსებული სინამდვილის უფრო ღრმად, მეტი დაფიქრებითა და ობიექტურობით აღქმის ტენდენციას, ცხოვრების კონფლიქტური ხასიათის მეტი თანმიმდევრობით გახსნის ამოცანას, გაცილებით მეტად განიმსჭვალა ირგვლივ არსებული სინამდვილისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით და, ამ თვალსაზრისით, მეტი მოქალაქეობრივი ჟღერადობა შეიძინა.

2. მაკენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 4

კ. მარქსის ს.ხ. ს.კ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა

90457



უანრის სახეთა ესოდენი მრავალფეროვნება, დრამატურგიულ ნაწარმოებებში თა ამგვარი „სიუჟე“ არ ახსოვს ქართული დრამატურგიის ისტორიას. თვალისწინებთ ქართული საბჭოთა დრამის განვითარების წინა პერიოდების (განსაკუთრებით 20—30-იანი წლების) მეტად თვალსაჩინო მიღწევებს და მათ აღვიქვამთ ბოლო პერიოდის წარმატებებთან ერთობლიობაში, ჩვენთვის კიდევ უფრო მეტი სიცხადით წარმოჩნდება ქართული საბჭოთა დრამატურგიის წარმატებანი, მისი კლასიკური ნიმუშების მაღალი ესთეტიკური დონე. თუმცა არც იმის დაიწყება შეიძლება, რომ ბევრ დრამატურგიულ ნაწარმოებს აკლია ის, რაც მას მარადიულ სიცოცხლეს უნდა უნარჩუნებდეს — აკლია სულში წვდომის ძალა, ეპოქის მკვეთრი ბეჭედი, მაღალი მხატვრული ღირსება. ამიტომაც ვერ შერჩა ქართულ სცენას ათეულობით პიესა. ასე რომ, ტრადიციად ქცეული პრეტენზია დრამატურგიის მიმართ, მისგან მეტი მაღალხატოვანი ხარისხის მოთხოვნა, ახალი გამომხატველობითი ფორმებისა და საშუალებების აღმოჩენის საჭიროება მნიშვნელოვანწილად ჯერ კიდევ ძალაშია.

საბჭოთა ლიტერატურის განუხრელი განვითარება ვაპირობებელია მისი ახალი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის მეთოდის შემოქმედებითი გამოყენებით. სოციალისტური რეალიზმი ტლანტის თვითგახსნის შეუზღუდველ საშუალებებს აძლევს თვითოეულ მხატვარს თუ იგი ამ მეთოდს იყენებს შემოქმედებითი პრინციპებით არა შეზღუდულად, არამედ ფართოდ, მთელი მხატვრული აზროვნების მიერ დაგროვებული უმდიდრესი ტრადიციულ-პროგრესული გამოცდილების გათვალისწინებითა და გამოყენებით. ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზა ამის ნათელი დასტურია. მის დიდებულ ფონდში რჩება და ბრწყინავს სწორედ ისეთი მხატვრების მიერ შექმნილი ნიმუშები, რომელთაც შეძლეს გაეფართოებინათ ახალი შემოქმედებითი მეთოდის ფარგლები, გაეგოთ იგი როგორც ნოვატორული ხილვა-ათვისება სინამდვილისა და სიმართლის ჩანსალი განვითარებადი ტენდენციებისა, როგორც მაძიებელი სულის ორგანიზება და, ამავე დროს, როგორც პროგრესული კლასიკური მემკვიდრეობის ჩამი და გვირგვინი.

ახალმა შემოქმედებითმა მეთოდმა უზრუნველყო ესოდენ თვალსაჩინო აღმავლობა მხატვრული აზროვნების ყველა უანრისა, მათ შორის მხატვრული ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურისმცოდნეობისა, რომელთაც შეუძინეს კვალიფიკური ესთეტიკური განსჯის უნარი და კრიტერიუმების სიზუსტე.

ოქტომბრის მე-60 წელი დიდამნიშვნელოვანი ნიშანსვეტია მთელ ჩვენს ისტორიაში. იგი საბჭოთა ხალხის ისტორიული გამარჯვებების შემაჯამებელი და მომავალში ახალი დიდი სიმაღლეების დაპყრობისათვის ჩვენი ხალხის დარაზმერს წელია. მან მოიტანა ახალი კონსტიტუცია — საბჭოთა ცხოვრების ახალი ძირითადი კანონი, რომელშიც ასახულია ყოველივე ის, რაც ხალხმა განვილილ სამოც წელს მოიპოვა და მოჩანს ის მიმზიდველი პერსპექტივებიც, ხალხის წინაშე რომ არის გადაშლილი მომავალში.

განვილია დიდი გზა. მაგრამ კიდევ უფრო დიდი წინ არის! და მომავლის ამ დიდ გზაზეც ოქტომბრის პირშო საბჭოთა ლიტერატურა მუდამ თავის ხალხთან ერთად იქნება როგორც მისი მსახურიც და გზამკვლევიც, გულის მესაიდუმლეც და გრძობათა საყვრიც, განწყობილებათა ბარომეტრიც და ესთეტიკური ფენომენიც, მისი დიდი საქმეების უშუალო მონაწილეც და მგზნებარე მემბრანეც!

## მლინო მტრამილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

კ. კეკელიძის სახელობის ღმელაწერთა ინსტიტუტი ოქტომბრის  
რევიზიონის 60 წლისთავზე

კ. კეკელიძის სახელობის ღმელაწერთა ინსტიტუტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთი ახალგაზრდა ინსტიტუტია. მან თავისი ნათლობა 1958 წელს მიიღო. ჩამოყალიბდა ეს ინსტიტუტი ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ღმელაწერთა განყოფილების ბაზაზე. 1962 წლიდან ღმელაწერთა ინსტიტუტი აკად. კ. კეკელიძის სახელს ატარებს.

სახელმწიფო მუზეუმში ღმელაწერთა განყოფილება ყველაზე გვიან, 1929 წელს გაიხსნა. ამ განყოფილებაში გაერთიანდა მანამდე არსებული ცალკეული საზოგადოებებისა და მუზეუმის წერილობითი ძეგლების ფონდები. თუ როგორ და ვისი მეშვეობით მიმდინარეობდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გასაბჭოებამდე ძველი ქართული მწერლობისა და სხვა ხასიათის წერილობითი ძეგლების აღრიცხვა, შეგროვება და მოვლა, ხოლო რა ვითარება იყო შემდეგ, — 1921 წლიდან ღმელაწერთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებამდე, ამის შესახებ ვრცელად მოგვითხრობს პროფ. ილ. აბულაძე თავის წერილში: „ძველ ღმელაწერთა დაცვა და ტექსტების პუბლიკაცია საბჭოთა საქართველოში“<sup>1</sup>.

წინამდებარე წერილში ჩვენ შემოვიფარგლებით ღმელაწერთა ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდგომი პერიოდით და შევეცდებით მოკლედ წარმოვადგინოთ ამ ინსტიტუტის მიზნები, ამ მიზნების განხორციელების გზები და შედეგები. ამასთანავე, ცხადია, საუბარი გვექნება ინსტიტუტის მუშაობის პერსპექტიულ გეგმებზეც.

სახელმწიფო მუზეუმის ღმელაწერთა განყოფილების ბაზაზე ღმელაწერთა ინსტიტუტის შექმნის ინიციატორი იყო პროფ. ილ. აბულაძე, რომელიც 1953 წლიდან ღმელაწერთა განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

ილ. აბულაძემ ღმელაწერთა განყოფილებაში მუშაობის დაწყების დღიდან დაიწყო ზრუნვა ღმელაწერთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის. ღმელაწერთა ინსტიტუტის შექმნის იდეა ზემდგომი ორგანოების, მეცნიერებათა აკადემიისა და ფართო სამეცნიერო საზოგადოების მსჯელობისა და მხარდაჭერის საგანი გახდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1958 წლის 30 ივნისის დადგენილებით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ღმელაწერთა განყოფილების ბაზაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა ღმელაწერთა ინსტიტუტი.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სამეცნიერო დაწესებულება ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში არ არსებობდა, ამიტომ ინსტიტუტის სამეცნიერო პროფილი და შესაბამისად სტრუქტურის საკითხები, თვით ინსტიტუტის სახელწოდებაც ხანგრძლივი მსჯელობისა და განხილვის საგანი იყო.

თავდაპირველად ინსტიტუტში შეიქმნა: ორი განყოფილება (ღმელაწერი წიგნების განყოფილება და ისტორიული დოკუმენტებისა და პირადი არქივე-

<sup>1</sup> ღმელაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 11, თბილისი, 1960, გვ. VII—XXIII.

ბისა), ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, ფოტო კაბინეტი და საამკინ-  
 ძაო სახელოსნო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1960 წლის 30  
 მარტის დადგენილებით ინსტიტუტს გადმოეცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
 კაბინეტი მეცნიერის მდიდარი არქივითა და ბიბლიოთეკითურთ.

დღეისათვის ინსტიტუტში არის 5 განყოფილება: 1. არქეოგრაფიული,  
 2. ფილოლოგიური, 3. დიპლომატიკური, 4. დაცვის, აღრიცხვისა და ექსპოზიციის,  
 5. ჰიგიენისა და რესტავრაციის. ამასთანავე: ფოტოლაბორატორია და კაბინე-  
 ტები: ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, ილ. აბულაძის და ნინო სალიას სახე-  
 ლობის წიგნადი ფონდი.

სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში სხვადასხვა დროს  
 მოღვაწეობდნენ და ხელნაწერთა შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეს ემსახუ-  
 რებოდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: ივ. ჯავახიშვილი, გრ. წერეთე-  
 ლი, პ. ინგოროყვა, ალ. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. წერეთელი, გ. ჯავახია,  
 გ. ბოჭორიძე, კ. გრიგოლია, ვლ. ფუთურიძე, ქრ. შარაშიძე, ელ. ვირსალაძე და  
 სხვები. პირველ რიგში საჭირო იყო, მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით, უფ-  
 რო ფართო მასშტაბის ღონისძიებების შემუშავება ქართველი ერის სულიერი  
 კულტურის დიდებული საგანძურის დაცვა-მოვლისათვის, შესწავლისა და პუბ-  
 ლიკაციისათვის. იმათივე გადაწყვედა ინსტიტუტისათვის ახალი შენობის აგე-  
 ბა, საჭირო ლაბორატორიებითა, საცავებითა და სეიფებით.

ინსტიტუტის მიერ დასახული მიზნისა და გეგმების განსახორციელებლად  
 აუცილებელი იყო ინსტიტუტისათვის კადრების მომზადება და ინსტიტუტის  
 ახალი თანამშრომლებით სწორად დაკომპლექტება. ასპირანტურის გზით მომ-  
 ზადდნენ მიკოლოგი და ქიმიკოსი, რათა ინსტიტუტში საჭირო პირობები შექ-  
 მნილიყო ფონდების დაცვისათვის, დაზიანებული ქალაღდისა და ეტრატის  
 მკურნალობისათვის, პროფილაქტიკური ღონისძიების ჩასატარებლად. ფოტო-  
 ლაბორატორიას დაევალა ხელნაწერთა ფონდების სრული მიკროთეკის შექმნა.

ფართო პროგრამა შეიმუშავა ილ. აბულაძემ ფილოლოგებისა და ისტორი-  
 კოსების სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის. ხელნაწერთა ინსტიტუტის  
 მრავალენოვანი ფონდების შესაბამისად ასპირანტურის გზით მომზადდნენ სე-  
 ციალისტები არაბულ, სპარსულ, თურქულ, სომხურ ენებსა და მწერლობებში.

ქართული ფილოლოგიაში მომუშავეთათვის დაინიშნა სემინარები ბერძნულ  
 ენაში. ამავე დროს ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლები ილ. აბულაძის ხელ-  
 მძღვანელობით გადიოდნენ პალეოგრაფიის, ძველი ქართული ენისა და ძველი  
 სომხური მწერლობის კურსებს.

ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები განაგრძობენ ხელნაწერთა გან-  
 ყოფილების მიერ დაწყებულ საქმეს — ხელნაწერთა აღწერილობის შედგენას.  
 ინსტიტუტის ჩამოყალიბების დროისათვის ხელნაწერთა განყოფილებას გამო-  
 ქვეყნებული ჰქონდა ხელნაწერთა აღწერილობის 10 ტომი, ხელნაწერი ფონდ-  
 ბის „გზამკვლევი“ და ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი  
 არქივების აღწერილობები<sup>2</sup>.

ხელნაწერთა აღწერილობაზე სისტემატური და ინტენსიური მუშაობა ხელ-

<sup>2</sup> 1946—53 წლებში გამოქვეყნდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადო-  
 ების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა 6 ტომად; 1954—55 წლებში  
 —ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის ორი ტომი (ტ. IV და V);  
 1957—58 წლებში —ახალი (Q) კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობა I და II ტომები.



ნაწერთა განყოფილებაში დაიწყო ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით მის მიერ 1939 წელს შედგენილი ინსტრუქციის საფუძველზე<sup>3</sup>.

აღწერილობისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნები შესაბამისად ინსტიტუტმა გააფართოვა და დაახუსტა ქართულ ხელნაწერთა აღწერის ინსტრუქცია, ამავე დროს გ. წერეთლის, ს. ჯიქიას და ელ. ფუტურაძის მონაწილეობით შემუშავდა აღმოსავლურ ხელნაწერთა აღწერის პრინციპები და ინსტრუქცია, რომელიც საფუძველად დაედო ინსტიტუტის აღმოსავლური ფონდების აღწერილობას.

დღიდან ინსტიტუტის დაარსებისა გამოქვეყნდა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის 9 ტომი<sup>4</sup>. მომზადდა და გამომცემლობას გადაეცა სინურ ხელნაწერთა აღწერილობა<sup>5</sup>. გამოქვეყნდა აღმოსავლურ ხელნაწერთა აღწერილობის 2 ტომი<sup>6</sup>; მატენადარანის თანამშრომელმა ს. ლალაფარიანმა ილ. აბულაძის მოწვევითა და ხელმძღვანელობით გამოსაცემად მოამზადა მეტად მნიშვნელოვანი სომხურ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, რომელიც ელოდება გამოქვეყნებას. გამოქვეყნდა ბერძნულ ხელნაწერთა კატალოგი<sup>7</sup>.

ინტენსიურად მიმდინარეობდა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივების შესწავლა; გაირჩა და შედგა კატალოგები: ე. ვეილენაუშის, კალისტრატე ცინცაძის, გრიგოლ წერეთლის, კირიონის<sup>8</sup>, ქ. კეკელიძის, ივ. ჯავახიშვილის, თ. ყორდანას, იაკობ გოგებაშვილის, თუმანიშვილების, დიმიტრი ყიფიანის, თედო სახოკიას, ლ. ანდრონიკაშვილის, ნიკო და იური მარებისა და სხვათა არქივებისა. გამოქვეყნდა ე. თაყაიშვილისა<sup>9</sup> და ივ. ჯავახიშვილისა<sup>10</sup> პირადი არქივების აღწერილობები. გამოქვეყნდა აგრეთვე აღ. ყაზბეგის ხელნაწერთა აღწერილობა<sup>11</sup>.

<sup>3</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, გვ. 1.

<sup>4</sup> 1960—73 წლებში გამოქვეყნდა ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის I—VII ტომები. 1974—76 წლებში A კოლექციის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომის I და II ნაკვეთები.

<sup>5</sup> სხვადასხვა დროს ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაზე მუშაობდნენ: ნ. კასრაძე, ჯრ. შარაშიძე, ლ. ქუთათელაძე, ლ. მეფარიშვილი, ე. ვერსალაძე, თ. ბრეგაძე, ნ. ბაქრაძე, თ. ენუქიძე, მ. შანიძე, ც. ჭანკიევი, მ. ჭავჭავაძე, ლ. ჭავჭავაძე, ლ. ჭავჭავაძე, ც. კახიანი, ელ. მკერდელი, ტომეზ რედაქცია გაუწიეს: ს. ჩანაშიძე, ილ. აბულაძე, ქ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი.

<sup>6</sup> სინის ქართული ხელნაწერების აღწერილობაზე მუშაობდნენ: ლ. ჭავჭავაძე, ც. ჭანკიევი, ლ. ხეცსურიაძე და ელ. მეტრეველი.

<sup>7</sup> არაბულ, თურქულ, სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, ტ. I, შეადგინეს ე. აბულაძემ, რ. გვარამიამ, მ. მამაცაშვილმა, თბ., 1969; ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა კატალოგი, შეადგინა მ. მამაცაშვილმა, 1977; გადაცემულია დასახელებული არაბულ ხელნაწერთა აღწერილობის მორგი ტომი: ქ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი (L კოლექცია, I ნაკვეთი), შეადგინეს რ. გვარამიამ, ლ. მამულაძემ და ნ. ყანაველმა.

<sup>8</sup> E. Э. Гранстрем, Греческие рукописи Гос. Музея Грузии: საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXV, 1959.

<sup>9</sup> ე. აბრამიშვილი, ეპისკოპოს კირიონის პირადი საარქივო ფონდი: „მრავალთავი“, I, 1971.

<sup>10</sup> აკად. ე. თაყაიშვილის არქივი, შეადგინა და გამოსცემდა ე. კელენჯერიძემ, თბ., 1972.

<sup>11</sup> ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის აღწერილობა, შეადგინეს ა. ბაქრაძემ და ნ. ჯავახიშვილმა, თბ., 1976.

<sup>12</sup> აღ. ყაზბეგის ხელნაწერები. აღწერილობა შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. გოზალიშვილი, თბ., 1960.



მომზადდა გამოსაცემად, მაგრამ სამწუხაროდ დღემდე არ გამოცემულა. ფართოდ ცნობილი ე. ვეიდენბაუმის ბიობიბლიოგრაფიული ლექსიკონი<sup>12</sup>, რომელიც შეიცავს ძვირფას მასალებს XIX საუკუნის კავკასიის ისტორიისათვის; გამოსაცემად მომზადდა აგრეთვე ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერა, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს ამ ორი მეცნიერის ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობისა და ქართული მეცნიერების განვითარებისათვის დასახული გეგმების შესახებ. მიმოწერა მათი ურთიერთობის თითქმის ნახევარ საუკუნოვან ისტორიას ასახავს<sup>13</sup>. საყურადღებოა XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის კირონის, კირილე ლორთქიფანიძისა, თუმანიშვილებისა და სხვათა წერილები<sup>14</sup>.

ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნე მ. ელ. მაჭავარიანმა შეადგინა ინსტიტუტში დაცული მოხატული ხელნაწერების უნიკალური კოლექციის აღწერილობა. ელ. მაჭავარიანი წლების მანძილზე სწავლობს და აქვეყნებს გამოკვლევებს ანბანის განვითარების საკითხებზე, წიგნის მხატვრული გაფორმების პრინციპებზე, ძველი ოსტატების ფერწერის ტექნიკაზე<sup>15</sup>.

ხელნაწერი ფონდების აღწერის პარალელურად ინსტიტუტმა მიზნად დაისახა ინსტიტუტის გარეთ არსებული ქართული ხელნაწერების აღრიცხვა და აღწერა. საქართველოს ფარგლებში ქართული ხელნაწერები დაცულია სახელმწიფო ცენტრალურ არქივში, ლიტერატურულ მუზეუმში, გარდა ამისა: ქუთაისის, მესტიის, ზუგდიდის, ახალციხის, თელავის, გორის, მახარაძის ისტორიულ მუზეუმებში. ინსტიტუტის თანამშრომლები შეუდგნენ ამ ფონდების აღწერასაც. დღეისათვის გამოსაცემად მზადაა: თელავის<sup>16</sup>, მესტიის, ზუგდიდის, გორის<sup>17</sup>, ბათუმისა<sup>18</sup> და ახალციხის<sup>19</sup> მუზეუმების ხელნაწერთა აღწერილობები.

ქართულ ხელნაწერთა დიდი კოლექციები დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის საჯარო ბიბლიოთეკაში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ლენინგრადის განყოფილებაში და მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში. ხელნაწერთა ინსტიტუტი შეეცადა აქედან მიეღო ყველაზე მნიშვნელოვან ხელნაწერთა მიკროფირები. გამოქვეყნდა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერების აღწერილობა<sup>20</sup>. ამასთანავე

<sup>12</sup> ბიო-ბიბლიოგრაფიულ ლექსიკონზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: თ. მაჭავარიანი, ე. აბრამიშვილი, მ. რაფაე, ნ. ადამია, ლ. მეტრეველი.

<sup>13</sup> ნ. მარისა და ე. თაყაიშვილის მიმოწერა გამოსაცემად მოამზადა რ. კვიციანი.

<sup>14</sup> ე. აბრამიშვილი, საარქივო მასალები XIX ს. 70-იანი წლების საარქივო საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების შესახებ (თუმანიშვილის წერილები). ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებით და საძიებლოთ გამოსაცემად მოამზადა ე. აბრამიშვილმა, თბ., 1965; მ. ი. ი. ვ. ე., აღმქანდნე უიფშიძის (ფრანკლის) წერილები კირონის საძვალევილისადმი: „მრავალთავი“, 111, 1973; მ. ი. ი. ვ. ე., დ. ყიფიანისა და გრ. ორბელიანის რამდენიმე უცნობი წერილი: ხელნაწერთა ინსტიტუტის „შობაშე“, III, 1961.

<sup>15</sup> ე. მაჭავარიანი, ქართული ხელნაწერები, თბილისი, 1970; მ. ი. ი. ვ. ე., ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V—XIII სს.), „მრავალთავი“, II, 1973; მ. ი. ი. ვ. ე., მხედრული დამწერლობის ადრეული ნიმუშები; „მრავალთავი“, III, 1973.

<sup>16</sup> შეადგინა გ. კვიციანი.

<sup>17</sup> ზუგდიდისა და გორის ხელნაწერთა აღწერილობა შეადგინეს თ. ბრეგვაძემ და ც. კახაბრიშვილმა.

<sup>18</sup> შეადგინა ც. კახაბრიშვილმა.

<sup>19</sup> შეადგინეს ი. აბულაძემ, მ. ქავთარიამ, ც. ჯანკიევმა.

<sup>20</sup> ლილი ქუთაისი, ვ. ი. ლენინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქ. სახ. მუზეუმის შობაშე, XVII B, 1953.

მოეწყო ექსპედიციები და აღრიცხულ იქნა ქართული მასალა გორკის, კიევის, ოდესის არქივებში.

ხელნაწერთა ინსტიტუტი აქტიურად ჩაება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის განყოფილებასთან არსებული არქეოგრაფიული კომისიის მუშაობაში, მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირში დაცული უძველესი (XV საუკუნის ჩათვლით) ხელნაწერების ერთიანი კატალოგისათვის ინსტრუქცია-პროექტის განხილვაში, ხოლო შემდეგ იკისრა ერთიანი კატალოგისათვის X—XV სს. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის შედგენა რუსულ ენაზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობაში დიდი ადგილი უკავია ქართული მწერლობის საზღვარგარეთის კერების ისტორიის შესწავლას. ცნობილია, რომ V საუკუნიდან მოყოლებული ქართული კულტურის ცენტრები და სკრიპტორიუმები წარმოიქმნა პალესტინაში (საბაწმიდა), იერუსალიმში, სირიაში (საკვირველი მთა), ულუმბოზე, ათონზე, კონსტანტინოპოლში, ბაჩკოვოში.

თითოეული ეს ცენტრი თავისი მოღვაწეობის ხასიათითა და შექმნილი პროდუქციით უარკვეული ეტაპის შემქმნელია ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიაში. საზღვარგარეთის ქართული კერების ლიტერატურული საქმიანობის გარეშე შეუძლებელია ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის სრული სურათის წარმოდგენა. შემთხვევითი არ არის, რომ საზღვარგარეთის ქართული ხელნაწერებისადმი თავიდანვე დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართველოლოგები. ალ. ცაგარლის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარისა და რ. ბლეიკის ათონსა და სინა-იერუსალიმში მოგზაურობის დროს შედგენილი ხელნაწერთა აღწერილობანი ძველი ქართული მწერლობის ძეგლების შესწავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იყო დიდხანს მიჩნეული. ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილმა სინური ქართული ხელნაწერების აღწერილობამ და 1902 წელს ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულმა ექსპედიციის წინასწარმა ანგარიშმა საშუალება მისცეს მკვლევარებს ზოგადად მაინც წარმოედგინათ სინური ხელნაწერების მნიშვნელობა არა მარტო ძველი ქართული მწერლობის, არამედ ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიის მწერლობის ისტორიისთვისაც. მაგრამ პირველადი და მოკლე დროში შედგენილი ეს აღწერილობა არ იძლეოდა საკმარის მასალას ცალკეული საკითხების სერიოზული კვლევისათვის. ის ვერ შეცვლიდა თვით ხელნაწერებს. ამიტომ ამ კოლექციის მიკროფილმების მოპოვება ქართველოლოგების დიდი ხნის ოცნება იყო.

1950 წელს ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკის ინიციატივითა და იუნესკოს ხელშეწყობით მოეწყო ექსპედიცია სინის მთასა და იერუსალიმში ხელნაწერთა გადაღებისათვის. ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული იყვნენ ცნობილი სპეციალისტები. აღმოსავლური ხელნაწერების, მათ შორის ქართულის, შესწავლა და გადაღება დაეკისრა პროფ. ე. გარიტს<sup>21</sup>. სინის ქართული ხელნაწერების კოლექცია, როგორც ძველი და უნიკალური კოლექციების შემცველი, ე. გარიტმა გადააღებინა მთლიანად, ხოლო იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები კი მხოლოდ XV საუკუნის ჩათვლით.

1956 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ვაშინგტონის კონგრესის ბიბლიოთეკიდან შეიძინა სინის მთისა და იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართუ-

<sup>21</sup> Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gérard Garitte, Louvain, 1956, გვ. 6.



ლი ხელნაწერების მიკროფირები. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი რესპუბლიკის სამეცნიერო ცხოვრებაში.

ქართული ხელნაწერების სინური კოლექციების მნიშვნელობაზე ე. გარიტი წერს: „ქართული ხელნაწერების სინურმა კოლექციამ შემოგვინახა ქართული მწერლობის უძველესი ტრადიციები, რომლებსაც ქართული მწერლობის სათავეებთან მივყავართ. ხელნაწერებში წარმოდგენილი თითქმის ყველა ტექსტი უშუალოდ თუ შუამავალი თარგმანების საშუალებით პერძნულიდან მომდინარეობს. მრავალი მათგანი მხოლოდ სინურმა კოლექციამ შემოგვინახა, ნაწილი კი — მცირე რაოდენობითაა სინური კოლექციის გარეთ. ეს თავისებურება ამ კოლექციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს არა მარტო ქართული მწერლობის ისტორიის, არამედ საერთოდ ბიბლიის კრიტიკული ტექსტოლოგიის, ბიზანტიური პატრისტიკისა და ბიზანტიური ფილოლოგიის თვალსაზრისითაც. ამ ტექსტების მნიშვნელობა შორს სცილდება ქართული ფილოლოგიის საზღვრებს“<sup>22</sup>.

ამ გარემოებამ განაპირობა ორიენტალისტთა და ბიზანტინისტთა ფართო წრის დიდი ინტერესი სინის ქართული ხელნაწერების კოლექციისადმი. არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტი გამოაქვეყნა გამოკვლევითურთ ე. გარიტმა სინური ხელნაწერების კოლექციიდან, ამავე დროს შეადგინა ბიბლიური, ჰაგიოგრაფიული და პატრისტიკული ხელნაწერების კატალოგი, რომელიც 1956 წელს გამოქვეყნდა კიდეც<sup>23</sup>.

დიდი ინტერესი გამოიჩინეს სინური კოლექციისადმი ქართველმა ფილოლოგებმა. პირველად გამოიყენა უძველესი თარიღიანი ხელნაწერი — „სინური მრავალთავი“<sup>24</sup>. სინურ ხელნაწერებს ვერ უვლიან გვერდს ძველი ქართული მწერლობის ადრეულ პერიოდზე მომუშავე მკვლევარები და ტექსტოლოგები.

სინური ხელნაწერების შესწავლას საპატიო ადგილი დაეთმო ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკაში, ვინაიდან წინათონური პერიოდის ქართული მწერლობის თარგმნითი ძეგლების გამოცემა მათ გარეშე შეუძლებელი იყო.

სინური და იერუსალიმური ხელნაწერების შესწავლამ კვლავ დღის წესრიგში დააყენა პალესტინის ქართული კულტურისა და მწერლობის კერებში ქრისტიანული არაბულიდან ქართულად შესრულებული თარგმანების საკითხი, რომელსაც ნ. მარი თავის დროს ინტენსიურად იკვლევდა, დღეს კი ევროპის ორიენტალისტების კვლევის ცენტრშია. ამ კატეგორიის ძეგლებიდან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ „ბალავარიანი“, რომლის აქამდე უცნობი ვრცელი რედაქცია, მოკლესთან ერთად, იერუსალიმური ხელნაწერებით (Ier. 36 და Ier. 140) გამოაქვეყნა ილ. აბულაძემ<sup>25</sup>. „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქციის შესწავლამ და გამოქვეყნებამ ახალი სტიმული მისცა ქართველ და უცხოელ მკვლევარებს „ბალავარიანის“ კვლევისათვის<sup>26</sup> და უფრო მევეთრად დასვა საკითხი ქრისტიან-

<sup>22</sup> Catalogue, გვ. I.

<sup>23</sup> Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinaï par Gérard Garitte. Louvain, 1956.

<sup>24</sup> სინური მრავალთავი 864 წლისა. სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით.

<sup>25</sup> ბალავარიანის ქართული რედაქციები: ძველი ქართული ენის ძეგლები, 10, თბილისი, 1957.

<sup>26</sup> „ბალავარიანის“ კვლევის ისტორიისათვის იხ. Балавариани (Мудрость Балавара), Предисловие и редакция И. В. Абуладзе, Тбилиси, 1962.

ნული არაბულიდან შესრულებული ძველი ქართული თარგმანების გამოვლენისა და შესწავლისა. ამ თვალსაზრისით „ბალავარიანზე“ არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა იოანე მოსხის „ლიმონარის“ (ქართულად „სამოთხის“) უძველესი ქართული თარგმანი, რომელიც აგრეთვე ილ. აბულაძემ გამოაქვეყნა<sup>27</sup> სამი ცნობილი ნუსხის მიხედვით: Sin. 36 (925 წლის), Sin. 68 (XIII ს.) და ე. წ. 977 წლის „ოშკის სამოთხე“ (Ath. 9). ქართული „ლიმონარის“ შედგენილობისა და ლექსიკის შესწავლის საფუძველზე ილ. აბულაძე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ლიმონარის“ ქართული ტექსტი, ისევე როგორც „ბალავარიანის“ ვრცელი რედაქცია, თარგმნილი უნდა იყოს არაბულიდან VIII—IX საუკუნეებში. ამ ვარაუდმა, ბუნებრივია, აღძრა ინტერესი „ლიმონარის“ არაბული თარგმანისადმი, რომელიც „ალ-ბუსთანის“ სახელითაა ცნობილი. ამ გამოუყენებელი ძეგლის შესწავლას შეუდგა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი რ. გვარამია. მან ქ. გარიტის შემწეობით მიიღო „ალ-ბუსთანის“ ერთ-ერთი უძველესი (X ს.) ხელნაწერის მიკროფორი (Sin. 549), რომელიც შეისწავლა ქართულ „ლიმონართან“ მიმართებით. ამ ხელნაწერით მან პირველად გამოაქვეყნა „ალ-ბუსთანის“ არაბული ტექსტი<sup>28</sup>. „ალ-ბუსთანის“ შესწავლამ აშკარა გახადა, რომ ამ ტიპის აპოკრიფურ კრებულებს სტაბილური შედგენილობა არა აქვს. ეს მოვლენა დამახასიათებელია აპოკრიფური ლიტერატურისათვის საერთოდ და ამ ენარის სპეციფიკას წარმოადგენს. ამიტომ, სანამ არ იქნება გამოქვეყნებული „ალ-ბუსთანის“ კრიტიკული ტექსტი, სადაც გათვალისწინებული იქნება ამ ძეგლის ყველა ნუსხა, იქამდე ზედმეტია ფიქრი ქართული „ლიმონარის“ არაბული მოდელის პოვნაზე. მაგრამ ამ ერთი ნუსხის შესწავლითაც მეტი საბუთი გამოვლინდა და დადასტურდა ილ. აბულაძის ვარაუდი, რომ ქართული „ლიმონარი“ არაბულ „ალ-ბუსთანრიდან“ უნდა იყოს თარგმნილი.

რ. გვარამიამ ასევე პირველად გამოაქვეყნა „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბული ტექსტი. შეისწავლა მისი მიმართება ქართულ თარგმანთან და დაასაბუთა მისი არაბულიდან მომდინარეობა<sup>29</sup>.

ასევე მეტად საინტერესო აღმოჩნდა ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანება „კაცისა აგებულებისათჳს“ ძველი თარგმანები, რომლებსაც ილ. აბულაძემ მიაკვლია იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შორის (Ier. 44, 74)<sup>30</sup>. ილ. აბულაძე ამ ძეგლების მიმართაც გამოთქვა ვარაუდს, რომ ისინი ითარგმნა არაბულ სამყაროში VIII—IX საუკუნეებში.

უქანასკნელი გამოკვლევით, რომელიც ფრანგ ორიენტალისტს ბ. უტიეს ეკუთვნის, „მამათა სწავლების“ კრებული, რომელიც 1955 წელს გამოაქვეყნა ილ. აბულაძემ X—XI სს. ხელნაწერებით, აგრეთვე არაბულ მოდელს ეყრდნობა<sup>31</sup>.

<sup>27</sup> იოანე მოსხის, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ. თბ., 1960.

<sup>28</sup> ალ-ბუსთანი (X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით), არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა რუსულად გვარამიამ, თბ., 1965.

<sup>29</sup> ამონიოსის „სინა-რაითის მამათა მოსრვის“ არაბულ-ქართული ვერსიები (IX—XI, XIII და XVII ს. ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა და გამოკვლევა დაურთო რუსულად გვარამიამ, თბ., 1973.

<sup>30</sup> უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X—XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ, თბილისი, 1964.

<sup>31</sup> B. O u t t i e r, Les enseignements des Pères, un recueil géorgien, traduit de l'arabe; Revue de kartvélogie, v. XXXI, Paris, 1973.

ქართულ-არაბული და ქართულ-სირიული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე მუშაობა ინსტიტუტში გრძელდება.

ქართული ხელნაწერების სინურმა კოლექციამ შემოგვინახა ანბანურ-ანონიმური პატერიკის რამდენიმე ხელნაწერი. ერთი მათგანი (Sin. 35), როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა, 907 წლით თარიღდება<sup>32</sup>. ამოთვეგმური ლიტერატურის ეს საინტერესო ძეგლი 1974 წელს გამოიცა 2 სინური (Sin. 35, Sin. 8) და ერთი ათონური ნუსხით (Ath. 12)<sup>33</sup>. თუ როდის და რა ენიდან ითარგმნა ანბანურ-ანონიმური პატერიკების ეს უძველესი რედაქცია, ჯერ კიდევ შესწავლას თხოვლობს.

სხვა ხელნაწერებთან ერთად სინური ხელნაწერები დაედვა საფუძვლად „ფსალმუნის“ გამოცემას<sup>34</sup>.

ძირითადად სინური იადგარების საშუალებით მომზადდა გამოსაცემად „ძლისპირთა“ უძველესი რედაქციები<sup>35</sup>.

სინური ხელნაწერების საშუალებით გახდა შესაძლებელი უძველესი იადგარის სრული სახის აღდგენა და გამოსაცემად მომზადება<sup>36</sup>, წინათონური ხანის ჰომილეთიკური თარგმნილი ძეგლების შესწავლა<sup>37</sup>.

სინური ხელნაწერების შესწავლამ კარგად წარმოაჩინა საბაწმიდისა და სინის მთის მწიგნობრული კერების მნიშვნელობა ქართული მწერლობის განვითარებაში და ამ პერიოდის ქართული მწერლობის მნიშვნელობა ორიენტალისტიკისა და ბიზანტინისტიკისათვის. ამან, თავის მხრივ, მოითხოვა ხელნაწერთა სავანებო კოდიკოლოგიური შესწავლა, ამ კერებში მოღვაწე მეცნიერების, მთარგმნელების, კალიგრაფების საქმიანობის უკეთ გათვალისწინება<sup>38</sup>, დაბოლოს — ვრცელი მეცნიერული აღწერა იმ სინური ხელნაწერებისა, რომლებიც აუწერელი დარჩა ქ. გარბის. ესენია, ძირითადად, ლიტურგიკული ხასიათის ხელნაწერები: იადგარები, თვენები, პარაკლიტონები, მარხვანები, ლექციონარები და სხვ., რომლებშიც ყველაზე უკეთ აისახა ქართული ეროვნული ტენდენცია და ქართველთა დიდი შემოქმედებითი მუშაობა განსაკუთრებით ჰიმნოგრაფიის დარგში. დღეისათვის სინური კოლექციის ლიტურგიკულ ხელნაწერთა აღწერილობაზე მუშაობა დასრულებულია. გამოცემლობას გადაეცა I ნაკვეთი, რომელიც ცამეტი იადგარის აღწერილობას მოიცავს<sup>39</sup>.

ინსტიტუტში დაიგეგმა აგრეთვე იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა შესწავლა.

<sup>32</sup> მ. დვალაი, ლ. ჯღამაია, ერთი სინური ხელნაწერის (Sin. 35) დათარიღებისათვის (იხეველთა).

<sup>33</sup> მუშავსაუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ-ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მ. დვალაი, თბ., 1974.

<sup>34</sup> ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები (X—XIII სს. ხელნაწერების მიხედვით) ტექსტი I, გამოსცა მ. შანიძემ; ძველი ქართული ენის ძეგლები, II, თბ., 1960, გამოკლევა იხეველთა.

<sup>35</sup> ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, ორი ძველი რედაქცია X—XI სს. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა და გამოკლევა დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1971.

<sup>36</sup> „უძველესი იადგარი“, გამოსაცემად მოამზადეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევა და ლ. ხეცსურთანმა. „იადგარი“ გამოვა 3 ნაკვეთად. I ნაკვეთი გადაეცა გამოცემლობას.

<sup>37</sup> ეფრემ ასურის ჰომილიათა წინათონური ქართული თარგმანები გამოსაცემად მოამზადა ლ. ახოზაძემ.

<sup>38</sup> ც. ჭანკიევი, პალესტინელ ვადაწყვეთ „იოვანეთა“ შესახებ; „მრავალთაგი“, III, 1973.

<sup>39</sup> აღწერილობაზე მუშაობდნენ ც. ჭანკიევი, ლ. ხეცსურანი, ლ. ჯღამაია, ელ. მეტრეველი.



იერუსალიმის ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს შესანიშნავი მასალები იერუსალიმის კოლონიისა და სკრიპტორიუმის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისა არიან ადათა წიგნები. Ier. 25 ხელნაწერი და ლაიპციგის უნივერსიტეტის ტიშენდორფისეული ნუსხის ადაბები საფუძვლად დაედვა ჯერის მონასტრის ადათა ახალ გამოცემას<sup>40</sup>, რომლის წინასიტყვაობაში განხილულია იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის რამდენიმე საკითხი.

იერუსალიმის ქართულ კოლონიას დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხისათვის რამდენიმე საუკუნის (XI—XVII) მანძილზე. მაგრამ იერუსალიმის ქართულმა ხელნაწერებმა შემოგვინახეს მასალები არა მარტო იერუსალიმის ქართველთა კოლონიისა და სკრიპტორიუმის ისტორიისათვის, არამედ საზღვარგარეთის სხვა ქართული სკრიპტორიუმების ისტორიისთვისაც.

ჯერის მონასტერი XI—XIV საუკუნეებში ერთ-ერთი უდიდესი მწიგნობრული კერა იყო და ამავე დროს სახელმძღვანელო წმიდა ადგილი, ამიტომ დღიდან ჯერის მონასტრის აშენებისა, იქ იგზავნებოდა საქართველოს ყოველი კუთხიდან და საზღვარგარეთის მწიგნობრული კერებიდან შესაწირავები ხელნაწერების სახით, რათა ჯერის მონასტრის ბიბლიოთეკაში ყოფილიყო ყველაფერი, რაც კი შეიქმნა საქართველოსა და საზღვარგარეთის კულტურულ კერებში. ამ გზით იერუსალიმის ხელნაწერთა კოლექციაში თავი მოიყარა საკვირველ მთაზე, ათონისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკრიპტორიუმებში შექმნილმა ხელნაწერებმა, საუკეთესო ნუსხების სახით, რაც შემთხვევაში — უნიკუმებმა. ამდენად, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა სრული აღწერილობის შედგენის აუცილებლობა უეჭვო ჩანდა. ეს სამუშაო ინსტიტუტმა დაგეგმა და განახორციელა კიდევ. აიწერა როგორც საკუთრივ იერუსალიმური კოლექციის ხელნაწერები, ასევე ხელნაწერთა ინსტიტუტში, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის საცავებში დაცული იერუსალიმში გადაწერილი ქართული ხელნაწერები. მაგრამ მისი გამოქვეყნება გადადებულია იქამდე, სანამ ხელმისაწვდომი არ იქნება მიკროფირები იერუსალიმური კოლექციის იმ ხელნაწერებისა, რომლებიც გადაუღებელი დარჩა კონგრესის ბიბლიოთეკის ექსპედიციას. ასეთები არც ისე ცოტაა. ჭერჭერობით კი გამოქვეყნდა ნ. მარის იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა (1955). გარდა ხელნაწერებისა, ცნობები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის შემოგვინახეს ნარატიულმა წყაროებმაც, კერძოდ, ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვამ“, რომელიც გაბაშვილის ავტოგრაფული ნუსხეებით გამოიცა<sup>41</sup> და გიორგი ავალიშვილის „მგზავრობამ“, რომლის გამოცემასაც საფუძვლად დაედო ერთადერთი ავტოგრაფული ნუსხა<sup>42</sup>. ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ეს გამოცემებიც ხელს შეუწყობენ იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიის შესწავლასა და დაწერას, რაც ერთ-ერთ თავის ამოცანად აქვს დასახული ინსტიტუტს.

<sup>40</sup> ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1961.

<sup>41</sup> ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ., 1956.

<sup>42</sup> ვ. ავალიშვილი, მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1967.



ყველაზე რთული აღმოჩნდა ინსტიტუტისათვის ათონის მთის მონასტრის შესანიშნავი ქართული ხელნაწერების მიკროფირების მოპოვება, ყველაზე საშური კი მათი მიღება იყო, ვინაიდან ჩვენ არაფერი ვიცით ამ კოლექციის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. ათონის ბერების „კატანომიურ რესპუბლიკასთან“ კონტაქტის დამყარება შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომ ილ. აბულაძე დაუკავშირდა ჰარიზის ტექსტების ისტორიის ინსტიტუტს, კერძოდ ბიზანტიური განყოფილების ხელმძღვანელს, აწ განსვენებულ ცნობილ მეცნიერს მარსელ რიშარს. მ. რიშარი ათონის მთის ხშირი სტუმარი იყო. იქ ის სისტემატურად იღებდა ბერძნული ხელნაწერების სამონასტრო კოლექციებს ინსტიტუტის ფონდების შევსების მიზნით. მარსელ რიშარი დიდი გულისყურით მოეყიდა ხელნაწერთა ინსტიტუტის თხოვნას. მან გადაიღო და გამოაზღვანა ათონის რამდენიმე უნიკალური ხელნაწერი (მათ შორის ათონის მრავალთავი Ath. 11). მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, წვეთი იყო ზღვაში.

უქანასკნელ წლებში ინტერესი ჩვენს რესპუბლიკაში ათონის ქართველთა მონასტრისა და მისი საგანძურისადმი დიდად გაიზარდა. მიმდინარე წელს კი ტელევიზიის გადამღებმა ჯგუფმა (რეჟისორი — გ. პატარაია, ოპერატორი — ი. ონოფრიშვილი) გადამღები აპარატურით შეაღწია ათონის მთაზე და მოახერხა როგორც სამონასტრო კომპლექსის, ასევე რამდენიმე ქართული ხელნაწერის გადაღებაც. დღეისათვის ხელნაწერთა ინსტიტუტის მიკროთეკაში ინახება ათონის ქართველთა მონასტრის 15 ხელნაწერის ფოტო. უდიდესი რაოდენობა ხელნაწერებისა კი გადაუღებელი და შეუსწაველია. 1929 წელს, როდესაც რ. ბლეიკმა იმოგზაურა ათონზე და აღწერა ქართული ხელნაწერები, მონასტრის ბიბლიოთეკაში 86 ქართული ხელნაწერი იყო. ბევრად უფრო მეტია ამ ბიბლიოთეკაში ბერძნული ხელნაწერები, რომლებიც მილიანად გადაღებულია და ინტენსიურად ისწავლება სპეციალისტების მიერ.

ხელნაწერთა ინსტიტუტი იმედს არ კარგავს, რომ მოიძებნება გზები ათონის ქართული ხელნაწერების მთელი კოლექციის გადაღებისა, ურომლისოდაც შეუძლებელია საფუძვლიანი შესწავლა ათონის ქართველთა მონასტრის შესანიშნავ მოღვაწეთა უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული მწერლობის განვითარებაში და არანაკლებ მნიშვნელოვანი ბიზანტიის კულტურის ისტორიის თვალსაზრისითაც.

გარდა ზემოთ დასახელებული ქართულ ხელნაწერთა კოლექციების მიკროფირებისა, ხელნაწერთა ინსტიტუტმა მიიღო ქართულ ხელნაწერთა მიკროფირები მსოფლიოს სხვადასხვა წიგნთსაცავიდან. დღეისათვის ინსტიტუტის განკარგულებაშია ხელნაწერების მიკრო- და ფოტობირები: ვენის სახელმწიფო მუზეუმიდან 5 ხელნაწერი, ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის ქართული ფონდიდან 11 ხელნაწერი, გრაცის უნივერსიტეტის კოლექციიდან 3 ხელნაწერი, ბრატანეთის მუზეუმიდან 2 ხელნაწერი, სოფის სახალხო ბიბლიოთეკიდან 1 ხელნაწერი, პარვარდის უნივერსიტეტიდან 2 ხელნაწერი, ვატოკანის ბიბლიოთეკიდან 2 ხელნაწერი.

ინსტიტუტი აგროვებს აგრეთვე ბერძნული, არაბული, სირიული, სომხური, რუსული ხელნაწერების მიკროფირებს, რომლებიც ქართული მასალის დამუშავებისათვის სისტემატურად ესაჭიროებათ მეცნიერ თანამშრომლებს.

ქართული პალეოგრაფიის შესწავლასა და პალეოგრაფიული საკითხების დამუშავებას ინსტიტუტში თავიდანვე დიდი ყურადღება მიექცა. ინსტიტუტის თანამშრომლებს საკვალდიკაციო თემებად მიეცათ პალეოგრაფიული თემები: „ქარაგმა ძველ ქართულ ხელნაწერებში“, „პუნქტუაცია ძველ ქართულ ხელნა-



წერებში<sup>43</sup>. დამუშავდა აგრეთვე ნუსხურისა და მთავრული დამწერლობის განვითარების საკითხები, ცალკეული კალიგრაფიული სკოლები<sup>43</sup>, ძველი ქართული სამწერლობო კერები — „დავით გარეჯის სალიტერატურო სკოლა“<sup>44</sup>.

ცალკე, საგანგებო შესწავლის საგანი გახდა პალიმფესტური ხელნაწერები: შედგა პალიმფესტურ ხელნაწერთა კატალოგი<sup>45</sup>. ლ. ქაჯაია, რომელიც წლების მანძილზე მუშაობს პალიმფესტურ ტექსტებზე, გამოსაცემად მოამზადა ხანმეტი ტექსტების I ნაკვეთი, რომელიც მიმდინარე წელს გადაეცა გამოცემლობას.

1965 და 1969 წლებში ინსტიტუტმა გამოაქვეყნა „პალეოგრაფიული ძიებანი“ ორი წიგნი, სადაც დაიბეჭდა 14 გამოკვლევა პალეოგრაფიის სხვადასხვა საკითხებზე: XVI—XVIII სს. საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი (ა. ბაქრაძე); ქალაქის დამუშავება საქართველოში (რ. პატარიძე); XIV—XV საუკუნეების ქართული ხელნაწერების ჭვირნიშნები (რ. პატარიძე); დაქარაგმება V—X სს. ქართულ ეპიგრაფიულ ძეგლებში (ც. ჭანკიევი); დაქარაგმების წესები ძველ ქართულ ხელნაწერებში V—X სს. (ც. ჭანკიევი); განკვეთის ნიშნები ძველ ქართულ ხელნაწერებში (ლ. ქაჯაია); ქართული საბეჭდავები (ა. ბაქრაძე); ურბნისის ძველი ქართული წარწერები (6. შოშიაშვილი); ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა შემკულობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის შესახებ (ე. მაჭავარიანი) და სხვ.

ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების რამდენიმე წერილი პალეოგრაფიულ საკითხებზე დაიბეჭდა საკავშირო არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოქვეყნებულ კრებულში: „Проблемы палеографии и кодикологии в СССР“, Москва, 1974.

დიდი სამუშაო ჩაატარა ქართული ხელნაწერების კრიბტოგრაფებზე ლილი ათანელიშვილმა. მან დაამუშავა ყველა კრიბტოგრაფიული სისტემა IX საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის ჩათვლით, შეადგინა კრიბტოგრაფების კატალოგი თავისი გასაღებებით და დაამთავრა მონოგრაფია — „ქართული კრიბტოგრაფია“, რომლის გამოქვეყნება ივარაუდება. პალეოგრაფიული ტერმინები ძველი ხელნაწერების მიხედვით აღწესდა და შეისწავლა მ. სურგულაძემ. შრომა გადაცემულია დასაბეჭდად.

ქართული პალეოგრაფიის საკითხების დამუშავებას დიდად შეუწყო ხელი იე. ჯავახიშვილის „პალეოგრაფიის“ II შევსებული გამოცემის გამოქვეყნებამ<sup>46</sup> და ილ. აბულაძის „ქართული წერის ნიმუშების“ გამოცემამ<sup>47</sup>.

ინსტიტუტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ძველი ქართული მწერლობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლების გამოსაცემად მომზადება.

ინსტიტუტის ამოცანებზე ტექსტების პუბლიკაციის დარგში პროფ. ილ. აბულაძე ზემოთ დასახელებულ წერილში წერს: „ინსტიტუტის ამოცანები

<sup>43</sup> ი. ვ ა ჩ ე ლ ა ძ ე, ქართველ გადაწერთა ერთი ოჯახი და მათი საქმიანობა, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, №4; „დავით რექტორის კალიგრაფიული მოღვაწეობა“; „მრავალთავი“, V, 1975.

<sup>44</sup> მ. ქაჯათარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბილისი, 1965.

<sup>45</sup> კატალოგი შეადგინა ც. ჭანკიევიძე.

<sup>46</sup> იე. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, თბილისი, 1949.

<sup>47</sup> ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, შეადგინა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1949; მეორე შევსებული გამოცემა — 1973 წ.



საქართველოს  
ხელნაწილების  
სამეცნიერო  
სამუშაოები

ტექსტების პუბლიკაციის დარგში შეპირობებულია იმ საგანგებო გარემოებით, რომელიც ახასიათებს წარსული მემკვიდრეობის შესწავლას და გამოქვეყნების საქმეს ჩვენში. საქმე ისაა, რომ ძველი ქართული მწერლობის კრიტიკულ შესწავლასა და გამოცემას არა აქვს დიდი ხნის ისტორია. იგი პეტერბურგს წამოიწყო. ამ საქმეში წინა პლანზე პეტერბურგელ მეცნიერთა მცირერიცხოვანი კოლექტივი იღვა. აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით იქ მალე ქართული ტექსტების ისეთი სერია შეიქმნა, როგორიც იყო „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, რომელიც მისაბამ ნიმუშად იქცა მრავალთათვის. მაგრამ მრავალფეროვანი ქართული ლიტერატურის გამოსავლინებლად პეტერბურგის გამოცემები საქმარისი არ აღმოჩნდა. ბევრი არც ის გამოცემები ქმნიდა, რომლებიც თბილისს გამოდიოდა, რადგან ამას ხელს უშლიდა არა მარტო მეცნიერთა სათანადო კადრის უყოლობა, არამედ მატერიალური სახსრების უქონლობაც. მცირე, მეტად განსაზღვრული ოდენობისა იყო ძველი ქართული მწერლობის გამოქვეყნებული ძეგლების რიცხვი საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ჩვენში. საბჭოთა პერიოდში შესამჩნევად გაფართოვდა ქართული მწერლობის წარსული მემკვიდრეობის შესწავლის ფარგლები და გამრავლდა მისი ძეგლების გამოცემა. მიუხედავად ამისა, საიმედო და კრიტიკულად დადგენილი ტექსტები, მცირე გამოცემის გარეშე, მაინც ვერ გამოდის სათანადო სისრულით. ამით არის გამოწვეული, რომ ამ დარგში მოგვეპოვება ჩამორჩენა, რაც ზოგჯერ გვაიძულებს შევჩერდეთ ისეთი ძეგლების გამოცემაზე, როგორც არიან ადრეული ქართული სასულიერო მწერლობის ნაწარმოებნი, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ფიქრიც კი ძველი ქართული ენის რაიმე ლექსიკონისა ან ენის ისტორიაზე, რაც ესოდენ საჭიროა დღეს.

ქართული მწერლობის ძველი ძეგლების გამოცემა უმთავრესად შერჩეული ნუსხების მიხედვით წარმოებს. ყველა ნუსხის მიხედვით მათი გამოცემა დღემდე რამდენადმე შეუძლებელიც იყო, რადგან როგორც გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით, ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებშიც კი, არ იყო შეკრებილი ქართული ხელნაწერები. ესლა კი, როცა ქართული ხელნაწერების ძირითადი ფონდები თავმოყრილია ხელნაწერთა ინსტიტუტის კედლებში და ჩვენ, ასე თუ ისე, მოგვეპოვება საზღვარგარეთული ქართული ხელნაწერების უმთავრესი კოლექციების მიკროფილმები (მხედველობაში გვაქვს სინისა და იერუსალიმის კოლექციები) და მასთან შესაძლებლობა გვაქვს თვით გადავიღოთ სხვა კოლექციების ნუსხათა პირები, გამართლებულად ვერ ჩაითვლება ტექსტების გამოცემა შერჩეული ნუსხების მიხედვით. თუ უწინ ძეგლის გამოცემას ყველა არსებული ხელნაწერების მიხედვით ხელს უშლიდა მეცნიერული კადრების უყოლობა, დღეს როცა უკვე შექმნილია სპეციალური ინსტიტუტი ძველ ხელნაწერთა შეკრებისა, მოვლადაცვისა და შესწავლა-გამოქვეყნებისათვის, მიუტევებელი იქნებოდა ამათუნი ძეგლის გამოცემისა შემოვფარგლულიყავით შერჩეული ნუსხებით. ამის გამოა, რომ მიზნად დავისახეთ ქართული მწერლობის ძველი ძეგლების გამოცემის დროს სრულად გამოვიყენოთ მათი შემცველი ხელნაწერები<sup>48</sup>.

პირველი რიგის აუცილებელ საქმედ ილ. აბულაძემ ჩათვალა ამ პრინციპებით ორიგინალური პაგიოგრაფიული ძეგლების გამოცემა.

<sup>48</sup> ილ. აბულაძე, ძველ ხელნაწერთა დაცვა და ტექსტების პუბლიკაცია საბჭოთა საქართველოში: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, 1960, გვ. XXI.



ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მოზრდილმა კოლექტივმა<sup>49</sup> თავი მოუყარა და შესწავლა ჰავიოგრაფიული კრებულების ყველა ნუსხა და ამ ნუსხების გამოყენებით გამოსაცემად მოამზადა ჰავიოგრაფიული ძეგლების 4 ტომი.

ქართული ჰავიოგრაფიული ძეგლების გამოსაცემად მომზადების პარალელურად შესწავლილ იქნა ზოგიერთი ძეგლის ენა და გამოქვეყნდა გამოკვლევები: ნ. გოგუაძე — «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების» ტექსტისა და ენის საკითხები<sup>50</sup>; «გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების» ენა<sup>51</sup>; ციალა ქურციკიძე — «მოქცევაჲ ქართლისაჲს» ტექსტისა და ენის საკითხები<sup>52</sup>; ლ. კიკნაძე — «გიორგი ავალიშვილის ენა»<sup>53</sup>. დაიწერა მონოგრაფიები ილარიონ ქართველის ცხოვრებასა<sup>54</sup> და შუშანიკის მარტივობაზე<sup>55</sup>. უფრო ადრე ილ. აბულაძემ შესწავლა და გამოაქვეყნა ასურელ მამათა ცხოვრებები<sup>56</sup>.

ჰავიოგრაფიული ძეგლების V ტომი ეთმობა ანტონ ბაგრატიონის «მარტირიკისა» და XVII—XVIII საუკუნის ორიგინალურ ჰავიოგრაფიას<sup>57</sup>. VI ტომად ივარაუდება «ძეგლების» პირველი ოთხი ტომის სიმფონია-ლექსიკონის გამოქვეყნება<sup>58</sup>. V—VI ტომებზე მუშაობა ძირითადად დასრულებულია.

ასევე თანამშრომელთა დიდი კოლექტივი ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით შეუდგა ქართული ბიბლიის ყველა არსებული ნუსხების შესწავლას ქართული ბიბლიის კრიტიკული ტექსტის გამოცემის მომზადების მიზნით.

ბიბლიურ წიგნებზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა ბიბლიურ აპოკრიფებზე. ც. ქურციკიძემ გამოსცა — «მოციქულთა აპოკრიფები»<sup>59</sup>, «ადამის აპოკრიფული ცხოვრების ქართული ვერსია»<sup>60</sup>, «ძველი აღთქმის აპოკრიფები» 2 ტომად, ტექსტები და გამოკვლევა<sup>61</sup>.

ქართული ბიბლიის კალკულუს წიგნის შესწავლის შედეგად გამოქვეყნდა არაერთი საინტერესო გამოკვლევა<sup>62</sup>.

<sup>49</sup> ჰავიოგრაფიული ძეგლების გამოსაცემად მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ: ილ. აბულაძე, ლ. ათაბულიშვილი, ნ. გოგუაძე, ლ. ქაჯია, ც. ქურციკიძე, ც. ქანკვეი, ც. ქლამია, მ. დოლაძე, ე. გაბიაშვილი, გ. კიკნაძე.

<sup>50</sup> ფილოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1964.

<sup>51</sup> იქვე.

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> იქვე.

<sup>54</sup> მ. დოლაძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბილისი, 1974.

<sup>55</sup> ლ. ჯანაშიამ მოამზადა მონოგრაფია «შუშანიკის მარტივობა», წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდება.

<sup>56</sup> ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1955.

<sup>57</sup> V ტომი გამოსაცემად მზადდება მ. ქეთარიასა და ე. გაბიაშვილის მიერ.

<sup>58</sup> სიმფონია-ლექსიკონის შედგენაზე წლებს მანძილზე მუშაობდა ინსტიტუტის ფილოლოგიური განყოფილების თითქმის ყველა თანამშრომელი მ. შანიძის ხელმძღვანელობით. მზადდება გამოსაცემად სიმფონიის I ნაკვეთი მ. შანიძისა და ზ. სარჯველაძის რედაქციით.

<sup>59</sup> ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ (IX—XI სს.), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, 1959.

<sup>60</sup> ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ., 1964.

<sup>61</sup> ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წიგნი I, თბ., 1970; წიგნი II, 1973.

<sup>62</sup> მ. გ. ვ. ი. ნ. ე. შ. ვ. ი. დ. ც. კ. ი. კ. ი. მ. შ. შესაქმის, გამოსლვითა და ლევიტელთა წიგნების ქართული ვერსიები: «მრავალთავი», I, 1971; უ. ც. ი. ნ. დ. ე. ლ. ი. ა. ნ. მეფეთა პირველი ორი წიგნის ქართული რედაქციები: «მრავალთავი», I; გ. კ. ი. კ. ა. მ. ე. ნ. ე. შ. ტა. I წიგნის ქართული რედაქციები: «მრავალთავი», I; ნ. გ. ო. გ. უ. ა. მ. ე. ნ. ე. შ. ტა. I წიგნის ძველი ქართული რე-





დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ინსტიტუტის სამეცნიერო-კარტული ლექსიკოლოგიის საკითხებს. იმის შემდეგ, რაც პროფ. ა. ბარამიძემ გამოავლინა ს. ს. ორბელიანის ავტოგრაფი, ს. ს. ორბელიანის ავტოგრაფების ძიებასა და შესწავლას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, განსაკუთრებით ეს ეხება „ქართული ლექსიკონის“ ნუსხებს, რომელნიც საბა ორბელიანისა და მისი თანამოღვაწეების ლექსიკონზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპს ასახავენ. ინსტიტუტის ფონდებში გამოვლინდა ლექსიკონის ადრეული მოკლე რედაქციები<sup>63</sup>. ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხები მონოგრაფიულად შეისწავლა ლ. ქუთათელაძემ<sup>64</sup>, ხოლო ილ. აბულაძემ მოამზადა ავტოგრაფებზე დამყარებული „ქართული ლექსიკონი“, რომელიც ს. ს. ორბელიანის საიუბილეო ოთხტომეულში გამოიცა<sup>65</sup>. ქართული ლექსიკოლოგიისა და გრამატიკული აზრის ისტორიის საკითხებს მიეძღვნა ინსტიტუტის თანამშრომელთა კიდევ რამდენიმე ნაშრომი<sup>66</sup>. 1973 წელს გამოქვეყნდა ილ. აბულაძის „წველი ქართული ენის ლექსიკონი“, რომელზედაც ავტორი უკანასკნელი 10 წლის მანძილზე მუშაობდა.

ინსტიტუტის თემატიკაში საერთო ლიტერატურის ძეგლებსაც აქვთ დათმობილი ადგილი. გამოიცა პირველი კრიტიკული ტექსტი „ამირანდარეჯანიანი-სა“<sup>67</sup>. ს. ს. ორბელიანის საიუბილეო ოთხტომეულში გამოქვეყნდა ხელნაწერთა ინსტიტუტის მონაწილეობით მომზადებული „ჭილილა და დამანას“ ახალი გამოცემა<sup>68</sup>. დამუშავდა თეიმურაზ პირველის „ლელი-მეგნუნიანის“ სპარსული

დაქციები: „მრავალთავი“, I; ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე, „ეზრას“ აპოკრიფის ქართული რედაქციები: „მრავალთავი“, I; გ. კ ი კ ნ ა ძ ე, „ფედოსის“ წიგნის ქართული რედაქციები: „მრავალთავი“, I; ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი და ც. კ ი კ ვ ი ძ ე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბ., 1966; უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, *ხად* წინდებულს ეკვაკუნტები „მეფეთა“ წიგნების ქართულ თარგმანში: „მრავალთავი“, IV, 1975; მისივე, „რუთას“ წიგნის ქართული რედაქციები: „მრავალთავი“, III, 1975; გ. კ ი კ ნ ა ძ ე, „ესთერის წიგნის“ ქართული რედაქციები: „მრავალთავი“, II, 1973; ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, „სოლომონის ივავთა“ ქართული რედაქციები: „მრავალთავი“, II, 1973; უ. ც ი ნ დ ე ლ ი ა ნ ი, აკვილას და სემიასხოსის ვარიანტები ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში (მარკინაბური წიკითხვები): „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, №1; მისივე, ძველი აღთქმის ქართული თარგმანის მიმართებისათვის აკვილასა და სემიასხოსის ვარიანტებთან „მეფეთა“ IV წიგნის მიხედვით: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, №2; მისივე, მეფეთა წიგნების შედგენილობა, I, მეფეთა წიგნების ლუკიანესეული დაყოფა: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, 4; მისივე, ქართული ბიბლიის ენობიძინის ფრაგმენტის იდენტიფიკაციისათვის: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, №2.

<sup>63</sup> ელ. მეტრეველი, ს. ს. ორბელიანის ქართული ლექსიკონის უძველესი ავტოგრაფი: აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. საბ. მუზეუმის მოამბე, XIXB, 1956; მ. ქ ა ვ თ ა რ ი ა, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი: ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, II, 1960; ც. ქ ა ნ კ ი ვ ი ძ ე, ს. ს. ორბელიანის ერთი ნუსხის შესახებ: „მრავალთავი“, I, 1971.

<sup>64</sup> ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957.

<sup>65</sup> ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. IV—I და IV—2, 1965—66 წწ.

<sup>66</sup> ე. ა ბ უ ლ ა ძ ე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვების თურქული თარგმანები, თბ., 1968; ე. გ ო გ ე ა ძ ე, იოანე ბაგრატიონის „გრამატიკა“: ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, IV, 1962; ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოლოგიური ნაშრომები, თბ., 1967.

<sup>67</sup> მოსე ხ ო ნ ე ლ ი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967.

<sup>68</sup> ჭილილა და დამანა, საბასეული რედაქცია (ვახტანგ VI-ის თარგმანი), ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ელ. მეტრეველის რედაქციით, ტ. II<sub>1</sub>, II<sub>2</sub>.

წყაროს საკითხი<sup>69</sup>. შესწავლილ იქნა „ვისრამიანის“ ხელნაწერები მათი რედაქციული კლასიფიკაციის მიზნით<sup>70</sup>. გადაეცა გამოცემლობას გამოკვლევა „ვისრამიანზე“.

ილ. აბულაძე და ივ. გვიგენიშვილი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად მუშაობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე. ორი დიდი დავთარი (ვეფხისტყაოსნის ტექსტი ვარიანტებით), დაწერილი ილ. აბულაძის ხელით, ინახება მის არქივში.

მ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად ინსტიტუტი ამზადებს იოანე ბაგრატიონის „კალმასობას“<sup>71</sup>. დამუშავდა დავით რექტორის „ანთოლოგიის“ რედაქციები<sup>72</sup>.

ქართული საერო და სასულიერო სამართალი იმთავითვე ინსტიტუტის ყურადღების ცენტრში იყო. გამოქვეყნდა ვახტანგ VI სამართლის წიგნი ძირითადი ხელნაწერების მიხედვით<sup>73</sup>.

ვახტანგ VI-ის კოდიკოში შესული „ბერძნული სამართალი“ შეისწავლა, მის ბერძნულ დედანს მიაკვლია და ქართულ-ბერძნული ტექსტები პარალელურად გამოსცა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა თ. ბრეგვაძემ<sup>74</sup>.

საეკლესიო სამართლის ძეგლების გამოცემის აუცილებლობა დიდი ხანია იგრძნობოდა ქართულ მეცნიერებაში. „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემაზე ოცნებობდა ივ. ჯავახიშვილი. „დიდი სჯულისკანონის“ გამოსაცემად მომზადებაში ჩაება ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი კოლექტივი, რომელსაც კ. კეკელიძე ხელმძღვანელობდა. კ. კეკელიძის გარდაცვალების შემდეგ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ჯერ ილ. აბულაძე, ხოლო შემდეგ ალ. გამყრელიძე, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ მოესწრო ამ მნიშვნელოვანი და მეტად რთული ძეგლის გამოქვეყნებას. გამოცემა განხორციელდა მხოლოდ 1976 წელს<sup>75</sup>. „დიდი სჯულისკანონის“ გამოცემას წინ უძღვოდა „მცირესჯულისკანონის“ გამოცემა<sup>76</sup>.

მდიდარი ქართული ფილოსოფიური მწერლობის შესწავლასა და დამუშავებას ინსტიტუტში პირველად მიჰყო ხელი ფილოლოგ. მეცნიერებათა დოქტორმა თორნიკე ჭყონიამ. მან შეისწავლა ექვთიმე ათონელისეული „წინამძღვრის“ წყაროები და გამოსაცემად მოამზადა მთელი ტექსტი. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი ძეგლი დღემდე არ გამოცემულა. მასვე ეკუთვნის არაერთი საინტერესო გამოკვლევა<sup>77</sup>.

<sup>69</sup> მ. შამადაშვილი, თეიმურაზ პირველის „ლეილაჟანთანის“ სპარსული წყაროს საკითხისათვის, თბ., 1967.

<sup>70</sup> მ. შამადაშვილი, „ვისრამიანის“ ქართულ ხელნაწერთა მიმართებისათვის: „მრავალთავი“, I, 1971.

<sup>71</sup> „კალმასობაზე“ მუშაობენ ც. კახაბრიშვილი (ხელნაწერთა ინსტიტუტი) და ც. კვიციანი (ლიტერატურის ინსტიტუტი). განზრახულია „კალმასობის“ ტექსტის 3 ტომად გამოცემა. I ტომი გადაეცა გამოცემლობას.

<sup>72</sup> ლ. ქუთათელაძე, დავით რექტორის ანთოლოგია, 1821—23 წწ.: „მრავალთავი“, IV, 1975.

<sup>73</sup> ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, გამოც. თ. ენუქიძის მიერ, თბ., 1955.

<sup>74</sup> ბერძნული სამართალი ვახტანგ VI სამართლის წიგნითა კრებულთან, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და ტერმინთა საძიებელი დაურთა თ. ბრეგვაძემ, თბ., 1964.

<sup>75</sup> დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. ვაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაჭიძემ, გ. ნინუაძემ, თბ., 1975.

<sup>76</sup> მცირე სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადა ელვუჯა გიუნაშვილმა, თბ., 1972.

<sup>77</sup> თ. ჭყონია, იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის: ძველი ქართული მწერლობის 4 ძეგლი, თბ., 1965; მისივე, იყო თუ არა მონოფიზიტი ვესტითი მცხეთელის მარტივილობის ავტორი: „მრავალთავი“, I, 1971.

ქართულიდან სომხურზე თარგმნილ ფილოსოფიურ ძეგლებსა და ძველ-ქართულ ფილოსოფიურ და პოლემიკურ ლიტერატურას ინტენსიურად სწავლობს მაია რაფეა<sup>78</sup>. 1971 წელს მან გამოაქვეყნა იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისეული თარგმანი<sup>79</sup>.

შესანიშნავი ქართველი ფილოლოგის ეფრემ მცირის მრავალმხრივ და მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას არაერთი პუბლიკაცია და გამოკვლევა მიუძღვნეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

ეფრემ მცირის „მცირე უწყება“ გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა თ. ბრეგაძემ<sup>80</sup>. მანვე შეადგინა ეფრემ მცირის თარგმანთა ბიბლიოგრაფია ხელნაწერებზე მითითებებით<sup>81</sup>.

დაიბეჭდა „ფსალმუნთა თარგმანების“ ეფრემისეული წინასიტყვაობა<sup>82</sup>. გამოვლინდა ეფრემ მცირის ავტოგრაფი<sup>83</sup>. ეფრემის შესწავლა კვლავაც მიმდინარეობს.

ათონელების ლიტერატურული მოღვაწეობის შესწავლას დიდი ადგილი აქვს დათმობილი ინსტიტუტის სამეცნიერო ვეგუმებში.

1974 წელს პარიზის ტექსტების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გლენსონმა გამოუგზავნა ხელნაწერთა ინსტიტუტს ათონის ქართველთა მონასტრის ქტიტორთა (იოანე, ექვთიმე და გიორგის) ბერძნული სვინაქსარულა ცხოვრების ათონური ნუსხის მიკროფირი. ეს ხელნაწერი დიდი ხანია იზიდავდა ქართველოლოგთა ყურადღებას, მაგრამ ბოლო დრომდე მისი მიღება და გაცნობა ვერ მოხერხდა. განზრახულია ახლო მომავალში დაიბეჭდოს „ცხოვრების“ ბერძნული ტექსტი, თარგმანითა და გამოკვლევით. „ცხოვრება“ გამოსაცემად მოამზადა მანანა მაჩხანელმა. XVII საუკუნის ბერძენი ავტორის მიერ დაწერილი ეს ცხოვრება, დამყარებული ძველსა და მწერლისდროინდელ წერილობით და ზეპირ წყაროებზე, საინტერესოა პირველ რიგში იმით, რომ ასახავს XVII საუკუნეში ქართველთა მონასტრის ახალი მფლობელების — ბერძენების დამოკიდებულებას ქართველებისადმი.

ათონელების ლიტერატურული სკოლის უდიდესი მნიშვნელობა ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიისათვის დიდი ხანია მეცნიერებაში აღია-

<sup>78</sup> მ. რაფეა, პროკლე დიადოხოსის „კაემონი ღვთისმეტყველებითისა“ და იოანე ბერტრონის „ჰანმარტებთა“ სომხური თარგმანის შესახებ: „აღენ“, ენისა და ლიტ. სერია, 1969, №1; მ ი ს ი ე ვ ე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილს ვაგებისთვის: შოთა რუსთაველი (ისტორიულ-ფილოლ. ძეგანი), თბ., 1966; მ ი ს ი ე ვ ე, „რავის“, „ხატისა“ და „ვერპს“ ცნებებისათვის იოანე ბერტრონის „ჰანმარტებში“, „მცენე“, ენისა და ლიტ. სერია, 1971, №1; მ ი ს ი ე ვ ე, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან: ტერმინები „ერთარსება“ და „თანარსი“: „მრავალთაი“, II, 1973; მ ი ს ი ე ვ ე, იოანე ბერტრონის „ჰანმარტებთა“ ერთი მინაწერის შესახებ: „მრავალთაი“, III, 1973; მ ი ს ი ე ვ ე, პორტრეტი ფინიკელის „ხუთთა კმათავს“ ქართულ მწერლობაში (იბეჭდება).

<sup>79</sup> იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გიორგისა, გამოკვლევა და ლექსიონი დაურთო მ. რაფეამ, თბ., 1976.

<sup>80</sup> ეფრემ მცირე, მცირე უწყება ნიზეჯსა ქართველთა მოქვეყნისა, თუ რომელ წინთა შინა მოქსენების, ტექსტი გიორგისა, შესავალი და ლექსიონი-სამეცნიერო დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959.

<sup>81</sup> თ. ბრეგაძე, ეფრემ მცირის ნათარგმნი ძეგლები (ბიბლიოგრაფია); „მრავალთაი“, I, 1971.

<sup>82</sup> მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის „ფსალმუნთა“ თარგმანების (ტექსტი და შენიშვნები): ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, II, 1968.

<sup>83</sup> ელ. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959.



რებული ფაქტია. ათონელებით იწყება ახალი კურსი და ახალი მიმართულება ქართულ მწერლობაში. ათონელებმა თავს იდგეს წინათონური ხანის ქართულად თარგმნილი ლიტერატურის რევიზია თანამედროვე მოთხოვნლებათა მიხედვით და ბიზანტიური მწერლობისა და მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გადმოღება ქართულ ენაზე, რათა ბერძნებთან ბრძოლაში ბერძნულივე იარაღი გამოეყენებინათ, — ამას მოითხოვდა ეროვნული ინტერესები.

ამ დიდი მიზნების განსახორციელებლად ათონელებს აღმოაჩნდათ შესაფერისი ნიჭი, მომზადება და შრომისუნარიანობა. ათონური ლიტერატურული სკოლის ისტორიის შესწავლისათვის პირველ რიგში მათი ლიტერატურული პროდუქციის (ორიგინალური და ნათარგმნი) ძეგლების საჯულდაჯულო შესწავლა და გამოქვეყნებაა საჭირო. დღეისათვის გამოქვეყნებულია მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი.

ინსტიტუტის თანამშრომლები სწავლობენ ათონელების მიერ ბერძნულიდან შესრულებულ სხვადასხვა ხასიათის თარგმანებს. ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითს შეთოდს.

ამ თვალსაზრისით გ. ნინუამ შეისწავლა და გამოსაცემად მოამზადა მაკარის ჰომილიები, ხოლო ც. ქურციკიძემ — ბასილი დიდის ჰომილიები. გამოქვეყნდა ექვთიმე ათონელის თარგმნილი თემატური პატერიკი<sup>84</sup>.

რამდენიმე გამოკვლევა მიეძღვნა ათონის თვალსაჩინო მოღვაწეს, მაგრამ ნაკლებად ცნობილსა და ნაკლებად შესწავლილს — ბასილი ბაგრატიის ძეს. გამოვლინდა ექვთიმე ათონელისადმი მიძღვნილი მისი საგალობელი<sup>85</sup>. მასვე მიაკუთვნებს ე. ვაბიძაშვილი ექვთიმე ათონელის სენაქსარულ ცხოვრებას<sup>86</sup>.

გიორგი მთაწმიდელის ნათარგმნი თხზულებებიდან გამოსაცემად შეირჩა „ქება ქებათაჲს“ თარგმანების გიორგისეული თარგმანი<sup>87</sup>, „დიდი სენაქსარი“<sup>88</sup>, რომელიც იყო ქართული ეკლესიის სახელმძღვანელო და „გვრგვინი“ საუკუნეების მანძილზე. „დიდი სენაქსარის“ ბერძნული დედნის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვისაც. ამავე დროს საინტერესოა ის ქართული ტრადიცია, რომლის შენარჩუნებასა და გატარებას ცდილობს გიორგი სენაქსარში და მის მიერ თარგმნილ თუ შედგენილ სხვა ლიტურგიკულ ძეგლებში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გიორგი მთაწმიდელის კაპიტალური ნაშრომი „თთუენი“, რომელიც 12 თვის ყოველი დღის საგალობლებს შეიცავს. მსგავსი ჰიმნოგრაფიული კრებული ბიზანტიურმა ჰიმნოგრაფიამ არ იცის. „თთუენის“ ერთი ბერძნული მოდელი არ არსებობს. გიორგი მთაწმიდელი თვითონვე ასახელებს „თთუენების“ რამდენიმე ბერძნულ წყაროს. ამავე დროს, როგორც დღეისათვის უკვე გამორკვეულია, გიორგის „თთუენების“ ერთ-ერთი წყარო იყო წინათონური ხანის „იადგარები“, ე. წ. „მეტური იადგარები“, რომლის მასალა გიორგის აგრეთვე გადაუმუშავებია და ისე შეუტანია „თთუენებ-

<sup>84</sup> შუა საუკუნეთა წიგნების ძველი ქართული თარგმანები, I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მანანა დვალა, თბ., 1966.

<sup>85</sup> ელ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისთვის: ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1952.

<sup>86</sup> ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრების სენაქსარული რედაქცია: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, თბ., 1965.

<sup>87</sup> ტექსტი გამოკვლევითურთ მოამზადა გ. კეკელიძემ.

<sup>88</sup> „დიდი სენაქსარის“ ტექსტსა და გამოკვლევაზე მუშაობს მ. დოლაჭიძე.



ში“. „თთუნებისათვის“ გიორგი ექვთიმე ათონელის თარგმნილი ჰიმნებისა და სარგებლობს. გიორგი მთაწმიდელი იყო არა მარტო შესანიშნავი პოეტი, არამედ ჰიმნოგრაფიული პოეზიის თეორეტიკოსიც, რაც კარგად ჩანს „თთუნებზე“ დართული ანდერძებიდან. რამდენიმე წელია გიორგი მთაწმიდელის „თთუნებს“ სწავლობს ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ლალი ჭღამაია<sup>89</sup>. მან უკვე მოამზადა გამოსაცემად სექტემბრის „თთუნი“ გამოკვლევითურთ. განზრახულია მისი გამოქვეყნება. მაგრამ გიორგი მთაწმიდელი ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში მთელი სისრულით ვერ წარმოდგება, თუ არ იქნა სათანადოდ შესწავლილი წინათონური ხანის ჰიმნოგრაფია. ამიტომ ინსტიტუტის სამეცნიერო თემატიკაში წინათონური ხანის ჰიმნოგრაფიასაც დიდი ადგილი უყავია. როგორც უკვე აღინიშნა, უძველესი „იადგარის“ პირველი ნაკვეთი გადაეცა გამომცემლობას. გამზადებულია მეორე ნაკვეთი. გამოცემა დასრულდება ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევით. ამავე დროს დაწყებულია მუშაობა იადგარის მეორე რედაქციებზე, ე. წ. „მეხური იადგარზე“. გამოსაცემად მომზადდა „მეხური იადგარის“ „ძლისპირნი“ ე. წ. „იორდანისეული ხელნაწერის“ (A — 603) მიხედვით. ნეემებით მდიდარი ეს ხელნაწერი გამოიცემა ფოტოტიპიურად, მას დაერთვის ანაწყოები ტექსტი და გამოკვლევა<sup>90</sup>. მიმდინარეობს მუშაობა „მეხური იადგარის“ სხვა ნაწილებზე: „ადდგომის დასდებლებზე“ და „ღმრთისმშობლის შესხმებზე“. გამოქვეყნდა გამოკვლევები მიქელ მოდრეკელის ორიგინალურ საგალობლებზე<sup>91</sup>. „მეხური იადგარის“ ცალ-ცალკე ნაწილების შესწავლის შემდეგ ინსტიტუტს განზრახული აქვს გამოსაცემად მოამზადოს „მეხური იადგარის“ სრული კრიტიკული ტექსტი, დადგენილი ყველა არსებული ნუსხის მიხედვით. ამ ნუსხათა შორის საპატიო ადგილს დაიკავებს ე. წ. „მიქელ მოდრეკელის იადგარი“. ამ სამუშაოს დიდად შეუწყობს ხელს სინური ხელნაწერების აღწერილობის პირველი ნაკვეთი, რომელშიც X საუკუნის 13 იადგარის აღწერილობაა შესული (გამოქვეყნდება 1978 წელს).

ქართული ჰიმნოგრაფიის კლასიკური პერიოდის ძეგლების პარალელურად მ. ქავთარია წლების მანძილზე სწავლობდა XVII—XVIII სს. ორიგინალურ ჰიმნოგრაფიის ძეგლებს. შესწავლის შედეგები გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით<sup>92</sup>.

ილ. აბულაძის სამეცნიერო ინტერესთა წრეში „მრავალთავებს“ დიდი ადგილი ეკავათ. „მრავალთავების“ შესწავლას, მისი სომხური წყაროების კვლევას მან არაერთი გამოკვლევა უძღვნა. ამიტომ დიდი ხნის საოცნებო „ათონის მრავალთავეის“ მიკროფირის მიღებისთანავე ის შეუდგა ამ მეტად რთული და საინტერესო ძეგლის შესწავლას. ამავე დროს „მრავალთავები“ საინსტიტუტო პრობლემად აქცია. თამილა მგალობლიშვილს დაველა კირილე იერუსალიმელის ჰომილიების შესწავლა „მრავალთავების“ მიხედვით<sup>93</sup>. ილ. აბულაძის

<sup>89</sup> ლ. ჭღამაია, იოანე დამასკელის შობის საგალობლების გიორგი მთაწმიდისეული თარგმანი: შოთა რუსთაველი. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966; მისივე, „მეხურისა“ და „მეხელის“ შესახებ: საქ. საზ. მეცნიერებათა მოამბე, 1962, №3.

<sup>90</sup> „მეხური ძლისპირნი“ გამოსაცემად მოამზადა გ. კიკნაძემ.

<sup>91</sup> ლ. ჭღამაია, მიქელ მოდრეკელის საგალობლები, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, №3; მისივე, „მეთე საუკუნის ჰიმნოგრაფები (ეზრა, კურდანაჲ), „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1972, №3; მისივე, მეთე საუკუნის ჰიმნოგრაფები (სტეფანე სანანოძესე ჭკონდიელი), „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, №1.

<sup>92</sup> მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII სს., თბ., 1977.

<sup>93</sup> თამილა მგალობლიშვილი, კირილე იერუსალიმელის სახელთ ცნობილი რამდენიმე საკითხავის წყაროს დადგენისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1971, №3; მისივე,

უქანასკნელი გამოკვლევაც „მრავალთავეს“ ეხება. მან შეისწავლა იოანე ოქროპირის ჰომილია „მარხვისათვის და იონაისთვის“, რომელიც „მრავალთავესმა“ ორი თარგმანის სახით შემოგვინახეს: ერთი—უფრო ძველი, „სინური მრავალთავეიდან“, რომელიც სომხურიდან არის თარგმნილი, ხოლო მეორე — „პარხლური მრავალთავეიდან“, ბერძნულიდან თარგმნილი. ეს ორი თარგმანი მათი წარმომავლობის თვალსაზრისით შეისწავლეს ილ. აბულაძემ და ალ. გამყრელიძემ. მათი გამოკვლევები გამოქვეყნდა ილ. აბულაძის გარდაცვალების შემდეგ „მრავალთავეს“ I წიგნში, რომელიც ილ. აბულაძის ხსოვნას მიეძღვნა<sup>94</sup>.

მიმდინარე წელს ინსტიტუტში დასრულდება მუშაობა „კლარჯული მრავალთავეს“ ტექსტზე<sup>95</sup>. დაწყებულია მუშაობა „ათონის მრავალთავეზე“. განზრახულია მისი გამოსაცემად მომზადება.

ქართულ მრავალთავეებზე მუშაობას დღეს დიდად აადვილებს მ. ვან ესბროკის შესანიშნავი მონოგრაფიული ნაშრომი: „Les plus anciens homeliars géorgiens, Etudes descriptive et historique par Michel van Esbroeck, Louvain-neuve, 1975, სადაც მრავალი ისტორიული, ლიტერატურული და ტექსტოლოგიური საკითხია წამოყენებული, განხილული და გადაწყვეტილი.

უქანასკნელი წლების მანძილზე ინსტიტუტმა ხელი მოჰკიდა ახალი დიდი თემის დამუშავებას. ეს არის: ქართული თარგმნილი მეტაფრასული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა. როგორც ცნობილია, X საუკუნიდან ბიზანტიაში ფეხი მოიკიდა მეტაფრასულმა ლიტერატურამ. ეს ლიტერატურული მიმდინარეობა დაკავშირებულია სვიმონ მეტაფრასტისა და იოანე ქსიფილინოსის მოღვაწეობასთან. მათ შეადგინეს მთელი წლის მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის კრებულები, რომლებმაც გამოდევნეს ადრე გავრცელებული კიმენური ჰაგიოგრაფია. ბიზანტიური მეტაფრასული ჰაგიოგრაფიის შესწავლისათვის ქართულმა ხელნაწერებმა უნიკალური ცნობები შემოგვინახეს. ამ ხელნაწერებს პირველად ყურადღება მიაქცია და მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი გახადა, ვანსაზღვრა მათი დიდი მნიშვნელობა ქართული და ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიისათვის კ. კეკელიძემ თავის ნაშრომში: „Симеон Метафраст го грузинским источникам“ (ეტიუდები, V); „Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста“ (ეტიუდები, V).

ინსტიტუტმა განიზრახა თანდათან შეისწავლოს და გამოსაცემად მოამზადოს მთელი წლის მეტაფრასული კრებული. ამ სამუშაოში ჩართულია ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა. დღეისათვის ნ. გოგუაძემ უკვე მოამზადა სექტემბრის თვის მეტაფრასი გამოკვლევითურთ. განზრახულია ახლო მომავალში მისი გამოქვეყნება.

ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ძირითადი არქეოგრაფიული და ფილოლოგიური პრობლემები, რომლებიც მუშავდებოდა ხელნაწერთა ინსტიტუტში

კირილე იერუსალიმელის საკითხავთა ძველი ქართული თარგმანები და მათი მნიშვნელობა, „მცნე“, ენისა და ლიტ. სერია, 1972; №3.

<sup>94</sup> ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავეს“ ზოგერთი თავის წყარო, VII. იოანე ოქროპირის „მარხვისათვის და იონაისთვის“, ალ. გამყრელიძე, იოანე ოქროპირის ჰომილიის „მარხვისათვის და იონაისთვის“ პარხლური ვერსია, „მრავალთავე“, I, 1971.

<sup>95</sup> „კლარჯული მრავალთავეს“ გამოსაცემად ამზადებს თ. მგალობლიშვილი.

დღიდან მისი დაარსებისა. ამ ხნის განმავლობაში არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი გამოქვეყნდა, მაგრამ უფრო მეტი გამოსაცემად მომზადებული ტექსტი გამოუქვეყნებელი დარჩა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1977 წლის ივნისის დადგენილებით, აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან დაარსდა ახალი სერია ძველი ქართული მწერლობის ძეგლების პუბლიკაციისა, სადაც განზრახულია ყოველწლიურად დაიბეჭდოს ძველი ქართული მწერლობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები. პირველი წიგნი ამ სერიისა დაეთმო „შატბერდის კრებულს“<sup>96</sup>, რომელიც თავისი სიძველითა და შედგენილობით დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას და აქამდე მთლიანი სახით არ გამოცემულა. ამავე სერიით გამოქვეყნდება იოსებ ფლავიუსის „იუდაებრივი დასაბამისტიკაობა“<sup>97</sup>, ქართული ბიბლიის ცალკეული წიგნები<sup>98</sup> და მრავალი სხვა.

ძველი ქართული მდიდარი სასულიერო მწერლობის ყველა დარგი ძირითადად დამუშავებული და შესწავლილია კ. კეკელიძის კაპიტალურ შრომაში „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, ტ. I და მრავალრიცხოვან სპეციალურ გამოკვლევებში. ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ლიტერატურული ძეგლების მონოგრაფიული შესწავლა და პუბლიკაცია აფართოებს ძველი ქართული სასულიერო მწერლობის კვლევის საზღვრებს და ახალ პერსპექტივებს სახავს ძველი ქართული მწერლობის გაღრმავებული შესწავლისათვის, ამასთანავე ზრდის ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობას ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიისათვის.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები მდიდარია ქართული ისტორიული დოკუმენტებით (IX—XX სს.) და ნარატიული წყაროებით. მათ აღრიცხვას, შესწავლასა და პუბლიკაციას ეწევა ინსტიტუტის დიპლომატიკის განყოფილება. განყოფილებაში მუშავდება დიპლომატიკის თეორიული საკითხები. დიდი მუშაობა მიმდინარეობს ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოსაცემად მომზადებაზე. ეს სამუშაო კეთდება ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან და ცენტრალურ არქივთან კოორდინაციით. ისწავლება დოკუმენტების ენა<sup>99</sup>.

ისტორიული დოკუმენტების კრებულების გამოცემისათვის ინსტიტუტში ჩატარდა დიდი წინასწარი სამუშაო. ვ. გამრეკელის ხელმძღვანელობით რამდენიმე წლის მანძილზე მოსკოვსა და ლენინგრადში იგზავნებოდა ინსტიტუტის ისტორიკოსთა ექსპედიციები არქივებსა და მუზეუმებში ქართული ისტორიული დოკუმენტების გამოვლენისა და მათი მიკროფირების მოპოვებისათვის. ამ გზით ინსტიტუტში შეიქმნა მოსკოვ-ლენინგრადში დაცული ქართული დოკუმენტების მდიდარი მიკრო- და ფოტოთეკა. მეორე მხრივ, დგება ისტორიული

<sup>96</sup> „შატბერდის კრებულს“ გამოსაცემად მოამზადეს ბ. გვინიევილი და ე. გუნაშვილი.

<sup>97</sup> იოსებ ფლავიუსის „იუდაებრივი დასაბამისტიკაობა“, გამოსაცემად მოამზადა ნ. მედიქივილი.

<sup>98</sup> განზრახულია პირველ რიგში დაიბეჭდოს მოსეს ხუთწიგნეული. ამ წიგნების გამოსაცემად მომზადებაზე მუშაობდნენ: ილ. აბულაძე, ბ. გვინიევილი, ნ. გოგუაძე, ც. კიციანი, ც. ქურციკიძე.

<sup>99</sup> ზ. სარჯველაძე, XI—XV საუკუნეთა ქართული ისტორიული დოკუმენტების ძირითადი მორფოლოგიური და სინტაქსური თავისებურებანი: „მრავალთავი“, V, 1975.

დოკუმენტების პირთა და გეოგრაფიულ სახელთა<sup>100</sup> საძიებლები, რომლებზეც დიდ დახმარებას გაუწივეს დოკუმენტების გამოცემლებს.

საქართველოს ისტორიის პირველწყაროების შესწავლასა და პუბლიკაციებს დიდი ადგილი აქვს დათმობილი ინსტიტუტის შესწავლასა და პუბლიკაციებს. საერთო საქართველოს ისტორიის ნიჭიერმა მეცნიერმა აწ განსვენებულმა შოთა ბურჯანაძემ 1958 წელს გამოაქვეყნა „ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა (1460—1770 წწ.)“, 1962 წელს — ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრება“<sup>101</sup>.

საქართველოს ისტორიის ნაკლებად შესწავლილი უბნის — სამხრეთ საქართველოს ისტორიის უძღვნა ჩვენმა სასიკადადლო ისტორიკოსმა აწ განსვენებულმა ქრისტინე შარაშიძემ რამდენიმე შრომა, სადაც არაერთი მნიშვნელოვანი პირველწყარო — სულთა მატინეები და ქრონიკებია გამოყენებული და გამოქვეყნებული<sup>102</sup>.

წ. ოდიშელმა თავი მოუყარა, შეისწავლა და გამოაქვეყნა ნაკლებად შესწავლილი „მცირე ქრონიკები“<sup>103</sup>. 1964 წელს გამოიცა თემატური კრებული: XIV—XV სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, სადაც დაიბეჭდა კ. კლიმაშვილის — „მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის“, თ. ენუქიძის — „მასალები ქართლის სამეფოს სამდივანბეგო სასამართლოს ისტორიისათვის (1755—1760 წწ.)“ და წ. ოდიშელის — „აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XV—XVII სს.)“. ვ. გამრეკელი აზაადებს საქართველოს კავკასიის ხალხებთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის ამსახველ ისტორიული დოკუმენტების კრებულს. გამოქვეყნდა პაპუნა ორბელიანის უცნობი ისტორიული პოემა „შეჭირებანი ქართლისანი“ (გამოკვლევით)<sup>104</sup>. მომზადდა გამოსაცემად იონა გედევანიშვილის „მოგზაურობა“<sup>105</sup>.

ინსტიტუტში დიდი მუშაობა მიმდინარეობდა და მიმდინარეობს საქართველოსა და კავკასიის ისტორიის სომხური, თურქული, არაბული და სპარსული წყაროების შესწავლისა და გამოქვეყნებისათვის. 1953 წელს ილ. აბულაძემ გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი“. მისივე ხელმძღვანელობით და რედაქციით ინსტიტუტში მომზადდა და გამოქვეყნდა: გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორია“ (გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, 1961), იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ (გამოსცა ე. ცაგარეიშვილმა, 1965), „ეპისტოლეთა წიგნი“ (გამოსცა ზ. ალექსიძემ, 1968). ეს მუშაობა არ შეწყვეტილა არც ილ. აბულაძის გარდაცვალების შემდეგ. ამ მიმართულებით

<sup>100</sup> ზ. ალექსიძე, შ. ბურჯანაძე, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიისათვის, წიგნი I, თბ., 1964.  
<sup>101</sup> ნ. დადიანი, ქართულ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1969.  
<sup>102</sup> ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVIII სს.); მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, 1954; მისივე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), თბ., 1961.  
<sup>103</sup> წ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები (კენიკლუსების ისტორიული მინაწერები), თბილისი, 1968.  
<sup>104</sup> ლ. ქუთათელია, პაპუნა ორბელიანის უცნობი ისტორიული პოემა „შეჭირებანი ქართლისანი“, „მრავალთავი“, I, 1971.  
<sup>105</sup> იონა გედევანიშვილის „მოგზაურობის“ ტექსტი გამოკვლევითურთ მოამზადა ა. ჭაბაშვილმა.





ინსტიტუტში მუშაობას ეწევა ელენე ცაგარეიშვილი. 1974 წელს მან გამოაქვეყნა „არისტარკეს ლასტივერტეცის ისტორია“, გამოაქვეყნა რამდენიმე გამოკვლევა: „ანონიმი ისტორიკოსი (ფსევდო შაჰუპი) და მისი ისტორია“<sup>106</sup>, „თომა არწრუნისა და ანონიმი ისტორიკოსის ცნობები საქართველოს შესახებ“<sup>107</sup>; „სომხური წყაროები არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ (სებეოსი, ლევონდი)“<sup>108</sup>.

გადაცემულია დასაბუქდად სტეფანოს ორბელიანის „ორბელიანთა ისტორიის“ XVII საუკუნის ქართული თარგმანი. ამჟამად ელ. ცაგარეიშვილი ამზადებს სტეფანოს ორბელიანის „სისიკანის სახლის ისტორიის“ სომხური ტექსტის კრიტიკულ გამოცემას გამოკვლევით, კომენტარებითა და ქართული თარგმანით.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ინსტიტუტში საქართველოს ისტორიის თურქული წყაროების შესწავლისა და გამოკვლევებისათვის. თურქოლოგი ცისანა აბულაძე ამზადებს გამოსაცემად საქართველოში დაცული თურქული ფირმანების კრებულს. დიდი ნაწილი ამ ფირმანებისა ცალ-ცალკე უკვე გამოაქვეყნდა<sup>109</sup>. გამოაქვეყნდა აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი ნარატიული წყაროები, ისტორიული დოკუმენტები და გამოკვლევები<sup>110</sup>.

ჩრდილო კავკასიისა და საქართველოს ისტორიის არაბულ წყაროებზე, რომლებიც ინსტიტუტის ფონდებშია დაცული, მუშაობს ნ. ყანჩაველი<sup>111</sup>, ხოლო სპარსულ წყაროებზე — მ. მამაცაშვილი<sup>112</sup>.

დიპლომატიკის განყოფილების საჭიროებისათვის ინსტიტუტმა ასპირანტურის გზით მოამზადა ეპიგრაფიკის სპეციალისტი ვ. სილოგავა. ის ინტენსიურად სწავლობს ეპიგრაფიკულ ძეგლებს. მან გამოსაცემად მოამზადა „V—X სს. ქართული ეპიგრაფიკა“ და „დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკა“, გამოაქვეყნა არაერთი საინტერესო გამოკვლევა<sup>113</sup>.

ამგვარად, ხელნაწერთა ინსტიტუტის მუშაობის ეს მოკლე მიმოხილვა კი ამჟამად მოწმობს, რომ ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავს დიდი მემკვიდრული მიღწევებით ხვდება.

<sup>106</sup> „მრავალთავი“, V, 1975.

<sup>107</sup> „მრავალთავი“, IV, 1975.

<sup>108</sup> „მრავალთავი“, I, 1971.

<sup>109</sup> „ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ: თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, აღმოსავლური სერია, №121, 1967; „ორი თურქული ფირმანი“: „მრავალთავი“, I, 1971; „XVIII საუკუნის ორი თურქული ფირმანი“, „მრავალთავი“, III, 1973; „ორი ფირმანი ერასტი მდივანვეს“: „მრავალთავი“, IV, 1975; „ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორესთან“, „მრავალთავი“, I, თბ., 1971; „ოსმალბის ხანის სამი თურქული ფირმანი“: „აღმოსავლური ფილოლოგია“, ტ. III, 1973.

<sup>110</sup> „არზრუმის ვილაიეთის 1522 წლის კანუნ-ნამე“: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961; „ამჟამად არღუნ ყაენის ლაშქრობის შესახებ საქართველოში“: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966; გურჯიხაძე, თბილისის დაპყრობის წესი, თურქული ტექსტი თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ე. აბულაძემ, თბ., 1975.

<sup>111</sup> ნ. ყანჩაველი, ალაღარ-ხანის რამდენიმე წერილი გ. ზ. არღუნთისკა-დოღოგოუკოვისადმი: „მრავალთავი“, I, 1971; მისივე, თბილისის დაპყრობის დღეები ოსმალთა წყევლებით 1294 წელს: „მრავალთავი“, IV, 1975; მისივე, ვრცელ II-ის წერილი დეგვალ პაჩი ტინდოფლისადმი, „მრავალთავი“, V, 1976.

<sup>112</sup> მ. ა. ჯ. ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მიაი შამაცაშვილმა, თბ., 1971.

<sup>113</sup> ვ. სილოგავა, ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაზიკურულ წარწერებში: „მაცნე“, ისტორიის სერია, 1972, №4; მისივე, ისტორიული საბუთები ლაგურადან: „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, №3; მისივე, Две надписи церкви с. Рцани: კრებული «Проблемы палеографии и юдикологии в СССР», М., 1974. მისივე, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები (შესწავლის შედეგები და აზიაცინები): „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, №1.

გურამ გავაშელი

## В ТВОРЧЕСКОМ ПРЕОБРАЖЕНИИ

(о работе А. Антоновской над историческими материалами  
об эпохе Георгия Саакадзе)

Монументальный исторический роман А. Антоновской «Великий Моурави» художественно воссоздает один из наиболее сложных и трагических периодов грузинской истории на рубеже XVI—XVII веков.

Воскрешая с высоты нашей современности величественную картину всенародного подвига, писательница создает эпическое произведение, пронизанное священной идеей патриотизма, духом мужества, отваги и верности, чувством дружбы и любви, рисует богатейшую галерею незабываемых образов, представленных в повествовании в их конкретном-историческом облике.

В основе «Великого Моурави» — одного из значительных явлений советской исторической прозы, рожденной методом социалистического реализма, — лежит принцип исторически правдивого воспроизведения прошлого. Роман характеризуется глубоким, подлинным историзмом, выдвижением на передний план важнейших событий эпохи, — исторически достоверных, хотя события эти, широко и искусно вплетенные в художественную ткань произведения, богато расцвечены творческой фантазией автора. Вместе с тем, вымысел никогда не выходит за пределы возможного и допустимого.

Эпоха Георгия Саакадзе далеко не полно изучена грузинской исторической наукой, уделявшей мало внимания вопросам позднего грузинского феодализма. А. Антоновская проделала поистине титаническую подготовительную работу и как художник и как исследователь. Долгие годы писательница изучала не только «темное время» истории Грузии — XVI—XVII века, но и истории сопредельных с ней стран — России, Ирана, Турции<sup>1</sup>.

«Следует особо признать, — подчеркивает во вступительной статье к последнему универсальному изданию «Великого Моурави» известный грузинский критик и литературовед Б. Жгенти, — что при далеко не достаточной разработанности в грузинской историографии важнейших проблем данного исторического периода автором «Великого Моурави» проделана и большая, чисто научная, исследовательская работа для правильного раскрытия и освещения смысла процессов, составлявших крайне осложненную общественную жизнь изображаемой эпохи»<sup>2</sup>.

А. Антоновская прекрасно сознавала и трудность предстоящей работы и свою большую ответственность перед русским читателем, не знакомым с историческим прошлым Грузии, ее нравами и обычаями, с

<sup>1</sup> Еще в 1943 г. Александр Фадеев в статье «Замечательные произведения советской литературы» («Правда», 12 апреля, 1943 г.) отмечал, что «Великий Моурави» А. Антоновской граничит с трудом учено-историка, а известный грузинский историк И. А. Джавахишвили, консультировавший II книгу романа-эпоса, вышедшую в 1940 г., сказал писательнице в частном разговоре: «Вы поколебали мое мнение о Георгии Саакадзе. Поистине, если бы он не одолел персов на Марткопском поле, Грузия могла бы быть сметена с лица земли» — см. Б. К. Черный, «Возвращение Георгия Саакадзе», газ. «Коммунист», 17 октября 1971 г.

<sup>2</sup> Б. Жгенти, Эпопея о национальном герое Грузии, в книге А. Антоновской «Великий Моурави», кн. I, Тб., 1965, стр. 9. Далее в скобках указываются только том, глава и страница из этого издания.



историко-бытовыми реалиями эпохи. Она со всей глубиной изучила очень сложный и многогранный исторический материал, обширнейший круг источников, разноречивых документов, отображающих эпоху, сводя их в одну стройную систему и освещая с передовых позиций советской исторической науки.

В этом плане творческую работу А. Антоновской над историческим материалом смело можно сравнить с аналогичной работой замечательных русских писателей А. Н. Толстого и В. Я. Шишкова над эталонными произведениями советской исторической прозы — «Петром Первым» и «Емельяном Пугачевым»<sup>3</sup>.

В процессе работы над шеститомным историческим романом «Великий Моурави» А. Антоновской было использовано почти все сколько-нибудь значительное и фундаментальное из написанного о Георгии Саакадзе и его бурном времени. В круг творческих интересов писательницы входили капитальные труды и исследования грузинских и иностранных (армянских, персидских, турецких, русских, западноевропейских) историков и летописцев, мемуары и письма современников Великого Моурави, пергаментные хроники и старинные фолианты, подлинные исторические документы и архивные материалы, реляции и записки католических миссионеров, купцов разных национальностей, посольские списки и книги московских «Дворцовых Разрядов», разнообразнейшие литературные памятники эпохи и многое другое.

Чтобы указать все рукописные и печатные книги и источники, которые использовались автором для изучения «темного» XVII века Грузии, сопредельных с нею магометанских держав, Московского царства и стран Европы (особенно периода 30-летней войны), пришлось бы составить не один объемистый каталог.

Для наглядности приведем лишь некоторые материалы, по которым можно составить представление о количестве использованных трудов и творческих исканиях А. Антоновской.

Богатейшую информацию о событиях, нравах, быте отображаемой ею эпохи черпала А. Антоновская у таких историков, — современников Саакадзе и более позднего периода, как Парсадан Горгиджанидзе — «История», Аракел Даврижеци — «История» (охватывает период с 1602 по 1662 гг.), Искандер Мунши — «Мироукрашающая история Аббасова», Хасан бек Румлу — «Наилучшая из историй», Ибрагим Печевы — «История Печевы» (с 1520 по 1640 гг.), Эвлия Челеби — «Книга путешествий Эвлии Челеби», Кятиб Челеби — «Описание мира» («Джиханнома»), «Летопись событий» («Фезлеке»), Наима — «История Мустафы Наима», (с 1591 по 1660 гг.), Бери Эгнаташвили — «Новая история Грузии», царевич Вахушти — «История Грузии» («Картлис цховреба»), Мари Броссе — «История Грузии» и др.

Разумеется, многочисленные труды советских историков, в частности, маститых грузинских ученых — И. Джавакишвили, Н. Бердзенишвили, С. Джанашия, С. Какабадзе и многих других тщательно штудировались романисткой, пишущей о далеком прошлом иного народа.

Верными проводниками по тернистым дорогам истории послужили автору описания путешествий французов Жана Шардена и Гамба<sup>4</sup>,

<sup>3</sup> А. В. Алпатов, Работа писателя над историческими источниками и документами петровской эпохи, в книге «Алексей Толстой — мастер исторического романа», М., 1958, стр. 130—206; А. Л. Жовтис, «Емельян Пугачев» В. Шишкова (отбор и творческое использование исторического материала), Ереван, 1954, 20 стр. (Автореферат диссертации).

<sup>4</sup> Жан Шарден, Путешествие Жана Шардена в Персию и другие страны Востока, Париж, 1811; Гамба, Путешествие в Россию (Кавказ), Париж, 1826.

гольштинца Адама Олеария<sup>5</sup> и голландца Яна Стрейса<sup>6</sup>, итальянцев Арканджело Ламберти и миссионера и агента римско-католической церкви Пьетро дела Валле<sup>7</sup>.

Так, например, вся 41-ая глава III книги романа «Великий Моурви», повествующая о посещении Георгием Саакадзе западно-грузинских владетелей (в частности — Самегрело), жизни, обычаях, быте, нравах подданных Левана Дадияни, почти целиком построена на материале «Описания Самегрело» Арк. Ламберти, жившего в этом владетельном княжестве 20 лет и оставившего подробное описание его тогдашнего общественно-экономического положения. А один пространный отрывок из книги Ламберти (указанное издание, стр. 25—26), сообщающий о политических ухищрениях Левана Дадияни против турок, полностью включен в текст романа А. Антоновской, подан не в сухо информационном, бесстрастном изложении летописца, а в возвышенно эмоциональном, темпераментном монологе владетеля Самегрело.

Тщательно изучался А. Антоновской обширный и разносторонний исторический материал, способствующий глубокому проникновению в суть «святая святых» изображаемой эпохи, пониманию общественно-политических отношений, конкретно-исторического своеобразия того времени. Писательница ознакомилась с такими трудами и исследованиями, как «Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа», 8 выпуск, Тифлис, 1881 г.; «Записки Общества любителей Кавказской археологии», Тифлис, 1875; монография Д. З. Бакрадзе «Церкви и монастыри Закавказья», (том IV, стр. 19-179); «Географическое и статическое описание Грузии и Кавказа (1770—73 гг.)» академика Гильденштедта, Спб., 1809; «История войны и владычества русских на Кавказе» Н. О. Дубровина, т. I, Спб., 1871; «Известия древних греческих и римских писателей о Кавказе» К. Ф. Гана, IV выпуск; «Краткая история грузинской церкви» Платона Иоселиани, Спб., 1843; «Аналитическая библиография» Броссе, Спб., 1887; «Переписка грузинских царей с российскими государями от 1639 г. по 1770 г.», Спб., 1861; «Исторический обзор дипломатических сношений между российскими государями и грузинскими царями и владетелями» Франциска Пльоэна, «Азиатский музей Импер. Академии наук», 1844; «Смутное время Московского государства» (Борис Годунов) Костомарова, «Вестник Европы», 1866; «Святейший патриарх Филарет Никитич» Смирнова; «Терцы» А. Ржевуского, Владикавказ, 1888; «Сношения России с Кавказом» (1578—1613 гг.) С. А. Белокурова, выпуск I; «История ислама» А. Мюллера, т. 3, 1896; «Общий обзор истории Персии со вторжения арабов» С. Ольденбурга; «Очерки Константинополя» К. Базили, части 1, 2, Спб., 1935; «История человечества» под общей редакцией Г. Гельмольта, т. V, VII, Спб., «Антропология Грузии» А. Н. Джавахова, Москва, 1908; «Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии», под общей редакцией А. А. Цагарели, Спб., 1891, «Историческая записка об управлении Кавказом», составленная Семёном Эсадзе и опубликованная им в Тифлисе в 1907 году (на титульном листе — автограф автора) и т. д. и т. п.<sup>8</sup>

<sup>5</sup> Адам Олеарий. Путешествие голштинского посольства в Московию и Персию, Москва, 1870.

<sup>6</sup> Я. Я. Стрейс, Три путешествия... (третье путешествие в Персию), Амстердам, 1676.

<sup>7</sup> Арк. Ламберти. Описание Самегрело, с итальянского перевел Ал. Чкония, Тб., 1938; «Пьетро дела Валле», «Иверия», 1879, № 3.

<sup>8</sup> Считаю своим приятным долгом выразить глубокую благодарность писателю Борису Константиновичу Черному за ценные указания относительно ряда документальных источников, анализируемых в данной работе.

Особое внимание А. Антоновская уделила разработке грузинских историко-литературных памятников<sup>9</sup> и ряда монографий<sup>10</sup>, посвященных Георгию Саакадзе и его эпохе. «Надо думать, — пишет известный знаток творчества А. Антоновской Г. Тавзидзе, — что немалую помощь писательнице оказали поэма Иосифа Тбилели «Дидмоуравнани» (XVII в.), а также монографии Платона Иоселиани и Антона Пурцеладзе, посвященные описанию жизни Георгия Саакадзе<sup>11</sup>.

В процессе работы над романом А. Антоновская скрупулезно изучала архитектуру и фресковую живопись старинных монастырей и величественных кафедралов — Светицховели, Алаверди, Гелати, неповторимые орнаменты замков и древних храмов; широко ознакомилась она и с иконографическим материалом, различного рода историческими реалиями как той эпохи, так и более позднего времени — картами, планами, рисунками итальянского миссионера Христофора Кастелли (XVII в.)<sup>12</sup>; гравюрами русского князя Гагарина (XIX в.); портретами государственных деятелей, миниатюрами древних книг. Все это, безусловно, способствовало зримому впечатлению от воспроизведенных картин и обстановки далекой исторической эпохи.

Кастелли, например, не только запечатлел в своих рисунках подлинный портрет Георгия Саакадзе, но и создал обширную портретную галерею царей, владетелей, феодалов, светлейших князей и княгинь, крестьян и воинов XVII века, а также ряд жанровых сцен. Анна Антоновская считала его Альбом бесценным источником познания Грузии XVII века.

Вне всякого сомнения, именно Хр. Кастелли мы обязаны той лаконичной и тонкой портретной характеристикой владетеля Самегрелс Левана Дадияни, которую А. Антоновская дает этой незаурядной личности в 44-ой главе третьей книги своего романа. «... Безбородый и безусый, с остро очерченным носом и крутым лбом, походил Леван на древнего эллина. Он приветствовал Моурази поднятием руки...» (стр. 371).

В воссоздании облика старого Тбилиси добрую службу писательнице сослужил «Краткий исторический очерк города Тифлиса» (Тифлис, 1880), с прекрасным планом, составленным в 1725 г. царевичем Вахушти. Кстати, план этот был напечатан в I книге второго издания «Великого Моуравни» (М., 1939).

Неоценимую помощь в детальном изучении устройства турецкой армии XVII века, уставных порядков Янычарского корпуса оказала автору редчайшая книга члена парижской королевской Академии наук графа де Марсильди «Военное состояние Османской империи» (печатано в Санкт-Петербурге при Императорской Академии наук в 1737 году). Помимо описания стратегии и тактики турецкого войска, книга снабжена множеством топографических чертежей и рисунков.

<sup>9</sup> Иосиф Т бил е л и, Великий Моуравни («Дидмоуравнани»). М., 1945. О периоде с грузинского поэмы И. Тбилели (переводчик Георгий Пагарели) А. Антоновской опубликована критическая статья (журнал «Советская книга», М., 1946, № 5); А р ч и л «Спор Теймураза и Руставели», «Арчилияни», Т. II. Тб., 1937.

<sup>10</sup> П л. И о с е л и а н и, Жизнь Великого Моурава князя Георгия Саакадзе, Тифлис, 1848; А. П у р ц е л а д з е, Борьба за уничтожение и объединение Грузии или Георгий Саакадзе и его время, Тб., 1911; М. Д ж а н а ш в и л и, Георгий Саакадзе и его время, 1914; З. Ч и ч и а д з е, Великий Моуравни Георгий Саакадзе, 1910; С. Какабадзе, Краткая биография Георгия Саакадзе, 1915.

<sup>11</sup> Г. Тавзидзе, Анна Антоновская, Тб., 1958, стр. 10.

<sup>12</sup> Хр. Кастелли, Альбом (рисунки XVII века), изд. Б. Гиоргадзе, Тб. 1977.



Нельзя также не упомянуть книгу Д. Г. Капанадзе «Грузинская нумизматика» (М., 1955), из которой писательница многое почерпнула и использовала в последующих изданиях романа. Книга эта помогла А. Антоновской понять язык монет, открывший ей много любопытного и значимого из жизни и истории Грузии разных эпох.

Следует отметить удачное использование автором богатой сокровищницы народного творчества. Широким потоком вливается в сюжетную ткань романа разнообразнейший фольклорный материал: народные новеллы, легенды, сказания, восточные притчи, пословицы и поговорки. Помещенные в тексте стихи, написанные Б. Черным на основе памятников грузинского и русского поэтического фольклора, органически влетают в ход воссоздаваемых в романе событий и «в значительной мере расширяют комплекс его выразительных средств»<sup>13</sup>.

В ряде случаев богатый фольклорный материал непосредственно, «цитатно» включен в канву повествования. Таковы, например, мегрельская легенда о двух братьях и Очокочи (кн. I, стр. 45—46)<sup>14</sup>, осетинская легенда о Хетаге, внуке Инала (кн. I, 1937, стр. 412—13), рассказ мествире (волышника) об огне (кн. I, стр. 447), тушинская легенда о чаше-черепе (кн. III, стр. 278—279); грузинская сказка об образований Млечного Пути, рассказанная в Ничбинском лесу (кн. IV, стр. 334—35) и др.

Отдельные памятники устного народного творчества не раз использовались автором и как ценнейшие исторические источники, ибо многие тексты, темы и мотивы народно-поэтической старины, — эта, перефразируя слова А. Н. Толстого, «историческая память народа», — помогали писательнице осмыслить, угадать, найти верный подход к освещению самых различных сторон и событий исторической жизни, личностей прошлого.

Трудно, например, переоценить значение пшаво-хевсурского фольклора в создании автором образа кровавого владетеля Арагви — Зураба Эристави<sup>15</sup>, или же роль отдельных, хорошо известных памятников народного творчества (прозаических и стихотворных), выражающих возвышенное представление народа о национальном герое Грузии, в формировании авторской концепции личности Георгия Саакадзе<sup>16</sup>.

Не все авторы и первоисточники одинаково использовались создателем «Великого Моурави». Намечая историческую канву романа-эпопеи, А. Антоновская исследовала многочисленные труды грузинских историков самых различных периодов, высказывавших порой резко противоречивые суждения о морально-нравственном облике Георгия Саакадзе.

Основную канву событий, важнейшие моменты жизни и исторической деятельности Великого Моурави как главной фигуры отображаемой эпохи давали А. Антоновской «Дидмоуравиани» И. Тбилели и упоминаются выше монографии А. Пурцеладзе и Пл. Иоселиани<sup>17</sup>.

<sup>13</sup> Б. Ж е н т и, Эпопея о национальном герое Грузии..., стр. 17.

<sup>14</sup> По мегрельскому поверью — дикие лесные люди.

<sup>15</sup> Н. Х и з а н а ш в и л и (Урбели), Статьи по этнографии, Тб., 1940, стр. 128—140; А. П у р ц е л а д з е, указ. работа, стр. 322—325.

<sup>16</sup> К. А. С и х а р у л д з е, Грузинская народная историческая словесность, кн. III, Тб., 1967, стр. 477—482, 487—490; Г. И. Ш а т б е р а ш в и л и, Георгий Саакадзе в памяти народа, в сборнике «Статьи и очерки», Тб., 1959, стр. 135—145.

<sup>17</sup> Прекрасно сознавая классово обусловленную ограниченность мировоззрения научно-исторической концепции вышеуказанных авторов, А. Антоновская в первую очередь стремилась использовать первичный фактический материал, который давали ей эти произведения, подвергая его вместе с тем целенаправленной творческой обработке.



«Дидмоуравиани» — этот замечательный памятник грузинского национального эпоса — лег в основу взглядов грузинских историков позднефеодального периода (да и последующего времени) на те сложные исторические процессы и события, которые с 1609 г. в той или иной мере связаны с деятельностью Георгия Саакадзе. Это влияние заметно и в романе А. Антоновской. В частности, об использовании писательницей известной монографии Пл. Иоселиани свидетельствует наличие в «Великом Моурави» (в первых изданиях романа) таких же идентичных форм написания ряда собственных имен и географических наименований (во многих случаях весьма своеобразных, специфических)<sup>18</sup>, а также совпадение последовательности разворачиваемых исторических событий, в некоторых случаях — анахроничных<sup>19</sup>. Так, например, в третьей книге романа, охватывающей кратковременный период затишья между Марткопским и Марабдинским сражениями, Саакадзе, решительно отвергая настоячивые предложения широких общественных кругов занять престол Картли-Кахетинского царства, назначает правителем Картли представителя боковой ветви царствующей фамилии Багратиони — юного Кайхосро Мухран-батони. Это явный анахронизм, ибо Марабдинская баталия датируется 1625 годом, в то время как Кайхосро правил в Картли значительно позднее — в 1626 г., незадолго до братоубийственной Базалетской битвы<sup>20</sup>. Впоследствии он эмигрировал в Турцию вместе с Саакадзе. Примечательно, что этот анахронизм встречается только у Пл. Иоселиани<sup>21</sup>.

Однако подобное отклонение от исторической действительности в целом для романа не закономерно. В основном, говоря о характере использования А. Антоновской многогранного исторического материала, прежде всего следует отметить поистине творческий, глубоко реалистический подход автора к историко-документальной основе романа. Нигде в произведении документы не ложатся мертвым грузом, не отягощают повествования. А. Антоновская дает их в такой творческой переработке, художественной ретуши, трансформации, что они органически сливаются с сюжетной линией романа.

В художественную ткань «Великого Моурави» без видимой авторской обработки включены (и то в весьма ограниченном количестве) такие небольшие по объему письма и документы, которые характеризуют или освещают какое-либо значительное историческое событие, колоритный факт, или же выражают субъективно-эмоциональное отношение пишущего к происходящему. К таковым, в частности, относятся фрагмент реляции папе Урбану VIII (кн. II, глава 31-ая, стр. 298—299)<sup>22</sup> миссионера Пьетро делла Валле, очевидца кровавого нашествия папы Аббаса на Восточную Грузию; скрепленный подписью царя Имерети — Георгия документ, объявляющий дочь его — Хварамзе наречен-

<sup>18</sup> См. наши работы: «О некоторых текстологических вопросах» (на материале романа-эпопеи А. Антоновской «Великий Моурави»), сборник «Литературные взаимосвязи», V, Тб., 1974, стр. 209—220; «Топонимы в романе-эпопее А. Антоновской «Великий Моурави», «Вестник» АН ГССР, 1974, № 3, серия языка и литературы, стр. 139—150.

<sup>19</sup> В целом, анахронизмы, смещения во времени не столь уж часты в «Великом Моурави», и, что на наш взгляд самое главное, не нарушают «слогики исторических событий», не затрагивают узловые моменты истории.

<sup>20</sup> Д. В. Гврितिшвили, Очерки по истории Грузии (XV—XVII века), часть II, Тб., 1965, стр. 353; Г. Д. Джамабурия, Георгий Саакадзе, Тб., 1964, стр. 158.

<sup>21</sup> Пл. Иоселиани, Жизнь Великого Моурава..., 1848, стр. 54.

<sup>22</sup> «Пьетро делла Валле», «Иверия», 1879, № 3, стр. 47.



ной Автандила Саакадзе — сына Великого Моурави (кн. V, глава 21, стр. 390)<sup>23</sup> и ряд других.

Вместе с тем мы встречаем в романе и пространные цитаты (а то и целые послания) из дипломатических документов той эпохи — в основном из русско-грузинских межгосударственных отношений — ставейные списки, наказы, челобитные и т. д., хотя и в их отношении писательница допускает многочисленные купюры, перестановку, сращение материала.

Вот фрагмент из наказа думному дворянину Михаилу Игнатьевичу Татищеву и дьяку Андрею Иванову, прибывшим в 1605 г. в Картли с дипломатической миссией и сватавшим царевну Тинатин и Кайхосро Мухран-батони для детей Бориса Годунова (кн. I, глава 19-ая, стр. 220—221)<sup>24</sup>.

1. «...А нешто спросят, как ныне государь наш с Рудельфом цесарем и с папою римским и литовским королем, — дождавшись ответа моего по государеву наказу, толмачь: Рудельф, цесарь римский, с великим государем нашим царем и великим князем Борисом Федоровичем всея Руси самодержцем в дружбе и любви; и ссылки меж их государей частые...»

2. А нешто спросят, как ныне государь наш с его Аббас-шаховым величеством, после ответа моего по государеву наказу, толмачь: от шаха Аббаса был в Москве посол... и говорил, чтобы быть царю и шаху на султана турецкого заодно.

3. А нешто учует Юрьи царь или его приказные люди спрашивать, как ныне государь наш и великий князь Борис Федорович всея Руси самодержец с турецким султаном, без промедленья толмачь: великий государь его царское величество для брата своего Аббас-шахова величества и Рудельфа цесаря и для Александра царя гверского с турецким Мурат салтаном в дружбе и в любви быти не похотел и посланников его без дела отпустил; только с ними посылал гонца своего для торгового дела. А хочет великий государь наш его царское величество быти в дружбе и в любви и соединене с братом своим с Аббас-шаховым величеством и с Рудельфом цесарем Римским и с Юрьи царем всея Итерии и с иными хрестыянскими государи.

4. А поклоны от великого государя нашего до патриарха Иова также по наказу правити.

5. А поминки нести для государева дела те, что посланы были к Александру царю, потому что в Иверской во всей земле начальной в царх карталинской Юрьи царь, а от государей московских послы к нему впервые, и се для великого дела...»

Прежде всего следует отметить, что А. Антоновская, взводя в сюжетную ткань романа дипломатические документы более чем трехвековой давности, не только существенно сокращает их текст, но и производит значительную языковую правку, приближая устаревшие формы старинного книжного языка, мертвую архаику сухих, монотонных материалов Посольского приказа к современным нормам живой русской речи<sup>25</sup>; соответственно меняется и транскрипция ряда слов и выражений. Вместо «патриарха Иева» автор дает «патриарх Иов», вместо «Иверской» — «Иверской», «салтан» в контексте заменяется «султаном»<sup>26</sup>, вместо архаического местоимения «яз» — «я» (это местоимение в романе встречается в послании царя Картли Георгия X царю Московскому Борису Годунову, (кн. I, гл. 4-ая, стр. 75)<sup>27</sup>.

<sup>23</sup> С. Какадзе, Исторический сборник, IV, Тб., 1929, стр. 75.

<sup>24</sup> Материалы о посольстве, см. С. А. Белокурова, Сношения России с Кавказом, 1578—1613 гг., выпуск I, М., 1889, стр. 420—517.

<sup>25</sup> Вместе с тем А. Антоновская оставляет для «колорита» значительное количество архаизмов, ходовых словесных формул и оборотов речи, синтаксических конструкций, которые не противоречат живому современному русскому языку.

<sup>26</sup> Сохранена и форма — салтан.

<sup>27</sup> Текст послания см. С. А. Белокурова, указ. работа, стр. 469.





В приведенном выше отрывке А. Антоновская прибегает к приему контаминации текстов, взятых из различных документов. Так, если 1, 3, 4, 5 фрагменты отражают материалы посольства Татищева в Грузию в 1604—1605 гг.<sup>28</sup>, то фрагмент № 2 взят из документов посольства князя Семена Звенигородского в Кахети в 1589/90 гг.<sup>29</sup>, — по всей вероятности, с целью выявить позицию Москвы в отношении Ирана, о которой в наказе посольству Татищева ничего не говорится; к тому же №№ 1, 3, 4 взяты из наказа посольству, отправлявшегося в Кахети к царю Александру, в романе же действие разворачивается в Картлийском царстве и вместо Александра в документах фигурирует уже имя царя Картли — Георгия X<sup>30</sup>.

Фрагмент же пятый, хотя и относится уже к картлийским делам посольства, но взят не из упомянутого выше наказа, а из статейного списка, содержащего известия о сношениях Татищева с царем Картли относительно сватовства его дочери за царевича Федора Борисовича<sup>31</sup>.

Следует также отметить, что наказ посольству, цитаты из которого приводились выше, оформлен в повествовании как указание-памятка толмачу Свонтину Каменеву от посла-боярина Михаила Татищева. Поэтому в первые три фрагмента от автора включены стереотипные, стилизованные под речевой строй контекста, фразы: «дождавшись ответа моего по государеву наказу, толмачь...» Кроме того, в отличие от документального источника, где титул царя Московского дается в сокращениях, А. Антоновская в указанном отрывке дает его в расшифровке, а в некоторых случаях приводит полный титул самодержца российского<sup>32</sup>.

И, наконец, концовка третьего фрагмента, начиная со слов: «А хочет великий государь наш...», дана из зачеркнутой в наказе части, с добавлением, в целях констатации факта пребывания посольства в Картли, фразы: «... С Юрьи (Георгий — Г. Г.) царем всея Иверии...»

В ряде случаев документальный материал, пространные цитаты из источников оказываются развернутыми в захватывающем фабульном движении романа. Так, например, многие эпизоды из 22-й, 26-й, 27-й и, особенно, 30-й главы второй книги «Великого Моурави» целиком построены на анекдотическом материале (10 эпизодов), собранном и опубликованном Пл. Иоселиани в своей монографии о Георгии Саакадзе<sup>33</sup>.

Для сравнения приведем параллельные тексты VI эпизода из книги Пл. Иоселиани и соответствующего отрывка из 30-й главы II книги «Великого Моурави», выделив разрядкой фразеологические аналогии и текстуально совпадающие места.

#### Пл. Иоселиани.

Георгий Саакадзе не без ужаса смотрел на царя Луарсаба, не выражавшего ему никакого негодования. С высоты Тифлисской цитадели,

#### А. Антоновская

Саакадзе все больше удивлялся, почему Луарсаб не выражает ему негодования и даже как-будто не замечает его.

<sup>28</sup> Текст послания см. С. А. Белокуров, указ. работа стр. 437, 438, 440, 497.

<sup>29</sup> Там же, стр. 97.

<sup>30</sup> См. начало фрагмента № 3. «А нечто учнет Юрьи царь...»

<sup>31</sup> С. А. Белокуров, указ. работа, стр. 497.

<sup>32</sup> см. послание Бориса Годунова царю Картли Георгию X (кн. I, глава 19, стр. 224—225).

<sup>33</sup> Пл. Иоселиани, Жизнь Великого Моурава..., 1848, стр. 39—48.



осматриваемой шах Аббасом, царь Луарсаб вперед глаза в Сионский Собор, изобразил на себя знамение Св. Креста и произнес высокую молитву: Боже, прости врагам моим. Георгий Саакадзе, объятый ужасом, едва мог сказать Царю: я твой враг? И слезы покрыли его глаза. Ты мог мстить мне, сказал царь, но не народу, безвозвратно погибшему, и церкви, тебя возродившей в веру и жизнь. С этой минуты, пишет Иноккия Макрина, Князь Георгий Саакадзе сделался в сердце врагом Персии и замыслил, свержением рано или поздно Персидского ига, очистить совесть от тяготевшей над его душою вины предательства отечества.

Наедине встретились неожиданно. Шах Аббас, осматривая тобалисскую цитадель, поднялся на башню Шах-тахти...

Луарсаб, смотря на Сионский собор, широко перекрестился:

— Боже, прости моим врагам.

— За меня молись, царь?

— За врагов моих...

— Да, царь, я твой враг!

— Ты мог мстить мне, но не народу, не церкви, тебя возродившей... Опомнись, Георгий, ведь ты грузин...

— Да, я грузин, царь Луарсаб, потому и стал твоим врагом...

При сличении обоих текстов сразу же бросается в глаза не только явная схожесть эпизода из «Великого Моурави» с первоисточником, но и радикальное переосмысление указанного материала, отстранение писательницей всего того, что не соответствовало сложившейся в ее сознании концепции образа Георгия Саакадзе, углубленному пониманию его личности. Вывод, сделанный Пл. Иоселиани в концовке эпизода, многие штрихи, да и вся тональность его, отбрасывается, отвергается А. Антоновской как ложное, фальшивое, не соответствующее величию образа пламенного патриота. Свидетельство тому — достойный ответ Георгия потерязшему царство Луарсабу. Психологически писательница права — только так и мог говорить Великий Моурави — человек, жертвующий во имя родины горячо любимым сыном.

В «Великом Моурави» А. Антоновская создала богатейшую галерею реально существовавших исторических личностей и вымышленных персонажей. Очень живо, с большой любовью и нескрываемой симпатией рисует автор полнокровные художественные образы ближайших сподвижников Великого Моурави — выходцев из крестьянской и мелкопоместной азнаурской среды, составивших впоследствии «Дружину барсов». Большинство из них — реальные исторические лица, героическая жизнь и деяния которых в течение веков оставались в тени летописных сказаний и повествований историков, ибо официальная историография не спускала до жизнеописаний т. н. «низов» общества<sup>24</sup>.

В романе же А. Антоновской образы преданных друзей и единомышленников Великого Моурави даны развернуто, во всей жизненной полноте и внутреннем драматизме, представляют собой ярчайший пример того, как из упоминания одной только фамилии в документальном подлиннике, фиксации отдельных фактов жизни героя, рождаются полнокровные, живые человеческие образы, целые фигуры ярко очерченных персонажей. Не будет преувеличением, если скажем, что сподвижники Саакадзе принадлежат к числу наиболее удавшихся, если не лучших, персонажей во всей образной системе многоатомного произведения.

<sup>24</sup> Впервые об этих бескорыстных сынах грузинского народа упоминается в известной исторической поэме И. Тбилиди «Дидмоуравание», и именно ей мы обязаны тем, что до нас дошли имена этих славных героев прошлого (И. Тбилиди, Великий Моурави, М., 1945, стр. 45, 46, 47).



То же самое можно сказать о замечательных, надолго запечатлевшихся образах тбилисского купца Вардана Мудрого (Бебутова)<sup>35</sup>, своерядного русского воеводы Юрия Хворостинина<sup>36</sup>, посланца шаха Аббаса Рустам-бека<sup>37</sup> и мн. других.

Некоторые эпизоды и персонажи романа несут на себе отпечаток весьма спорного и гипотетического материала, зафиксированного в пестром и разноречивом потоке первоисточников. К таковым следует отнести образ суровой и гордой бабки Георгия Саакадзе, черкешенки «бабо Зара», происхождение которой автору, по всей вероятности, «подказало» одно из высказываний дореволюционного грузинского историка М. Джанашвили, считавшего Саакадзе и его предков «выходцами из Дагестана»<sup>38</sup>.

В данном конкретном случае можно поспорить с автором о правомочности использования подобного рода источника, к тому же связанного с именем ярого недоброжелателя Георгия Саакадзе, для воссоздания родословной известной исторической личности.

Некоторые исторические события, факты, отдельные сообщения историков послужили основой для создания целого ряда вымышленных персонажей «Великого Моурави», предопределили их сюжетную роль. Так, например, трагическая история неизвестного грузина из шахской гвардии «шах-севани», обезглавленного по приказу жестокого властелина Ирана за то, что тот осмелился во время одного из сражений прикрыть собой шаха Аббаса, родила в романе А. Антоновской драму жизни молодого горца из Ананури — Арчила, некогда спасенного Георгием Саакадзе из рук турецких торговцев живым товаром (кн. II, глава 22, стр. 201—202)<sup>39</sup>. Другой, не менее известный случай с временным ослеплением шаха Аббаса у Эрцазмидского монастыря органически слит с перипетиями жизни, судьбой такого «проходного» персонажа романа, каким является мудрый поповец — дед Дмитрия, воплощающий в себе лучшие черты человека из народа (кн. II, глава 26, стр. 253—255)<sup>40</sup>.

В основе сюжетной композиции одной из новелл «Великого Моурави», повествующей о «правдивой истории одной семьи в Стамбуле», лежит характерный для жизни общественно-политического строя Турецкой империи эпизод, «позаимствованный» автором из VIII главы книги анонимного французского автора<sup>41</sup>.

Это история жизни, точнее, злоключений богатой греческой семьи Эракле Афендули, с которой близко сошелся и чуть не породнился Георгий Саакадзе (А. Антоновская умело вводит в сюжет VI книги романтическую линию любви дочери Афендули к сыну Саакадзе — Автандилу). История, приведенная анонимным автором в своей книге, хронологически относится к XIX столетию, однако, ввиду того, что полити-

<sup>35</sup> «Очерки истории Грузии», т. IV, Тб., 1974, стр. 185.

<sup>36</sup> М. Полиевктов, Описание к царю терского воеводы Юрия Хворостинина. из кн. «Материалы по истории грузино-русских взаимоотношений» (1615—1640), Тб., 1937, стр. 99—100.

<sup>37</sup> С. Соловьев, История России с древнейших времен, т. IX, 1859, стр. 205.

<sup>38</sup> М. Джанашвили, История Грузии, 1897, стр. 288, Определенную помощь в воссоздании образа «бабо Зара» А. Антоновской оказала книга А. Ф. Швейгер-Лейхенфельда «Женщина», С. — Петербург, 1885.

<sup>39</sup> Пл. Иоселиани, Жизнь Великого Моурава..., 1848, стр. 43—44

<sup>40</sup> Там же, стр. 39—41.

<sup>41</sup> «Два года в Константинополе и Море (1825—1826)», изд. второе, исправленное, Санкт-Петербург, 1829, стр. 90—93.



ческая (карательная) система Оттоманской империи и беспощадные способы проведения ее администрацией султанов не претерпели каких-либо значительных перемен в течение столетий (XVII—XVIII вв.), А. Антоновская сочла возможным перенести во времени историю жизни Афендули, естественно вводя ее в композицию VI книги и органически в его фабулу.

Широко развернута в романе (в I и, особенно, в IV книгах) тема русско-грузинских взаимоотношений в первой четверти XVII века, рассматриваемая автором в плане искренней и давнишней дружбы, складывавшейся в те суровые времена между двумя единоверными народами. В свете разворачивающихся на страницах романа событий становится очевидной вся правдивость выраженной в «Великом Моурави» концепции о далеких корнях русско-грузинской взаимосвязи, освещенной писательницей в плане реальной исторической перспективизмы. С этой целью вводит она в сюжет «Великого Моурави» мастерски написанный эпизод военной помощи терских русских стрельцов и казаков грузинским ополченцам и дружинникам, ведущим в Арагвском ущелье у Жинвальского моста неравный бой с полчищами персов.

Событие это, отраженное в грузинских легендах и устных преданиях и зафиксированное в известной работе В. Потто «Кавказская война», трансформировано автором в 31-ой главе IV кн. романа в высшей степени реальные эпизоды<sup>42</sup>. О том, что первоисточником автору послужила именно указанная книга В. Потто, свидетельствуют возвышенные слова русского воеводы, встречающегося как в «Кавказской войне», так и в тексте романа А. Антоновской: «Ребята,... ляжем костями на месте и не положим бесславия на русское имя! По заветному слову наших дедов (у В. Потто — отцов): мертви бо орама не имут!...» (кн. IV, стр. 512)<sup>43</sup>.

Певец дружбы и братства, А. Антоновская сумела создать живую, глубоко осмысленную картину, исполненную неподдельного гуманизма, человеколюбия и братства, идейное и эстетическое значение которой для наших дней трудно переоценить.

Работа А. Антоновской над первоисточниками, над историческими документами составляет лишь небольшую часть, одну грань той большой и сложной работы, которую проделала замечательный мастер советской исторической прозы в процессе создания монументального романа-эпопеи «Великий Моурави». Ясная историческая концепция, органическая близость автора к Грузии, ее народу в совокушности с незаурядным художественным талантом, помогли писательнице с большой убедительностью воссоздать живую, правдивую картину изображаемой эпохи, выработать четкое представление о ее материальном облике, ее людях — действующих лицах повествования, и создать, тем самым, величественную эпопею о Великом Моурави и его героическом времени.

<sup>42</sup> В. Потто. Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. I, С.-Петербург, 1887, стр. 15—16; в ссылке на стр. 16 указано, что легенда эта рассказана г. Попкой в его статье «Алла-Верды» (Военный сборник, 1861).

<sup>43</sup> В Потто, указ. работа, стр. 16.

## გულნაზ ნაღარევიძე

## გალაკტიონ ტაბიძის შვიდმარცვლიან რიტმისათვის

ლექსის რიტმზე დაკვირვებისათვის უწინარეს ყოვლისა, საჭიროა რიტმული ერთეულებისა და მათი ურთიერთმიმართების დადგენა, რიტმულ ფორმათა სხვადასხვაობის აღნუსხვა და გაანალიზება. სტატისტიკური მეთოდით მუშაობის დაწყებამდე წინასწარვე უნდა ვიცოდეთ, რას ვითვლით, რის სტატისტიკას ვაწარმოებთ.

რუსულ ლექსმცოდნეობაში ლექსის საზომის (მეტრის) რიტმული ვარიაციების სტატისტიკა ემყარება. ერთი მხრივ, მეტრული მახვილების სხვადასხვაობას და, მეორე მხრივ, მახვილთშორისი ინტერვალების ხასიათს. რასაც სიტყვათგამყოფები ქმნის<sup>1</sup>.

ქართულ ლექსმცოდნეობაში რიტმის სტატისტიკური მეთოდით შესწავლა დასაწყის ეტაპზეა. ამ მხრივ ერთგვარი გზამკვლევი ხასიათისაა ვეფხისტყაოსნის „სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები“, რომელიც წარმოდგენილია აკად. გ. წერეთლის რედაქციით გამოცემულ კრებულში „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“ (თბ., 1973) და ვაქა-ფშაველას „გოგოთურ და აფშინას“ რიტმული ვარიაციების სტატისტიკა შესრულებული აკაკი ხინთიბიძის მიერ („ვაქა-ფშაველას ხუთი პოემა“ თბ., 1974).

ა. ხინთიბიძის ნაშრომში, რომელიც ვაქა-ფშაველას პოემების („გოგოთურ და აფშინა“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „ეთერი“) რიტმის შესწავლას ეძღვნება, რეალური რიტმის თვალსაზრისით დამუშავებულია „გოგოთურ და აფშინას“ პირველი ორი თავი და წარმოდგენილია 9 ურთიერთგანსხვავებული რიტმული ვარიანტი. ჩვენი დაკვირვება გ. ტაბიძის შვიდმარცვლიან საზომზე არსებითად ამ ნიმუშის მიხედვით წარიმართა.

ვიდრე კონკრეტულად ვისაუბრებდეთ, თუ რა პრინციპებით ვებმძღვანელობდით გ. ტაბიძის აღნიშნული საზომის რიტმულ ვარიანტთა შესწავლისას, მოკლედ გვინდა მივუთითოთ იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა გალაკტიონის მეტრიკიდან შვიდმარცვლიანი საზომის შერჩევა.

როგორც ცნობილია, გ. ტაბიძის მეტრული რეპერტუარი ძალზე ფართოა. გარდა ტრადიციული ფორმებისა, მას არაერთი ახალი მეტრული სქემა აქვს შემოტანილი. ტრადიციულ საზომებსაც გალაკტიონი თავისებური რიტმული ნიუანსებით ამდიდრებდა. კერძოდ, შვიდმარცვლიანი საზომი, გალაკტიონის მეტრიკაში თავისებურ ადგილს იკავებს. ამ საზომს, რომელიც მანამდე შედარებით იშვიათად იხმარებოდა ქართულ პოეზიაში<sup>2</sup>, გალაკტიონმა ახლებური სული შთაბერა, გალაკტიონის არაერთი ლირიკული შედევრი შვიდმარცვ-

<sup>1</sup> А. Колмогоров. Пример изучения метра и его ритмических вариантов, «Теория стиха», Л., 1968, гл. 145.

<sup>2</sup> ა. გაშვილია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 242.

ა. ხინთიბიძე, აკაკის ლექსი, თბ., 1972, გვ. 59, 225, 59.

ლიანი მეტრით არის შესრულებული. ამ საზომმაქვავე იჩინა ჭერ კიდევ „არტისტულ ყვავილებში“ („ჰიანურები“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „გვიანი ოცნება“ და სხვ.).

შემდეგ შეიდმარცვლიანი საზომით დაწერა ისეთი ბრწყინვალე ნიმუშები, როგორცაა: „შენ რაღას იტყვი“ (I, 325), „სალამო“ (I, 277), „ქალაქ“ (II, 146), „სანამ არ დამსხვრეულან“ (IV, 33), „ეღვარე და ლომფერი“ (I, 298), „გაგონდება თუ არა“ (II, 33), „რა დროს რომანსერთა“ (II, 118) და მრავალი სხვ. საერთოდ შეიდმარცვლიანი საზომით გალაქტიონს 190 ლექსი აქვს დაწერილი.

შეიდმარცვლიანი საზომი სამი ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავებული სახეობის შემცველია. სრულიად სხვადასხვაგვარი რიტმული წყობა აქვთ გალაქტიონის ამ სტრიქონებს:

1. ყვავილებზე მღერინ (4//3)
2. ბუტალორის შეხლა (2//2)
3. ყორნების საუბარი (2//4)

თითოეულ მათგანზე უფრო ნათელი წარმოდგენა რომ შეგვექმნას, ვნახოთ მთლიანი სტროფებით:

1. გატრეცლ და შტვერიან  
ცას სინათლე კლებია,  
ყვავილებზე მღერინ,  
რა დროს ყვავილებია. („რა დროს რომანსერთა“)
2. მიღის ოპერა „ლაქვე“,  
ბუტალორის შეხლა,  
განა ეს არის საქმე?  
მე სულ სხვას ვუიქრობ ეხლა. („ჰიანურები“)
3. გზა იყო უღებური,  
უსახო, უპირქუბო,  
მაქონდათ შავი კუბო,  
ყორნების საუბარი. („ათოვდა ზამთრის ბაღებს“)

გალაქტიონის შეიდმარცვლედები სწორედ ამ სამი სხვადასხვა სახეობის მიხედვით იქნა კლასიფიცირებული<sup>3</sup>.

190 შეიდმარცვლელიდან სქემით 4//3 გალაქტიონს დაწერილი აქვს 94 ლექსი. სქემით 5//2—95 ლექსი, ხოლო სქემა 3//4, რომელიც საერთოდ იშვიათია, ფაქტობრივად ერთ ლექსში დომინანტობს, თუმცა იგი ზშირად არის ჩართული სხვა საზომით შესრულებულ ლექსებში. შეიდმარცვლიანი საზომით დაწერილ სტრიქონთა საერთო რაოდენობა 3882 შეადგენს.

ერთი რომელიმე სქემით შესრულებული ლექსი ზოგჯერ ირევს სხვა სქემის სტრიქონებს. მაგალითად, ლექსში „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, რომელიც ძირითადად მიჰყვება სქემას 3//4 („დარეკე, დაუბერე“), გვხვდება 5//12 სქე-

<sup>3</sup> მათითებულია გ. ტაბიძის თხზულებათა თორმეტრეკლეს მიხედვით.

<sup>4</sup> 5//2-ის შებრუნებული წყობა 2//5 დამოუკიდებელ წყობას არ ქმნის, იგი ფაქტურად 4//3-ის სახესხვაობაა, რამდენადაც ხუთმარცვლიანი რიტმული ერთეულებს კიდევცია ჩვეულებრივად სამი მარცვლია, ამიტომაც, რომ 2//5 გალაქტიონს ყველაზე ზშირად 4//3 წყობის ლექსებში აქვს ჩართული. მაგალითად:

დგება თეთრი დღეები 4//3

რადებებს სეზონი, 4//3

გაჩნდნენ ორხიდეები, (2//5)

ყოვლად უმიზეზონი (2//5) („დგება თეთრი დღეები“, ტ. II, 112).

მით დაწერილი სტრიქონი („თმაგაწეწილი ქალი“). 5//2-ით დაწერილ ლექსში „ალმართი“ (VI, 186) გვხვდება სტრიქონი—„ნიში ნათელისმცემლის“, რომელიც ფაქტობრივად 4//3 სქემის კუთვნილებაა და ა. შ. მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირი არ არის. საერთოდ, ვალაკტიონი ერიდება შვიდმარცვლედის სახეობათა შერევას. ეს არის პრინციპული სხვაობა წინააღმდეგ პოეტებთან შედარებით.

სქემათა შერევის სტატისტიკა სტრიქონთა რაოდენობის მიხედვით ასეთია:

ცხრილი 1				
სქემები	4//3-ში	5//2-ში	3//4-ში	ჯამი
4//3	1842	9	—	1851
5//2	72	1727	1	1800
3//4	205	17	9	231

როგორც ვხედავთ, შვიდმარცვლედის სქემები მაინცაღმამინც არ გადაღიან ერთმანეთში. ვალაკტიონი ერთ ლექსს, ჩვეულებრივად, ერთი რომელიმე სქემით წერს. საილუსტრაციოდ:

ვაგონდება თუ არა კარალეთის დღეები, მთების ლურჯი კამარა უცხო სამოთხეები?	კიდევ შეგჩნა თუ არა მხიარული თვალები? თუ დრომ გადაუარა და ჩაუქრო ალები?
--	--

მივდიოდით მხარღამხარ  
 და დრო გვეუარესა,  
 აწ არ ვიცო სადა ხარ  
 და რომელსა მხარესა.

(„ვაგონდება თუ არა“ 11, 33)

ყველა სტრიქონის კადენცია სამმარცვლიანია. ლექსის მეტრული სქემა არის 4//3 (2//5-ს, როგორც აღრე მივუთითეთ, კადენცია სამმარცვლიანი აქვს). ამის საპირისპიროდ ლექსი „კახეთის მთვარე“ (II, 95 დაწერილია სქემით 5//2. არც ერთი სტრიქონი ამ სქემიდან არ უხვევს. ყველას კადენცია ორმარცვლიანი აქვს. საილუსტრაციოდ:

ცა ვარსკვლავების ჭიკით გადაფარული არის, — ია ტყეების იქით მოჩანს ბუნავი მთვარის. ჩვენ მივდიოდით მთაში, ვერხვი ღელავდა კობტა, სულ დაგვაფოწყდა მამინ, რაც წინაღამით მოხდა.	გრძნობა, პირველი თემა... გრძნობა, პირველი დღისით, მოგონებები ჩემი, მოგონებები სხვისი. გრძნობა, ცხოვრება ზღვავა... გრძნობა, იცვლება მხარე, მთვარე კახეთში სხვაა, სხვაა თბილისში მთვარე.
---	---

შვიდმარცვლედში შემავალ ლექსთა და სტრიქონთა სინშირეები ასეთია:

სქემები	ლ ე კ ს ე ბ ი		ს ტ რ ი ქ ო ნ ე ბ ი	
	აბს. სინშირე	%-ობით	აბს. სინშირე	%-ობით
5//2	95	50%	1800	46,1%
4//3	94	49,5%	1851	47,7%
3//4	1	0,5%	231	6,2%

როგორც ვხედავთ, ჩვენ მიერ გამოყოფილი სქემები შეიღმარცვლელისა სულთა სილაბურ პრინციპს ემყარება. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კადენციის მარცვალთა ოდენობით. ორ-სამ- და ოთხმარცვლიანი კადენციები დიამეტრულად განსხვავებულ სქემებს ქმნიან.

შეიღმარცვლელის სქემებზე დაყოფა სიტყვათმახვილის იგნორირებას არ იწვევს, პირიქით, იგი რეალური მეტყველების, რეალური რიტმის გამოძახილია. ამიტომ აქვს აზრი და მნიშვნელობა შეიღმარცვლელის სქემათა სტატისტიკას. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი რეალურ წარმოდგენას გვაძლევს ნაწარმოების ცოცხალ, მოქმედ რიტმზე.

მით უფრო ვერ დაემყარება მახვილთა განლაგების პრინციპს შეიღმარცვლელის სქემათა შიდა ვარიაციები, რომლებიც რეალური რიტმის შესაბამისად მახვილთა სრულიად განსხვავებული კონფიგურაციით ხასიათდება. სქემათა ვარიანტებში მახვილთა რიგი და რაოდენობა ცვალებადობს იმისდა მიხედვით თუ რამდენ მარცვლიანია სიტყვა, ანდა როგორ სინტაქსურ მიმართებაშია მეზობელ სიტყვასთან. მაგალითად, სქემა 5//2-ის ვარიანტები: 23//2 („რაზე ღრილეებს ფაზი“), 5//2 („კავკასიონის მთები“) და 14//2 („და ისტორიის ჩრდილის“) მახვილთა სხვადასხვა რაოდენობას თუ განსხვავებულ რიგს საჭიროებს.

ამრიგად, შეიღმარცვლელის სქემათა შიდა ვარიაციების გამოყოფაც წმინდა სილაბურ პრინციპს უნდა დაექვემდებაროს. ერთმანეთისაგან უნდა გამოიყოს სიტყვათა სილაბური ოდენობანი, ვერსიფიკაციული ფუნქცია უნდა დაეკისროს სიტყვათა გამოყოფებს.

შეიღმარცვლიანი საზომის სქემათა რიტმული ვარიანტები გ. ტაბიძის ლექსებში გარკვეული პრინციპების მიხედვით იქნა დაძებნილი. ანგარიში გაეწია კომპოზიტებს, პროკლიტიკებსა და ენკლიტიკებს, სინტაგმებს. გრამატიკულსა და ლოგიკურ-ემოციურ პაუზებს. სიტყვათა მარცვლობრივი შედგენილობა ციფრებით იქნა აღნიშნული. მეტრული ზღუდე ცეზურის აღმნიშვნელი ხაზებით—//, ხოლო გრამატიკული ან მკვეთრი ლოგიკურ-ემოციური პაუზა—ცალი ხაზით—/; სინტაგმებისა და პროკლიტიკა-ენკლიტიკების აღსანიშნავად შემოღებულ იქნა ფრჩხილები. მაგალითად, „ქიანურების“ სტრიქონები: „განა ეს არის საქმე“, „მჭერა მე შენი ძმობა“ და „ოჰ! როგორ მღუპავს გრძნობა“ — სამმარცვლიანი რიტმული ერთეულის სამ განსხვავებულ ვარიანტს შეიცავს: „ეს არის, „მე შენი და „ოჰ! როგორ“, პირველი, როგორც სინტაქსური კავშირის მქონე ვარიანტი, ამგვარად აღინიშნება: 3(12); მეორეში ლოგიკური პაუზა სიტყვათა გაერთიანების საშუალებას არ იძლევა: 12; მესამეში კი გრამატიკული პაუზა სიტყვებს ერთმანეთისაგან თიშავს: 1/2. ურთიერთისაგან განსხვავებულად გვაქვს წარმოდგენილი მთლიანი სიტყვები და კომპოზიტები, მაგ., ზღაპარი — 3, მთა-ბარი — 3 (1+2).

ამ პრინციპების მიხედვით გ. ტაბიძის 190 შეიღმარცვლიანი ლექსის 3882 სტრიქონმა 199 რიტმული ვარიანტი მოგვცა. ვურთავთ ვარიანტების ნუსხას თავიანთი საილუსტრაციო მასალით:

## 4//3

1. 11/2//3 — იქ გზა, კლდეთა რღვევიდან („სარკმელი“, V, 192).
2. 11/2//3 (21) — შენ კი, ყრმაო, ვინა ხარ („გარაზისხვევის სიზმრები“, VII, 180).
3. 1/12//3 — დღეს, როს შავი ღრუბელი („მტევანი, ვაზის ჭვარი“, I, 56).



4. 112/13 (12) — შენ კი ძალვიძს თუ არა („შენ კი ძალვიძს თუ არა“, VII, 98).
5. 112//3-ის შლის ლექსთა ფართობებს („თვითეული პოეტი“... III, 350).
6. 112 (11)1//12-მათ კი არ სწამთ არც მღვდელი („საეკლესიო შაირები“, VII, 168).
7. 112//3 (1+2) — და მას უსმენს მთა-ველი („წიგნები ზალსს“, VI, 243).
8. 1/21//3-ზე ძალუძს რომ გადაწვას (ერთი ხისგან კეთდება“, V, 92).
9. 1/21//3 — ხან — კარგი, ხან — მწუხარე („რევოლუციონერის ხსოვნას, II, 101).
10. 1/21//21 — აჰ, მოვა თუ არა დრო („თენდება და ბილიკით“, VII, 36).
11. 121//3 — და ჩანვი ეღერს: აკაკი („წიგნები ზალსს“, VI, 244).
12. 13//3 (21) — თქვენ ისეთი კარგი ხართ („სახლი ტყის პირად“, II, 54).
13. 13//12 — არც საკურთხი, არც ტაბლა („საეკლესიო შაირები“, VII, 168).
14. 1/3//3 — წინ, ბაწარზე ორეულ („ბაწარზე“, II, 271).
15. 13 (12)//12 — ზალსს არ უნდა მავ შენი („საეკლესიო შაირები“, VII, 168).
16. 13(21)//3(12) — ის შრომობს და არ ჰყვედრის („თვითეული პოეტი“, III 350).
17. 13(1+2)//3 — ღლეს ნორტ-დამთან სნებიან („მისტერია წვიმაში“, IV, 52).
18. 1/3(12)//3 — მე — სხვა სულის ამარა („ბინდის დიდი კამარა“, VII, 163).
19. 13//21 — შენ წელანა სიტყვა სთქვი („ასი წლის ჰადარი“, VI, 96).
20. 1/3//21 — ო, რამდენი ძალა სცენს „ფირუზისფერ ტალღებზე“, VI, 278).
21. 13(12)//3 — ხნის არ არის შენისო („ასი წლის ჰადარი“, VI, 96).
22. 13(21)//3 — ზეს შიგინთ აქვს რგოლები („ასი წლის ჰადარი, „VI, 96).
23. 13//3(12) — ღლეს არავენ ერთ ადგილს („აბა კარვალ დაფიქრი“, VI, 163).
24. 13(12)//3(21) — აჟ არ ვიცი სადა ხარ („გაგონდება თუ არა“... IV, 34).
25. 13//3 — თქვენ პოეტი ბრძანდებით („სახლი ტყის პირად“, II, 54).
26. 13//3[41 (3+3)] — ან სიგიჟე-მორეულ („ბაწარზე“, II, 271).
27. 1/3(12)//3(12) — ოჰ, არ გესმის ეს ოხერა? („ქალწული“, I, 241).
28. 13//12(11) — ან „იყიდეთ“ ან „თუ კი“ („ეხლა ღენდი დარბის“, III, 174).
29. 13(12)//21 — ძირს ზღვა იყო, კიდე კი („დიდხანს, დიდხანს ვიდეკი“, VII, 107).
30. 1/(21)//3 — ო, ალვის ხის შევენება („ალვის ხის გადარჩენა“, II, 83).
31. 13//21 — ან საიდან იცი, რომ („ასი წლის ჰადარი“, VI, 96).
32. 2(11)//3 — რას ჰგავს უცხო მხარეში („მატარებელში“, VI, 29).
33. 211//21 — მიყვარს მე ამ ჰადრის ქვეშ („ასი წლის ჰადარი“, VI, 96).
34. 22(11)//3(12) — სანამ ღეთის ფიცს არ მოგცემს („გარაზისხევის სიზმრები“, VII, 189).
35. 22//12 — ჩვენი ღმერთი და ხატი „საეკლესიო შაირები“, VII, 168).
36. 22(11)//3 — ყრმობის ერთ ღღის ნაპერწკლის („ერთი ხისგან კეთდება“, V, 92).

37. 211//3 — მაგრამ მე სად მეცალა („სარკმელი“, V, 192).
38. 2/2(11)//3 — მოდის, ფეთქს და იზრდება („ალვის ხის გადარჩენა“, II, 83).
39. 22//3(21) — ციხის გულში ქალის ხმა („გერმანიის დილა“, IV, 163).
40. 22//21 — აგერ მოყმე იგი ზის („წიგნები ხალხს“, VI, 243).
41. 22//3(12) — თქვენი ბინა ტყის პირად („სახლი ტყის პირად“, II, 54).
42. 22//3 — ტირის ვაზი თბოლი („მტვეანი, ვაზის ჯვარი“, I, 56).
43. 2/2//3 — წყნარად, მთებმა იღუმალ („შენ კი ძალგის თუ არა“, VII, 98).
44. 2/2//3(21) — ჩანვო! ბევრი კარგი დრო („ჩანვო, ბევრი კარგი დრო“... IV, 73).
45. 2/2//3(12) — პაპა, ნეტა ეს დევი („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
46. 2/2//2/1 — რაი, პაპა, აბა, რა! „ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
47. 22//1/2 — მხოლოდ გრძნობა; ოპ, გრძნობა („მხოლოდ გული“... II, 98).
48. 22//3(111) — მშიერს ნება რად არ აქვს („ეხლა დენდი დარაბის“, III, 174).
49. 22//3(1+2) — მსგავსი სადმე მთა-ველად („წიგნები ხალხს“, VI, 243).
50. 2/2//1/2 — აბა, მაშინ კი — თავი (დიდად მქვერმეტყველობენ“, 1, 364).
51. 3(12)/ 1//3(21) — რა უეუოთ, რომ ბევრი რამ („გამოდიხარ სცენაზე“, VI, 79).
52. 3(12)/1//3 — არ ეფიქრობ, რომ ყოველი („დარჩება“ სსოვნად შთამომავლობას“, V, 247).
53. 31//3 — დაგინდობს ან მორევი („ბაწარზე“, II, 271).
54. 3/1//3(12) — იცოდეს, თუ არ იცის („ენა მშობლიურ მიწის“, VII, 100).
55. 3(12)/1//3 — რა სიტყვა ესთქვი, ისეთი („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
56. 3(21)/1//12 — ბევრი რამ მაქვს მე თქვენთან („ბევრი რამ მაქვს“... VI, 232).
57. 31//21 — აქედან არც ისე შორს („ვარაზისხევის სიზმრები“, VII, 182).
58. 4//3 — საშინელი ზმანების („მატარებელში“, VI, 28).
59. 4//12 — გამოვიდა ის დილით („გერმანიის დილა“, IV, 163).
60. 4(2+2)//3 — მრავალთ-მრავალ წიგნების („წიგნები ხალხს“, VI, 243).
61. 4//3(1+2) — დაითოვლა მთა-ბარი („თეთრი ქარები“, II, 222).
62. 4//3(21) — დაიღუპა ჩემი ძმა („აბისინელი ჯარისკაცი“, IV, 96).
63. 4//21 — სათხოვარი: ვინაც კი („ქობულეთი“, VII, 87).
64. 4(13)//12 — იმ ადვილას, სად ეხლა („გული მთხოვე, მეგონა“, VII, 25).
65. 4(31)//3(12) — ჩემისა და ამ ჭადრის („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
66. 4(112)//3(12) — „მე და ლამე“ ეს არის („გამოდიხარ სცენაზე“, VI, 73).
67. 4(31)//12 — მიწამა და ზღვამ იცის („ჩემო კარგო ქვეყანავ VII, 31).
68. 4//3(12) — გაგონდება თუ არა („გაგონდება თუ არა“, II, 73).
69. 4(13)//3(21) — რომ გავიგე თანა გაქვთ („ზღვის პირს დასახლებულ-ხარო“, III, 274).

71. 4(13)//3(12) — რა სინათლე, რა ხალხი („აი, იმ ადგილიდან“, VI, 277).
  72. 4//3(61) — ასოთამწყობების გზამ („წიგნები ხალხს“, VI, 243).
  73. 4//7) — გამოგიდარებით („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
  74. 4//3(16) — სულ არდადეგებია („ცაო, ზღვაო, ბიჭვინთა“, VI, 78).
  75. 4(13)//3 — ამ თეატრში გრგვინავდა („სტორიუმოხვეული, IV, 176).
  76. 4//3[16(3+3)] — აქ სიმკვეთრე-სიღბილის („მზეა ისე მგზნებარე“, IV, 17).
  77. 4//3[16(15)] — მას არ ახასიათებს („განა მისთვის ამშვენებს“, III, 359).
  78. 1/1//5(14) — გრძნობს, რომ ეს ენერგია („თვითეული პოეტი“, III, 350).
  79. 11//14 — აქ კი ცის შუაგულში („სარკმელი“, V, 192).
  80. 1/1//41—ვია, თუ ძველებური ხმით („გული მთხოვე მეგონა“ VII, 25).
  81. 1/1//5 — გთხოვ, ნუ ჩამომერთმევა („ეს გრძნობა სიბოროტედ“, IV, 56).
  82. 11//5 — აქ არ გამოიხარებს („თვითეული პოეტი“, III, 350).
  83. 2//41[(2+4)]. — ქექა-ქუხილამდე კი („სალამო პარიზში“, IV, 106).
  84. 2//4/1 — ჩანვო! დამიმტკიცე, რომ („ჩანვო, ბევრი კარგი დრო“, IV, 73).
  85. 2//4(13)1— ხელი იმ წამების დროს (მეგობარს“, II, 161).
  86. 2//14 — ტანჯვით და რეფლექსიით („ისევ ტყეში“, II, 204).
  87. 2//5(23) — გაზეთ „პირი სუარის“ („სალამო პარიზში“, IV, 106).
  88. 2//14(1+3) — ისე ჩვენ ორბ-შეეარდენს („სარკმელი“, V, 192).
  89. 2//5[(2+5)] — წყევა-უკუღმართობას („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
  90. 2//5 — მახსოვს ხორავაულის („მახსოვს ხორავაულის“, VII, 24).
  91. 2//5(1+4) — დროებს ვარდ-ყვავილიანს („ჩემო კარგო ქვეყანა“, VII, 31).
  92. 2//5(3+2) — დღეთა წყებათა-წყებას („სასწავლო წლის დაწყება“, VI 31).
  93. 2(11)//5— ლექსს რომ აშლამინებს („ენა მშობლიურ მიწის“, VII, 100).
  94. 2//5(4+1) — ღამე მოიშხამა-რა („ბინდის დიდი კამარა“, VII, 163).
  95. 2//41—დადგა ყოველივე ეს („თვალწინ ზღვა აღიმართა“, VII, 30).
  96. 2//131—თი, ეს შეზნელი დრო („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
  97. 2(11)//41 — რომ ამ წუთისოფლის გულს („ილიას მოტივი“, IV, 187).
  98. 2//5(2+3) — მოსპეთ ჩალამ-კალამი („ქობულეთი“, VII, 87).
  99. 2//5(41) — პაპა, დიდებული ხარ! („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
  100. 2(11)//5(14) — სხვა ბაღს ნუ შეადარებს („ქობულეთი“, VII, 87).
  101. 2//5(14) — გულმა არ დამიშალა („მთელი კვირა დაყვავი“, VII, 147).
- 5//2
1. 113//2-მე შენს ყვავილებს ვზოგავ („მე ყვავილებს ვზოგავ“, V, 203).
  2. 11/12(11)//2 — გინდ, აქ, გინდ ცხრა მთის იქით („სადაც არ უნდა ვიქნეთ“, VI, 259).

3. 1/1/3//2 — წინ, სამშობლო მხარეც („წინ წინ, სამშობლო მხარეც“, VI, 262).
4. 1/13(12)//2 — ო, ეს არ არის პანგი („გადაფრენა“, VII, 162).
5. 113(21)//2 — შენ ხომ გმირი ხარ შრომის („მე ყვავილებს ვზოგავ“, V, 209).
6. 113(12)//2 — და როს ცის არის მშვილდი („მე მივდიოდი ერთი“, VII, 42).
7. 1/22//2 — და — აქვე არის სახლი („მატარებელიდან“ VI, 241).
8. 122//2 — არც მათი დაფნა მინდა („საუბარი ტალღებთან“, VI, 79).
9. 122(11)//2 — შლის ჩვენი მთა და ველი „შვიდი ახალი წელი“, VI, 313.)
10. 12/2//2 — და გულიც, ჩანგიც მღერის („ხიდი“, VI, 36).
11. 1/2/2//2 — ო, ნეტავ, ნეტავ, ნეტავ („მადლობა დედას“, VI, 165).
12. 1/22//2(11) — ვთქვათ — წიგნთა მრავალ ზღვა ტომს „შვიდი ახალი წელი“, VI, 313).
13. 1/2/2(11)//2(11) — ო, ზღვაო, რა ხარ, რა ხარ („ო ზღვაო, რა ხარ, რა ხარ“, VI, 311).
14. 12(11)2//2 — მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა („ჭიანჭურები“, I, 304).
15. 1/13//2 — ის: ხომ გასრისე, გველო („დრამა ერთი ბინისა“, III, 108).
16. 131//2 — თვით ფოლადი ქღერს, მღერის („არუსთავი“, — VI, 202).
17. 14//2 — საღ დასასრული იყო („საღ დასასრული იყო“, I, 292).
18. 14(13)//2 — თვალს არ ეკიდა ძილი („არსებობის გული“, I, 290).
19. 14//11 — ხან უშმაფრესი, ხან კი („დღიმიტრი გულიას“, IV, 231).
20. 14(31)//2 — გზა მემორის და მართლის („ბორის ნიკოლაიშვილს“, II, 204).
21. 1/4//2 — ან — დასაღუბად დამდგარს („კაფეში“, I, 325).
22. 1/4(2+2)//2 — წინ, ახალ-ახალ ნათელ („აწმყოს დიდება დიდი“, IV, 159).
23. 1/4(1+3)//2 — შენ, ღვთისშობელო კარის („სალამო“, I, 277).
24. 14//2(11) — ცა დაამუქა წყნარ სულს („სულ რამდენიმე წლის წინ“, II, 227).
25. 14(2+2)//2 — დღის ახალ-ახალ ქარის („ოცნება და სინამდვილე“, III, 25).
26. 1/4(112)//2 — ო, რა თქმა უნდა! ბრძოლა („წარწერა წიგნზე“, III, 27).
27. 1/4(31)//2 — მზე, პოეტი და გმირი („ოცნება და სინამდვილე“, III, 25).
28. 2/21//2 — ღვით, ძენძით და ქვიშით („სალამო“, I, 227).
29. 2/2//2 — დღემდე შენ თუმცა გქონდა („დრამა ერთი ბინისა“, III, 106).
30. 2/3(21)//2 — ლაკმე, სადა ხარ, ლაკმე! („ჭიანჭურები“, I, 304).
31. 2/12//2 — ტკბილი, ვით ზეცის ბანგი („დღიმიტრი გულიას“, IV, 231).
32. 2(11)3//2 — ამ დღეს ზამბახებს ყიდდა („გაპქრენ ზაფხულის დღენი“, II, 198).
33. 2(11)/3(21)//2(11) — ან მე, ანუ შენ, ან ის („ისეთნაირად გაქჭრა...“ VII, 27).

34. 2(11)3(21)//2 — არ აქვს თმენა და რიგი („შეიდი ახალი წელი“, VI, 313).
35. 2(11)3(12)//2 — კაცთ კი არ მისცემ პასუხს („გაურკვეველობა“, IV, 40).
36. 2(11)1/2//2 — აქ კი — ის, შენი წინო („ო, ნანა, ნანა, ნანა“, VI, 250).
37. 2(11)/3//2 — და ვერძნობთ, ცივია ტილო („ილია მღერის-ვაჰმე“, III, 278).
38. 22/1//2 — მშეიდი დღეა, თუ ქარი („ჯარი სიმღერით მიდის“, V, 110).
39. 23//2 — როდის იფეთქებს ომის („უნდა ბოლო მოედოს“, III, 89).
40. 2/3//2 — ვიწრო, უცნობი ქუჩის („სად დასასრული იყო“, I, 292).
41. 23(12)//2 — ფიქრი ერთ ლამაზ ქალზე („არსებობის გული“, I, 290).
42. 23(21)//2 — ყრმობის სევედა და რული („არსებობის გული“, I, 290).
43. 2/3//2(11) — გვექოთ — შევხვედეთ მხეს და („სიმღერა“, III, 320).
44. 2/3(12)//2 — მეტყვიით: ეს იყო სრული („რისთვის მაკონნებ ვაზზე“, V, 170).
45. 2/3(111)//2 — იცი, ამ შენს ბაღს შრომის („მე შენს ყვაეილებს ვზოგავ.“ V, 204).
46. 23//2(11) — თავის ქალებად და ძელად („მე უშიშარი ლომი“, VII, 74).
47. 23//2(1+1) — ყველას მიუზღავს მის-მისს („შეიდი ახალი წელი“, VI, 313).
48. 23(12)//2 (11) — თითქოს არ იცის, ამ დროს („გერმანიის დილა“, IV, 163).
49. 3(12)/2//2 — Ars longa, vita brevis („Ars longa, vita brevis“, IV, 189).
50. 3(12)2(11)//2 — სხვა ქვებში რომ ვერ გარეც („აწმყოს დიდება დიდი“, IV, 159).
51. 3(12)2//2 — და ისევ უცნობ ტყეილს („ქუჩა“, II, 298).
52. 3(1+2)2//2 — ღვარ-ღვარად მოსდის ცრემლი („ალმარტი“, VI, 186).
53. 32//2 — უნიჭო შეებას ჰპოვებს „საუბარი ტალღებთან“, VI, 79).
54. 3(21)11//2 — ახალ წელს გზა ხედეს ჩემი („ახალი წელი“, V, 184).
55. 3(2+1)2//2 — შორით-შორს შლილი ფრთები („მშვენიერია ქელი“, VII, 27).
56. 32(11)//2 — სტუდენტებს ძველს თუ ახალს („კიდევ, კიდევ და კიდევ“ VII, 124).
57. 3(21)2//2 — ხალხის და მხოლოდ ხალხის („წინ, წინ, სამშობლო მხარეც VI, 262).
58. 3/2//2 — აფხაზო! გაპქრა დაღლა („ო, ზღვის პალმის რტოო!... VI, 273).
59. 41//2 — დემონინის ჰგავს წარბებს („მგზავრის სიმღერა“, II, 213).
60. 4(13)1//2 — რა სიტყვებიც არ ითქვა („სდღმს ძველისძველი ცხუმი“, VI, 26).
61. 5//2 — კაპიტალიზმის ობი („უნდა ბოლო მოედოს“, III, 89).
62. 5(2+3)//2 მიწერ-მოწერა ძველი („ქრონიკა ერთი დღის“, I, 394).
63. 5//2(11) — ბენიერება ჩვენს ხალხს („ახალი წელი“, V, 184).
64. 5(2+3)//2(11) — კაფე-მანტანის გზით თუ („რაც არ ყოფილა—არის“, III, 132).
65. 5(1+4)//2 — ზეაღმართულა ჯვარი („ელეგია დღევანდელი“, VII, 11).



66. 5(14)//11 — არ დამავიწყებს მე მათ („ერთხელ... (20 წლის წინათ)“, V, 12).  
 67. 5(14)//2(11) — რა დაემართა, რა სურს („გაურკვეველობა“, — IV, 41).  
 68. 5(14)//2 — არ ასვენებდა ღამეს („არსებობის გული“, I, 290).  
 69. 5(41)//2 — ქუთაისსა და თბილისს („შენ რაღას იტყვი ყანა?, I, 325).

## 3114

1. 1/2//4 — სტყევი: მასზე იტყვიანო („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
2. 1/2//13(12) — აქ, ეხლა ქვაც არ არის („დილა გამარჯვებისა“, V, 231).
3. 1/2//4(1+3) — ან, როგორც ასომთვარეულს („სალამო“, I, 277).
4. 12(11)//4(2+2) — აქ ერთ ღროს ძველისძველათ („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
5. 12(11)//22 — და შთებს კი ღამის ჩრდილი („ქალწული“, I, 241).
6. 12//4(2+2) და ხმები: „აი-ია“ („აი-ია“, VII, 118).
7. 12//4[(1+1)2] — და ქალმა, ის-ის იყო („მე მახსოვს მისი სახე“, IV, 186).
8. 12//4 — კვლავ ველარ ვიოცნებო („გული მოხოვე მეგონა“, VII, 25).
9. 1/2//4(13) — ეჭ, თუნდაც იმ მოტივით („ილიას მოტივი“, IV, 187).
10. 2/1//4 — მინდა, რომ ცოტაოდნად („ეს გრძნობა სიბოროტელ“, IV, 56).
11. 21//4(13) — გულში ეღერს რა ხანია („ილიას მოტივი“, IV, 187).
12. 3//4 — უსახო, უპირქუბო („ათოვდა ზამთრის ბაღებს“, I, 320).
13. 3//4[7(3+4)] — წვიმიან-მტვერიანი („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
14. 3(21)//4 — ბუკი დ პიანინო („ო, ნანა, ნანა, ნანა“, VI, 250).
15. 3//13 — შეიღებო, ეგ ჭადარი („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
16. 3(12)//4(13) — კარგ მშობას რა სჯობია („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
17. 3(21)//4(2+2) — მიინც რა ჭეჭა-ქუზილით („ახალი წელი“, V, 184).
18. 3//4(2+2) — შლილია კეცა-კეცა („უსპეტაცესი ზეცა“, VI, 289).
19. 3(1+2)//4 — ჭვარტ-კვამლით დანაბური („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
20. 3(12)//4 — თუ არის პოეზია („გამოდიხარ სცენაზე“, VI, 73).
21. 3(21)//22 — ჩემი ხნის უნდა იყოს („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
22. 3(21)//13 — შენა და ეგ ჭადარი („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
23. 3//22—პირველი — თქვენი ნაზი („ბევერი რამ მაქვს...“, VI, 232).
24. 21//4 — გიყვართ ხომ ერთმანეთი („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
25. 21//4(1+3) — ვიღაც დე ლილ—ადანის („გვიანი ოცნება“, I, 281).
26. 12//22 — რომ ხარობს მოდგმა ჩემი („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
27. 3(12)//13 — რას ნიშნავს ჩვენს მხარეში („მატარებელში“, VI, 28).
28. 111//4 — ეს ხე კი გადაეჭრათო („ასი წლის ჭადარი“, VI, 96).
29. 2/11/1//4 — სხვა გზა, ან რკინიგზები („ტყე, მინდორი და თხემი VII, 117).

მამასაღამე, სქემა 4//3 შეიცავს 101 ვარიანტს (50%), 5//2—69-ს (35%), 3114-29-ს (15%). შვიდმარცვლელთა ამ რიტმული ვარიანტების სიხშირეები თითოეული სქემის მიხედვით მოცემულია ცხრილებში (3, 4, 5). ვარიანტები დალაგებულია სტრიქონთა მეტ-ნაკლებობის მიხედვით:



4//3

№ რიგზე	რიტმული ვაიანტები	ასოლუტური სიხშირე	№ რიგზე	რიტმული ვაიანტები	ასოლუტური სიხშირე
1	2//5	372	52	4(13)//3(21)	3
2	4//3	347	53	4(13)3(12)	3
3	22//3	321	54	1//1/5(14)	3
4	13//3	132	55	11//14	3
5	2//14	59	56	2//5/7(2+5)/	3
6	31//3	47	57	22//3(1+2)	3
7	2/2//3	46	58	3(21)//12	3
8	2(11)//5	41	59	11/2//3	3
9	2//5(14)	36	60	4(31)//12	3
10	11//5	32	61	4//3(16)	3
11	4(31)//3	27	62	4//3/16(3+3)	3
12	112//3	21	63	2//14(1+3)	3
13	22(11)//3	18	64	2//4(13)1	3
14	4(13)//3	18	65	2/2//2/1	3
15	13(21)//3	15	66	22//3(111)	3
16	2(11)//3	14	67	2/2//1/2	3
17	22//3(12)	14	68	3(12)/1//3(21)	3
18	2(11)//5(14)	13	69	3(12)/1//3	3
19	22//12	13	70	3/1//3(12)	3
20	4//5(12)	13	71	3(12)1//3	3
21	121//3	12	72	31//21	3
22	4//12	12	73	11/2//3(21)	3
23	4//3(7)	11	74	13(12)//3(21)	3
24	13(12)//3	10	75	13//3[1(3+3)]	3
25	1/3//3	10	76	1/3(12)//3(12)	3
26	2//5(2+3)	9	77	13//12(11)	3
27	13//21	8	78	13(12)//21	3
28	2/2(11)//3	7	79	1/3(21)//3	3
29	13//12	7	80	13//2/1	3
30	4//21	7	81	211//21	3
31	22//21	6	82	13(12)//12	3
32	1/3(12)//3	6	83	112(11)//3(12)	3
33	2//5(23)	6	84	112//3(1+2)	3
34	2//5(1+4)	6	85	1/21//3	3
35	21//3	5	86	1/21//3	3
36	32//3(21)	5	87	1/21//21	3
37	4//3(1+2)	5	88	13//3(21)	3
38	4//3(21)	5	89	13(1+2)//3	3
39	1/1//5	5	90	1/3//21	3
40	2//5(41)	5	91	4(13)//32	3
41	2/2//3(12)	4	92	4(31)//3(12)	3
42	22(11)//3(12)	4	93	4(112)//3(12)	3
43	2//5(3+2)	4	94	4//3(61)	3
44	2//41	4	95	4//3(16)(15)/	3
45	2/2//3(21)	3	96	2//41/6(2+4)1/	3
46	22//1/2	3	97	2//4/1	3
47	13//3(12)	3	98	2//5(4+1)	3
48	1/12//3	3	99	2(11)//41	3
49	112//3(12)	3	100	2//131	3
50	13(21)//3(12)	3	101	1//1/41	3
51	4(2+2)//3	3			3

5//2

ცხრილი 4

№ რიგზე	რიტმული ვარიანტები	ამსოლუტური სინაიოე	№ რიგზე	რიტმული ვარიანტები	ამსოლუტური სინაიოე
1	23//2	606	36	1/4(1+3)//2	2
2	5//2	321	37	14//2(11)	2
3	14//2	234	38	1/4(31)//2	2
4	2/3//2	85	39	2//2//2	2
5	32//2	70	40	2(11)3//2	2
6	5(14)//2	58	41	3(1+2)//2	2
7	2(11)3//2	50	42	5//2(11)	2
8	25(21)//2	49	43	32(11//2	2
9	23(12)//2	42	44	1/13(12)//2	1
10	122//2	36	45	113(21)//2	1
11	5(11)//2	26	46	122(11)//2	1
12	2/3(21)//2	29	47	1/22//2(11)	1
13	5(12)2//2	20	48	1/2/2(11)//2(11)	1
14	1/4//2	16	49	12(11)2//2	1
15	14(31)//2	15	50	131//2	1
16	3(21)2//2	14	51	14//11	1
17	14(13)//2	13	52	1/4(2+2)//2	1
18	2/2//2	11	53	14(2+2)//2	1
19	113//2	11	54	1/4(112)//2	1
20	5(2+3)//2	8	55	2(11)3(21)//2(11)	1
21	3/2//2	6	56	2(11)1/2//2	1
22	1/2/2//2	6	57	221//2	1
23	2/3(12)//2	6	58	2(11)3(21)//2	1
24	1/22//2	5	59	2/3(111)//2	1
25	1/13//2	4	60	23//2(11)	1
26	2(11)3(12)//2	4	61	23//2(1+1)	1
27	3(12)2//2	4	62	23(12)//2(11)	1
28	2/21//2	3	63	3(12)2(11)//2	1
29	2/3//2(11)	3	64	3(21)11//2	1
30	5(14)//2(11)	3	65	3(2+1)2//2	1
31	41//2	3	66	4(13)1//2	1
32	11/12(11)//2	2	67	5(2+3)//2(11)	1
33	1/1/3//2	2	68	5(1+4)//2	1
34	113(12)//2	2	69	5(14)//11	1
35	12/2//2	2			

3//4

ცხრილი 5

№ რიგზე	რიტმული ვარიანტები	ამსოლუტური სინაიოე	№ რიგზე	რიტმული ვარიანტები	ამსოლუტური სინაიოე
1	3//4	100	16	12(11)//4(2+2)	1
2	12//4	40	17	12//4(2+2)	1
3	21//4	26	18	12//4(1+1)2//	1
4	3(12)//4	12	19	1/2//4(13)	1
5	3(21)//4	11	20	21//4(13)	1
6	3//22	9	21	3//4/7(3+4)/	1
7	1/2//4	4	22	3(21)//4(2+2)	1
8	3//13	3	23	3(1+2)//4	1
9	3//4(2+2)	3	24	3(21)//22	1
10	2/1//4	2	25	3(21)//13	1
11	3(12)//4(13)	2	26	21//4(1+3)	1
12	1/1//4	4	27	2(11)1//4	1
13	1/2//13(12)	1	28	12//22	1
14	1/2//4(1+3)	1	29	3(12)//13	1
15	12(11)//22	1			





როგორც ცხრილიდან ჩანს გალაკტიონის შეიღმარცვლიან ლექსების რეალური რიტმის თვალსაზრისით ყველაზე უფრო გავრცელებულია 4//3 და 5//2 სქემების შემდეგი რიტმული ვარიანტები: 23//2, 2/5, 4//3, 5//2, 14//2, 22//3.

ქვემოთ მოთავსებულ ცხრილში წარმოდგენილია ამ, ექვსი ყველაზე უფრო გავრცელებული ვარიანტის აბსოლუტური და ფარდობითი სიხშირეები:

ცხრილი 6				
№ რიგზე	რიტმული ვარიანტები	აბსოლუტური სიხშირე	ფარდობითი სიხშირე	%-ობით
1	23112	602	0, 2	20%
2	2115	372	0,09	9%
3	4113	347	0,08	8%
4	5112	321	0,06	6%
5	22113	321	0,06	6%
6	14112	234	0,05	5%
ს უ ლ				53

როგორც ვხედავთ, ამ ექვსმა რიტმულმა ვარიანტმა შეადგინა სტრიქონთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი (53%).

ცხადია, სქემათა ეს მრავალრიცხოვანი რიტმული ვარიანტები ყველა ერთი ძალისა და მნიშვნელობის არ არის. ზოგი უფრო დამოუკიდებელია და თავისთავადი, ზოგი კი შეიძლება ვარიანტის ქვევარიანტად იქნეს მიჩნეული. მაგალითად, 5//2 სქემის ვარიანტები, 5(14)//2, 14//2 და 1/4(1+3)//2 ძლიერ ახლოსაა ერთმანეთთან, მათი შესაბამისი სტრიქონები ლექსიდან „სალამო“ ურთიერთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. შდრ.:

მთის გაგვიხებულ რუებს 14//2,  
 ლურჯ ყვავილების თელვა 5(14)//2,  
 შენ, ღვთისმშობელო კარს 1 4(1+3)//2.

ყველა შემთხვევაში დასაწყისში ერთმარცვლიანი სიტყვაა, რომელიც ხან მეზობელ ოთხმარცვლედთან შეკრულ სინტაგმას ქმნის („ლურჯ ყვავილების“), ხან მასთან არაა სინტაქსურ კავშირში და ლოგიკურ პაუზას საპირობებს („მთის გაგვიხებულ“), ხან კიდევ გრამატიკული პაუზით არის მისგან დაშორებული („შენ ღვთისმშობელო“). სამივეგან სხვაობა პაუზის ხანგრძლივობაშია. არის კიდევ ერთი მომენტი, რომელსაც კომპოზიტისა და იმავე სიგრძის სიტყვის სხვადასხვაობა ქმნის, შდრ: ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ს და ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ო. უკანასკნელი კომპოზიტია, რაც სათანადოდ გვაქვს მიითვებელი: 4(1+3). თუმცა ამ ორ სიტყვას შორის რიტმის თვალსაზრისით სხვაობა მინიმალურია. ზუთმარცვლიანი რიტმული ერთეულის ეს სამი ვარიანტი შეიძლება ერთ ვარიანტად გაერთიანდეს.

გ. ტაბიძის შეიღმარცვლედთა რიტმული ვარიანტების ასეთი სიმრავლე იმის დასტურია, რომ პოეტი არ იზღუდება წინასწარ მოფიქრებული სქემებით და მეტყველების რიტმულ ფორმათა სიღრმეში იხედება. მაგრამ საკითხავია მაინც რა სიღრმეებს წვდება პოეტი.

თეორიული შესაძლებლობა შეიღმარცვლიანი სიდიდის ვარიანტული სხვაობებისა (ზემოსხენებული სამი სქემის მიხედვით) უდრის 9775-ს, ამის გამოთვლის საშუალებას იძლევა ფორმულა:  $R(m) = 5^{m-1}$ , სადაც ციფრი 5 ვარიანტთა ურთიერთგანმასხვავებელი ტიპების აღმნიშვნელია.

სქემათა შემადგენელი სილაბური ოდენობანი 2, 3, 4 და 5 ცალ-ცალკე ვარიანტთა შემდეგ რაოდენობას იძლევიან:  $r(2) = 5$ ,  $r(3) = 25$ ,  $r(4) = 125$ ,  $r(5) = 625$ . აქედან გამომდინარე, სქემათა ვარიანტები იქნება:

$$r(4113) - 125 \times 25,$$

$$r(5112) - 625 \times 5,$$

$$r(3114) - 25 \times 125.$$

სულ 9775

როგორც ვხედავთ, შეიღმარცვლიანი სიდიდის ვარიანტთა ლოგიკურად დასაშვები ოდენობა (9775) გ. ტაბიძის შვიდმარცვლელთა ვარიანტების რაოდენობასთან (199) შედარებით ძალზე დიდია.

თუ დავუშვებთ, რომ ყველა ლოგიკურად დასაშვები ვარიანტი თანაბარ-აღზატობიანია (ყოველი მათგანის შეხვედრის აღზატობა უდრის  $-\frac{1}{9775}$ ), მაშინ 3882 სტრიქონისაგან შემდგარ არჩევანში უნდა გვქონდეს 9775

$\left(1 - e^{-\frac{3882}{9775}}\right) = 9775(1 - 0,397) = 9775 \cdot 0,603 = 5903$  რიტმული ვარიანტი. ეს რიცხვიც ასევე გაცილებით მეტია გ. ტაბიძის შვიდმარცვლელთა რიტმული ვარიანტების რაოდენობაზე.

ასეთი სხვაობის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ლოგიკურად დასაშვები ბევრი ვარიანტი პრაქტიკულად საერთოდ განუხორციელებელია, ზოგიერთი ვარიანტი კი ხშირად გვხვდება.

საინტერესო იქნებოდა ამ მხრივ გ. ტაბიძის შედარება სხვა პოეტებთან; რა სურათს მოგვეცემდა ანალოგიური ვითარება სხვა პოეტთა შემოქმედებაში. ამავე დროს საჭირო და აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა მიმართებაშია გ. ტაბიძის შვიდმარცვლელთა ვარიანტული სიხშირეები საშუალო ენობრივ ნორმებთან.

ყოველივე ამასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ გ. ტაბიძის შეიღმარცვლიანი საზომების რიტმი მხოლოდ სტრიქონთა რიტმული ვარიანტების სხვადასხვაობაზე არ არის დაფუძნებული. რიტმულ ნაირსახეობას ქმნის მთლიანი სტროფების რიტმული სახე, რაც განპირობებულია სხვადასხვა რიტმული აღნაგობის მქონე სტრიქონთა ურთიერთობით, ასევე საყურადღებოა სხვადასხვა რიტმული ვარიანტის მქონე სტროფთა მონაცვლეობა ლექსში, ლექსის საერთო რიტმული სახე.

მაგრამ ყველაფერი ეს შემდგომი კვლევა-ძიების საქმეა. ამ ეტაპზე კი, ვიდრე მთლიანად არ იქნება შესწავლილი გ. ტაბიძის სალექსო ფორმათა რიტმული ვარიაციები და მათი მიმართება ენობრივ ნორმებთან თუ სხვა პოეტების ანალოგიურ მონაცემებთან, საბოლოო დასკვნების გამოტანისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

Г. Ш. НАДАРЕЙШВИЛИ

 К ВОПРОСУ О СЕМИСЛОЖНОМ РАЗМЕРЕ В РИТМИКЕ  
 ПОЭЗИИ Г. ТАБИДЗЕ

Резюме

Семисложный размер является одним из характерных для поэзии Г. Табидзе — этим размером написаны многие из его лирических шедевров. В работе исследованы 3882 семисложные строки из 190 стихотворений; при этом обнаружено 199 разных ритмических вариантов.

Семисложный размер представлен тремя различными схемами: 4//3, 5//2 и 3//4. Самой частой является схема 4//3, реже встречается схема 3//4; более половины всех строк при этом составляют варианты 23//2, 2//5, 4//3, 5//2, 22//3 и 14//2.

Г. Табидзе сравнительно редко меняет схему размера: встречаются стихотворения, целиком написанные одной схемой.

Теоретический анализ логически возможных вариантов семисложных схем показал, что их число значительно превышает количество вариантов, наблюдаемых фактически. Полное число всех логически возможных вариантов равно 9775; если предположить, что все они равновероятны, то при случайной выборке в объеме 3882 единиц должно обнаружиться 3230 разных вариантов — в 17 раз больше, чем фактически наблюдаемое их количество. Такое расхождение объясняется тем, что распределение вариантов далеко от равновероятного — как отмечалось выше, существует небольшая группа очень часто используемых вариантов, и в то же время весьма велика группа вариантов, каждый из которых встречается редко. Эти варианты как бы разнообразят основной ритмический фон.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამკოთა მწერლობის განყოფილება

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ინისა კიკნაძე

რიტმული პროზის ერთი ნიმუში<sup>1</sup>

პროზის რიტმი საერთოდ, კერძოდ ქართული პროზის რიტმი, ნაკლებად არის შესწავლილი.

პროზის რიტმის სპეციფიკური თავისებურებანი არ შეიძლება ავხსნათ იმავე საშუალებებით, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ლექსის რიტმისათვის ვიყენებთ, რადგან პროზაში არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს ლექსითი სტრუქტურის ყველა ელემენტი. ინტონაციურ-სინტაქსური პარალელები და სხვა სახის გამეორებანი მოსალოდნელია პროზაშიც, განსაკუთრებით, — მხატვრულ პროზაში, მაგრამ არა როგორც ნორმა, არამედ როგორც მეტ-ნაკლებად გამოხატული ტენდენცია.

ამავე დროს, ბუნებრივია, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაირჩეს მხატვრული და არამხატვრული პროზა, ვთქვათ — სამეცნიერო და ა. შ.

ემპირიული დაკვირვებაც კი, ისევე როგორც ცალკეული მწერლების, ლიტერატურის თეორეტიკოსთა და ენათმეცნიერთა გამონათქვამები, დაბოლოს სტატისტიკური ანალიზი, აშკარას ხდის მხატვრული პროზის თავისებურებებს, წარმოაჩენს იმ განსხვავებას, რაც სამეცნიერო, საქმიანი, ჩვეულებრივი სამეტყველო ენისა და მხატვრული ნაწარმოების დაპირისპირების დროს რიტმულობაში ვლინდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პროზაში გამოიყოფა ცალკეული მეტყველებითი პერიოდების ასე თუ ისე მყარი მოცულობის მონაკვეთები, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობა სინტაგმების შედარებით მყარ მარცვალთა რაოდენობას, რადგან თუ დავუშვებთ, რომ სინტაგმა არის მეტყველების რიტმის ერთეული, მაშინ „ამ რიტმული პერიოდის ელემენტარული წევრი არის მარცვალი“<sup>2</sup>. ზემოთქმული იძლევა საშუალებას დაისვას საკითხი სინტაგმათა რიტმული საზღვრების შესახებ, იგივე შეიძლება შემდგომ გაფართოვდეს და გავრცელდეს მთელ ფრაზასა ან მთელ მონაკვეთზე.

ჩვენი მიზანია XIX ს. ქართული მხატვრული პროზის ერთი ნიმუშის ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ, თუ რა ადგილი ეთმობა სინტაგმებში (ან ცალკეულ გამოთქმებში) მარცვალთა გარკვეულ რაოდენობას და როგორ იქმნება ამ გზით რიტმული პროზა.

პოეტური თხრობისაკენ მისწრაფება შეინიშნება ეკ. გაბაშვილის ნაწერებში. მისი მოთხრობების ბევრი პასაჟი პოეტური პროზის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთიანრიად შესრულებული ადგილების პოეტურობას ზოგჯერ განსაზღვრავს ეპითეტთა ხშირი ხმარება, გარკვეული ლექსიკის მოშველიება, წინადადებაში სიტყვათა წყობა, განსაკუთრებით, მსაზღვრელ-საზღვრულის არქაული წყობა და არცთუ იშვიათად — რიტმი. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სწორედ ამ უკანასკნელზე და აქ წარმოვადგენთ ეკ. გაბაშვილის რიტმული პროზის ერთი ნიმუშის, — მოთხრობა „ფანტაზიის“ ანალიზს. ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა 1888 წ. გაზეთ „ივერიაში“, (№ 7). ტექსტი შევეუდარეთ საქართველოს სსრ ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ მოთხრობის ავტოგრაფს.

„ფანტაზია“, როგორც ავტორი სათაურშივე მიუთითებს, ლექსია პიროვნად წარმოდგენილი. თავიდანვე აშკარაა მწერლის მიზანდასახულობა — მიამსგავსოს ეს პროზაული ნაწარმოები ლექსს, ან პირიქით — ლექსი დაუახლოვოს პროზას. ესაა წინასწარი პირობა იმისა, რომ თხზულება, მართლაც, პოეტურია. ჩვენ ვეცადეთ განგვესაზღვრა, რა ქმნის ამ პოეტურობის შთაბეჭდილებას.

მოთხრობის კითხვის დროს თვალში გვეცემა, უპირველეს ყოვლისა, მარცვალთა თანაბარი, კანონზომიერი, განაწილება ფრაზაში. მივყევით ტექსტს პირველნაბეჭდის მიხედვით, შეუსაბამობის შემთხვევაში ვიმოწმებთ ავტოგრაფის ჩვენებას, რომელსაც A ლიტერით აღვნიშნავთ:

მოთხრობა ასე იწყება: „გულ-გატეხილი 5, თვალ-ცრემლიანი 5, სულით უძლური 5, მოუფიქრებლად 5, მივდიოდი წინ 5, საღ მივდიოდი 5, რას ვეძებდი მე 5 — არაფერს 3. მივდიოდი 4 მხოლოდ იმისთვის 5, რომ იქ დარჩენა 5, საცა ვიყავი 5, სწრაფლად მოსპობდა 5 ჩემსა არსებას 5 და ვიბრძოდი 4 მის დასაცველად“ 5.

A ასეთ სურათს გვაძლევს: „გულგატეხილი 5, თვალ ცრემლიანი 5, სულით უძლური 5, მოუფიქრებლად 5 მივდიოდი წინ 5, საღ მივდიოდი? რას ვეძებდი მე? 5 — არაფერს 3. მივდიოდი 4 მხოლოდ იმისთვის 5, რომ აქ დარჩენა 5, სადაც ვიყავი 5, სწრაფლად მოსპობდა 5 ჩემსა არსებას 5 და მე ვიბრძოდი 5 მის დასაცველად“ 5.

ირკვევა, რომ პირველ ნაბეჭდში ასეთი მარცვალთა რაოდენობაა დაცული ფრაზაში: 5-5-5-5-5-5-5-4, შემდეგ გრძელი პაუზა და მოკლე სამმარცვლიანი პასუხი: „არაფერს!“ მომდევნო ფრაზაში: 4-5-5-5-5-5-4-5, ყოველ წინადადებაში ასეთი შეფარდებაა 8:8-სთან. პირველ წინადადებასთან შედარებით მეორეში დარღვეულია პირველი და მეშვიდე რიტმული ერთეულის მარცვალთა რაოდენობა.

თუ ავტოგრაფს მივმართავთ, ვნახავთ, რომ ამ თვალსაზრისით აქ ასეთი ვითარებაა: პირველ წინადადებაში გვაქვს: 5-5-5-5-5-5-3 და მეორე წინადადებაში: 4-5-5-5-5-5-5 (ორსავე შემთხვევაში ყურადღებას იქცევს მეშვიდე სარიტმო ერთეული). ჩვენი დავეირვებით ავტოგრაფის ჩვენება პირველ წინადადებაში მეშვიდე სარიტმო ერთეულში უკეთესი ჩანს: „რას ვეძებდი მე?“ — აქ კვლავ ხუთი მარცვლი გვექნებოდა და მარცვალთა რაოდენობაც პირველსა და მეორე წინადადებაში (უკვე პირველნაბეჭდში!) იქნებოდა 38:38 და არა 37:38-თან, ეს ერთგვარად გააწონასწორებდა ორივე წინადადებას.

შემდეგი ტექსტი ასეთ ვითარებას წარმოგვიდგენს: „დილის რიყრაყზედ 5, როდესაც 3 მნათობნი ცისა 5 ღამის თევით 4 მიზნენდილიყვენ 5 და როდესაც 5 აღმოსავლეთი 5 პირის ფერადა 5 შეღებილიყო 5 ამომავლის 5 ღლის მნათობითა 5, იმ დროს როდესაც (2+3) 5 ყველა სულდგმული 5 ხმას იღებს ღვთისა 5 (3+2) სადიდებლად 5, იმ დროს, როდესაც (2+3) 5 ყველა სნეული 5, ყველა უძლური 5 ჰგონობს სულის შვებას 5 (1+2+2), მეც დავრდომილი 5, განთიადისა 5 მოწყალეებითა 5 ღონე-შესხმული 5 მივუახლოვდი 5 ტურფასა ტაძარს 5 მაღალს მთაზედა“ 5.

შეიძლება ასეთ რიტმულ-ინტონაციურ ერთეულებად დაყოფა ყოველთვის სწორი არ ეჩვენოს კაცს, მაგრამ, ვფიქრობთ, ამის უფლებას ზოგჯერ ავტოგრაფის ჩვენებაც გვაძლევს. მაგ. ოთხმარცვლიანი „ღამის თევით“ A-ში ხუთმარცვლიანადაა წარმოდგენილი: „ღამის თევითა“, თუმცა ქვევით ავტოგრაფში

ალარა გვაქვს პირველნაბეჭდში მარცვალთა რაოდენობისათვის მოხმობილი ემფატიკური ა: „მეც დაერდომილი, განთიადისა მოწყალებით 4 ღონე-შეს-მული, მივუახლოვდი ტურფასა ტაძარს...“ (A), მაგრამ ამით სრულიადაც არ იკარგება საერთო რიტმის გრძნობა.

ამ მონაკვეთში საინტერესოა აგრეთვე სინტაქსური პარალელიზმის შემთხვევა — „იმ დროს, როდესაც ყველა სულდგმული...“ და „იმ დროს, როდესაც ყველა სნეული...“, რაც ერთგვარად ამალღებულის შთაბეჭდილებას ანიჭებს ნათქვამს.

მომდევნო აბზაცში რიტმული სურათი ოდნავ იცვლება, დარღვევაც მეტია: „ოპ 1 რა მშვენიერი იყო (5+2) 7 ამ ბრწყინვალე 4 მაისის დილას 5 ეს უდაბნო 4, მუხუდრო ალაგი 5, თავის გამარტოვებით (2+5) 7, თავის სინაზით 5, და სინარჩარით 5, ეს ადგილი 4 ედარებოდა 5, იმ სოფლის წალკოტს 5, ედე-მის არეს 5, ახოვანნი 4, ნიგვზის ხენი 5 ოდნავ იძროდნენ 5 გრილის ნიავით 5, მთელი მიდამო 5, მორთული იყო 5, მწვანის ბალახით 5 და 1 ჰაერი საესე 5 ზამბახ-ასკილის 5 სურნელოვნებით 5. ტუბილად 2, მოუბარე 4 პატარა წყარო 5 ნანასავით 4 დალულუნებდა 5 ტაძრის წინ გაშლილს 5 მშვენიერს მდელოს 5. ფრინველთ ქორიამული 6, ბავშვების შტვენა 5, ბულბულთ გალობა 5 მალამოს სდებდა 5 თვალთა დადაგულთ 5 ცხარის ცრემლებით 5 და გულს დაღა-ხვრულს 5 ნუგეშს აძლევდა“ 5.

აეტოვრაფი ზოგჯერ ჩვენთვის საინტერესო ჩვენებას გვაძლევს: მაგალითად, ოთხმარცვლიანი „ნანასავით“ ფორმის მაგივრად A-ში არის: „ნანასავითა“, ზოლო ექვსმარცვლიანი „ფრინველთ ქორიამული“ ნაცვლად „ფრინველთ ქორილი“, რაც ხუთ მარცვალს ქმნის. მართალია, ამით მთელ მონაკვეთში მარცვალთა რაოდენობა არ იცვლება (5+5 ან 4+6=10), მაგრამ თვით ერთი წინადადების ფარგლებში რიტმის დასაცავად კი აუცილებელი ჩანს.

მომდევნო აბზაცი კვლავ იმავე პრინციპზეა აგებული, ყოველი პაუზის შემცველი სიტყვა ან გამოთქმა(სინტაგმა) მხოლოდ ხუთ და ოთხმარცვლიანია. ვფიქრობთ, ზოგიერთი ოთხმარცვლიანი სინტაგმა მახვილის შედეგია. მაგ. ფრაზაში: „იმის სამკაულს 5 შეადგენდნენ 4 მხოლოდ 2 სული წმინდა 4 და ჯვარცმული 5 კაცთა — მოყვარე“ 5; გამოთქმაში „სული წმინდა“ მახვილი აშკარად მოდის სიტყვაზე „სული“, სხვა შემთხვევებში მახვილი სიტყვის დასაწყისზე (ბოლოდან მესამე მარცვალზე) მოდის, მაგ.: „ყური დამტკბარი“, „ერთ დღეს მშვენიერს“ და ხელს უწყობს ფრაზის რიტმულობის შეგრძნებას.

შემდეგი დიდი მონაკვეთი მოთხრობისა ისევ ხუთმარცვლიანი სიტყვებით და სინტაგმებით არის წარმოდგენილი. ნაწარმოებიც ასევე მთავრდება: მუხლთ მოვიყარე 5 ჩვეულებრივად 5, ზეცას მივაყარე 5 თვალნი ბედკრულნი 5, მაგრამ ღვთაების 5 სამაგიეროდ 5, მე იქ ვიხილე 5, ვნებითა სავსე 5 შავი თვალები 5 და ყურთ მომესმა 5 მწარე ხარხარი 5 მე სატანისა 5, შეერთებული 5 ტუბილ სიმღერასთან 5 მშვენიერისა“ 5.

მოთხრობის რიტმულობისათვის გარკვეული მნიშვნელობის აღმოჩნდა ემფატიკური ხმოვანიც. ჩვეულებრივ ემფატიკური ა ფრაზის ბოლოს არის. ამის მაგალითი ამ ტექსტშიც ბევრია, მაგრამ თხზულების ტექსტში ემფატიკური ა გვხვდება უმეტესად სინტაგმების შიგნით, რასაც შეიძლება გარკვეული მნიშვნელობაც კი ჰქონდეს როგორც რიტმის, ასევე რითმის დასაცავად.



რიტმულობა ეკ. გაბაშვილის ბევრი მოთხრობისთვის არის დამახასიათებელი. ასეთია „ოცნება“ — ლექსი პროზად, „ნაკადული“, „მაისი“ და სხვ. რიტმულობა ეკ. გაბაშვილისათვის პოეტური თხრობის საშუალებაა და ამდენად მისი სტილის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანიც.

ეკ. გაბაშვილი ქართულ მწერლობაში რიტმული პროზის ერთ-ერთი პიონერია. შემდგომში ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ჭ. ლომთათიძის, ვ. ბარნოვის, კ. გამსახურდიასა და სხვათა შემოქმედებითი მუშაობა.

#### შ ბ ნ ი შ ბ ნ ბ ბ ბ

1. წაიკითხეთლი მოხსენებად ფილოლოგიის ფაკულტეტის მე-17 სამეცნიერო სესიაზე, 1967 წელი, 20—22 მაისი, იბეჭდება შემოკლებით.
2. Т о м а ш е в с к и й, Ритм прозы, О стихе, Л., 1929, გვ. 173.
3. А. შაშველის.
4. არნ. ჩ ი ქ ი ბ ა ვ ა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, მოამბე, III (3), 1942.
5. ქ. ძოწენიძე, ემფატური ხმოვანი ძველ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 218—223. თ. ზურაბიშვილი, ემფატური - ახალ ქართულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 224—233.

И. Г. КИКНАДЗЕ

### ОДИН ОБРАЗЕЦ РИТМИЧЕСКОЙ ПРОЗЫ

#### Резюме

Ритм прозы вообще и, в частности, грузинской, мало изучен. В настоящее время не существует определенной его трактовки. В то же время даже самый поверхностный анализ обнаруживает ритмические отличия художественной прозы от научной, деловой.

Исходя из предположения, что элементарной единицей ритмического периода является слог, мы выделили более устойчивые речевые периоды в рассказе классика грузинской литературы Е. Габашвили «Фантазия», расчленили их на синтагмы и постарались выявить ритмическую закономерность.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

## იოსებ მხგრილიძე

 ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი ქართული კულტურის შესახებ<sup>1</sup>

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ განაპირობა, რომ 1801 წელს პეტერ-ბურგში მომზადდა 1802 წელს გამოქვეყნდა კიდევ წიგნი «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии», რომელიც მკითხველს აცნობდა ახალშემოერთებულ საქართველოსა და მის ხალხს, მათს წარსულსა და აწმყოს. ნაშრომის აღიარებული ავტორია ბოლხოვიტი-ნი (ევგენიუსი), მაგრამ წიგნი შეიქმნა ავტორთან დაახლოებული რამდენიმე ქართველის მონაწილეობითა და კონსულტაციებით.

თავისი დროის წარჩინებული რუსი ღვთისმეტყველი, ისტორიკოსი, ფილოლოგი და საზოგადო მოღვაწე მიტროპოლიტი ევგენი უმთავრესად ამ წოდებით არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. იგივე ევგენი ბოლხოვიტინოვის ან უფრო ადრე — ექვთიმე ბოლხოვიტინოვის (ერობაში), ან ბოლოს მხოლოდ სასულიერო სახელით — Eugenius ევგენიუსადაც იხსენიება (ცხოვრობდა 1767—1837 წწ.).

მისი მონოგრაფიები რუსული ეკლესიის კრებათა შესახებ, ეპარქიის ისტორია (ორი გამოცემა), რუსი სასულიერო პირებისა და საერო მწერლების ლექსიკონები, ნაშრომი კიევ-სოფიის ტაძარ-ლავერათა ადგილების გათხრებზე, რითაც ავტორმა არქეოლოგის სახელი დაიმსახურა, და სხვა ის კულტურული მემკვიდრეობაა, რომლითაც სპეციალისტები დღესაც სარგებლობენ. ხსენებულ ნაშრომთა გახსენებითაც კი აშკარაა, რომ ე. ბოლხოვიტინოვი ძალიან პართიკული ავტორია. რუსულ ისტორიოგრაფიაში დიდი დამსახურების გამო აირჩიეს იგი 1805 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად, ხოლო 1806 წელს კი — ნამდვილ წევრად<sup>2</sup>. იყო აგრეთვე წევრი: მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭოსში<sup>3</sup>. 1815 წლიდან — ყაზანის<sup>4</sup>, შემდეგ — დერპტის (იურიევის, ტარტუს), აგრეთვე — რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა, რუსული სიტყვიერების მოყვარულთა და სხვა საზოგადოებებისაც<sup>5</sup>. მას დიდად აფასებდნენ მაშინდელი წამყვანი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები — კარამზინი, ხვოსტოვი, ნ. მურავიოვი, რუმინცევი და სხვები.

ამ თავითვე უნდა ვთქვათ, რომ ბოლხოვიტინოვი არ იყო ქართველოლოგი და არც რუსთველოლოგიური ნაშრომი შეუქმნია, რასაც მას ზოგიერთები მიაწერენ. ისიც შეცდომაა, რომ აღნიშნავენ, პირველი წიგნი საქართველოს შესახებ რუსეთსა და ევროპაშიც ბოლხოვიტინოვის ნაშრომიაო. ქართულ თემატიკაზე წიგნები რუსულ ენაზე ადრევეა გამოქვეყნებული (მოსკოვში — 1773 წელს, სანკტ-პეტერბურგში — 1779 წელს და კურსკში — 1793 წელს)<sup>6</sup>. მათგან უკანასკნელი — ს. დ. ბურნაშევის წიგნი „Картина Грузии“... — „საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგომარეობის აღწერა...“ — არა მხოლოდ გამოცემის ხასიათით, არამედ შინაარსითაც საყურადღებოა. განათლებული ავტორი — პოლკოვნიკი და კავალერი — თბილისში ყოფილა 1786 წელს მეფე ირაკლი თეიმურაზის ძესთან. მაშინ შეკრებილი მასალები მას დაუმუშა-





ვებია და გამოქვეყნებია, როგორც იტქვა, 1793 წელს (მეორე გამოცემა ვ. ბეგიჩევის წინასიტყვაობით — თბ., 1896).

დავუბრუნდეთ ისევ 1802 წელს დაბეჭდილ წიგნს. მაშინ ამ ნაშრომს რუსეთსა და ევროპაშიც ჰქონდა არა მხოლოდ შემეცნებითი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც. უმთავრესად მეორე მიზანი ამოძრავებდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ხელმძღვანელობას, რომ ეს წიგნი სასწრაფოდ გამოსცა და რომანოვების კარს ისე მიუძღვნა, რომ წიგნზე ავტორისა თუ ავტორთა გვარი არ ეწერა.

ამ წიგნის პოლიტიკური მნიშვნელობა ესმის ე. ბოლხოვიტინოვსაც. იგი თავის უახლოეს მეგობარ მაკედონეს<sup>1</sup> წერს: ჩემი წიგნი მოვიწინეს მთავრობაში, მას ყურადღება უფრო თანადროულობის გამო მიაქციეს, ვიდრე შინაგანი ღირებულების გამო — „Эту книгу хвалили при дворе. Ее переводили и рецензировали на иностранные языки, ... на нее обратили внимание скорее за ее современность, чем за внутренние достоинства“<sup>2</sup>. ეს ნაშრომი 1802 წლის ივლისში უკვე დაბეჭდილია. შემდეგ ბოლხოვიტინოვი სხენდულ მაკედონესაც აუწყებს: იგივე წიგნი ითარგმნა გერმანულს, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზეო, მასზე მოწონებითი რეცენზიებიც გამოქვეყნდაო (იქვე).

გერმანული თარგმანი ცნობილია — *Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht. Aus dem Russischen überetzt von F. Schmidt, Riga-Leipzig, 1804.*

ფრანგული თარგმანის არსებობას პ. ბერკოვი უარყოფს<sup>3</sup>, მაგრამ მასზე ისე დაბეჯითებით წერს სერიოზული ავტორი — ბოლხოვიტინოვი, რომ ასეთი თარგმანი უნდა არსებულებოდა, შეიძლება აღარ გამოქვეყნდა. რაც შეეხება ინგლისურ თარგმანს, ასეთი არ ჩანს და სარწმუნოა, არც არსებულა.

არსებობს ამავე წიგნის ანონიმისეული ქართული უსრულო თარგმანი, რომელიც დედნის გამოსვლის უახლოეს დროსაა შესრულებული (ფ. 120-ზე მიწერილია „Конец“) და დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში შიფრით — Ros., 48.

სათაური და შინაარსი აგრეა ნათარგმნი:

„ისტორიული გამოხატულება საქართველოსა პოლიტიკებრსა, საეკლესიოსა და სწავლით განვითარებულსა მდგომარეობასა შინა“.

ხელნაწერის შინაარსის სტრიქონების ასო-ციფრებს ჩვენ ვუწერთ წიგნის გვერდებს.

1. თავი ა. სიძველეთათვის საქართველოს ხალხისათა და უწარჩინებულესთა მას შინა შემთხვევათათვის. ფურცელი ა=წიგნის გვ. 1.
2. თავი ბ. განათლებისათვის საქართველოსა ქრისტიანებრივითა სარწმუნოებითა და მდგომარეობისათვის საქართველოს ეკლესიისა. მგ=გვ. 46.
3. თავი გ. ლ[ვთ]ის მსახურებისათვის და საეკლესიოთა ქართული წიგნთათვის და საეკლესიო ტიპოგრაფიისათვის (სტამბის)... მ=გვ. 60.
4. თავი დ. ენისა და მწერლობისათვის ქართველთასა... ია=გვ. 61.
5. თავი ე. ჰსწავლისათვის ქართველთასა.. იბ=72 (დედანშიაც — გვ. 72).
6. თავი ვ. საქართველოს წელთაღრიცხვისათვის და სხუთა ხალხში. სახმარებელთა წიგნებთა... ით=79 (დედანშიაც — გვ. 79).

7. თ ა ვ ი ზ. ქართულის ლექსთხზულებისა და მუსიკისათვის... პგ = 83.

[დ ა მ ა ტ ე ბ ა] აღწერა მოხსენებულთა ამა წიგნსა შინა ორდის ხალხთათვის, რომელნიც ვარს ახვევიან საქართველოსა... უზ = გვ. 97.

ს კ ე მ ა (დედანშია სქიმა, — ი. შ.), ანუ შთაგონება, საქართველოს მეფეთა... რა = გვ. 101...“

წიგნის თავთა ანოტაციის მაგიერ დასახელებული ქვესათაურებით ვკმაცოფილდებით. უფრო ვრცლად ვჩერდებით „ვეფხისტყაოსნის“ ბოლხოვიტინისეული ორი სტროფის თარგმანზე. მათგან პოემის — „Барсова кожа“ — პირველი სტროფი — „რომელმან შექმნა სამყარო...“ და სხვ., როგორც ბოლხოვიტინოვი წერს, სიტყვისიტყვით („по буквальному переводу“) ნიშნავს:

Кто сотворил твердь силою своею крепкою.  
 И осуществовав свыше душу, создал с небеси дуновением.  
 Дал человекам и землю неисчислимо оразнообразенную.  
 От того суть цари и его суть образ“. (გვ. 91).

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის ბოლხოვიტინოვისეული რუსული ასოებით წარმოდგენილ ტრანსკრიფციაში უზუსტობებიც შეიმჩნევა (за гардмоасни ნაცელად ზეგარდმო არსნი-სა და სხვ., გვ. 90), ისტორიული ფაქტია, რომ იმავე წიგნში დაიბეჭდა პირველად ხსენებული სტროფის რუსული თარგმანი და ე. ბოლხოვიტინოვმა პირველმა „ვეფხისტყაოსანთან“ შესაღარებლად ახსენა არიოსტოს „შმაგი როლანდი“ და ოსიანი „ვეფხისტყაოსნის“, — წერს იგი, — «Сцены действий подобны Аристовой поэме Роланду: — но красоты, оригинальность картин, естественность идей и чувствований — Оссиановы» (გვ. 86).

ამ შედარებებს ზოგიერთები ახლაც იმეორებენ, თუმცა პირველმოქმელს თითქმის აღარავენ იხსენიებს!...

პირველად ამავე წიგნშია აღნიშნული: „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული (ე. ი. 1712 წლის) გამოცემა ისე განადგურდა, რომ მისი ცალები უკვე იშვიათად იპოვებაო: «Поэма сия при царе Вахтанге была в Тифлисе напечатана, однакож вскоре истреблена так, что ныне весьма редко можно видеть печатные оной экземпляры» (გვ. 87).

ამ საკითხზე ვრცლად აქ აღარ შევჩერდებით. ვიტყვით მოკლედ: ხსენებული გამოცემის მოსპობის ერთ-ერთ მიზეზად ჩვენ საქართველოზე მტრების სხვადასხვა დროს თავდასხმები და განსაკუთრებით 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის დაბრევა ვცანიო<sup>10</sup>.

150-ზე მეტი წლის განმავლობაში ითვლებოდა ე. ბოლხოვიტინოვი რუს-თაველის პოემის მხოლოდ პირველი სტროფის მთარგმნელად. აღმოჩნდა, რომ მასვე უთარგმნია „ვეფხისტყაოსნის“ სხვა სტროფიც —

„ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან ფილოსოფოსთა ენანი,  
 შენ მიშველე რა ტყვექმნილსა, ჯაჭენი მაზიან, რკინანი!  
 ბროლ-პალახშისა მძებნელმან სათნი დავკარგენ, მინანი;  
 მაშინ ვერ ვავსებელ სიახლე, აწ სიშორესა ვინანი“.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის ეს სტროფიც (ყკზ, გვ. რმდ = 1957 წ. გამოც. 837 სტროფი) ე. ბოლხოვიტინოვის ხელნაწერებში წარმოდგენილია რუსული ასოებით და ახლავს თარგმანიც:

„Ты, в ком образ божий, как говорит философский язык.  
 Ты помоги пленному, цепьми скованному железными.  
 Хрусталь и лалы я искал, но стекло черное потерял и простое.  
 Тогда не терпел я близко быть, а ныне каюсь, что удален“<sup>11</sup>.

დედნის პირველი სტრიქონის უკანასკნელ სიტყვათა — ფილოსოფოსთა ენანი — ს მეგერ ვახტანგისეულსა და ახალ გამოცემებში წერია ფილოსოფოსნი წინანი. ეს ცვლილებაც ქართველ ინფორმატორს ეკუთვნის, თორემ ბოლხოვიტინოვი სიტყვას ვერ შეცვლიდა.

როგორც სტროფის თარგმანის სქოლიოში ვაჭქვს აღნიშნული, იგი თბილისის ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ს. ლეკიშვილმა გამოაქვეყნა. მან ე. ბოლხოვიტინოვის არქივში (კიევი) ნახა ესა და ფრაგმენტთა თარგმანები ჩახრუხაძის „თამარიანიდან“, ბესიკის „სევდის ბალიდან“ და სხვა. ისინი ე. ბოლხოვიტინოვს პირველივე წიგნის — „საქართველოს ისტორიული გამოსახულებისათვის“ შეუფაროვებია, მაგრამ მასში ვეღარ შეუტანია და მის მასალებში დარჩენილა (ციტ. ვახეთი).

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის თარგმნა ე. ბოლხოვიტინოვის მიერ საყურადღებო ფაქტია. სტროფის არჩევანი საინტერესოა რუსთაველზე ქართველი ინფორმატორის შეხედულებების გასათვალისწინებლად. ის ვახტანგ VI მიმდევარი ყოფილა ამ საკითხში, თორემ ანტონის ან ტიმოთე გაბაშვილისათვის რომ მიებაძა, „ვეფხისტყაოსანს“ იგი ევკენის — სასულიერო პირს — არც კი უჩვენებდა: რუსთაველი და მეც ანტიქრისტიდ არ ჩამთვალოსო.

სტროფიც „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსთა ენანი“ უნდა ვიფიქროთ, სწორედ შეგნებულად შეარჩია ინფორმატორმა: აი, მოისმინეთ, როგორც ძველი ფილოსოფოსის ლაპარაკობენ ღმერთზე, ისევე — რუსთაველიო...

ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომშივე ქართული ლექსთწყობის საკითხებზეც ვრცელადაა საუბარი. გასარკვევია მისი წყაროები. ჩვენ აგრე ვგეხატება: ავტორი ქართული პოეტიკის მასალების მხრივ ისევ ქართველი ინფორმატორების — ვარლამ ერისთავისა და, შეიძლება, იოანე ბაგრატიონისაგანაც არის დავალებული. სარწმუნოა, რომ ე. ერისთავი და ი. ბაგრატიონი იცნობდნენ მანამდე არსებულ მამუკა ბარათაშვილის „ლექსის სწავლის წიგნს“ ანუ „ჰაშნიკს“. ცნობილია, მამუკა იყო ვახტანგ მეექვსის „ლიტერატურული წრის აქტიური მონაწილე“. ის თან გაჰყვა ვახტანგს 1724 წელს რუსეთში და მას „ჰაშნიკი“ 1731 წელს დაუწერია „მოსკოვში“<sup>12</sup>.

ამგვარად, ქრონოლოგიურად ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომს უსწრებს მ. ბარათაშვილის „ჰაშნიკი“. ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის დაბეჭდვის შემდეგ დაიწერა იოანე ბაგრატიონის „პოეზიისა ანუ მოლექსეობისათვის“, რომელიც წარმოადგენს ნაწილს 1813—1828 წლებში შექმნილი ავტორის „კალმასობისა“<sup>13</sup>. ი. ბაგრატიონი ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომს იცნობდა. 1802 წ. გამოქვეყნებული წიგნით სარგებლობდნენ აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნის რიგი ავტორები (იხ. ქვემოთ).

საკითხის ისტორიას ეხება და ე. ბოლხოვიტინოვის მოსაზრებებს ქართული ლექსის შესახებ მაღალ შეფასებას აძლევს ქართული პოეტიკის მკვლევარი აკაკი გაწერელია. იგი წერს: 1802 წლიდან „80-იან წლებამდე არც ერთ სხვა ავტორს არ უთქვამს პრინციპულად ახალი რამ; პირიქით — XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ბოლხოვიტინოვთან შედარებით, შემდგომი ავტორები

უფრო პრიმიტიულ და მცდარ შეხედულებებს გამოთქვამდნენ<sup>14</sup>. „ე. ბოლხოვიტინოვმა, — განაგრძობს ა. გაწერელია, — პირველად გამოიყენა ტერმინი ცეზურა ქართული მეტრების დახასიათებისას, შეეცადა რითმის გენეტიკურ ახსნას, ომონიმების თავისებურებისა და რითმათა რიგის სახეობათა აღნუსხვას“ (იხ. იქვე).

ავტორი ასკვნის: ბოლხოვიტინოვმა „პირველად გააცნო ქართული ლექსთწყობის გრაფიკული სქემები არა მარტო რუსეთს, არამედ ევროპასაც“<sup>15</sup>. ა. გაწერელია შენიშნავს: „ე. ბოლხოვიტინოვის მიერ ჩამოთვლილი საზომები, რასაკვირველია, არ ამოსწურავენ ქართული კლასიკური პოეზიის მეტრებს, არ არის სწორი ბევრი მთავანის გრაფიკული სქემაც (ასე მაგ., დაბალ შაირში ბოლხოვიტინოვი პირიბ-დაქტილისა და დაქტილის კომბინაციას ხედავს), მაგრამ თვითონ საზომების დაქტილური ბუნება კარგად აქვს შენიშნული, რაიც ავტორის სუფთა სმენას მოწმობს“<sup>16</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის მიხედვით, „ქართული პროსოდია მთლიანად ტონური ა, მსგავსად ბერძნულისა და ლათინურისა იმიტომ, რომ ქართული ენა საეგეა მრავალმარცვლოვანი სიტყვებით და მახვილი მრავალი აქვს“<sup>17</sup>.

გიორგი წერეთელმა არ გაიზიარა ესა და აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროსოდია არა სილაბურ-ტონური, არამედ სილაბურია<sup>18</sup>. ა. გაწერელია არ იზიარებს ამ დებულებას<sup>19</sup>.

ვიჩრდებით ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის რიგ ავტორთა მიერ გამოყენების ადრინდელ შემთხვევებზე. ხსენებული წიგნის ისტორიული მნიშვნელობა ისიცაა, რომ მისი ცნობები საქართველოს შესახებ გამოუყენებიათ არა მხოლოდ რუსული ენის მცოდნე მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, არამედ ამავე ცნობებით (გერმანული ენის მეშვეობით) უსარგებლიათ არაერთ უცხოელ მეცნიერს და მათ შორის ქართველოლოგ მარი ბროსეს მასწავლებელ სენ-მარტენს (1833—1891 წწ.: იგი ამ წიგნიდან იღებს ცნობებს თამარ მეფისა და ბოგოლუბსკის ჭორწინების შესახებ)<sup>20</sup>. იმავე წიგნს აქებენ შლეცერი, მალბრენი და სხვები. იგი გამოიყენა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა ზასმა. მისი წიგნი რუსულ ენაზე თარგმნა იაკობ ლანგენმა და რუსული ენიდან გერმანულად თარგმნილი და დაბეჭდილი (1804 წ.) ცნობები ისევე რუსულ ენაზე ითარგმნა!<sup>21</sup>

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის გავლენით ცნობილმა რუსმა მწერალმა გ. რ. დერჟავინმა 1811—1815 წლებში დაწერა „გამოკვლევა ლექსის შესახებ“, რომელშიც იგი ქართული ლექსთწყობის საკითხსაც შეეხო<sup>22</sup>.

ი. კ. გროტის ცნობით, ე. ბოლხოვიტინოვი გ. დერჟავინს არა მხოლოდ წიგნით, არამედ უშუალოდაც აწუდიდა ისტორიულ ცნობებს. რ. დოლინამე აზუსტებს ამ აზრს: „დერჟავინის მოსაზრებები ქართულ ლექსთწყობაზე მთლიანად ე. ბოლხოვიტინოვის შეხედულებებს ეყრდნობა“<sup>23</sup>.

შემთხვევითი არაა სიტყვები პროფესორ იაკობ ოროლოვისა 1818 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „О просвещении в Европе с IX по XII века“: „საქართველოს იმ დროში ჰყავდა ლექსთმთხვევლები შემოქმედებითი ჰკუთ. პოემები სახელწოდებებით „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარისანი“, დაწერილი ქართულ ენაზე დიდი თამარის მეფობაში, იმდენად მაღალმხატვრული არიან, რომ ქართველთაგან არავის უკეთესი არ დაუწერია და ეს პოემები რჩება მუდმივ სამაგალითოდ მთელ ხალხში, როგორც ჰომეროსის „ილიადა“ და

„ოდისეი“ (საბერძნეთში). ქართული პოემის წარჩინების საფუძველია, რომ მათი ავტორები მოქმედებენ ერთი პრინციპით — არ მიეძაბათ უცხო მე-ღეჭსეთათვის მონურად და ამართლებდნენ ძველებურ აზრს: „პოეტები იბადებიან, ორატორები კი იქმნებიან“» („Заря Востока“, 1965 წ. 25 ივნისი, გვ. 4).

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის „აშკარა გავლენით არის დაწერილი ცნობილი პოეტის, პუშკინის ახლო მეგობრის ა. შიშკოვის საყურადღებო რომანი საქართველოზე „ქეთევანი“ (ს. ლეკიშვილი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955 წ. 15 დეკემბერი, გვ. 4).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემდეგში დიდი ქართველოლოგი მარი ბროსე (1802—1880), რომელიც სინოლოგიაში სპეციალისტდებოდა და არმენისტიკაზეც გული ედვა, გაეცნო ე. ბოლხოვიტინოვის წიგნზე გამოქვეყნებულ ანოტირებულ რეცენზიას (ეურნ. „Nouvelles annales des voyage“) და თვით წიგნის გერმანული თარგმანიც წაიკითხა.

ახალგაზრდა მეცნიერი დაინტერესდა საქართველოთი და ქართული ენით, ჩვენი ისტორია და ლიტერატურა გაიხადა თავისი კვლევის ძირითად ობიექტად<sup>24</sup>.

ეს, როგორც ჩანს, სხვა მიზეზმაც განაპირობა. შ. ხანთაძე ყურადღებას აქცევს მ. ბროსეს ვაჟის ლორენ [ლავერენტი] ბროსეს იმ ცნობას, რომელიც გვაუწყებს: მ. ბროსეს უთანხმოება მოუვიდაო სინოლოგ მასწავლებელ ფ. აბელ-რემუზასთან. მ. ბროსემ „დაწვა, დახია და გაანადგურა ამ დარგში თავისი ჩანაწერებისა და ნაშრომების დიდი ნაწილი...“, იგი 1826 წლიდან „მისი უფროსი კოლეგისა და მეგობრის ფ. სენ-მარტენის რჩევით ხელს ჰკიდებს ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას“<sup>25</sup>. შ. ხანთაძემაც იცის, რომ მთავარი მიზეზი მაინც არა ეს, არამედ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის გაცნობა იყო.

მ. ბროსეს ვაჟი, მამის უბაღლო ბიბლიოგრაფი ლორან (ლავერენტი) ბროსე ეყრდნობა მამის ნაბეჭდ ნაშრომებს და ამბობს, რომ ევგენიუსის (ე. ბოლხოვიტინოვის) წიგნით დაინტერესებითა და სენ-მარტენის რჩევით გახდა მ. ბროსე ქართველოლოგი<sup>26</sup>.

თვითონ მ. ბროსე უწოდებს ევგენიუსის წიგნს მოკულობით პატარას, მაგრამ მნიშვნელობით ბრწყინვალეს ლიტერატურულ კრიტიკაში — „...un excellent petit ouvrage de critique litterature“ (Journ. asiat., 1827, ტ. X, გვ. 353). იგი მეორეგანაც ამბობს: „ეს წიგნი უკვე იშვიათია და ჩემი აზრით ღირსია დაცვისა, როგორც კლასიკური ქმნილება თავისი დარგისა“ — „Cet ouvrage classique est devenu rare et qui merite, à mon sens, d'être regardé comme classique en son genre“ (Nouveau Journ. asiat., 1830, ტ. V). ამასვე აღნიშნავს იგი შედარებით გვიანდელ ნაშრომშიც (Éléments de la langue géorgienne... პარიზი, 1837, გვ. XIV).

ე. ბოლხოვიტინოვზე დაყრდნობით „ბროსე შეეხო აგრეთვე ქართულ მუსიკას, პოეტიკას, ქართულ კლასიკურ ლექსს“<sup>27</sup>. ევგენიუსის იგივე ნაშრომი გამოყენებული აქვს მ. ბროსეს სპეციალურ ნაშრომში — „De la poésie géorgienne“ — „ქართული შაირობისათვის“<sup>28</sup> (1830 წ.).

ცნობილია ისიც, რომ მ. ბროსეს თავისი ეს ნაშრომი, რომელშიც, სხვათა შორის, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებიც არის გამოყენებული, თეიმურაზ ბაგრატიონისათვის გამოუგზავნია პარიზიდან პეტერბურგს. აღრესატი ბროსეს ფრიად უწონებს რუსთაველის პოემის ტაეპთა ფრანგულ თარგმანებს, მაგრამ ვერსიფიკაციის საკითხებზე დუმს.

ამავე საკითხზე ბროსეს განმეორებით შეკითხვაზე თეიმურაზი პასუხობს: „კვლავ გეკითხათ არხიმანდრიტისა ევგენიოსისა მცირესა აღწერილსა წიგნსა შინა მოხსენებული პოემისათვის ქართულისა გვართა ანუ ზომათათვის ლექსთადა. მე ვგრე ვგონებ, არა ზედ-მიწევნით გამოძიებულ იყოს...“ არქიმანდრიტმა ქართული არ იცოდა („არა უწყოდა ქართული ენა“), ხოლო მისმა ოსტატმა (მასწავლებელმა) კარგად არ იცოდა ლექსთა კანონიო. ამიტომ „გვარი ზომისა ქართულთა სტიხთა“, ვეკვობ, ზუსტი იყოსო<sup>29</sup>.

თეიმურაზ ბაგრატიონი მართალს ამბობს ორივეს მიმართ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნი მრავალთაგან იქნა მოწონებული და ავტორის აზრებმა ქართული ლექსის საზომთა შესახებ გავლენა მოახდინა საკითხთა შემდგომ მკვლევარებზე.

მაგალითად, სხენებული წიგნის გერმანული მთარგმნელი გამოცემის წინასიტყვაობაში 1803 წ. მალაღ შეფასებას აძლევს მლიანად წიგნს. მას გველენა მოუხდენია სოლომონ დოდაშვილის (1804—1836 წწ.) ლიტერატურულ შეხედულებებზედაც. იმავე წიგნს, — წერს ა. გაწერელია, — იცნობს ავტორი წერილისა „შოთა რუსთაველი, ქართველი პოეტი“, რომელიც 1833 წელს დაიბეჭდა ჟურნ. „ტელესკოპში...“<sup>30</sup>; მიტროპოლიტის აზრს იცნობს აგრეთვე მარი ბროსეცა და დ. ჩუბინაშვილიც. ავტორს დამარწმუნებელი ფაქტებიც მოჰყავს დ. ჩუბინაშვილის ნაშრომიდან (1850 წ.) და ასკვნის: „როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინაშვილს უცვლელად გადააქვს თავის წერილში ბოლხოვიტინოვის შეხედულებანი, თუმცა უფრო გვიან ის კატეგორიულად უარყოფდა ქართული ლექსის ტონურობას და საერთოდ მახვილის როლს ჩვენს პროსოდიასი“<sup>31</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის შემდეგი სიტყვებით იხსენიებს 1890 წ. № 210 „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილის ავტორიც: ეს მიტროპოლიტი იჩენსო „დიდს გონების გამჭირაობას, საგნის ღრმა ცოდნას“, იშვიათ სმენას, რამაც დიდი სარგებლობა მოგვიტანაო.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ზოგიერთი ამბობს: ე. ბოლხოვიტინოვმა ქართული ენა არ იცოდა, ვერც ქართულ ვერსიფიკაციას გაარკვევდაო. ჩვენ კი ვთვლით, ცნობილ სკოლაგანვლილს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ვერსიფიკაცია საერთოდ და კერძოდ ბერძნულ-სლავურ ლექსთა ზომები. ეს გამოიყენა მან ქართული ლექსის კვალიფიკაციისათვის და მიგვაჩნია, რომ ე. ბოლხოვიტინოვი ქართული ვერსიფიკაციის საკითხში ზოგჯერ ცდებდა, მაგრამ იგი აქ უფრო ორიგინალურია, ვიდრე საქართველოს ისტორიის საკითხებში.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის რუსულ თარგმანს, ვარლაამს ეკუთვნის ზეპირსიტყვიერად წარმოთქმული პწკარედი, მხატვრული თარგმანი კი ბოლხოვიტინოვისაა. ახლაც ბევრი იყენებს პწკარედს, მაგრამ მთარგმნელად ლექსის საბოლოოდ გამმართავი ითვლება.

ამგვარად, ბოლხოვიტინოვის წიგნი საქართველოსა და ქართული ლექსის ზომის შესახებ ბევრ ავტორს გამოუყენებია, განსაკუთრებით კი ამავე წიგნით არიან დავალებულნი: სენ-მარტენი, მალტ-ბრენი (1810)<sup>32</sup>, მ. ბროსე, ს. დოდაშვილი, ნ. კარამზინი, დ. ჩუბინაშვილი, ალ. ცაგარელი, ს. ესაძე, პლ. იოსელიანი, ალ. ხახანაშვილი, ხოძკო და სხვები.

სწორად მსჯელობს კ. კეკელიძე: თავის დროისათვის „საყურადღებო მიმოხილვა ძველი ქართული მწერლობისა მოგვცა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა ე. ბოლხოვიტინოვმა... მიმოხილვა მოკლეა, არც თუ ყოველთვის ზუსტი, მაგრამ საინტერესოა, რომ ავტორმა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, მოახერხა იმ დროს რუსეთში მყოფ ქართველთაგან შეიკრიბა ის, რაც მან გადმოგვცა“<sup>33</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ ე. ბოლხოვიტინოვი გულწრფელი და უანგარო იყო თავის საქმიანობაში ქართველებისადმი. მას ინფორმატორ-კონსულტანტთა საშუალებით არა მხოლოდ ქართველოლოგიური წიგნი შეუქმნია, არამედ მასვე გამბოველ დუხობორებთან საუბრით შეუდგენია «Записка с двумя духовборцами» (1803). ამიტომ წერს ერთ-ერთი ენციკლოპედიის წერილის ავტორი: «Также „случайно“, как „Записка“, составлено было Е [вгением] весьма ценное «историческое изображение Грузии...»<sup>34</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვის წიგნს ნაკლოვანებები გააჩნია. სწორად აღნიშნავენ, რომ ევგენი ბოლხოვიტინოვი არ იზარებდა ვოლტერის, მონტესკიესა და ასეთ თავისუფალ მოაზროვნეთა შეხედულებებს; ხვოსტოვის ლექსებს მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე პუშკინის პოეზიას; ნაკლებ აფასებდა უცხოური კულტურის მემკვიდრეობას და სლავი ხალხების პრიორიტეტს ზოგჯერ იქაც იცავდა, სადაც ეს არ არის ან სადავოა, მაგრამ ამბობდაო: „უკეთესია უცხოურ საუკეთესო ქმნილებათა თარგმანები ვბეჭდოთ, ვიდრე ჩვენი ცუდი“.

ყოველივე ეს ის საერთო ნაკლია, რომელიც ეპოქას და ბოლხოვიტინოვის წოდების აღამიანებს ახასიათებთ. მაშინდელი ნაშრომები ძირითადად აღწერიით ხასიათისაა; ე. ბოლხოვიტინოვი და მისი მსგავსი ავტორები იშვიათად მიმართავენ განზოგადებით მსჯელობებსა და დასკვნებსაც ერიდებიან. ე. ბოლხოვიტინოვის თვალსაზრისი: «на задаче исторической науки тот же, что у большинства историков конца XVIII и начала XIX в. История, по его мнению, должна быть повествованием, собиранием фактов, имен, без субъективного отношения к этому собранию... За массой цифр и фактов не видно ни «причин», ни «следствий», ни духовной жизни»<sup>35</sup>.

ქართველოლოგიური საკითხების მიმართ ე. ბოლხოვიტინოვი არ იყო მართალი იმაში, რომ რუსთაველი სათანადოდ ვერ ითარგმნებოა. „თამარიანი“ ისეთი წყობისაა, რომ «никогда не может быть переведено ни на какой язык с точностью, поэму же Руставели можно надеяться увидеть некогда и на российском языке, хотя и не скоро»<sup>36</sup>.

ე. ბოლხოვიტინოვი ცდებოდა იმაშიც, რომ ამბობდა: რუსთაველის ენა მოძველდაო, და იმაშიც, რომ „თამარიანს“ მნიშვნელობითა და მხატვრულობით „ვეფხისტყაოსანზე“ მაღლა აყენებდა. პ. ბერკოვი და ვანო შადური<sup>37</sup> უწუნებენ მას, რუსთაველს არისტოსა და მისი პოემის ტიპის ქმნილებებს რომ აღარებდა. ნაკლია ისიც, რომ 1802 წლამდე გამოშული ლიტერატურაც არაა ამ წიგნში სრულად გამოყენებული.

თვითონ ე. ბოლხოვიტინოვი გრძნობდა, მისი ეს წიგნი ვერ აკმაყოფილებდა მეცნიერულ მაღალ მოთხოვნას. ავტორი არ აძლევდა ამ ნაშრომს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. თვითონ წერს — „ხუმრობებიდან შედგა წიგნი...“<sup>38</sup>.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ე. ბოლხოვიტინოვს კიდევ ჰქონდა მასალა საქართველოზე და ამ თემაზე ფიქრი წიგნის გამოსვლითაც არ დაუმთავრებია.

ე. ბოლხოვიტინოვის არქივში (კიევი) დაცული აღმოჩნდა: „საქართველოს მოკლე აღწერა“ (1<sup>1/2</sup> ფურცელი) — მხარის შესახებ ტოპოგრაფიული და ეთნოგრაფიული მონაცემები; „საქართველოს სამეფოს შესახებ“ (1 ფურც.); უსათაურო მიმოხილვა უმთავრესად საქართველოს დიპლომატიური ისტორიისა (რუსეთთან მიმოწერა) 1586—1783 წლებში (9 გვერდი); მეფე ალექსი მიხაილის ძის სიგელი 1674 წ. 12 თებერვლისა ქართველ ბატონიშვილ ნიკოლოზ დავითის ძეს (5 ფურც.); ალავერდელ არქივისკოპოსის წირვის წიგნის კონსპექტი (1637 წ. თავად ვოლკონსკისთან ერთად „რწმენის“ და საეკლესიო წესების განსახილველად“<sup>39</sup>; წიგნების სია; ქრონიკები — საქართველოს ისტორიული მოვლენები XII—XVIII ს. ბოლომდე; ჩანაწერები ლექსის შესახებ ნოტებით; ევგენისა და ნაწილობრივ ვარლამ ერისთავის ან სხვა ქართველის ჩანაწერები და სხვა<sup>40</sup>.

ცნობები საქართველოს შესახებ ევგენი მიტროპოლიტს ვარლამისაგან დაშორების შემდეგაც უგროვებია. მაგალითად, სხენებულ არქივშივეა დაცული 1807 წ. დოკუმენტი დარიას (დარეჯანი, ერეკლე II მეუღლე) შესახებ და სხვ.

ყოველივე ეს და ზოგი სხვა საარქივო ერთეული ნახსენებია ე. შმრულოს ნაშრომში და არქივშიც არის დაცული. არქივს გაეცნო საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ს. ლეკიშვილი, რომელმაც სათანადო მასალათა მიკროფილმები ჩამოიტანა თბილისში და უკვე დაბეჭდა წერილები:

1. „ქართული კულტურისა და ისტორიის პოპულარიზატორი (ე. ბოლხოვიტინოვი)“ — („გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1955 წ., 15 დეკემბერი);
2. „ქართული მელოდიის კიდევ ერთი უცნობი ჩანაწერის შესახებ“ („ე. ბოლხოვიტინოვისა“ — გაზ. „თბილისი“, 1959 წ., 26 თებერვალი);
3. „მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (ე. ბოლხოვიტინოვი და პეტერბურგის ქართველი საზოგადოებრიობა)“ — (ლიტ. მუზ. III სამეცნ. სესიის თეზისები, თბ., 1961, უკ. 8—9. აქ ავტორი ვ. ერისთავს „დიდად განათლებულ პიროვნებას“ უწოდებს. გვ. 8);
4. „ორი ქართული მელოდიის უცნობი სანოტო ნაწერი“ — („ეჟურნ. „დროშა“, 1966 № 1, გვ. 18);
- 5) „ე. ბოლხოვიტინოვი და ქართული კულტურა (ლიტ. მუზეუმის 1967 წლის სამეცნიერო სესიის მუშაობის მოხსენებათა თეზისები, გვ. 7-8).

ჩვენც გავეცანით ამ დოკუმენტთა მიკროფილმებს (დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში), მაგრამ რაკი მომპოვებელი თვითონ ფიქრობს მათ გამოქვეყნებას, ჩვენ წერილების დასახელებით დავკმაყოფილდებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ე. ბოლხოვიტინოვმა „1804 წელს პეტერბურგის ეჟრნალში «Друг просвещения» გამოაქვეყნა ლიტერატურულად დამუშავებული „წერილი თბილისიდან“, რომელშიც განსაკუთრებით გამოიყო შემდეგი სტრიქონები „... ჩვენ ჩქარა ვიხილავთ რუსულ ენაზე ქართველ ოსიანა რუსთაველს (Осиана Руставелия) და მათ სახელოვან რომანისტ თმოგველს“ („ს. ლეკიშვილის დასახ. წერილი. იხ. „Заря Востока“, 1965 წ. 25 ივნისი, გვ. 4).

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბოლხოვიტინოვის წიგნში პირველად ვხედავთ საქართველოს გულწრფელს, ობიექტურს, ჩვენი ხალხისა





და მისი კულტურის შთამბეჭდავ დახასიათებას. ევგენიუსი კითხულობდა თვითონვე პასუხობს: „უკეთესად შეიძლება პოეზიის გენიოსის დაბადება, თუ არ ამ აღფრთოვანებული ბუნების მხარეში“. ს. ლეკიშვილი სწორად შენიშნავს: „ბოლხოვიტინოვის მიერ საქართველოს ასეთ დახასიათებას არ შეიძლება არ აღეძრა ინტერესი რუსი საზოგადოებრივობისა საქართველოსადმი და მისი კულტურის სიმბოლო რუსთაველისადმი“.

ე. ბოლხოვიტინოვი პირველია, რომელმაც „ევფხისტუაოსნის“ ორი სტროფი, ჩახრუხადის „თამარიანი“, ბესიკის და სხვათა ლექსთა ფრაგმენტები თარგმნა რუსულ ენაზე, ზემოხსენებული ნაშრომი გერმანულ ენაზეც ითარგმნა და რუსთაველის სახელს პოპულარიზაცია უყო რუსეთსა და ევროპაში.

ისეთი ინფორმატორები, როგორც ე. ბოლხოვიტინოვს ჰყავდა, აღიარებული ავტორის თანაავტორები არიან, მაგრამ წიგნი მაინც მას ეკუთვნის, ვისი ხელითაც ის დაიწერა. ზოგი ავტორი სხვის ნაშრომს იყენებს მეტი მოცულობით, მაგრამ წიგნი მაინც გამფორმებელს ეკუთვნის. ვარლამ ერისთავი ე. ბოლხოვიტინოვთან თითქმის ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც ენის მცოდნე ან ფოლკლორული მასალის მთქმელი ჩამწერთან, ხოლო იოანე, დიმიტრი, მიხეილ ბაგრატიონები და შეიძლება სხვებიც — როგორც სწავლული კონსულტანტები ან სპეციალისტ-რედაქტორები.

ზოგი მკვლევარი დღეს, ე. ბოლხოვიტინოვის ინფორმატორების ვინაობის შესახებ. მათზე კი პირდაპირი ცნობები არსებობს! ჩვენთვის საინტერესო წიგნის წინასიტყვაობის დასასრულს ვკითხულობთ: შინაარსი «почерпнуто не из иностранных европейских путешественников, большею частью сообщенных от пребывающих ныне в Петербурге посланников и депутатов» (გვ. XIII).

ე. ბოლხოვიტინოვი მეგობრობდა არქეოგრაფ ნ. ნ. ბანტიშ-კამენსკის (1737—1814 წწ.) — საგარეო საქმეთა კოლეგიის მოსკოვის არქივის გამგეს. პირველს მეორისათვისაც მიუმართავს და მისგან ძვირფასი მასალა მიუღია (იხ. ქვემოთ). ამათ გარდა, ე. ბოლხოვიტინოვი იყენებს წიგნებს და ამასთანავე ვარლამ ერისთავიც უამბობდა მას ქართულ წყაროებში წაკითხულ ცნობებს.

იმის მაგალითად, თუ როგორ ენერგიულად და გატაცებით ეკიდებოდა ე. ბოლხოვიტინოვი სამეცნიერო თემებს, ე. შმურლო ასახელებს ავტორის მუშაობას ქართული კულტურის საკითხებზე. ამ მიტროპოლიტს შეეძლო, — წერს იგი, — „უსაქმო დრო საქმედ ექცია და თავისი დასვენების საათები შეერწყა ლიტერატურული საქმიანობისათვის“. 1802 წლის 13 მაისს ე. ბოლხოვიტინოვი აღუყვებს თავის მეგობარ მაკედონეცს: მე შინ ვცხოვრობ განდევილივით, ფეხსაც კი არ ვაღამ გარეთ. მხოლოდ ზოგიერთ საღამოს ვატარებ ქართველ ეპისკოპოს ვარლამთან და იცით, ამ საღამოებიდან რა გამოვიდა?! «Он мне все рассказывал да рассказывал про Грузию, а я слушал, да слушал, да на ус себе мотал, а там як присев писать, аж смеюрю, уже целая книга о Грузии Марания скопилась. Прочел владыке Варлааму, — он аж изумился, и ну поправлять, пополнять, с находящимися здесь грузинскими князьями советоваться и спрашиваться. Попросил я помощи и от Вантыша-Каменского. Он все любопытнее из своего гнезда мне сообщил; Вот и книга. Показал митрополиту. Одобрено; велено напечатать, и теперь уже под тисками. Два листа уже отпечатаны. Мы с грузинами (князьями) сами хохочем, что из шуток вышла книга...»<sup>43</sup> ე. ბოლხოვიტინოვი გულწრფელად წერს

მეგობარს: «И все это писал человек, ни слова по-грузински не знающий и от роду Грузии не видавший»<sup>42</sup>.

ცნობილია, რომ ხსენებული ეპისკოპოსი ვარლაამი (ერისთავი) იმ დროს სინოდში იყო გაძახებული და იმყოფებოდა იმავე ალექსანდრე-ნეველის ლავრის საცხოვრებელში, რომელშიც — ე. ბოლხოვიტინოვი. პეტერბურგშივე ჩავიდნენ მამის ქართველი ბატონიშვილები ბაგრატი, იოანე და მიხეილი, რომელთაც, როგორც ჩანს, ვარლაამის ცნობები ე. ბოლხოვიტინოვის ხელნაწერშივე (გვ. 2, გვ. 551) შეამოწმეს.

ე. ბოლხოვიტინოვის 1802 წ. 13 მაისის ბარათის პუბლიკაციის შენიშვნებში ვკითხულობთ: «Вызванный для присутствия в Синоде, Варлаам жил в это время в Александро-Невской лавре»... «В Петербурге в это время жили грузинские князья Баграт, Иоани, Михаил» (Полн. собр. Зак., № 20, შდრ. 3, გვ. 386). იქვე ინფორმატორების შესახებ სწერია: «Это были Баграт, Иоани и Михаил, выжидавшие себе пенсии от русского правительства»<sup>43</sup>. შემდეგ ფ. ა. ბროკჰაუზისა და ი. ა. ეფრონის „ენციკლოპედირ ლექსიკონში“ (ტ. 11, 1893, გვ. 411) აღინიშნა: «весьма ценное «Историческое изображение Грузии» (СПб., 1802) — результат бесед с грузинским епископом Варлаамом, грузинскими князьями Баграмой (Баграмом. — И. М.), Иоанном и Михаилом, а также исследования архивного материала».

ამ იჭიროვს ცნობას ე. ბოლხოვიტინოვის პირად ბარათში ყურადღება მიექცია ავტორის პირველი ვრცელი ბიოგრაფიის შემდგენელმა ს. პონომარიოვმა; შემდეგ იგივე გამოიყენეს: სპერანსკიმ<sup>44</sup>, ე. შმურლომ<sup>45</sup>, ვ. ბოციანოვსკიმ (ენციკლ.), თ. მაჰავარიანმა (1937 წ.), ი. ენიკოლოფოვმა, ს. ლეკიშვილმა და სხვებმაც, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ამავე საქმეში ვარლაამ ერისთავის გარდა, ხსენებული ქართველი ბაგრატიონების მონაწილეობას ზოგი ავტორი კატეგორიულად უარყოფს ან სადავოდ ხდის, ან კიდევ ბარათში მოხსენიებული სახელების გვართა საძიებლობის გამო საკითხს გვერდს უვლის. ეს იყო გაუგებრობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან სათანადო პირთა უმრავლესობა ცნობილია.

ე. ბოლხოვიტინოვის ერთ-ერთ ქართველ ინფორმატორ-კონსულტატ ვარლაამ დავითის ძე ერისთავის შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ მას ე. შმურლო არარაობად აცხადებს! (Пресвещенный Варлаам был, кажется, личностью ничтожною) და წიგნის ღირებებს ბოლხოვიტინოვს მიაწერს! ნამდვილად კი ეს ვარლაამი განათლებული და ნაწარმოების ავტორიც ვახლავთ<sup>46</sup>.

ჩვენ ზემოთვე წარმოვადგინეთ ციტატა, რომელიც ზემოხსენებულსავე ქართულ თარგმანში აგრე იკითხება: „ე. ბოლხოვიტინოვის ეს წიგნი არის შედგენილი არა უცხო მხრის ევროპიელთ მოგზაურთაგან აღწერილობებიდამ, არამედ ნამდვილთა წყაროთაგან, რომელნიცა უფრო სანამეტნაოდ მოგუცეს ჩუენ მყოფთა აწ სანკტ-პეტერბურღში საქართველოს ელჩებთა და დეპუტატებთა“ (ფ. 7). ავტორი ციტატის ბოლო ნაწილში მიგვანიშნებს, რომ მას, ვ. ერისთავს და ბატონიშვილებს გარდა, სხვებთანაც კჳონია საუბარი. ციტატისავე პირველ ნაწილში კი ამბობს უცხოელთა წერილობითი ცნობებით არ მისარგებლიაო. აქ ავტორი მთლად მართალი არ ჩანს. მის წიგნში ვკითხულობთ: „საქართველოს ქვეყანა თვით ღრმასა დროისა სიძველესა შინა ყოფილა ჩინებული მრავლითა ევროპაში გასახლებულთა თავისგან სოფლებითა.

საქართველო არის ქებული ჯერეთ ძველთა საბერძნეთსა მელექეთაგან დიდებულთა ზღაპართა შინა“.

ავტორი ახსენებს ვერგილიუსის მიერ აღწერილ პრომეთეს, როგორც მიჯაჭვეულს პირქუშსა და მიუვალ კავკასიონზე. ასახელებს „არღონატსა და ოქროს მატყლოვან“ ვერძს, იაზონსა და მის ჩინებულთ თანამოგზაურთ მედეასა და სხვებს... სტრაბონი კოლხიდიდან გამოყოფს ალბანეთს, რომელშიც ექვთი ენანი (ტომნი) და ამდენივე მეფენი არიანო, „გარდმოსულთა მათგანით დააშენესო საბერძნეთის ალბანია“. ორივე ეს ქვეყანა (კოლხეთი და კავკასიის ალბანია) ქრისტემდე იწოდებოდა ივერებად, ივერებად და იბერებად, ისპანია ივერებისაგან დასახლდაო და სხვა<sup>47</sup>. ესა და ასეთები კი ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობებია საქართველოზე. ბოლხოვიტინოვს შეეძლო მათი დედანშივე წაკითხვა:

ვასკენით: ე. ბოლხოვიტინოვი, თავისი დროის განათლებული ქართველი ინფორმატორი-კონსულტანტებისა და ძველი ისტორიკოსების ცნობების გარდა, სავარაუდოა საქმეთა მოსკოვის კოლეგიის არქივის ცნობებითაც სარგებლობდა. და ამდენად ეს წიგნი საქართველოს შესახებ არსებულ ყველა სხვა ადრინდელ ნაშრომზე უფრო სრული და მნიშვნელოვანია. იგი საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ ნაბეჭდი ის ნაშრომი, რომელმაც, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა, რუს და ევროპელ მკითხველს შედარებით ვრცლად გააცნო ჩვენი ხალხი და მისი კულტურის ისტორია, პოეტი რუსთაველი. პირველად მასშივე დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის თარგმანი, რასაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ე. ბოლხოვიტინოვი ქართველოლოგი არ იყო, მან არც ქართული ენა იცოდა, მაგრამ მაინც დამსახურებულად იხსენიება ქართველოლოგიისა და მისი ახალი დარგის — რუსთველოლოგიის ისტორიაში.

**P. S.** მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ, რომ ზემოწარმოდგენილი ზოგიერთი დებულებისაგან ვანსხვავებით დაიბეჭდა სხვა მოსაზრებაც.

1. ე. ბოლხოვიტინოვის ქართველი ინფორმატორები ე. ერისთავის გარდა, იყვნენ არა ბეგრატ, იოანე და მიხეილ ბატონიშვილები (შდრ. ზემოთ, გვ. 80—81), არამედ ქართველი თავადები, დესპანები და დებუტატები: გ. ავალიშვილი, გ. თუმანიშვილი, გ. რატიშვილი და შეიძლება სხვებიცაო<sup>48</sup> (გ. შარაძე, საქართველოს მეცნ. აკადემიის ლიტმკოდნეობის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს X სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1976 წ., დეკემბერი, გვ. 17).

პირველთა შესახებ არსებობს პირდაპირი ცნობები და მათვე მაშინ თავადებსა („ქინაზია“) და წარგზავნილებსაც უწოდებენ (იხ. ზემოთ, გვ. 81). წიგნის წერის დროს სწორედ ისინი იყვნენ „Пребывающиеся ныне в Петербурге“ პირები (ბოლხოვიტინოვის წიგნი, გვ. VIII, ზემოთ გვ. 18) .ისინი ჩავიდნენ პეტერბურგში 1801 წლის სექტემბერში. წიგნი 1801—2 წლის ზამთარში დაიწერა. ამ პირდაპირი ცნობებს ზოგადი მოსაზრება ვერ შეეცლის. ისე კი შეიძლება, საკითხზე ორი აზრიც არსებობდეს.

2. „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემა განადგურდა, უკვე ძნელია მისი ცალების პოვნაო, რომ იუწყება ბოლხოვიტინოვი, ახლა შენიშნავენ: აქ „უნდა იგულისხმებოდეს არა აქტონ I, არამედ რეალური ისტორიული კატასტროფა — 1723 წელს მომხდელი მტრის თბილისზე თავდასხმა და ამ დროს ვახტანგისეული წიგნების განადგურება“ (აღნიშნული თეზისები, გვ. 18).

არა, ეს არაა მთავარი. ჩვენ ადრევე მივაქციეთ ყურადღება (1964, 1965 წ. იხ. ზემოთ, გვ. 73), რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემის ეგზემპლარების განადგურების მთავარ მიზეზად ამავე წიგნის 1841 წლის გამოცემის ბეჭდური პროგრამის ავტორები —

თ. ბარატონი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი — თბილისზე 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის თავდასხმის თვლიდნენ და ეს პირდაპირი ცნობაც უფრო სანდოა, ვიდრე ისევ ზოგადად მოსაზრება. მით უფრო, რომ:

ა. 1723 წელს მეფე ვახტანგი თბილისში იმყოფებოდა (იგი რუსეთს 1724 წელს გადაიხვეწა); მისი გამოცემის მოსპობას ვერ გაბედადნენ და რომც გაებედათ, ამაზე თვითონ მეფე ან სხვა ვინმე დაწერდა.

ბ. 1712 წლის გამოცემა 1723-სა და მით უფრო 1795 წელს სტამბაში აღარც ეწყობოდა. ამ ხნის განმავლობაში წიგნის რამდენიმე ათეული ცალი ისედაც მოიპოვებოდა.

გ. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ცნობას — (ნავარაუდვედ 400 ცალიდან) 80 ცალი შეკრიბეს და მოსპესო — და ამის თაობაზე სოლ. ყუბანეიშვილის მოსაზრებას; ეს მოხდა არა იმდენად „ვეფხისტყაოსნის“ დევნის გამო, რამდენადაც 1712 წლის გამოცემაზე დაართული ვახტანგის კომენტარების გამო.

დ. ვასათყალისწინებელია რუსთაველის პიემის წინააღმდეგ კლერიკალებისა და სხვა მოწინააღმდეგეთა ბრძოლა.

კონცეფცია „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემა მოსპობინა არა ანტონ პირველმა, არამედ მისი ცალკის უმრავლესობა განადგურდა თბილისზე მტრების თავდასხმების შედეგად, ეკუთვნის წინამდებარე სტრუქტურების ავტორს. ეს 1795 წლის 1723 წლით შეცვლილ სხვას ვერ მიეწერება. თვალსაზრისის გაზიარება კი ყველას შეუძლია.

3. რაც შეეხება აზრს — „წიგნის ფრანგული და ინგლისური თარგმანების საკითხი უნდა მოიხსნას“ (აღნიშნული თეზისები, გვ. 17), იგი პ. ბერკოვის ვეუთენის, შვარცმ მიანც შეიძლება, ფრანგული თარგმანი არსებულყოფი, ოლონდ ვერ გამოქვეყნებულიყო ისევე, როგორც არსებობს ქართული თარგმანი და არ დაბეჭდილა (იხ. ზემოთ, გვ. 74).

o. 2.

### შენიშვნები

<sup>1</sup> მთლიანი ნაშრომი ნ. ბოლხოვიტინოვის ცხოვრება-მოღვაწეობაზე მოხსენიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის (ისტორიკულ-რუსთველოლოგიის განყოფილებას 4. X. 1973 წელს, ხოლო ძირითადი დებულებანი — ინსტიტუტისავე სამეცნიერო სესიას 25. XII. 1974 წელს, აქვეყნებდა სხვანაირი გამოკვლევების მხოლოდ ნაწილი, რომელიც ბოლხოვიტინოვის ნაშრომის ქართველოლოგიურ ნაწილს ეხება. ავტორის ქართველ ინფორმატორ-კონსულტანტების ბიოგრაფია-მოღვაწეობის შესახებ წერილი შეიძლება ცალკე გამოქვეყნდეს.

<sup>2</sup> [Евгений Митрополит [Болховитинов]], Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, Сочинено в Александро-Невской академии, в Санкт-Петербурге, с дозволения указного, печатано в типографии Шнора, 1802 года (XII+102 стр., приложение трех родословных таблиц царей кахетинских, карталинских и имеретинских).

<sup>3</sup> Д. Сперанский, Ученая деятельность Евгения Болховитинова, митрополита киевского, журн. «Русский вестник», 1885, апрель, стр. 517—581, май, стр. 161—200; июнь, стр. 644—705.

<sup>3a</sup> იქვე, გვ. 560, 570.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 189.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 215.

Проф. П. Н. Берков, Шота Руставели в русской литературе, Известия АН СССР, ООН, М.-Л., 1938, № 3, გვ. 51, იგივე გადაბეჭდილ კრებულში. «Деятели русской культуры о Шоте Руставели», Тбилиси, 1966, გვ. 254—255.

ცნობილი სოპიოკოსა და სმირდინზე დაყრდნობით, პ. ბერკოვის მიერ აქვეა დასახელებული დავით ბატონიშვილის „საქართველოს მოკლე ისტორია უძველესი დროიდან“, თბილისი იგი პირველად 1796 წელს გამოქვეყნებულიყოს საეკლ-პეტრბურგში, მეორედ კი — 1805 წელს, რაც უცნობია. პირველი 1805 წლის გამოცემა, მეორე — 1893 წელს.

<sup>6</sup> Картина Грузии, или описание политического состояния царства Карталинского и Кахетинского, сделанное пребывающим при его высочестве царе Карталинском и Кахетинском Ираклии Теймуразовиче полковником и кавалером Буриашевым в Тифлисе в 1786 г.

<sup>7</sup> გ. იმედაშვილის წიგნი — „რუსთველოლოგიური ლიტერატურა“ 1721—1956 წლებში“ (თბ., 1957) — ეს გვიჩვენს, კორექტურული შეცდომით თუ სხვა მიზეზის გამო, დაბეჭდა ფორმით მაკედონცო (გვ. 5). ზოგიერთები სარგებლობენ ამ კაპიტალური წიგნით, მაგრამ არა მისზე, არამედ მასში დასახელებულ ნაშრომზე მიუთითებენ და იმეორებენ გერას (მაკედონცი)

ფორმას (იხ. ლ. ანდელუაძის წერილი კრებულში „ქველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, თბ., 1968, გვ. 110). პირველ წყაროში რომ ზაგხედათ, ეს არ მოხდებოდა.

<sup>8</sup> E. Шмурло Митрополит Евгений, как ученый. Разные годы жизни, 1767—1804. С.-Петербург, 1888. т. 1. иогр. В. С. Балашова. გვ. 345.

<sup>9</sup> П. Н. Берков, დასახ. შრ., გვ. 53; II გამოცემა, გვ. 259.

<sup>10</sup> ი. შვეგრელიძე, ფუნ. «Литературная Грузия», 1935. № 12, გვ. 69—70. ვახ. «ლიტერატურულ საკითხებზე», 1965 წლის 20 იანვარს, გვ. 2.

<sup>11</sup> С. Лекишвили, Первооткрыватели Руставели, газета «Заря Востока», 1955 წ. 25 იანვარს.

<sup>12</sup> «ქართული პოეტის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.)», გეო მიქაძის რედაქციით და შედგენებით, თბ., 1954, გვ. 215.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 28—57.

<sup>14</sup> ი. ა. გაჭეჩელიძე, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953, გვ. 50—«მნათობი», 1948, № 1, გვ. 125.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 54—«მნათობი», 1948, № 1, გვ. 129.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 53—«მნათობი» 1948, № 1, გვ. 128.

<sup>17</sup> «ქართული პოეტის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.)», გვ. 24.

<sup>18</sup> ჟურნალი «საბჭოთა ხელოვნება», 1972, № 2, გვ. 33. წინამდებარე ნაშრომის გაფორმების შემდეგ გამოქვეყნდა წაგნიც — «მეტრი და რითმა ეფუხისტეაოსანში» ვიორჯი შერეთლის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 91—72.

<sup>19</sup> ი. ა. გაჭეჩელიძე, ეფუხისტეაოსანის პოეტის ზოგი საკითხი, თბ., 1974, გვ. 219—227 და სხვა.

<sup>20</sup> Saint-Martin, Memoires historiques et géographiques sur l'Arménie, vol. II, Paris, 1819, გვ. 247—249, შდრ. E. Шмурло, დასახ. შრ., გვ. 440.

<sup>21</sup> П. Н. Берков, დასახ. შრ., გვ. 33. შდრ. გ. იმედაშვილი, დასახ. შრ., გვ. 3—7.

<sup>22</sup> იხ. გ. მიქაძის წერილი კრებულში «ლიტ. თეორიისა და ესთეტიკის საკითხები», კრ. 2, თბ., 1965, გვ. 145.

<sup>23</sup> «საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე», 1961, № 1, გვ. 216.

<sup>24</sup> E. Шмурло, დასახ. შრ., გვ. 348.

<sup>25</sup> შ. ხანთაძე, მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 12—13?

<sup>26</sup> Bibliographie analytique des ouvrages de Marie Félicité Brosset..., Спб., 1887, გვ. IX. შდრ. მ. ბროსე — Éléments de la langue géorgienne, Paris, 1837, გვ. XIV.

<sup>27</sup> შ. ხანთაძე, დასახ. შრ., გვ. 18.

<sup>28</sup> გ. მიქაძე, დასახ. შრ., გვ. 146.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 147—148. მ. ბროსეს წერილებს ს. ყუბანეიშვილისეულ გამოცემასა და გ. იმედაშვილის პუბლიკაციაზე — «თეიმურაზ ბაგრატიონის «სრომა ქართული ევრსთეიკაციის საკითხებზე» — იხ. კრებ. «ლიტ. ძიებანი», IV, 1948.

<sup>30</sup> ი. ა. გაჭეჩელიძე, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 133.

<sup>31</sup> იქვე, 139.

<sup>32</sup> შდრ. E. Шмурло, დასახ. შრ., გვ. 340.

<sup>33</sup> ქ. ქეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 17—18.

<sup>34</sup> იხ. გ. ბოციანოვის წერილი ფ. ა. ბროკაუზისა და ი. ა. ეფრონის ენციკლოპედიაში, ტ. IX, 1893, გვ. 411.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 412.

<sup>36</sup> «Историческое изображение Грузии...», გვ. 88.

<sup>37</sup> იხ. ფ. შადურის წერილი კრებულში «შოთა რუსთაველი», თსუ თბ., 1966, გვ. 420—421.

<sup>38</sup> E. Шмурло, დასახ. შრ., გვ. 345.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 341.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 342.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 340.

<sup>42</sup> იქვე, შდრ. Д. Сперанский, დასახ. შრ., გვ. 551.

<sup>43</sup> E. Шмурло, დასახ. შრ., გვ. 341, შშ. 1.

<sup>44</sup> Д. Сперанский, დასახ. შრ.

<sup>45</sup> Е. Шмурло, დასახ. შტ.

<sup>46</sup> С. Пономарев. Материалы для биографии митрополита Евгения, Труды Киевской духовной академии, 1867, август.

<sup>47</sup> «Историческое изображение Грузии...», გვ. 1, 2, 8—9. ციტ. თარგმანი — დ. 9, 13 და სხვა.

<sup>48</sup> მითზე ვერ იტყვიან: «выжидавшие себе пенсии от русского правительства», (იხ. ზემოთ, გვ. 81); ეს ბატონიშვილებზე ნათქვამია.

И. В. МЕГРЕЛИДЗЕ

## КНИГА Е. БОЛХОВИТИНОВА О КУЛЬТУРЕ ГРУЗИИ

### Резюме

Присоединение Грузии к России в 1801 году обусловило создание книги, изданной анонимно в Петербурге в 1802 году под названием «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии», а далее появился ее перевод на немецкий язык (напечатан в 1804 году в Риге-Лейпциге). Россия интересовалась историей народа, вошедшего в ее состав, а Европа — политической ситуацией. Вот что пишет автор этой книги: на нее «обратили внимание скорее за ее современность, чем за внутреннее достоинство; я ее показал митрополиту. Одобрено, велено напечатать».

Известно, что автором был богослов, историк и филолог Е. Болховитинов. Не зная грузинского языка и истории Грузии, он консультировался и получал информацию от проживавшего вместе с ним в Александро-Невской лавре грузинского епископа Варлаама (Эристави) и, по некоторым данным, от грузинских царевичей Баграта, Иоанна и Михаила, находившихся тогда же в Петербурге и «выжидавших себе пенсии от русского правительства». Разумеется, Е. Болховитинов мог еще пользоваться и другими информаторами, а также материалами из Московского архива и книгами древних европейских авторов. Возможно, что он не поставил на книге своей фамилии потому, что весьма был обязан живым информаторам.

Названной книге на русском языке предшествует лишь книга кавалера С. Д. Бурнашева «Картина Грузии, или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского» (Курск, 1793) и отдельные статьи (Москва, 1773, С.-Петербург, 1779...), но они не могут сравниться с изданием 1802 года, в котором, несмотря на некоторые проблемы, неточности и даже ошибки, даны сравнительно полные и правдивые сведения о Грузии, ее истории, литературе и культуре, в частности, здесь впервые русский читатель знакомится с Руставели и его бессмертной поэмой, которая сравнивается автором с другими произведениями мирового значения, характеризуется грузинская версификация и т. д.

Книга эта, конечно, на сегодняшний день устарела, но она сохраняет свое историческое значение, ибо в ней впервые на русском языке приводятся обширные сведения о грузинском народе и его культуре. Она является одним из первых результатов научного и культурного сотрудничества русских и грузинских ученых после присоединения Грузии к России.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის რუსთაველოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

### ვალერიან ასათიანი

#### დავით ბაგრატიონის „მითოლოგია“

ანტიკური ელემენტების კვლევისას ძველ ქართულ მწერლობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა, რასაკვირველია, ენიჭება საკითხს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ამა თუ იმ ქართველ ავტორს (მთარგმნელს) ბერძნული წყაროებისადმი, მაგრამ საინტერესოა სხვა გზით შემოსული ინფორმაციის რაობის დადგენაც. ქართული მწერლობის მრავალი პრობლემის კვლევის დროს ბერძნული, ლათინური, არაბული, სპარსული, ფრანგული, რუსული და სხვა წყაროების შესწავლამ საინტერესო ფაქტები გამოავლინა.

XVIII საუკუნეში რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის გაძლიერების შედეგად რუსული ენიდან ქართულად არაერთი ავტორის თხზულება ითარგმნა, რომელთა შორის მრავალი შეიცავს ანტიკური მწერლობის ამა თუ იმ სიუჟეტისა და მოტივის გადამუშავებულ რედაქციას. ასე მაგალითად, თვალსაჩინო ქართველმა მოღვაწემ — გაიოზ რექტორმა (1746—1821 წწ.) თარგმნა ფრანგი მწერლის ფენელონის (1651—1715 წწ.) რომანი „ჟლისეს ძის თელემაკის თავგადასავალი“ და „ცხოვრება ძველთა ფილოსოფოსთა პრჩეულთა პაზრებითა მოკიდებულებითა და ყოფაქცევითა სწავლთა მათითა“ (1798 წ.). ქართული „გარდასავალი თელემაკისა ძისა ჟლისესი“ ფენელონის რომანის რუსულ გამოცემას ემყარება „ტელემახიდა“ პოპულარული ყოფილა XVIII საუკუნისა და ე. წ. „გარდამავალი ხანის ქართულ ლიტერატურაში“.

ძველი ქართველი მწერლებისათვის კარგად იყო ცნობილი ბერძენი და რომელი დრამატურგების შემოქმედება. 1795 წელს კარინის რუსული თარგმანიდან დავით ჩოლოყაშვილს ქართულად გადმოუქეთებია რასინის ტრაგედია „ეჭიღენია“. ირკვევა, რომ დავითს მოლიანად და უცვლელად კი არ გადმოუთარგმნია რასინის თხზულება, არამედ თავისებურად გადაუშუქებია და შეუქოყებია იმდენად, რომ ორიგინალიდან ერთი მესამედილა დარჩენილა. თარგმანის ამგვარი მეთოდი არცთუ ისე იშვიათია აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში.

გარდამავალი ხანის ქართული მწერლობა არაბთ ივიწყებს ანტიკურობას, არამედ აძლიერებს კიდევ ინტერესს ბერძნული მწერლობისა და მითოლოგიისადმი. ამ მხრივ თვალსაჩინოა დავით ბაგრატიონის (ბატონიშვილის, 1767—1819 წწ.) შემოქმედება. საქართველოს მეფის ძე და მემკვიდრე დავითი (როგორც იგი უწოდებდა თავის თავს) მრავალმხრივ განსწავლული და განათლებული პიროვნება იყო. იგი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას უთავსებდა ლიტერატურულ-მთარგმნელობითსა და მეცნიერულ მუშაობას. დ. ბაგრატიონი შედიოდა იმ ახალგაზრდების ჯგუფში, რომლებიც ერეკლე მეფის მხარდაჭერით რუსეთში ეზიარნენ სწავლა-განათლებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული სულიერი კულტურის გამდიდრებაში.

დ. ბაგრატიონის სახელით ჩვენამდე მოღწეული „მითოლოგია“ მრავალი ხელნაწერთაა წარმოდგენილი. „მითოლოგიის“ ძირითად ტექსტს დავითი უმძღვარებს შემდეგი ხასიათის წინასიტყვაობას: „ცნობა ისტორიული და ლე-

ოლრაქიული (ზღაპარსიტყვაობა), შეკრება რაოდენთამე ძველთა ღმერთთა (კერპებთა), ელინთაგან ღვთად აღსარებულთა, თარგმნილი რუსულისაგან, ქართულსა ენასა ზედა საქართველოს მეფის ძის და რუსეთის ღენერალ-მაიორის დავითისაგან“. პროფ. ტრ. რუსხაძის აზრით ამ თარგმანის საფუძველია შიხ. ჩულკოვის „მოკლე მითოლოგიური ლექსიკონი“<sup>4</sup>.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა — რა დამოკიდებულებაშია ქართველი ავტორ-მთარგმნელი რუსულ დედანთან; შეაქვს თუ არა მას „მითოლოგიაში“ რაიმე სიახლე; იყენებს თუ არა იგი სხვა წყაროებს; შეინიშნება თუ არა „მითოლოგიაში“ ძველი ქართული მწერლობის იმ ძეგლთა გავლენის კვალი, რომელნიც უშუალოდ ბერძნულ ორიგინალებს ემყარებიან და ანტიკური კულტურული (ისტორიის, ფილოსოფიის, მწერლობის, მითოლოგიის...) შემკვიდრების ღრმა ცოდნას ავლენენ; შეაქვთ თუ არა „მითოლოგიის“ გადამწერთ რაიმე სიახლე დავითისეულ „მითოლოგიაში“ და სხვ. სანამ ამ საკითხებს გავცემდეთ პასუხს, ვფიქრობთ, აუცილებელია ზოგიერთი მონაცემის გთვალისწინება „მოკლე მითოლოგიური ლექსიკონის“ შემდგენლის მ. ჩულკოვის შესახებ.

მ. დ. ჩულკოვს (1743—1792 წწ.) რუსული კულტურის ისტორია იცნობს როგორც მწერალს, ფოლკლორისტს, ეთნოგრაფს, ეკონომისტს<sup>5</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებული მოსაზრების თანახმად განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მ. ჩულკოვის ფოლკლორისტული საქმიანობა. ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მ. ჩულკოვი მოსკოვის უნივერსიტეტის გიმნაზიაში სწავლამ მოამზადა. მის კალამს ეკუთვნის ზღაპრების კრებული «Пересмешник, или славенские сказки» (ოთხ ტომად, 1766—1778 წწ.), კომედია «Как хочешь назови», მითოლოგიური რომანი «Похождение Ахилессова под именем Пирры до Троянской осады» (1769 წ.), რომანი «Пригожая повариха» (1770 წ.), «Собрание разных песен» (1770—1774 წწ.), «Словарь русских суеверий» («Абевега русских суеверий» (1782 წ.), მ. ჩულკოვი სათავეში ედგა ორ სატირისტულ ჟურნალს — «Ито и сно» (1769 წ.) და «Парнасский щепетильник» (1770—1788 წწ.).

1767 წელს მ. ჩულკოვი სცემს „მოკლე მითოლოგიურ ლექსიკონს“, რომლის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: «Краткой сей лексиконъ» предпріялъ тѣмъ, которые не знаютъ иныхъ языковъ, о пользе его говорить почитаю я за излишнее; ибо они сами употребляя его въ нужныхъ случаяхъ узнаютъ, сколько онъ потребен»<sup>6</sup>.

აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1759 წელს, ე. ი. რამდენიმე წლით ადრე ლექსიკონის გამოცემაზე, ჟურნალ „შრომისმოყვარე ფუტკარში“ გ. კოზიციმ დაბეჭდა წერილი „О пользе мифологии“, რაც გამოწვეული იყო მაშინდელი რუსეთის ზოგიერთ წრეებში მითოლოგიის სათანადოდ შეუფასებლობის ტენდენციით<sup>7</sup>.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, XVIII საუკუნის რუსეთში მ. ჩულკოვთან ერთად მრავალი მწერალი მიმართავდა მითოლოგიური კრებულებისა თუ სხვა ხასიათის ლიტერატურის შექმნას წარმართული პანთეონის შესახებ. მაგალითად, 1768 წელს მ. პოპოვმაც გამოსცა მცირე კრებული<sup>8</sup>, რომელიც განმარტებათა სიუბვით დიდად ჩამოირჩება მ. ჩულკოვის ლექსიკონს, მაგრამ მათ მაინც აერთიანებთ საერთო პრინციპი — ნაციონალური მითოლოგიის შექმნის ცდა. როგორც მ. ჩულკოვი, ასევე მ. პოპოვი ცდილობენ ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟებს მოუძებნონ ორეულები სლავურ მითოლოგიაში, მაგ. Лада-Венера, Лель-Амур, Световид-Аполлон, Зимцерла-Аврора და სხვ.





აღსანიშნავია, რომ ანტიკური და სლავური მითოლოგიების დაახლოების გაცდევით ადრე მ. ლომონოსოვი იძლეოდა: «Древнее многобожие в России, сходствующее с греческим и римским подтверждается еще, сверх письменных известий, другими примечаниями; что значат известные в сказках Полканы, из человека и коня сложенные, как не греческих центавров? не гиганты ли Волоты? Не Нимфы ли в кустах и при ручьях сельской простотою мнимые русалки? Не соответствуют ли Царь морской Нептуну, а чуды его Тритонам? Чур поставленному на меже между пашнями Термину?»<sup>9</sup> ცხადია, რომ მ. ლომონოსოვის ამ და სხვა ნაშრომებს იცნობენ მ. ჩულკოვიც და მ. პოპოვიც.

XVIII საუკუნის რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1795 წელს ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი მითოლოგიური ზანაითის კრებულის<sup>10</sup>, რომელიც შემდეგ ქართულ მწერლობაშიც იჩენს თავს<sup>11</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მცირე ცნობებია დადასტურებული მ. ჩულკოვის „მოკლე მითოლოგიური ლექსიკონის“ წყაროების შესახებ. თვით ავტორი არსად უთითებს მათზე, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტი, რომ სხვა ნაწარმოებზე («Похождение Ахилессова...») მუშაობისას მ. ჩულკოვი აშკარად იმეორებს ვ. ტრედიაკოვსკის (1703—1769 წწ.) სიტყვებს, რომლებიც დაიწერა ტრავედია „დეიდამისათვის“ (1750 წ.)<sup>12</sup>. „მითოლოგიური ლექსიკონის“ წყაროების დადგენაში შესაძლებელია დაგვეჩმაროს მ. პოპოვის ჩანაწერი თავისივე კრებულის წყაროების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მ. პოპოვმა ამოკრიბა ცნობები «Из словено-российского древнего летописца, из российской истории покойного господина Ломоносова, из историографии о начале происхождения Славенского народа г. Мавроурбина Архимандрита Рагужского, из некоторых рукописных Российских летописцев, из простонародных сказок, песен, игр, и оставшихся некоторых обыкновений»<sup>13</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. ბატონიშვილის „მითოლოგია“ ჩვენამდე მრავალი ხელნაწერთაა მოღწეული, მათ შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია E-33 ხელნაწერი, რომელიც აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაშია დაცული. რ. ორბელის აზრით, «Возможно, что рукопись представляет беловой автограф Давида, переписанный в конце XVIII века в Тбилиси»<sup>14</sup>. დავითის შემდეგ ეს ხელნაწერი თეიმურაზ ბაგრატიონის საკუთრებას შეადგენდა. ხელნაწერზე მოთავსებულია მიწაწერი, შესრულებული 1803 წელს თეიმურაზის მიერ, საიდანაც ვგებულობთ, რომ „მითოლოგია“ ამ უკანასკნელს გერმანიაში ჰქონდა წაღებული<sup>15</sup>. ჩვენ უმჯობესად მივიჩნით მ. ჩულკოვის „მითოლოგიური ლექსიკონისათვის“ უმთავრესად სწორედ E-33 ხელნაწერის რედაქციის შედარება.

„მითოლოგიის“ შესავალში დავითი იძლევა ღმერთთა დაყოფას, რასაც მ. ჩულკოვის „ლექსიკონი“ არ შეიცავს. დავითისეული „მითოლოგიისა“ და მ. ჩულკოვის „ლექსიკონის“ შედარება საშუალებას იძლევა შევნიშნოთ ზოგიერთი პირობითი ანალოგია. წარმოვადგენთ რამდენიმეს:

М. Чулков

„Ахилесь, сынъ Фетиды и Пелея Фессалійского, по рожденіи мать погружала его въ Стиксъ держа за пяту, которая одна осталась неуязвляема. клала въ огонь и мазала Амвросіемъ, послѣ от-

დ. ბატონიშვილი

ახილეს. რომელსაცა ეამსა თესსა უხილავს გემო ძუძუისა, ძე პელეი მეფისა თესალიისა და ღმერთთაისა ქეტრდაისა წოდებული ცენტაურა ხირონისაგანა, ახილესად, რომელსაცა ეწოდა პირუს ეამსა სიყრმისა მი-

დალა его для поучения Кентавру Хирону, который кормил его мозгом зѣнрей. Фетида увидавши, что онъ долженство- вать умерщвлѣнъ быть под Троєюю, желая скрыть нарядила его в женское пла- тье и отослала къ царю Ликомѣду. Онъ названъ былъ Пиррою. Дейдіамія Ликоме- дова дочь влюбилася въ него и роди- ла сына Пирра...“ (стр. 15)

„Косит, адская рѣка, текущая сле- зами, вода ея производит болезненной и плачевной шум, из глубины ея подымается беспрециозно черной пар, тут жилище безобразного обмана...“ (стр. 54)

„Терминъ, богъ полевыхъ межей, послѣ царствованія в Италіи Сатурна прек- ратилъ между земледельцами ссоры и раздѣлилъ имъ на части землю.“

Древние римляне построили ему храмъ и приносили жертвы, в них на межахъ и в капиталии“ (стр. 105)

როგორც ვხედავთ დამოწმებული განმარტებები შინაარსობრივად მართ- ლაც უახლოვდებიან ერთმანეთს, მაგრამ დაბეჯითებით იმის მტკიცეობა, რომ ქართული რედაქცია უთუოდ „მოკლე მითოლოგიური ლექსიკონიდან“ მომ- დინარეობს, მეტ დამაჯერებლობას მოითხოვს. რაც შეეხება სხვაობებს, ამ ნხრივ სათანადო მასალის მოხმობა უხედადა შესაძლებელი, მაგალითად:

Аякс, сынъ Теламона, царь Салами- ны, былъ искуснѣе и храбрѣе государей Греческихъ, онъ бился съ Гекторомъ и производилъ битву сію съ чрезвычай- ною храбростію и былъ предпочтенъ Улиссу. Онъ бросался на воиство и дѣлалъ ужасное кровопролитіе, поранилъ себя потаенною шагою Гекторовою (стр. 16)

„Семела дочь Кадма царя Фригий- скаго. Желала увидѣть, какъ Юпитеръ мечетъ громъ, и отъ сего блистанія пре- ратилась в пепель, родивши Бахуса. Но другие говорятъ, что Кадмъ положи еѣ въ корзину, бросилъ в рѣку“ (стр. 99).

სისა, დაალტო იგი დედამან მისმან მდინა- რესა შინა სტიკს, თუნიერ ქუსლისა, რომელი- ცა ეპყრა ქელსა შინა დედასა მისსა და ეგო დაულტოლელად. აგრანა წინათ დედამან მისმა ვითარმედ მოიკლვის იგი გარემოდგო- მისა ტროიანელთა ზედა, რომლისათუსცა წარგზავნა იგი საცემელითა ქალისათა მეფი- სად ლავომედისად, რათამცა ესევეთარითა ღონისძიებითა დაიფაროს იგი სიკვდილისაგან, მუნ შეპყრობილ იქმნა იგი ლავომედისაგან და შვა ძე პირუსს...“

„ქოსით ბნელი და საშიშარი ჯოჯობეთის მდინარე, რომელსაცა ბერძენნი თუსითა ენი- თა ტირილად უწოდებდნენ, ენაიდან მდი- ნარე ესე შედგებოდა ცრემლითაგან უბედურ- თასა და მოკვებულთა ბედნიერებისაგან.“ (F—33, გვ. 34).

„ტერმინ ღმერთი საზღვრისა და მიქნისა, რომლისა ჩვეულება იყო დაღვმა სახისა მი- სისა შესახედეთა მოხუცისა კაცისათა. ჩა- მოცემული ქვისა სვეტსა ზედა, დაგვრგვინე- ბული ღირღანდითა“ (Sic!). (E—33, გვ. 73).

„აიაქს ძე ტელამონისა, ერთ-ერთი ჩინე- ბულთაგანი ბერძენთა მხედართ მძღვანი ტროიანელთა ზედა. აჩვენა მრავალი ჩინე- ბელნი საქმენი, რის გამოცა იწოდა დიდ, აჰან იხილა ვითარმედ ბერძენნი უმეტეს პრაცხდენ ულისეს რჩევისა და მანქანების გამო. ბროლის უმეტეს მისსა, ყოვლის მხილ- ველმან აიაქს მოიკლა თავი თუსი ქებისათს მისისა (ოდისეისისა.— ვ. ა) უმეტეს მისსა, ხმლითა მუნ, რაცა მიანიჭა ლექტორ მებრ- ძოლმან მისგან ძლიერებისათს მისისა, რომელთაც ყვეს ურთიერთას ბროლომ მრთელ დღე დაუყოვნებლად; გარნა ესე... შემთხვე- ცით შეემთხვა მას სიკვდილი... (E—33, გვ. 6).

„სემელი ასული კადმოსისა, რომელსა ეტრფილა იუპიტერ და თანაყო მას და მუცლად იყო მისგან დიონუსი. ხოლო ირა ცოლმან მისმან იწყო შურეებად სემელისა და შვიცელა სახითა დედაბერისათა და შეეტყუა მზრდელად, ხოლო აბირა მას, რათა ითხოვოს იუპიტერისაგან საყვარელისა თუსისა, რათა ეინა ირას თანა ყყოფვის, ეგრეთვე მასცა თა- ნა ეყოს, ხოლო იუპიტერ აღუსრულა თხოვე- ნა და გარდამოხდა ქუხილითა, ელუთა და

მეხისტეხითა, გარნა სემელი, ვინაიღან მისე  
 ღილი იყო მისი დაიწვა და ეგო განუხარებლად  
 და ესევეთარი ღონისძიებამ მოიგონა ირამ,  
 რათა არავინ ჰყვეს წინაშე იუბიტერისა ანუ  
 ზეესისა განრეშომ, ხოლო შემდგომად სიკე-  
 დილისა სემელისა გამოიღო იუბიტერ ჩჩვილი  
 იგი საშოთავან მისითა, ვინაიღან ჟამი არა  
 იყო შობისა მისისა და განიზო თუთ ბარკალი,  
 შთაიღვა და წარიყრა იგი. გარნა შემდგომად  
 შედისა თუსა მოვიდა მერკური ანუ ერპი და  
 განუპო მას ბარკალი და აღმოუღო, რომლი-  
 სთვის დიონესს ორ ნაშობად იტყუნა...“ (E —  
 33, გვ. 49).

„მითოლოგიაში“ მოცემულ განმარტებათა რაოდენობა თითქმის ყველა  
 ნუსხაში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც არის  
 შესაძლებელი ერთმანეთისაგან დამოკიდებული, მსგავსი რედაქციების დად-  
 გენა<sup>16</sup>. მხედველობაში გვაქვს შემთხვევები: როდესაც ხელნაწერთა გარკვეული  
 ჯგუფი ერთსა და იმავე ადგილზე წყვეტს თხრობას; როდესაც ხელნაწერთა  
 გარკვეული ჯგუფი საერთოდ არ შეიცავს ამა თუ იმ განმარტებას; როდესაც  
 ხელნაწერთა გარკვეული ჯგუფი სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებით ანალო-  
 გიური სტილით, მეტი სისრულით გადმოსცემს ცნობებს, ამიტებს განმარტე-  
 ბებს.

E — 33, S — 1153 და H — 396 ხელნაწერები საერთოდ არ შეიცავენ იმ  
 განმარტებებს, რომელთაც „მითოლოგის“ S — 4001, S — 2581 და S — 10  
 ხელნაწერებში ვხვდებით. ესენია: არკადიელ, შუდნი საკვირველებანი, დიო-  
 გენის ენამეტობა..., დიოსისთვის, ვარსკვლავთმარცხველობა, ვერნიკე, ზეე-  
 სი, ზოპირთისათვის, თეანოსი, ირა ეშურებოდა ირაკლის..., ირაკლიტოს და  
 დიმოკრიტოს, ოსტოს, იქსიონ, კერკერონ, კეფალარიდოს, კლენათოისა ჯურ-  
 ღმული..., კლენბროს, კრონოსისა მამა იყო ურანოს..., ნინოს ძე კრონოსა...,  
 ნიეთ მიდგომილებისათვის..., კკლოპნი, კკნოა, კკნიკოელთა ფილოსოფოს-  
 თათვის..., კკნოსარგის ათინასა შინა..., კკროსისთვის, მოვგობა უკვე მიღთა მოი-  
 პოვეს..., მენანპილოს, ნათ მოქმედებასა დიდი ღმრთისმეტყველი...  
 იტყუს..., მენჯევეს, მრაკლის კუთვნა ამისათვის ეწოდა..., ოკატო და  
 ოვრიარეოს, ომიროს სიტყვის მოქმედმან ქუღაბეტი შეუქმნა დიას..., ოტილია,  
 ორფევს, პალამიდოს ევვოელი იყო ნათესავთ..., პანიმერი, პითალორელნი  
 ფილოსოფოსნი, პლატონის უძღებება ეს არს..., პროპინთა, პროტევეს, სალმო-  
 ნევე, სიავათათს ესრეთ მეცნიერ იქმნენ..., სელლოა, სოკრატ, სიცილისა უზო-  
 მოება..., სოლინ, ტეტოსის თხრობა ესე არს..., უძღებება კერპთა და ეშმაკთა...,  
 ფენიკსი, ფრიველნი, ჭალალდსა წერა..., ქსენოკრატნი, ქსერქსი, კელეოს და  
 ტრიპტოლემოს, ღვძლის შემშემლობისათვის..., ღმერთ შობილებისათვის..., ყო-  
 ველთა ჭალაქთა აქენდა თვსად განკუთვნილი საქმე..., შვდ ბჰენი თვისა და  
 ეგვპტისანი... და სხე.

განმარტებანი, რომელთაც არ შეიცავს მხოლოდ E — 33 ხელნაწერი: არ-  
 ტემი, ასკლიბოს, აფროდიტი, დიომიდ, ათინამან მიიხუნა..., ამპოლიტი, ელა-  
 დასა შინა შვდ ბჰე არიან..., ემიდოკლე, ეპიკტიტოს, ეპიკუროს, ეპანიონდ,  
 ეტერედ სახელს დებენ..., ვაცი, ზევეს ისწავა რა შვლთ მკამელობაა..., ზევეს  
 არწივი იქმნა..., კოლიოსის ვითარება..., ოკეანიდნი, პანს, ცერერა და სხე.  
 მხოლოდ E — 33 ხელნაწერში თხრობა შემდეგ განმარტებათა დროს წყდება:

აპისი, ეტნა, ელვის ზღვა, ნერეიდნი და სხვ. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ E—33, S—1153 და H—396 ხელნაწერებში ერთსა და იმავე ადგილას წყდება შემდეგი განმარტებები: აპოლონ, დედუნე, ელისეა, მარკო, რომელიცა ითქმის ქედ დიომას... და სხვ. მხოლოდ S—1153 და H—396 ხელნაწერები არ შეიცავენ შემდეგ თხრობებს: ინდოთა ძველი ქალაქი რადოასა..., მორფეა, მფრინველთათვის განრჩევა იყო ოდესმე..., ლომი ნემფური, ნერეიდე უკიანესი..., საღებავისათვის თქმულ არს..., ლებია და სხვ. ამავე ხელნაწერებში ერთსა და იმავე ადგილზე წყდება „სივილას“ განმარტება. დავით თუმანიშვილისეული ხელნაწერი (H—396) არ შეიცავს შემდეგ განმარტებებს: დოლონ, დოროს, ისორ, მინოტა, ლარნი, ნარგიზ, პალამედ, პელას, სვიწყს, ტიზოფონა, ტრატონნი ძენი ნეპტუნისანი..., ფორტუნა, ღეროონ, ღენნი, ღემენ, ანუ ღემენეა..., ცვარი და სხვ. მხოლოდ ამ ხელნაწერში წყდება თხრობა შემდეგი განმარტებების გადმოცემისას: მინოს ძე იუპიტერისა..., მომუს, ლავირინთო, ლომი ნემფური, ნერეიდნი, ლექტორ და ა. შ. S—1153 და H—396 ხელნაწერებში ერთსა და იმავე ადგილზე წყდება თხრობა შემდეგ განმარტებათა მოცემისას: ბახუს, დაფნის, თივია, კეკროფს, მიდას, ნარნარობა, ტაეროა, ტანტალ, ტარტარ, ფალოსნი, ლადირინ და სხვ. E—33 და S—1153 ხელნაწერები საერთოდ არ შეიცავენ თხრობას არესის, არისტოტელეს, ქარიბდას და სხვათა შესახებ.

S—1153 ხელნაწერი არ შეიცავს „მომუს“-ის განმარტებას. „მოკლე მითოლოგიურ ლექსიკონთან“ შედარებით დავითის „მითოლოგია“ ასევე განსხვავებული რედაქციით განმარტავს დაფნის, ეტნას, პანს, სალამანდროს და ა. შ. მ. ჩულკოვის ლექსიკონი არ შეიცავს მთელ რიგ განმარტებებს, რომლებსაც დავითი იძლევა. ესენია: აკრეზია, ალისტარ, ალკანდრე, ალკმონი, ალფეა, ალციონა, ამპროზია, ამპოდიტი, ანაქსარხოს, ანტისთენო, ანტიკლეა, ანტიპატრე, არისტოტელე, არკადიელ, არის, არღუს, ასკლიპოს, ასფალტოსი, ასფოდელო, ბერეზიდა, დიოგენი, ევრებ, ევრილოკ. ეპიკტიტოს, კრატისი, კვინოა, კიკლოანი, კვინოსარგი, მესოლოა, მაკარეა, მოლოკონი, ნეობტოლემე, ორესტე, ორტუს, სოლონ, ტაეროა, ფავანნი, ფალოსნი, ფრიგველნი, ქსერქსი, დარდანი, ცეიკს, ხარვდა და სხვ. აქვე უნდა ითქვას, რომ მ. ჩულკოვის მრავალ განმარტებას არ შეიცავს დავითის „მითოლოგიაც“. ესენია: ელექტრა, ენდიმიონი, პიგმალიონი, პენატები, პარნასი და სხვ. ამ შემთხვევაში მხედველობაში არა გვაქვს მრავალრიცხოვანი სლავური მითოლოგიური ლეოთებანი: ზიმეტრლა, ბელონა და სხვ., რომელთაც მ. ჩულკოვთან ძალზე ხშირად ეხვდებით.

წარმოდგენილი მასალები საშუალებას გვაძლევს დავუშვათ, რომ ზოგ შემთხვევაში დავითი სარგებლობს მ. ჩულკოვის ლექსიკონით, მაგრამ არაშუსტი იქნება, თუ ამ პროცესს თარგმანს ვუწოდებთ. დავითი თავისებურად აგებს მითოლოგიას. იგი მ. ჩულკოვის მონაცემებს ამიღიდრებს მისთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა წყაროდან ამოკითხული ცნობებით და ქმნის ახალ, სრულიად განსხვავებულ რედაქციას.

„ელინთა ზღაპრობანი“ — „მითოლოგიის“ ძირითადი წყარო. „მითოლოგიის“ ხელნაწერების შესწავლა ცხადყოფს, რომ დ. ბატონიშვილი და „მითოლოგიის“ ვადამწერები ძალზე ხშირად სარგებლობენ „ელინთა ზღაპრობანით“. რიგი ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ „მითოლოგიის“ მოკლე რედაქციას, ზოგ შემთხვევაში არასრულად გადმოსცემენ განმარტებებს, ხო-



ლო ვრცელი რედაქციის შემცველი ხელნაწერები შესაბამისად — სრულად. აღნიშნულის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ამ გავლენის ჩვენ მიერ შე-

ნიშნულ შემთხვევებს:

„ე ლ ი ნ თ ა ზ ღ ა პ რ ო ბ ა ნ ი“

... ესე ავარიდოს კაცი ვინმე იყო ზეშთა ჩრდილოელი, ხოლო ზეშთა ჩრდილოელ არიან უშინავანესნი იგი ჩრდილოელთა და სკოთელთასა. ამის ავარისთვის თქმულ არს, ვითარ- სივ განცებრებულ იქმნა და გარე შემოვლო ყოველი ელადა ისრებითა და იტყოდა ხრიზ- მოსთა რათმე და გრძნებათა, ვითარცა განც- ბრებულნი... ვითარმედ იყო ოდესმე სიყმილი ზეშთა ჩრდილოელთა შორის, მოვიდა ავარ ელადად. ემიზდა აპოლონს და მის მიერ ისწა- ვა სიტყუდ ხრიზმოსთა. და ესრეთ მიერთგან ჭელთა ეპყრინან ისარნი და ესრეთ მიმოვ- ლინ ყოველსა ელადასა... ხოლო პყრობითა მით ისართაათა ამას საცნაურ ჰყოფენ, ვი- თარმედ მოისარ არს ღმერთი აპოლონ“. (II, 7).

„... ატეტონ უჯუე ძალღებთა რაა ინა- დირობდა, იხილა არტემი განშოშვლებული, რომელი ესე უწესოა იყო ღმრთისა და უფ- რაოდსა დედლისა და ქალწულისა ღმრთისა განშოშვლებულისა ხილვათ, ვინაყო განფიქ- სნა არტემი და აღბორგნა ძალღნი იგი ა ე ტ ე ო ნ ის ნ ი გ რ ძ ნ ბ ი თ ა თ ს ი თ ა, რაათა ხედვიდენ აკტეონს ირმად რქოსნად და ესრეთ შექმით განძაბარული მიმოდათორის და მოკლეს...“ (II, 2).

„ა რ ი ს ი წ ყ ლ ა დ ი ო მ ი დ ის ა გ ა ნ, [რასა] იგი [ომიროს] იტყუს მეხუთესა შინა სიტყუს — მეგრეალო[ბასა], ხოლო შე- იკრა ოტოასგან და ეფიალტოასგან, რომელნი ი[ყენს] ძენი მენალოასნი, მძღავრნი ბუ- ნებით ჭუეყანასა [ . . . . . ] დ. ღმერთ- თასა. ამათ [ . . . . . ] და განეწყო არის [ . . . . . ] ამათგან, რომელთა შეკრეს იგი ქალაქსა შინახალს/-/ კერამოასა [ . . ], გინა თუ ესრეთ ვთქვა, ვითარმედ ხალკოკრამო, რომელ არს კე [ . . . . . ] ლისაჲ, საკრეულ- სა რასმე უწოდიან ძნიად გასაჲ[სნე]ლისა ხოლო ო ტ ო ა ს და ე ფ ი ა ლ ტ ო ა ს თ ე ს თქმულ არს, ვითარმედ ცხრა წლისა იყვეს ჰასაითა. სიგრებ აქუნდა ცხრა მყარ და სიბრ- ტყე ცხრა წყრთაჲ“. (III, 86).

„ა რ კ ა დ ი ე ლ ს ა ძ ი ე ბ ე ლ ესე არს, რამეთუ ომიროს გამომეტყუელი მიიწია რაა არკადიად, რომელ არს სოფელი პელოპო-

და ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი

ავარიდოს ზესთა კაცი, ჩრდილოელი, ხო- ლო ზესთა ჩრდილოელ არიან უშინავანესნი იგი ჩრდილოელთა და სკოთელთასა, რომელ- მანცა მოჰკლა ელღიდა ისრებითა და სტყორ- ცნა სიტყვებითა რათამე გრძნებისათა, ხოლო ოდეს იყო სიყმილი მუნ მივიდა ავარ ელა- დად, უმიზდა აპოლონს და მისგან ისწავა სი- ტყვა ხრიზმოსთა და მან მიანიჭნა ისარნი, რომელთა წარვიდა ყოველსა ელადას და საც- ნაურ ჰყო ისართ ღმერთობა აპოლონისა“. (E—33, გვ. 1; S—4001, გვ. 4; S—2581, 3ა; S—10, გვ. 3 და სხვ.).

„აკტეონ მონადირე ძალღებთა, რომელ- მანცა იხილა არტემიდა განშოშვლებული, რომელ ესე უწესო იყო ღმრთასი და უფრორე მჯედრისა და განშოშვლებულისა. ვინაყო გან- ფიქსნა არტემი და გარდაჰქცია (აკტეონი — ე.ა.) ირმად და განაბრძარუნა ძალღთა თუსთა და მოაკლევანა“. (E—33, გვ. 4; S—4001, გვ. 6; S—2581, 4ბ; S—10, გვ. 6 და სხვ.).

„ა რ ი ს ი წ ყ ლ ა დ ი ო მ ი დ ის ა გ ა ნ ი ო მ ი რ ო ს ი ტ ყ ს მეხუთესა სიტყუსმკერ- ვალობასა შინა, ხოლო შეიკრა ო ტ ი ს გ ა ნ და ე ფ ი ა ლ ტ ი ს გ ა ნ, რომელნი იყვენს ძენი მენალოასნი (?), ბუნებით მძღავრნი თეტრალედელთა ჭქესანასა, რომელ იგი იწ- ვართეს ზეცეად აღსლვა მსგავსად ღმერთთასა. ამათ პირველად წინაგანეწყო ა რ ი ს ა, ა მ - ი ს ა შ ე მ ღ მ გ ო მ ა დ ი ლ ი ა ა მ ა თ გ ა ნ, რომელთა იგი შეკრეს კეითა რეალისათა ქალაქსა შინა ხალკოკრამოისისა [გინათუ ესრეთ ესთქვა ვითარმედ ხალკოკრამო, რომელ არს კაცი რეალისა, საკრეულსა რასმე უწოდიან ძნიად გასახსნელსა], ხოლო ო ტ ო ო ს და ე ფ - ი ა ლ ტ ო ა თ ე ს თ ქ მ უ ლ არს, ვითარმედ ცხრა წლისა იყვენს ჰასაითა, სიგრებ აქე- ნად ცხრა მხარი და სიბრტყე ცხრა წყრთაჲ“ (Siel). (S—4001, გვ. 12; S—2581, 8ა; S— 10, გვ. 14 და სხვ.).

„ა რ კ ა დ ი ე ლ, ს ა ძ ი ე ბ ე ლ ესე არს, რა- მეთუ ომიროს გამომეტყუელი მიიწია რა არკადიად, რომელ არს სოფელი პელოპო-

ნისა, პოვნა მესათხველნი, რამეთუ იხილ-  
ვდეს, ჰკითხა მათ და ჰრქუა: „შე ვაძრ არა-  
დელნი, ბაღველოვანნი, ნუ ბადებთა იპ-  
ყართ რამ [ა]?“ ხოლო მათ მიუგეს: „რანი  
ვიპყრებით, იგი განგუეველინეს, ხოლო ელთო-  
ღვილინი ესერა გუეყვანან“. ხოლო ძალი სიტყ-  
უსა ამის ესე არს, ვითარმედ „მპრომელნი  
რომელ ვიპყრებით, იგი მოგსწყუენით, ხო-  
ლო რომელ ვერ ვიპყრებით, ესერა გუეყვანან“.  
ესე იგავი ვერ გულისცმა ყო ომიროსს,  
ამისთვის მცირედ რა თანა წარჰკდა, მოითო  
მწუხარებისაგან. ხოლო თქმულ არს, ვითარ-  
მედ: წინა მოესწავა ომიროსს ხროზმო-  
სა მიერ ესრეთ, ვითარმედ ოდესცა [წინა]  
დაემთხვოს მას საძიებელი ვერ აღსაქსნელი,  
[მყის] მოკუდომად არს“. (III, 33).

„არტემი ქალწული იყო და წმიდა, ხო-  
ლო იხარებდა უც [ . . . . . ] დაი-  
თხოვდიან ზომონსა მისსა ზედა III, 12)“.

„... მემრუშედ უკეთ უწოდენ უკე-  
ნოსს და ტუთოსს, რამეთუ პირველ  
განტყვენეს განყოფითა ურთიერთს და კუ-  
ად აღეკრბეს შუამავლობითა ირასათა, ხო-  
ლო [-] ლპარი (?! — გ. ა.) მეტყუელებს ეს-  
რეთ, ვითარმედ უკეანო არს ნოტიო ბუნება,  
ხოლო ტითვა კმელ; იგი-სახე ზუსა, ხოლო  
ესე-ქუეყანისა და ვითარმედ არა თუ [ . . . ]  
[ . . . . . ] ბუნებათა ეყო კმელსა, არა  
მეგნის ცხრებაჲ ცხელ [ . . . ]“ (III, 82).

„დიოგენი ესე იგივე არს, რომელი  
ჰურსა შინა მკვდროდა, რომელსა შინა ღამე  
შევიდნ სიცივისათს და დღე მზესა ვა-  
[მო]ვიდნ განტფობისათს, ვინაჲ ერთგზის  
ოდესმე ტფებოდა რამ მზესა ზედა, მიაღვა  
ალექსანდრე მეფე და ჰრქუა: „რამ გნებაეს,  
დიოგენი, და მოგმადლო შენ“, ხოლო მან მი-  
უგო: „სამ ოდენ. [ . . . ], რათა არა მიჩრ-  
დილობდე“.

„ამისავე მსგავს [იყო] ბტოლემეოსს ზე  
ყოფილი სოტადი ალექსანდრ[ი]ელ[ი] ფი-  
ლო[სოფ]ოსი, მღვობარე ადგილსა ერთსა და  
შემწუარი მზისა მიერ, რომელსა ზეით შთა-  
მოხედნა ბტოლემეოსს და მოვიდა მისა, რათა  
აღიყვანოს იგი პალატად, ხოლო მან იხილა  
რამ მომავალი, დაემალა მას ნატეხსა ქუეშე  
ჰურისასა, ხოლო ბტოლემეოსს ზედა(„) და  
ჰრქუა მას სიტყუა იამბიონი: „მნებაეს მე-  
[ჩემ]და წუეთი ერთი ბედისა, ვიდრედა სე-  
ესე ჰური ერთი ცნობისა“. ჰური თქუა ჰუ-  
რის ნატეხსა ქუეშე დამალვისათს მისისა  
[ . . . ], არად ერგო მას სიღრმე ცნობისა,

ნისა, პოვნა მესათხველნი, რათა ითხველ-  
დეს, ჰკითხა მათ და ჰრქუა: „შე ვაძრ არა-  
დელნი, ბაღველოვანნი, ნუ ბადებთა იპ-  
ყართ რამიშე? ხოლო მათ მიუგეს: რანი ვიპყ-  
რებით, იგინი განგუეველტენ, ხოლო ლტოლ-  
ვლინი ესერა გუეყვანან. ხოლო ძალი სიტყუსა  
ამის ესე არს, ვითარმედ მპრომელნი რომელ-  
ნი ვიპყრებით იგინი მოგსწყუენით, ხოლო რო-  
მელნი ვერ ვიპყრებით, ესერა გუეყვანან. ეს  
იგავი ვერ გულისცმა ჰყო ომიროსს, ამ-  
ისთვის მცირედ რა თანა წარხდა, მოითო  
მწუხარებისაგან; ხოლო თქმულ არს ვითარ-  
მედ წინა მოესწავა ომიროსს ხროზმო-  
თა ესრეთ: ვითარმედ ოდესცა წინა დაემთხ-  
ვოს საძიებელი ვერ აღსაქსნელი მყის მოკუ-  
დომად არს“.

„არტემი ქალწული იყო და წმიდა,  
ხოლო იხარებდა სისხლითა უცხოთათა, რო-  
მელნი დაითხოვდეს ზომონსა მისსა ზედა“.  
(E—33, გვ. 5; S—4001, გვ. 13; S—2581,  
9ა; S—10, გვ. 26 და სხვ.).

„...მემრუშედ უწოდენ უკეანოსს და  
ტუთოსს. რამეთუ პირველ განტყვენეს  
განყოფილებითა ურთიერთ არს, და კვალად  
შეკრბეს შუამავლობითა ირასათა, ხოლო ზე-  
პარამეტყუელებენ (Sic!) ესრეთ, ვითარმედ  
უკეანოსს არს ნოტიო ბუნება, ტუთოჲ ხმელი,  
იგი სახე ზუსა, ხოლო ესე ქვეყანისა და კვა-  
ლად არათოქვა ნოტიო (Sic!) ბუნება თანა-  
ეყო ხმელსა, არა ეგების ცხოვრება ცხოველ-  
თა (Sic!). S—4001, გვ. 57; S—2581, 42ა;  
S—10, გვ. 91 და სხვ.).

„ესე დიოგენ არს რომელი ჰურსა ში-  
ნა მკვდროდა, რომელსა შინა ღამე შევიდნ  
სიცივისათს და დღეურ მზესა შინა გამოვი-  
დოდა განტფობისათს და ოდეს ერთგზის  
ტფებოდა მზეში მიაღვა ალექსანდრე მეფე  
და ჰრქუა: რამ გნებაეს დიოგენ? და მოგ-  
მადლო შენ? ხოლო მან მიუგო სამოდენ  
კვალ, (Sic!) რათა არა მიჩრდილობდე“.

ამისავე მსგავს იყო სტოადი ალექსანდრ-  
[ი]ელი ფილოსოფოსი, მღვობარე ადგილსა  
ერთსა და შემწუარი მზისა მიერ, რომელსა ზე-  
ვით შთამოხედნა ბტოლემეოსს და მივიდა მის-  
სა, რათა აღიყვანოს პალატად, ხოლო მან იხი-  
ლა რამ მომავალი, დაემალა მას ნატეხსა ქუე-  
შე ჰურისასა, ხოლო ბტოლემეოსს ზედა მი-  
ადგა (Sic!) და ჰრქუა მას სიტყუა იამბიონი:  
მნებაეს მე ჩემდა წუეთი ერთი ბედისა, უდრე-  
და სავსე ჰური ერთი ცნობისა. ჰური სთქუა  
ჰურის ნატეხსა ქუეშე დამალვისათს მისისა, ვი-  
თარმედ (Sic!) არა ერგო მას სიღრმე იგი  
ცნობისა, უნადღან ვერ შეემთხვა ბედისა“.



ენი. ათგან ვერ მივმოხვა ბედსა“. (III, 26).

დუღუნნი ქალაქი არს კმელთა ზედა და არა ქალაქთა შინა, რომელსა შინა აღმართებულ იყო ხე მუხისაი დიოსსიდად სახელდებულ. ამას ქალაქსა შინა იყო სამისინოა დედათა რათმე, რეცა წინასწარმეტყუელთაი, რომელნი შევიდიან ქვეშე კერძო ხისა მის მუხისა და რეცა იძროვდის ხე იგი...“ (I, 12),

„ეკლოპნი იყენეს მწყემს საცხოვართა საზღვართა შინა ქალაქისა სიკილისათა და ცხოვრებოდეს ტაყებით და მშლავრებით კაცის მკამელობით, რომელთა შექამნეს მოყუასანი ოდუსეოასანი. იყენეს უძუე უწარჩინებულენი ეკლოპთანი ვრონტის, სტეროტის და არგის.“

[...]ნი კელოვნებითა მკედლობისა თესისათა შეუქმნეს ზეეს ელვანი და ქუხილნი, ხოლო ეკლოფს ეწოდებოდა მათ, ვითარ ისიოდოს იტყეს, რამეთუ ერთ თუვალ ედგა სიმრგულესა შინა შუბლისასა, ხოლო, ვითარ იგი ტოლევანტოს დასწერს, მკედრობდეს იგინი სიმრგულესა რასამე შინა ქალაქისასა, ამისთვის ეკლოფს ეწოდა, რომელ არს მრგულა“. (III, 63).

„... ომიროს სიტყვის-მოქმედმან ქუდაეტა შეუქმნა დიას, რათა ვერინი იხილიდეს ესი მას არა უნდეს, ღონისძიებისაებრ წარმართთასა, რომელნი იგი ზღაპრობენ, ვითარმედ თხემი ძალღისა ზედა დაარქვა მათ ყოვლად განთქმულმან [3]ლოტონოს, რათა იყოს იგი სახელ კემირთა ჯოჯოხეთისათა“. (III, 37).

„პანი (დირი? — ილ. აბულაძე) ფილოსოფოსი იყო პრომედი, რომელი იგი დღეს ბარბაროზთა მიერისა ქალაქისა ბრძოლისასა ესოდენ დადგა [ . . . . ] ვად სიტყბსა ზნისასა, ვიდრედა გარდამოკდა ზეცით ცეცხლი [და] შეწუნა ბარბაროზნიცა იგი და ფილოსოფოსიცა“. (III, 31).

„პლატონის უძღებებამ ესე არს, რამეთუ პლატონ ფილოსოფოსსა ესმა დიონისითეს მძლავრისა სიციელთასა. ვითარმედ მახულ არს ნ[ი]პითა. ვითარ იგი მის [ . . . . . ] ბელნი იტყუან, ორ იყენეს მიზუნნი მუნ წიაღსღვისა მისისანი...“ (III, 23).

„სელოოა ნათესავი არს დოდონელთა, რომელისაგან გამოირჩეოდეს მდღელნი ფილოსანი . . . . .  
ესენი ვითარცა ღმრთის მსახურნი განმწ-

S—4001, გვ. 23; S—2581, 16b; S—10, გვ. 32 და სხვ.)

„დუღუნნი არს ქალაქი კმელთა, რომელსაცა შინა აღმართებულ იყო ხე მუხისა დიოსისიდად სახელდებულ. ამას ქალაქსა შინა იყო სამისინო დედათა, რეცა წინასწარმეტყუელთა, რომელნიცა შევიდიან ქვეშე ხისა მის და რეცა იძროვდის ხე იგი...“ (E—33, გვ. 11; S—4001, გვ. 25; S—2581, 17 b; S—10; გვ. 35 და სხვ.).

„ეკლოპნი იყენენ მწყემს საცხოვართა საზღვართა შინა ქალაქისა სიკილისათა და ცხოვრებდენ ტაყებით მშლავრებით და კაცის მკამელობით, რომელთა შესკამნეს მოყუასანი ოდუსეიასანი (ანუ ულისენი) და ამით შორის წარჩინებულ იყენეს ვრონტის, სტეროტის და არგის. განთქმულნი (Sic!) ხელოვნებითა მკედლობისათა, რომელთაცა ხელოვნებითა თესითა შეუქმნეს ზეეს ელვანი და ქუხილნი, ხოლო ეკლოპს ეწოდებოდა ვითარ იტყეს ისიოდოს, რამეთუ ერთ თვალად ედგა სიმრგულესა შინა შობილისასა (წ—გ. ა), ხოლო ტოლევანტოს დასწერს მკედრობდეს სო სიმრგულესა რასამე ქალაქისა, ამისთვის ეკლოპს ეწოდათ, რომელ არს მრგულა...“ (S—4001, გვ. 45; S—2581, 32a; S—10, გვ. 67 და სხვ.).

„ომიროს სიტყვის მოქმედმან ქუდაეტა შეუქმნა დიას, რათა ვერინი იხილიდეს ესა მას არა უნდეს ღონისძიებისაებრ წარმართთასა, რომელნი იგი ზღაპრობენ, ვითარმედ თხემი ძალღისა უშეერისა ზედა დაარქვა მათ ყოვლად განთქმულმა პლუტონოს, რათა იყოს იგი სახელად ზემირთა ჯოჯოხეთისათა“. S—4001, გვ. 59; S—2581, 43b; S—10, გვ. 94 და სხვ.).

„პანიმერი ფილოსოფოსი იყო რომედი, რომელ იგი დღესა ბარბაროზთა მიერისა ქალაქის ბრძოლისასა, ესოდენ დადგა ლოცვად (Sic!) სიტყბსა მზისასა, ვიდრედა გარდამოხდა ზეცით ცეცხლი და შესწუნა ბარბაროზნიცა იგი და ფილოსოფოსიცა“. S—4001, გვ. 64; S—10, გვ. 101 და სხვ.).

„პლატონის უძღებებამ ესე არს, რამეთუ პლატონ ფილოსოფოსსა ესმა დიონისითეს, მძლავრისა სიციელთასა, ვითარმედ მახვილ არს ბუნებით და ვითარ იგი მისთვის მიმობრობელნი (Sic!) იტყუან, ორ იყენეს მიზუნნი მუნ წიაღსღვისა მისისანი...“ (S—4001, გვ. 66; S—2581, 48b; S—10, გვ. 105 და სხვ.).

„... მუნეე მღუმელნი ფილოსანი ვითარცა ღმრთისმსახურნი განიწმიდებდეს, რამეთუ არცა იბანინან, არცა ცხუდარსა ზედა დაიძინან, ვითარ იგი სიმღერა ი მიირთლი წარ-



მდებოდეს, რამეთუ არცა იბანნიან, არცა ცხედარსა ზედა დაიძინიან, ვითარ იგი სიმღერაა ომირული წარმოიხიენეს: „მჩნობლ ხართ სიელოა მსახურ ტაძრისა, უბანელ ფერკით და მწოლ სიქმელით“. III, 20)

მოაჩინეს, მჩნობლ ხართ სელოა მსახურ ტაძრისა, უბანელ ფერხითა და მწოლ სიხმელითა“. S—4001. გვ. 73; S—2581, 53a; S—10, გვ. 117 და სხვ.).

წარმოდგენილი პარალელური ტექსტი უქვევლს ხდის, რომ „მითოლოგიის“ შრავალი განმარტება აშკარად „ელინთა ზღაპრობანიდან“ მომდინარეობს. ამგვარი მასალის სიუხვის გამო ჩვენ თავს ვიკავებთ ანალოგიის ყველა შემთხვევის დამოწმებისაგან და დამატებით მხოლოდ მიუუთითებთ მათზე. „ელინთა ზღაპრობანიდან“<sup>17</sup> უნდა მომდინარეობდეს შემდეგი განმარტებანიც: პან (I, 18), პითალორელნი ფილოსოფოსნი (III, 29), ქსენოკრატე (III, 24), პლაზიდოს (III, 60), ხარუვდა (III, 53), სოლონ (III, 21), ტაეროა (I, 7), ტანტალ (I, 9; II, 15; III, 5), ფრუგელნი (I, 2), ლადირი (II, 16), კელვოს, ტრიბტოლემოს (III, 61), „ყოველთა ქალაქთა აქენდათ თუსად განკუთვნილი საქმე“ (III, 76), „შუღ ბჰენი თივსა და ევგუბისანი“ (II, 19), ირა (III, 83), კლევანთოს ფილოსოფოსი (III, 35), კლეობროს (III, 16), ლაკედემონელნი (III, 76), მენუკვცე (III, 9), უკეანოს (III, 82), ორიონ (ურიონ) (II, 2), ოტიდეა (პოტიდეა) (III, 32) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, დ. ბატონიშვილის „მითოლოგიის“ ნუსხები განსაკუთრებით საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება „ელინთა ზღაპრობანის“ მთელ რიგ დღემდე ამოუკითხავ განმარტებათა აღდგენა. მხედველობაში გვაქვს ტექსტის ის ადგილები, სადაც საუბარია ორფეოსის, არესის, არტემიდეს, დიოგენეს, პლატონის, პანიდირის (პანიმერის), ოკეანოსისა და ციკლოპების შესახებ.

„მითოლოგიაში“ სხვა მწერლებთან ერთად ხშირია პომპროსის მოხსენიებაც, რის ძირითად წყაროდ „ელინთა ზღაპრობანი“ უნდა მივიჩნიოთ.

დ. ბატონიშვილის „მითოლოგიის“ გადამწერებმა „მითოლოგიის“ მოლწეულ ხელნაწერთა შორის, გარდა E—33-ისა, ყველა უპირატესად XIX საუკუნის პირველ ნახევარშია გადანუსხული.

როგორც ვნახეთ, მოლწეული ხელნაწერები, რომელთაც დავითის წინასიტყვაობა აქვთ წამძღვარებული, რედაქციულად განსხვავებულ სურათს იძლევიან. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მათთვის ხელმიუწვდომელი არ არის „მითოლოგიის“ რუსული წყარო, მაგრამ ხელნაწერთა ტექსტობრივი შედარება უფრო დამაჯერებლად იმაზე მიგვიითთებს, რომ „მითოლოგიის“ ყველა ხელნაწერთა საფუძველი სწორედ E—33 ხელნაწერია, რაც არ გამორიცხავს გადამწერთა მიერ ინდივიდუალური პრინციპების გამოყენებას.

„მითოლოგია“ გადაუნუსხავთ ცნობილ პოეტ-კალიგრაფს დავით რექტორს და დავით თუმანოვს. ხელნაწერთა შესწავლა-შედარებამ ნათელი გახადა, რომ ეს ორი გადამწერი ქმნის „მითოლოგიის“ ახალ, მოკლე რედაქციას. მთელი რიგი განმარტებები, რომლებიც მოცემულია E—33 ხელნაწერში, მათთან გამოტოვებულია. ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ თუ დავით ბატონიშვილისეული ზოგიერთი განმარტება მოცემულია დ. თუმანოვთან, დ. რექტორის ხელნაწერი მათ არ შეიცავს. დაბოლოს, „მითოლოგიის“ სხვა ხელნაწერებში ვხვდებით ისეთ განმარტებებსაც, რომელნიც არც დავით ბატონიშვილის, არც დავით რექტორის და არც დავით თუმანოვის ხელნაწერებშია დადასტურებული.



დავით ბატონიშვილმა დ. რექტორთან ერთად არამარტო „მითოლოგიაზე“ იმუშავა. 1799 წელს ბატონიშვილი ქართული ლექსიკონის შევსების გეგმას ადგენს და იწყებს მუშაობას მასში გათვალისწინებული მიმართულებით, ხოლო მასალის სიუხვისა და მოუცლევლობის გამო, მუშაობის ტემპის ასაჩქარებლად იწვევს განსწავლულსა და რუსული ენის მცოდნე პირებს, უნაწილებს სამუშაოს და ხელმძღვანელობს მათ. ამასთანავე ამოწმებს მათ მიერ თარგმნილსა თუ განმარტებულ მასალას. ირკვევა, რომ დავით რექტორს მეორე თანამშრომელთან შედარებით განსაკუთრებული პრივილეგირებული ადგილი სჭერია. იგი განმარტავს არა მარტო იმ ხასიათის მასალას, რომელიც გათვალისწინებულია „მიმართავში“ (სამუშაო პროგრამაში), არამედ სხვაგვარსაც. ეს ზუნებრივია, ვინაიდან დავით რექტორი იყო დავით და იოანე ბატონიშვილების აღმზრდელი და მასწავლებელი. დავით ბაგრატიონი მას პეტერბურგიდანაც კი უგზავნიდა თავის თარგმანებს<sup>18</sup>. ამდენად შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დავით რექტორი სარგებლობს „მითოლოგიის“ E—33 ხელნაწერით, ან ამავე რედაქციის შემცველი დღემდე არმოდუნული ნუსხით და თავისი ნებით ამატებს და აკლებს განმარტებებს. ამ მოსაზრების გამოთქმის საფუძველს იძლევა ის, რომ როგორც S—1153, ასევე E—33 ხელნაწერებში მოთავსებული განმარტებანი წყდება ერთსა და იმავე ადგილას.

ამჯერად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ S—4001, S—2581 და S—10 ხელნაწერებს, რომლებიც დ. ბატონიშვილის „მითოლოგიის“ ყველაზე სრულ რედაქციას და ამასთან ერთად მრავალ დამატებითს ცნობას (მოტივს) შეიცავენ. პირველი უცნობი გადამწერის მიერ შესრულებულია 1869 წელს, მეორეც XIX საუკუნის ხელნაწერია, რომელიც ვინმე მიხაილს გადაუწერია. S—10 ხელნაწერი თარიღდება 1833 წლით. იგი გადაუწერია იოანე ლარაძეს. პროფ. ტრ. რუხაძე ამ ხელნაწერის დედანს საძიებლად მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ ი. ლარაძეს ეკუთვნის ამავე რედაქციის შემცველი ხელნაწერები (S—270, S—1421), რომელთაგან პირველი სიტყვასიტყვით იმეორებს S—10 ხელნაწერს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ამ უკანასკნელში ხელნაწერის დეფექტურობის გამო დაკარგულია შესავალი, რომელსაც დავითი აწერს ხელს. S—10 ხელნაწერის შედარებამ დავითისეულ E—33-სთან ნათელი გახადა, რომ ი. ლარაძე უხვად სარგებლობს ბატონიშვილის „მითოლოგიით“. ამასთან ერთად იგი ავრცობს „მითოლოგიას“, იძლევა მის ვრცელ რედაქციას. ი. ლარაძის რედაქცია ყველაზე სრულ შესაბამისობაშია S—2581 და S—4001 ხელნაწერებთან.

„მითოლოგიის“ ხელნაწერებზე მოთავსებულია სხვადასხვა ხასიათის მინაწერები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა S—4001 ხელნაწერი, რომლის გადამწერი დღემდე უცნობია: „იპოვდონი ანუ იპოვეტაური, თავი და ფრჩხილები კაცის უვავს, ხოლო სხვა ყოველივე ცხენსა კუდითურთ. იხილე ცხოვრება ღირსისა მამისა ჩვენისა პავლე თებელისა 15 იანვარს, ოდესცა წმინდა მამა დიდი ანტონი მიდიოდა უშინაგანეს უდაბნოში, წინ შემოეყარა ეს მხეცი: ეს სწერია წმიდისა დიმიტრი როსტოვის მიტროპოლიტის წიგნში“<sup>19</sup>; „კინოკეფალი, თავი და გალობა (ხმა), საშინელი (იხილე წ. დიმიტრი როსტოვის მიტროპოლიტის წიგნში)“<sup>20</sup>, „ანდროლინი ანუ ერმ-ანდროლიტი, ბუნებით არიან მამრებითი და მდედრობითი მსგავსებითა, მხოლოდ ძუძუ მათი მარჯვენე აქვს კაცსა, ხოლო მარცხენე ქალსა. იხ. წ. დიმიტრი როსტოვის მიტროპოლიტის

წიგნი<sup>21</sup>; „არიმასპი, ერთი თვალი აქვს მხოლოდ შუბლზედ და ებრძვიან ცხენი მარადის ფასკუნჯთა... ოქროს და მარგალიტისათვის. რომელიც ფასკუნჯნი მთაში სთხრიან ამთ, ამისთვის არიმასპნი, სარგებლობენ ამით (იხ. წ. დიმიტრი მიტროპოლიტის წიგნი როსტოველისა)“<sup>22</sup>; „ასტრომი. ინდოეთის ბოლოს არიან, პირი არა აქვთ, არცა ჭამა შეუძლიათ არცა სმა. გარნა ცხვირის ნისტვთ ყნოსენ და მისგან მიიღებენ სუნსა კეთილთაგან სუნენლოთა და მსცხვრებენ მითი, მხოლოდ ყნოსეთა“ (იხ. წ. დიმიტრი როსტოვის მიტროპოლიტის წიგნი)<sup>23</sup>.

როგორც ვხედავთ, მინაწერების საშუალებით შესაძლებელი ხდება კიდევ ერთი წყაროს დადგენა, რომელიც ხელთ აქვს S—4001 ხელნაწერის გადაწერს. ესაა დიმიტრი როსტოველის (1651—1709 წწ.) შემოქმედება, რომლისადმი აღორძინების ხანის მრავალი ქართველი ავტორი იჩენს დინტერესებას. ცნობილია, რომ 1707 წელს გაბრიელ ჩხეიძეს ქართულად უთარგმნია როსტოველის ერთ-ერთი თხზულება<sup>24</sup>. დიმიტრი ტუპტალო (როსტოველი) რუსული და უკრაინული ლიტერატურის ისტორიაში დგას ისეთი ცნობილი მოღვაწეების გვერდით, როგორცაა სტეფანე იავორსკი, თეოფანე პროკოპოვიჩი და სხვ. როსტოველს ქართულად XIX საუკუნეშიაც რომ თარგმნიდნენ. ამას ქუთაისის საისტორიო მუზეუმის ხელნაწერებთან (№ 233 და სხვ.) ერთად<sup>25</sup> S—4001 ხელნაწერიც ადასტურებს.

„მითოლოგიის“ S—4001 ხელნაწერზე იქ, სადაც საუბარია „ოვიძლის“ შესახებ, გადაწერის ხელით შესრულებულია შემდეგი ხასიათის მინაწერი: „მითოლოგია მოგვითხრობს, რომ პრომეტეოსი, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და გადმოსცა კაცობრიობას ბნელის გასანათებლად, მძივნვარე მთავარღმერთისაგან მიჭედილი იყო კავკასიის მაღალ ქედზედ და უწყალო ყორანი უსუსტრად უხოკავდა მას გულ-ღვიძლს. მაგრამ ამაყი პრომეტეოსი შეუპოვრად ითმენდა ამ დაუსრულებელს ტანჯვას და არ ემონებოდა ძლიერს მტერს. ეს საუცხოვო და ბრძნული ალეგორია პრომეტეოსში იდეალურად გვიხატავს მთელი კავკასიის ხალხს. (1873 წ. 30 მარტი“ „დროების“ № 13-ითგან — აკაკი წ. სტატიიდან აღმოწერილი იქმნა“<sup>26</sup>. მართლაც, „დროებაში“ მოთავსებულ წერილში („ერთი მეც მერგოს ბანჯზედ“) აკაკი წერეთელს შედარებისათვის მოჰყავს პრომეტეს მაგალითი. აქ დამოწმებულ სიტყვებს მწერალი უმატებს, რომ „... ქედმოუდრეკელი და შეუპოვარი კავკასია ამაყად ითმენდა ხანგრძლივ ტანჯვას და ემონებოდა ძლიერ მტერს! მუდამ დაფლეთილი პრომეტეოსის გულ-ღვიძლი იყო საბრალთ ჩვენი საქართველო, რომელსაც, პრომეტეოსის გულ-ღვიძლივით, გამთელდებოდა თუ არა, ხელ-ახლად უფრო ძლიერი და უფრო მძივნვარე მტერი დაგლეჯდა ხოლმე... მაგრამ... საქართველო ზნეობითად არ შერყეულა“<sup>27</sup>.

მინაწერების ავტორის დადგენაში გვეხმარება ერთ-ერთი მინაწერი, სადაც ვკითხულობთ: „სალამანდროს რომ ცეცხლში ჩააგდებენ, მაშინ მას ტანზედ გამოუჩნდება თეთრი რაიმე ლორწოიანი ნივთიერება, რომელიც დაუშლის მალე გაშრობას (ნოტიო ლორწო, მისი ნივთიერება ძალიან გვიან გაშრება), აი რაისათვისაც ოდენსე უფიქრიათ, რომ სალამანდროს ცეცხლი ვერ დასწევსო. რუსულით ითარგმნა. მღ. ალექსი ბაქრაძე“<sup>28</sup>

„მითოლოგიის“ ზოგიერთი ხელნაწერი (S—10, S—4001, S—2581, S—270) შეიცავენ პინაქს-სიტყვაობას, რაც არც მ. ჩულკოვთან და არც



E—33 ხელნაწერში არაა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ეს ი. ლარაძის დავაწლს უნდა მიეწეროს.

დ. ბატონიშვილის „მითოლოგია“ გამოყენებია XIX საუკუნის I ნახევრის გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და მოღვაწეს თეიმურაზ ბაგრატიონს (1782—1846 წწ.). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ქცეულა მსჯელობის საგნად არგონავტების ცნობილი მითის შემცველი თეიმურაზის შრომის („ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველომასა“) წყაროების საკითხის დადგენა<sup>29</sup>. როგორც გამოირკვა, ძველი წყაროებიდან თ. ბაგრატიონი დიოდორე სიცილიელის ისტორიული ბიბლიოთეკით სარგებლობს<sup>30</sup>, რაც შეეხება რუსულ წყაროს, გ. შარაძის აზრით, იგი სწორედ მიხ. ჩუღოვის „მითოლოგიური ლექსიკონი“ უნდა იყოს, გადმოქართულებული დავით ბატონიშვილის მიერ<sup>31</sup>.

ამრიგად, დ. ბატონიშვილის „მითოლოგიის“ შესწავლა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ:

„მითოლოგია“ წარმოადგენს შედარებით მოგვიანო გამოცხილს იმ ინტერესისა ანტიკურობისადმი, რომელსაც საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია გააჩნია.

„მითოლოგია“ თვით დ. ბაგრატიონის ცნობით რუსულიდან ითარგმნა 1797 წელს. ამ დროისათვის რუსეთში არსებულ სხვა მითოლოგიურ კრებულთა შორის „მითოლოგიის“ ერთ-ერთ წყაროდ მ. ჩუღოვის (1743—1792 წწ.) „მოკლე მითოლოგიური ლექსიკონი“ (1767—1788 წწ.) გამოდგება, როგორც ეს ადრე აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში. „მოკლე მითოლოგიურ ლექსიკონში“ ანტიკურობის გათვალისწინებით მოცემულია რუსული ნაციონალური მითოლოგიის შექმნის ცდა.

„მითოლოგიის“ ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ხელნაწერთა შედარებამ მ. ჩუღოვის „მოკლე მითოლოგიურ ლექსიკონთან“ ცხადყო, რომ დავით ბატონიშვილი მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში იმეორებს ზუსტად რუსული წყაროს მონაცემებს.

დ. ბაგრატიონი ძალზე ხშირად სარგებლობს „ელინთა ზღაპრობანის“ ეფრემ მცირისეული თარგმანით. როგორც დ. ბატონიშვილს, ასევე „მითოლოგიის“ გადამწერებს უნდა გამოეყენებინათ „ზღაპრობანის“ ერთ-ერთი რედაქცია, რომელიც ჩვენამდე A—109 ხელნაწერითაა მოღწეული.

დ. ბაგრატიონის „მითოლოგია“ გარკვეულ მნიშვნელობას იძენს იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება „ელინთა ზღაპრობანის“ ტექსტის რიგი დაზიანებული ადგილების აღდგენა.

„მითოლოგიის“ გადართვისთვის უმუშაოთ დავით რექტორს (S—1153), დავით თუმანიშვილს (H—396), ვინმე მიხეილს (S—2581) და სხვ.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაურკვეველი იყო ი. ლარაძის მიერ გადაწერილი „მითოლოგიის“ (S—10) დედანი. ტექსტის შესწავლიდან გამოირკვა, რომ აღნიშნული ხელნაწერის საფუძველია დ. ბატონიშვილისეული „მითოლოგიის“ E—33 ხელნაწერი იმ განსხვავებით, რომ S—10 ხელნაწერი არ შეიცავს დავითის მიერ ხელმოწერილ წინასიტყვაობას (ხელნაწერის პირველი ფურცლები დაკარგულია). ამასთან ერთად ი. ლარაძე ქმნის შედარებით სრულ რედაქციას.

დ. ბაგრატიონის ავტოგრაფად მიჩნეულ E—33 ხელნაწერის რედაქციას ძალზე უახლოვდება დ. რექტორის (S—1153) და დ. თუმანიშვილის (H—396) რედაქციები. ი. ლარაძის (S—10), „ეინემ მიხაილის“ (S—2581) და S—4001 ხელნაწერები წარმოადგენენ დავითის „მითოლოგიის“ შევსებულ, ვრცელ რედაქციას. ხელნაწერთა გადამწერები აგრძელებენ დ. ბატონიშვილის მიერ დაწყებულ საქმეს და შედარებით სრულად წარმოადგენენ „ელინთა ზღაპრობანის“ მრავალ განმარტებას.

დ. ბაგრატიონის „მითოლოგიის“ ქართულ მწერლობაში შემოაქვს მრავალი ანტიკური სიუჟეტი და მოტივი. იგი უხვად იძლევა ცნობებს, როგორც ნითიურ პერსონაჟთა, ასევე ცნობილ ბერძენ მწერალთა და ფილოსოფოსთა შესახებ. მითოლოგიურ პერსონაჟები დ. ბატონიშვილთან რომაული რედაქციითაა გადმოცემული.

დ. ბაგრატიონის „მითოლოგია“ პირველი ქართული წყაროა, რომელსაც ქართულ მწერლობაში შემოაქვს ცნობები ავრორას (ბერძ. ეოსი), ტროას ომის გამირის ალასტორის, პელეასის ქალიშვილის ალკესტიდას და სხვათა შესახებ. ამ პერსონაჟებს არც „ელინთა ზღაპრობანი“, არც ი. ბატონიშვილის „კალმასობა“, არც სხვა ძველქართული წყაროები გვაცნობენ.

მომავალში დ. ბაგრატიონის შემოქმედების განხილვისას, ვფიქრობთ, მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო „მითოლოგიაზე“, ვიდრე დღემდე იყო, რადგან ეს უკანასკნელი გვითვალისწინებს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, როგორც ფართო განსწავლულობის დონეს, ასევე მის მრავალმხრივ მთარგმნელობით მოღვაწეობას. დ. ბაგრატიონის „მითოლოგია“ „ელინთა ზღაპრობანისა“ და „კალმასობის“ შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქართული წყაროა, რომელიც აცნობს ქართველ მკითხველს ანტიკურ მითოლოგიას, ფილოსოფიასა და მწერლობას, აგრეთვე, „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორს.

### შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

1. იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVIII სს., თბ., 1960, გვ. 277—278, შდრ. მ. დ ა რ ჩ ი ა, გაიხზ რექტორი, თბ., 1972, გვ. 129—130.
2. კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 697, შდრ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბ., 1949, გვ. 161—192.
3. იხ. კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტ. ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 693. კ. კ ე ე ლ ი ძ ე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 482. ლ. ქ თ ა თ ე ლ ა ძ ე, დავით ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 10—13.
4. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, დას. შრ., გვ. 265—266.
5. Д. Д. Б л а г о й, История русской литературы XVIII века, М., 1955, гв. 372—385, Материалы для истории русской литературы, Известия о некоторых русских писателях. Спб., гв. 143—144.
6. М. Ч у л к о в, Краткий мифологический лексикон, СПб., 1967.
7. В. Ш к л о в с к и й, Чулков и Левшин, Л., 1933, гв. 90—91.
8. იხ. М. П о п о в, Краткое описание древнего славянского языческого баснословия, Спб., 1768.
9. М. Л о м о н о с о в, Древняя Российская история, Спб., 1766, гв. 100—101.
10. Начертание мифологии в пользу юношества обоего пола, изданное Г. Аббатом Лионом, М., 1795.
11. იხ. ტრ. რ უ ხ ა ძ ე, დას. შრ., გვ. 265—266.

12. В. Шкловский, დას. შრ., გვ. 95.
13. იქვე, გვ. 97.
14. Р. Орбели. Грузинские рукописи Института востоковедения АН СССР, М.—Л. 1956, № 127, გვ. 136.
15. Е—33, გვ. 40.
16. დ. ბატონიშვილის „მიოლოგიის“ ტექსტი დადგენილი გვაქვს აველა ძირითადი ხელნაწერის, მიხედვით.
17. ილ. აბულაძე, ელინთა ზღაპრობანი, ენიმქის მოამბე, X, 1941.
18. ლ. ქუთათელაძე, დას. შრ., გვ. 22.
19. S—4001, გვ. 19.
20. იქვე, გვ. 21.
21. იქვე, გვ. 5.
22. იქვე, გვ. 6.
23. იქვე, გვ. 7.
24. იბ. ტრ. რუხაძე, დას. შრ., გვ. 207, შდრ. იქვე, გვ. 213.
25. იქვე.
26. S—4001, გვ. 46.
27. იბ. ზახ. „დროება“, № 13, ტფ., 1873, 30 მარტი, გვ. 1.
28. S—4001, გვ. 35.
29. იბ. აპოლონოს როდოსელი, არკონაქტიკა, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და განმარტება დაურთო აკ. ურუშაძემ, თბ., 1948, გვ. 24—25. ს. ყაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1949, გვ. 112. Е. В. Амашукели, Миф об аргоннтах в грузинской литературе, автореферат, Тб., 1954. გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, თბ., 1973, გვ. 129—149, მისივე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, შემოქმედება, თბ., 1974, გვ. 19—34.
30. გ. შარაძე, თ. ბაგრატიონი, II, შემოქმედება, თბ., 1974, გვ. 29—31.
31. იქვე.

В. Р. АСАТИАНИ

## «МИФОЛОГИЯ» ДАВИДА БАГРАТИОНИ

Резюме

Вопрос отражения античных сюжетов и мотивов греческой мифологии в древнегрузинской литературе не раз становился предметом исследований. В этом смысле значительный интерес представляют рукописи, хранящиеся в Институте рукописей им. К. Кекелидзе АН Грузинской ССР (S—10, S—270, S—1153, S—1421, S—2581, S—4001, H—396) и одна рукопись Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР Е—33, которые содержат различные сведения по мифологии, истории и географии древней Эллады.

Составителем «Мифологии» (так мы называем сборник условно) является выдающийся грузинский общественный и культурный деятель Давид Багратиони, 1767—1819 гг.).

В научной литературе высказано мнение, что «Мифология» является переводом «Краткого мифологического словаря» М. Чулкова (1743—1792 гг.) В работе проанализирована достоверность данного предположения, сделана попытка выявления других источников, а также определена значимость «Мифологии» Давида Багратиони.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის კათედრა  
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## მანანა შახანაძე

ათონის ქართველთა ლავრის ერთ-ერთი ქტიტორის —  
გიორგის ვინაობისათვის

მე-18 საუკუნის I ნახევარში საბერძნეთში, ათონის მთის ქართველთა მონასტერში — ივირონში შეიქმნა აგიოგრაფიული თხზულება „Βίος και πολιτεία τῶν ἁγίων καὶ ἱεραρχῶν πατέρων ἡμῶν Ἰωάννου, Ἐπιφάνιου καὶ Γεωργίου, τῶν κειμένων τῆς γῆς“ ἡμᾶς ἱεράς ἀρχιεπίσκοπος ἡμῶν Ἰβήρων — „ცხოვრება და მოქალაქეობა ნეტარი და ღმერთშემოსილი ჩვენი მამების იოვანესი, ეფთვიმესი და გიორგისა, რომლებიც იყვნენ ჩვენი წმინდა და უდიდესი ქართველთა მონასტრის ქტიტორები“<sup>1</sup>.

ამ ნაწარმოების ტექსტმა ჩვენამდე მოაღწია ორი ხელნაწერის: ათონური (Iβήρων 4573, 453)<sup>2</sup> და ვატიკანური (Cod. Vatic. Gr. 2613)<sup>3</sup> ნუსხების სახით. გარდა ამისა, ტექსტი დაცულია „ათონის მთის ქართველთა მონასტრის პროსკინეტარიონში“, რომელიც დაბეჭდილია ათენში 1857 წელს<sup>4</sup>.

ათონელთა ბერძნულ ენაზე შექმნილი ცხოვრება ყურადღებას იმსახურებს როგორც ლიტერატურული ფაქტი. ამავე დროს, იგი საინტერესოა როგორც ისტორიული წყარო, რომელიც შეიცავს ქართველ მთაწმიდელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე ისეთ ცნობას, რომელსაც სხვა წყაროები (არც ქართული, არც უცხოური) არ იცნობენ. ამრიგად, იგი გვევლინება როგორც იოვანეს, ეფთვიმესა და გიორგის ბიოგრაფიათა შემავსებელი და დამაზუსტებელი ახალი თხზულება.

„Βίος και πολιτεία“ წარმოადგენს სამ დამოუკიდებელ „ცხოვრებას“: I ნაწილია იოვანეს ცხოვრება, II. ეფთვიმეს ცხოვრება, III. გიორგის ცხოვრება. ეს ნაწილები ერთ „ცხოვრებად და მოქალაქეობად“ გაერთიანებულია იმ ნიშნით, რომ სამივე ეხება ქართველთა სამონასტრო კომპლექსის — ლავრის სამ ქტიტორს, რომელთა ხსენება და შესაბამისად მათი სინაქსარული ცხოვრების კითხვა დაწესებულია ერთ დღეს — 13 მაისს.

არავითარ ექვს არ იწვევს პირველი ორი „ცხოვრების“ პერსონაჟთა ვინაობა: ესენი არიან ბრწყინვალე ქართველი მოღვაწეები, მთაწმიდის ქართული საენის ფუძემდებლები და ქტიტორები იოანე (I წინამძღვარი მონასტრისა) და მისი ვაჟი ეფთვიმე (II წინამძღვარი). თხზულების მესამე პერსონაჟის, გიორგის ვინაობის დადგენა კი სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

წინამდებარე სტატიაში შევხებით Βίος και πολιτεία-ს III ნაწილს — გიორგის ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ ორ ფურცელს (38r—39v) მოიცავს.

თხზულების ამ ნაწილში საუბარია იმის შესახებ, რომ გიორგი სისხლით ნათესავი იყო იოანესი და ეფთვიმესი, პირველს მძისწულად ერგებოდა,

<sup>1</sup> ინფორმაცია ამ თხზულების შესახებ იხ. საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 81, № 1, 1976, გვ. 221—224.

<sup>2</sup> Catalogue of the Greek Manuscripts on Mount Athos, by Spyr. P. Lambros, Cambridge, vol. II, 1895, გვ. 147 b.

<sup>3</sup> F. H a l k i n, Auctarium BHG, Bruxelles, 1969.

<sup>4</sup> Προσκυνητήριον τῶν βασιλικῶν μοναστηρίων τῶν Ἰβήρων, Athenis, 1857.



მეორეს — ბიძაშვილად; მონასტრის წინამძღვრობა მიიღო ეფთვიმესაგან, გან ეცხო ის დიდი სათნოება და სიქველე, რომელიც ყველა საქმეში ახასიათებდა. გიორგიმ აქცია ქართველთა მონასტერი „საღვთო ქალაქად“, ააგო მრავალი სენაკი და დამხმარე ნაგებობა, ხოლო შემდეგ, სამეფო საზღაურით ააშენა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: უბრწყინვალესი და ულამაზესი დიდი ეკლესია (τὸ Καθολικόν), რომელიც ჩვენს დრომდე შემორჩა. ნამდვილად გიორგიმ რომ ააშენა ეს ეკლესია, დასტურდება წარწერითაც, ტაძრის ცენტრში, ჭაღის ქვეშ მოთავსებულ წრიულ ფირფიტაზე რომ არის შესრულებული და გვამცნობს: „მე გვაიმყარე ეს სვეტები და უკუნისამდე არ შეიძრან. გიორგი. ქართველი ბერი და მამულებელი“. „ცხოვრების“ ბოლოს აღნიშნულია გიორგის გარდაცვალების თარიღი — 28 ივლისი.

ცხადია, რომ გიორგი, რომელზედაც „ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტშია საუბარი, არ არის გიორგი მთაწმიდელი (რომელიც ჩვეულებრივ იგულისხმება ხოლმე დიდ ქართველ ათონელთა მესამე წარმომადგენლად), რადგან ეს უკანასკნელი არც იოანესა და ეფთვიმეს ნათესავი იყო, არც ეფთვიმესგან მიუღია მონასტრის წინამძღვრობა (ეფთვიმე 1028 წლის 13 მაისს გარდაიცვალა, გიორგი ათონელი კი 1040 წელს მოვიდა ათონზე, ხოლო მონასტრის წინამძღვრობდა 1044—56 წლებში), და ბოლოს, მისი გარდაცვალების თარიღი 29 ივნისი და არა 28 ივლისი<sup>5</sup>.

ვინ არის „Βίος καὶ πάσης αἰῶνος“-ს გიორგი და რისი ქტიტორია იგი? ვფიქრობთ, ეს გიორგი უნდა იყოს ივირონის III წინამძღვარი, ბერძნული წყაროებით გიორგი ვარაზეაზე, რომლის პიროვნება და ღვაწლი წყაროების სიმცირის გამო ნაკლებადაა ცნობილი და წარმოჩინებული ათონის მთის ქართველთა მონასტრის ისტორიაში<sup>6</sup>.

გიორგი დიდი, მამასახლისი გიორგი I<sup>7</sup>, როგორც მას კ. კეკელიძე იხსენიებს, იყო „თვისი“ ანუ ნათესავი იოანესი და ეფთვიმესი. იგი უშუალოდ ეფთვიმეს შემდეგ, 1012—1030 წლებში განაგებდა მონასტერს<sup>8</sup>.

განვიხილოთ ცნობები, რომელიც ამ პიროვნების შესახებაა დაცული ქართულ წყაროებში.

„იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ ცნობები გიორგი დიდის შესახებ გაფანტულია თხზულების სხვადასხვა ადგილას და შეკრებილი სახით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1. სიკვდილის წინ იოანემ ეფთვიმეს დაუტოვა „ყოველი კელმწიფება და უფლება“ მონასტერზე. აგრეთვე უბრძანა, რომ თავის შემდეგ „მამად“

<sup>5</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 217, 219.

<sup>6</sup> ქვემოთ ამ პიროვნებას მოეხსენიებთ გიორგი დიდად, ან გიორგი მშენებლად, იხე. როგორც მას უწოდებენ ქართული წყაროები.

<sup>7</sup> კ. კეკელიძე, ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში, ეტიუდები, III, თბ., 1955, გვ. 65.

<sup>8</sup> „ცხოვრება იოანესი და ეფთვიმის“, ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 89, გვ. 92. ; კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 232. გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 8. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1970, გვ. 130. Archives de l'Athos, V, Actes de Lavra, par Lemerle, Guillou, Svoronos, Paris, 1970, გვ. 10; Archives de l'Athos, VII, Actes du Prôtaton, par Papachryssantou, Paris, 1975, გვ. 62.

დაეტოვებინა გიორგი, მათი ნათესავი, „კაცი სახელოანი და ფრთხილი კორციელთა საქმეთა ზედა“<sup>9</sup>.

როგორც ვხედავთ, თხზულების ამ ადგილას გიორგი დახასიათებულია, როგორც სახელგანთქმული, სახელოვანი, მხოლოდ სულიერი საქმეებით გატაცებული კაცი, რომელსაც ისეთი ავტორიტეტი ჰქონია იოანეს თვალში, რომ ამ უკანასკნელს იგი მიუჩნევია ერთადერთ კანდიდატურად, რომელსაც ეფთვიმეს შემდეგ უნდა დაეკავებინა მონასტრის წინამძღვრის პოსტი.

2. იოანე მოწიწებით შესთხოვს ბიზანტიის თვითმპყრობელ მეფეებს, რომელთაც მრავალი წყალობა გაუღიათ და დახმარება აღმოუჩინიათ მისი მონასტრისათვის და რომელთა უშუალო მონაწილეობის გამოც გახდა შესაძლებელი ათონზე ქართველთა ლავრის აშენება (როგორც იოანე ამბობს, „მათი წყალობითა და შეწვევით აღვაშენე ლავრა“<sup>10</sup>, ან კიდევ: „ჩუენ უღირსთა ზედა უმეტეს ყოველთასა აჩუენეს წყალობა ვინაჲცა საძირკუელითჲან დიდთა მათ ქველისმოქმედებათა მათთა მიერ აღვაშენე ლავრაჲ ესე“<sup>11</sup>, რათა მათ წყალობა არ მოაკლონ როგორც მონასტერს, ასევე ეფთვიმესა და გიორგის: „მათთავე (მეფეთა. — მ. მ.) კელთა შევჰვედრებ (იგულისხმება ლავრა — მ. მ.) და ჩემ თანა მონათა და მლოცველთა მათთა ეფთვიმეს და გიორგის“<sup>12</sup>. ე. ი. იოანე ერთად ასხენებს ეფთვიმესა და გიორგის, ერთად ავედრებს მათ თავს ბიზანტიის იმპერატორებს.

3. თხზულების რამდენიმე ადგილას მეორდება ცნობა იმის შესახებ, რომ ეფთვიმემ მას შემდეგ, რაც თოთხმეტი წლის განმავლობაში გასწია მამასახლისობის ტვირთი, ხოლო შემდეგ წმინდა მამათა შეგონებით გადადგა და მხოლოდ „წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა“<sup>13</sup>, შესარულა იოანეს ანდერძი: მონასტრის წინამძღვრობა გიორგის, „თჳსსა ნათესავსა“, მიანდო: „ეფთვუმემ წინამძღვრობაჲ ძმათაჲ შეჰვედრა გიორგის“<sup>14</sup>. ეფთვუმემ გიორგი მამად დაადგინა“<sup>15</sup>. „თჳსი ნათესავი გიორგი მამად დაადგინა და თავადი მყუდროებით ცხოვნდებოდა“<sup>16</sup>. „და ესრეთ სათნოდ ღმრთისა მოქალაქეობასა შინა უფლისა მიმართ მიიცვალა (ეფთვიმემ) და ძმანი ქართველნი მამასა გიორგის და მამასა გრიგოლს შეჰვედრნა“<sup>16</sup>.

4. გიორგის მთელ მთაწმიდაზე გაუთქვამს სახელი. მას წარჩინებულნი და დიდებულნიც რიდითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ: „მის ჟამისა წარჩინებულთა და მთავართა წინაშე სახელოვან (იქმნა), და მთაჲ ყოველი დიდად პატივს-სცემდა და ეკრძალოდა“<sup>17</sup>.

5. დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მონასტრის წინამძღოლად დადგა, რომ „მამად გიორგი დავიწყებად მოვიდა, და არცა ერთი რაჲ ზრუნვაჲ აქუნდა ქართველთა აღორძინებისაჲ, არამედ სრულიად ბერძენთა მიექცა

<sup>9</sup> „ცხოვრებაჲ იოანესი და ეფთჳესი“, ძველი ქართული ავტოგრაფიული ლიტერატორის ძეგლები, წიგ. II, თბ., 1967, გვ. 57, სტრ. 24—26, აგრ. გვ. 92, 19.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 58, 14—15.

<sup>11</sup> იქვე, სტრ. 18—20.

<sup>12</sup> იქვე, სტრ. 15—16.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 89, 8.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 92, 12.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 95, 3—4.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 95, 14—17.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 92, 19—21.



და ივინი განამრავლანა<sup>18</sup>. ან კიდევ: „კჳალად ბერძენნი ფრიად რამედ შეი-  
 ყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართ-  
 ველნი, ვითარცა ნახსურნი რამედ და უნდონი, უგულუბელს-ყვნა და შეამცო-  
 რნა“<sup>19</sup>. ე. ი. გიორგის მამობის დროს ათონის ქართველთა მონასტერში გამრავ-  
 ლებულა ბერძენთა რიცხვი, თვით გიორგი კი, ზემოთ მოყვანილი ციტატე-  
 ბის მიხედვით, არ ჩანს, რომ ეწინააღმდეგებოდეს ამ ფაქტს.

6. გიორგის დაუეწიყებია, უგულუბელუყოფია ის წესები, რომელიც მა-  
 ნამედ არსებობდა მონასტერში და თვით იოანესა და ეფთვიმეს დროს იყო  
 შემოღებული და დამკვიდრებული: „ქინდა-და უმეტესნი წესთაგანნი შეცვალ-  
 ნა და თესსა ნებასა და განზრახვასა შეადგა და სხუთა რათმე წესთა და კ-  
 ნონთა ენება დამტკიცებია“<sup>20</sup>.

7. მეფე რომანოზის ზეობის დროს (1028—1034) გიორგი დაახლოებული  
 და მიღებული პირი შეიქნა სამეფო კარზე, შემდეგ კი, „თუ ვითარ იქმნა, ღმერ-  
 თმან უწყის“; ორგულება დასწამეს მეფისა და გადაასახლეს კუნძულ მონ-  
 ვატზე, სადაც გარდაიცვალა კიდევ<sup>21</sup>.

ცნობები, რომელსაც გვაწვდის გიორგი დიდის შესახებ „ცხოვრება იოვან-  
 ნესი და ეფთვემისა“, ამით ამოიწურება. მიუხედავად ფაქტების მცირერიც-  
 ხოვნებისა, ისინი მაინც სხვადასხვა რიგის, ურთიერთსაპირისპირო ხასიათი-  
 სსა: ერთი მხრივ, გიორგი თხზულებაში მოხსენიებულია, როგორც „კაცი სახე-  
 ლოანი და ფრთხილი ჯორციელთა საქმეთა ზედა“, მთელ მთაწმიდაზე ცნობი-  
 ლი და სახელმოხვეჭილი პიროვნება, რომლის წინამძღოლად დაყენება თვით  
 იოანემ ინება, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთა მონასტრის III წინამძღოლი  
 დაუღვრომელი, მემამბოზე სულის კაცია: მონაწილეობას იღებს იმპერატორის  
 საწინააღმდეგო შეთქმულებაში და, რაც მთავარია, ბერძნული ელემენტი, რო-  
 მიელიც შემდგომში ასე საშიში გახდა ქართველთათვის, მის დროს ძალიან ძლი-  
 ერდება ივირონში.

როგორც ვხედავთ, „Βίος και πολιτεία“ და „იოვანესა და ეფთვემს ცხოვ-  
 რება“ გიორგის შესახებ ცნობებში ბევრი მომენტი კვეთენ ერთმანეთს. მაგ-  
 რამ მთავარი ის არის, რომ „Βίος και πολιτεία“-ს ავტორისათვის გიორგი  
 ქტიტორიცაა მონასტრისა, გიორგი ათონელი კი არც ერთ სიტყვას არ ამ-  
 ბობს იმის შესახებ, რომ მან არათუ ააშენა, არამედ მონაწილეობა მაინც მიიღო  
 მონასტრის მთავარი ეკლესიის აგებაში.

ორჯერ არის ნახსენები ათონის ქართველთა ლავრის III წინამძღოლი  
 „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“ და ორჯერვე ეპითეტით „მაშენებელი“.

გიორგი ათონელის კონსტანტინოპოლიდან მთაწმინდაზე გადმოსვენებისა  
 და დიდ ეკლესიაში დაკრძალვის ეპიზოდში, რომელსაც საოცარი მხატვრული-  
 ზით აღწერს გიორგი ხუცესმონაზონი, არის ასეთი ადგილი: „ბრძანებითა ამათ  
 მამაათა, განვალეთ ლუსკუმაა ნეტარისა მამისა გიორგი მაშენებლი-  
 სა და ეკლესიისა შტოსა მარცხნით კერძო, დამართებით ლარნაკსა წმიდისა მა-  
 მისა ჩუენისა ეფთვემესსა... და ესრეთ ცხოველი კიდობნით აღმოვიყვანეთ (იგუ-

<sup>18</sup> იქვე, გვ. 95, 18—21.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 92, 21—24.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 92, 12—14.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 93, 14—20; გვ. 95, 25.

ლისმება გიორგი ათონელი — მ. მ.) და ლუსკუმასა შინა მარმარილოვასასა გიორგის თანა მაშენებელისა დავკრძალეთ, კემშარიტად, ვითარცა მეორე მაშენებელი და შემამკობელი ეკლესიათაა<sup>22</sup>.

გიორგის III წინამძღვრის „მაშენებლად“ მოხსენიება „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში“, ჩვენი აზრით, ფრიალ მნიშვნელოვანი ფაქტია და გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ქართული წყაროებისათვის უცნობი არ არის მისი აღმშენებლობითი საქმიანობა.

კიდევ უფრო საინტერესო სურათია „ათონის აღაპებში“. № 13 აღაპში, რომელიც მამასახლის გიორგი I-ს ეკუთვნის, იგი იწოდება „გიორგი დიდად“: „თუესა დეკემბერსა: ზ. აღაპი არს გიორგი დიდისა და ვითარცა სვანგლოზისასა სწერია და იოანესს და ეფთვმესსა, იგივე წესი აღესრულენ ლოცვისა და ჟამისწირვისა და ძმათა ნუგეშინისცემისა“<sup>23</sup>.

მამასადამე, გიორგისათვის ისევე უნდა აღესრულებინათ აღაპი, ლოცვისა და წირვის იგივე წესები უნდა დაეცვათ, როგორც „სწერია სვანგლოზისასა“, ხოლო „სვანგლოზის“ ანუ იოანე თორნიკ-ყოფილის აღაპში, ათონის ქართველთა მონასტრის პირველ აღაპში, სწერია, რომ „თუესა დეკემბერსა: იე: აღაპი არს იოანე სვანგლოზისა, მაშენებლისა ამის დიდებულისა ლავრისაჲ“<sup>24</sup>.

გიორგი მოხსენებულია № 87 აღაპშიც. ეს აღაპი განწესებულია გიორგი მთაწმიდლისათვის: „თუესა ივნისსა: ლ. აღაპი არს წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი თარგმანისა და ვითა სწერია სვანგლოზისათვის და იოანე ეფთვმესს მამისა და დიდისა გიორგისათვის ყოველი წესი ლოცვისა და ჟამისწირვისა და ძმათა ნუგეშისცემისა აღესრულებოდენ, ანაფორაჲ, ვითა მოასწავებს, და სამ-სამი მწუხრისა და ხუთ-ხუთი სამხრად. ესე მე, მამამან გიორგი, განვაწესე მისთა წიგნთათვის, რომელი ამის ეკლესიასა დარჩეს საყვანებლად მისდა საუკუნოდ“<sup>25</sup>.

გიორგისათვის „დიდის“ წოდება, მისთვის აღაპის ისევე გადახდა, როგორც მონასტრის დამაარსებლებისა და მშენებლების — იოანე-თორნიკესათვის, იოანესა და ეფთვიმესათვის, ხოლო გიორგი ათონელის აღაპში იმის მითითება, რომ გიორგი თარგმანისათვის ჟამისწირვა, ძმათა ნუგეშისცემა და სხვა წესები ისე დაიცავით, როგორც ეს გიორგი დიდის აღაპშია აღნიშნული, მიუთითებს უკანასკნელის უდიდეს დამსახურებასა და ავტორიტეტზე<sup>26</sup>.

<sup>22</sup> გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 200, 22—25; 201, 8—11.

<sup>23</sup> ათონის ივერის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 219.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 216.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 238.

<sup>26</sup> სტატიაში „ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში“ (ეტიუდები, III, თბ., 1955, გვ. 65—69) აკად. კ. ეკელიძე. რომელიც ადგენს „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაზე“ და-რთული „მონასტრების“ ერთ-ერთ ეპიზოდში (კერძოდ, 1029—34 წლებს ბერძენ-ქართველთა კონფლიქტის ეპიზოდში) მოხსენიებულ პირთა — გიორგი „უკეთურის“, გიორგი „პირველხუენებულისა“ და ათანასე დიდის — ვინაობას, აღნიშნავს, რომ „უკეთური გიორგი“ არის ათონის მთის მონასტრთა პროტი, უფროსი წინამძღვარი. რადგან „გიორგი ვარაზეაჩე არიოისისეთი კაცო, რომ შესაძლებელი იყოს იმასთან „უკეთური“ აღამიანის შედარება“. მკვლევარი აქვე დასძენს, რომ ათონის ქართველთა მონასტრის № 13 და № 87 აღაპებში მოხსენიებული გიორგი არის გიორგი ვარაზეაჩე.

გიორგი მაშენებელს იცნობენ და მოიხსენიებენ შედარებით გვიანდელი ქართული წყაროებიც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ათაბაგის სახლის წევრთა XV—XVI საუკუნეების მოსახსენებლები. ამილახორთა სახლის კრებულის მოსახსენებელში (S —1246, XVI საუკუნის 20—40-იანი წლები) ვკითხულობთ:

„12. წ<sup>ა</sup>თა მამათა: იოვანესი და იოვანე სვანგლოზისა და გიორგისი საუკუნომცა არს საჯ“.

იოანესა და თორნიკესთან ერთად დასახელებული ეს გიორგი რომ გიორგი დიდა და არა გიორგი ათონელი, ცხადი ხდება იქიდან, რომ გიორგი ათონელის მოსახსენებელი ცალკე დაუწერიათ. იგი უშუალოდ მოსდევს ზემოთმოტანილ მოსახსენებელს:

„13. წ<sup>ა</sup>ისა მამისა ჩ<sup>ა</sup>ნისა გიორგი მთაწმიდელისა, ქართველთა მნათობისა, საუკუნომცა არს საჯსენებელი და...“<sup>27</sup>.

ანალოგიური სურათია მეწიეთის „მარხვანის“ მოსახსენებლებშიც (A — 42, 1566 წ.):

„10. უსხეულოთა მიმსგავსებულისა წ<sup>ა</sup>ისა მამისა ჩუჭნისა ეფთვმე მთაწმიდელისა, სახლისა ოქროპირისა, ქართველთა განმანათლებელსა ს<sup>ა</sup>ნა.“

12. წ<sup>ა</sup>თა მამათა: იოვანე და იოვანე სვანგლოზისა და გიორგისი ს<sup>ა</sup>კნამცა.

13. წ<sup>ა</sup>ისა მამისა ჩუჭნისა გიორგი მთაწმიდელისა, ქართველთა მნათობისა ს<sup>ა</sup>კნამცა არს“<sup>28</sup>.

როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში დიფერენცირებულია გიორგი მთაწმიდელი და გიორგი, რომელიც იოანესა და თორნიკესთან (იოანე სვანგლოზთან) ერთად მოიხსენიება და რომელიც უდავოდ არის გიორგი მაშენებელი.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ როგორც ამ ტექსტთა გამომცემელი ქრ. შარაშიძე მიიჩნევს, სრულიად საქართველოს მეფეთა და თვალსაჩინო მოღვაწეთა ეს „უოვლად უტყუარი სია“ შედგენილი უნდა იყოს ათონის მთაზე XI, XII, XIII ს-ში<sup>29</sup>.

გიორგი დიდის შესახებ ქართულ წყაროთა ცნობებს უნდა მივუმატოთ რამდენიმე ბერძნული საბუთის მონაცემიც.

გიორგი ხელს აწერს რამდენიმე ბერძნულ საბუთს, რომელიც ათანასეს ლავრას ეკუთვნის. ეს საბუთებია:

1. 1016 წლის სიგელი წმინდა ელიას სკიტის იგუმენის ნიკოლასისა (გიორგის ხელრთვა ამ დოკუმენტში მეხუთე ადგილზეა): Γεώργιος ἡσυχάζε ὁ Ἱβηρὸς ἡπάρχουα ἡμ: ἰουερῶα<sup>30</sup>.

2. 1017 წლის პროტოს ნიკიფორეს აქტს ხელს აწერენ ეფთვიმე და გიორგი ქართველებიც (III ხელრთვა)<sup>31</sup>.

<sup>27</sup> სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 18.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 21.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>30</sup> Archives de l' Athos, V, გვ. 155.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 165.

3. იმავე ნიკიფორე პროტოსის 1018—19 (?) წლის აქტს ხელს აწერს გიორგი: 'Ο ἄγιος Ἰβήριος, Γεωργίος ἁγιαχτής<sup>32</sup>.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი: „Actes du Prôtatoe“ - ში<sup>33</sup>, 1035 წლის თეოკტასტე პროტოსის აქტზე მესამე ხელრთვა არის გიორგი ქართველისა: Γεωργίος ἁγιαχτής ὁ Ἰβήρις.

ვინ უნდა იყოს ეს გიორგი? გიორგი ვარაზვარე 1030 წელს გარდაიცვალა კუნძულ მონოვატზე. არ უნდა იყოს იგი არც გიორგი მთაწმიდელი. გამოდის, რომ მთაწმიდლამდე წინამძღვრად ყოფილა მეორე გიორგი.

გიორგი II-ის არსებობას აღიარებს დ. პაპახრიზანტოსი გამოცემის წინასიტყვაობაში<sup>34</sup>.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილ ივერონის წინამძღვართა არც ერთ რიგში, რომელიც დღემდე მოგვეპოვება (კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი), ეს ფაქტი გათვალისწინებული არ არის.

ვადავიდეთ გიორგი I შესახებ ზემოთ მოყვანილი ცნობების განხილვაზე.

პირველ რიგში, გვინდა შევეცადოთ მოვხსნათ გიორგი მაშენებელს ყველაზე დიდი „ბრალდება“, რომელიც მისთვის ქართველთა ლავრას მამებს წაუყენებიათ, კერძოდ, ის, რომ მან „შეიყუარა და განამრავლნა ბერძენნი, ხოლო ქართველნი უგულვებელს-ყვნა და შეამცირნა“.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი“; რომელშიც დატულია ეს ცნობა, როგორც ცნობილია, პირობითად ორ ნაწილად იყოფა: I. საკუთრივ „ცხოვრება“, რომელიც გიორგი ათონელის კალამს ეკუთვნის, II. „მოსახსენებელი“ ანუ მემორანდუმი ანონიმი ავტორისა, რომელიც ივერონის ბერებს შეუდგენიათ სვიმეონის მამობის დროს (1041—42 წლებში) და შემდეგში მექანიკურად დაურთავეთ გიორგის თხზულებისათვის. საინტერესოა, რომ გიორგი ვარაზვარეს დახასიათების „ნეგატური“ ნაწილი სწორედ ამ „მოსახსენებელში“ გვხვდება.

ჩანს, ძმობამ არ აპატია გიორგი მაშენებელს მონასტერში ბერძნული ელემენტის მომრავლება (უფრო სწორად ის, რომ მის დროს გაძლიერდა ეს ელემენტი) და ეს ფაქტი მის პირად დანაშაულად ჩათვალა. აქედან მომდინარეობს ის დაუფასებლობა და არ დანახვა გიორგის ღვაწლისა, რომელიც ცხადი ხდება თუნდაც იმით, რომ წყაროები საოცარ სიძუნწეს იჩენენ III წინამძღოლის მიმართ, ამითვე უნდა ავხსნათ ისიც, რომ სამართლიანობითა და ობიექტურობით ცნობილი ისეთი დიდი ავტორი, როგორიც გიორგი ათონელია, თითქმის დუმილით უვლის გვერდს მის დამსახურებას. მართალია, გიორგის მიზანს არ შეადგენდა გიორგი დიდის ცხოვრების აღწერა, მაგრამ საეჭვოა, მას მოკლედ მაინც არ ეხსენებინა მოღვაწეობა იმ კაცისა, რომელმაც უშუალოდ გააგრძელა ეფთვიმეს დაწყებული საქმე. იგი ხომ არ იეიწყებს არც არსენ ნინოწმიდელს, არც იოანე გრძელისძეს, არც სხვა „ნეტად მამებს“, დაწვრილებით აგვიწერს ყველა საყურადღებო ფაქტს, რომელიც იმ დროს ხდებოდა მონასტერში.

ჩანს, გიორგი მაშენებლის შესახებ მას ან არ ჰქონდა სწორი ინფორმაცია, ან იმ დროს, როცა ამ თხზულებას წერდა, ქართველ ძმობაში არ იყო გარემო,

<sup>31</sup> იქვე, გვ. 165.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 170.

<sup>33</sup> Archives de l'Athos, VII, Actes du Prôtaton... გვ. 62.

<sup>34</sup> იქვე, შენიშვნა 6.



რომელიც გიორგისადმი სხვანაირი განწყობით წარმოდგენილ „ცხოვრებას“ მიიღებდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ, როგორც თვითონვე ამბობს, „ჩუენ თავით თვისით არარაა აღგვწერია, არამედ რაა-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა“<sup>35</sup>. როგორც ჩანს, ეს „სწავლა“ ყოველთვის არ იყო „სავეს მადლითა ზეგარდამოათა“.

განა მალავს გიორგი ათონელი, რომ იოანეს და თორნიკეს სურდათ „რაათა ქართველნი ოდენ იყვნენ მონასტრისა ამის მკვდრნი ყოველნი. გარნა, ვინაათგან ამისი ქმნაა შეუძლებელ იყო, იძულენს ბერძენთაჲა შემოყვანებაჲ“<sup>36</sup>. უფრო მეტიც, თხზულების სხვა ადგილას გიორგი ათონელი წერს: „ვინაათგან სისორაჲ ქუეყანისა ჩუენისაა დიდ იყო, და სივრცე ადგილისა ამის დიდებულისა ფრიად იყო, შემწედ და მსახურად შეიწყნარანა (ეფთვიმემ. — მ. მ.) ბერძენნი უმანკოებით და სიწრფოეთიბთ და ესრეთ განმრაველა ნათესავი ბერძენთაა ლავრასა ამას“<sup>37</sup>. ამაზე დიდი ბრალდება არცა აქვს გიორგი გაშენებელს! ის, რაც აპატიეს ეფთვიმეს, არ ეპატია გიორგის.

მაშასადამე, ის ფაქტი, რომ გიორგი დიდის დროს ბერძენთა რიცხვი გამრაველდა ივირონში და, ალბათ, ამასთან ერთად გაძლიერდა მათი გავლენაც, იმას კი არ ადასტურებს, რომ წინამძღოლი ელინოფილი იყო და მისი საეკლესიო სურვილით ხდებოდა ბერძენთა მოზიდვა ქართულ ლავრაში, არამედ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, თუ რაოდენ ძლიერი და გარდუვალი იყო და რა ადრე დაწყებულა ქართველთა მონასტერში ბერძენების დამკვიდრებისა და ფენის მოკიდების პროცესი, რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც ამ პროცესს წინ აღუდგებოდა.

ივირონის მთელი შემდგომი ისტორია, აღსავსე ბრძოლითა და წინააღმდეგობით ქართველთა და ბერძენთა შორის, ამის ნათელი დადასტურებაა.

ამ მოვლენათა ფესვებსა და მიზეზებს არაფერი ააშკარავებს ისე დამაჯერებლად, როგორც „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ და ვერავინ ახსნის უფრო სწორად, ვიდრე თვით გიორგი ათონელი, რომელსაც ამისთვის სულ რამდენიმე სტრიქონი სჭირდება: „ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შევეუდგებით და ამით მიზეზითა ფრიად ვავნებთ თვისთაჲსა სულთა და ადგილსაცა. ხოლო იგი (გიორგი ვარაზეცი.— მ. მ.) ვითარცა იყო სივრცისათვის მონასტრისა და სიმრავლისათეს სამსახურებელთაჲსა, ვერ შეეძლენს და ჯუალად, ვინაათგან იხილა, რომელ ფრიადი ერი საკმარ იყო ფრთხილი და მძიმე კაცი, მეტნი რამე შეპოვნებანი და ლოქნანი და ჩუენ არა დაეუდგებოდეთ, ბერძენთა მიექცა და იგინი განამრაველნა“<sup>38</sup>.

შეიძლება თუ არა გიორგი დიდი იყოს „დიდი ეკლესიის“ ქტიტორი? ვფიქრობთ, ეს არათუ შესაძლებელია, არამედ შეესაბამება კიდევ ჭეშმარიტებას.

ქართველთა საჯანე ათონზე საკმაოდ დიდი სამონასტრო კომპლექსია. იგი 30-ზე მეტი სხვადასხვა ნაგებობისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირებისა და შეწირულობების წყალობით აშენებულა.

<sup>35</sup> „ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთვიმისი“, ... გვ. 40, 11—13.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 49, 18—20.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 94, 30—32, 95, 1—2.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 92, 24—28—93, 1—3.

უძველეს ფენაში ანუ იმ ნაგებობაბათა შორის, რომელიც მოხსენიებულია მთაწმიდელთა „ცხოვრებებში“ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ:

1. იოანე მახარებლის ეკლესია — I ეკლესია, რომელიც იოანემ და თორნიკემ ააგეს მას შემდეგ, რაც გამოეყვნენ ათანასე ათონელის ღვთისმეტყველებას და „უღაბნოსა შეუნიერსა“ დამკვიდრდნენ. ალბათ იმავე ადგილას დახვდათ მათ კლიმენტოსის ეკლესია, რომელიც, ბერძნული წყაროებით, ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდს ეკუთვნოდა. იოანე მახარებლის ეკლესიასთან ერთად „ალაშენეს სენაკები და მუნ იყოფებოდეს მრავალ ეამს, ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი“<sup>39</sup>.

2. წმიდა მთავარანგელოზთა ეკლესია, სადაც თავდაპირველად იოანე ყოფილა დასაფლავებული და რომელიც მისთვის აუშენებია ეფთვიმეს<sup>40</sup>.

3. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, სადაც დაუმარხავთ ეფთვიმე: „პატრიოსანი იგი ნაწილი მისი აღმოიყვანნეს მონასტრისა და დაიხსნეს სამარხოსა ლუსკუმასა, ტაძარსა შინა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“<sup>41</sup>.

4. „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ დასახელებულია ეკლესია „ბჭეთა ზედა“, ალბათ ის ეკლესია, სადაც დასვენებული იყო ღვთისმშობლის ცნობილი ხატი — პორტიტის ხატი.

5. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია, კათოლიკონი ანუ მთავარი ეკლესია, ძირითადი ნაგებობა ივერთა მონასტრისა, „იოანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაში“ მხოლოდ ორჯერ არის დასახელებული შემდეგ კონტექსტებში:

1. „ღმრთის მომადლებითა პოვეს ადგილი შეუნიერი შუა მთაწმიდისა და ალაშენეს (თორნიკემ, იოანემ, ეფთვიმემ. — მ. მ.) მონასტერი და ეკლესიანი წმიდისა ღმრთისმშობელისა სახელსა ზედა და წმიდისა იოანე ნათლისმცემლისათა ფრიადითა ოფლითა და ლუაწლითა, და ადგილნი მრავალნი, მონასტერნი და დასაყუდებელნი გარემოს დიდისა მონასტრისა ვიდრე იმერად ზღუადმდე თვისითა და საფასითა იყიდნეს, რომელნი იგი შეუნიერი არიან და საწადელ და მომზავებელ სულიერთა მონაზონთა საყოფლად“<sup>42</sup>.

2. „მე, მამამან გიორგი, მამობასა ჩემსა მოვცვალენ ნაწილი წმიდისა ეფთვიმესნი ნათლისმცემლისა ეკლესიით დიდსა ეკლესიასა ღმრთისმშობელისასა“<sup>43</sup>.

პირველ მაგალითში მოყვანილი „ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია“, ჩვენი აზრით, გულისხმობს ზემოთ დასახელებულ ეკლესიას „ბჭეთა ზედა“, ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ასე არ არის და იგი მართლაც კათოლიკონია, იბადება კითხვა, რატომ უფრო დაწვრილებით არ გადმოგვეცემს ავტორი ამ განსაკუთრებული, რჩეული ნაგებობის აშენების ისტორიას და რატომ მოიხსენებს მას ნათლისმცემლის ეკლესიისა და ბერთა დასაყუდებელი სენაკების გვერდით. „ჩვენი შეუნიერება ესე ეკლესია არსო“, — წერს გიორგი მცირე<sup>44</sup>.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 45, 10—13.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 59, 25—27.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 91, 30—91.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 49, 3—10.

<sup>43</sup> იქვე, გვ. 99 26—27; 100, 1—2.

<sup>44</sup> ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 134, 117.

მეორე მაგალითიდან კი ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ დიდი ეკლესიის არსებობა გიორგი ათონელის დროს უცილობელი ფაქტია. ამასვე არაერთგზის ადასტურებს თვით მისი „ცხოვრებაც“. შეუდგა თუ არა სამონასტრო საქმიანობას, ანუ წინამძღვრად მისი არჩევის შემდეგ, პირველი, რაც გიორგი ათონელმა გააკეთა, იყო ის, რომ „ღმრთივ-შუენიერად მოცვალნა ნაწილნი წმიდისა ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა ეფთვმესი ნათლის-მცემლის ეკლესიით ღიდებულსა ამას ეკლესიისა შინა ყოლად წმიდისა ღმრთის-მშობელისასა“<sup>45</sup>. შემდეგ გიორგის აქვე გადმოუსვენებია იოანეს ნაწილნი (მასთან ერთად არსენი ნინოწმიდლისა და იოანე გრძელისძისა)<sup>46</sup>.

გამორიცხულად მიგვაჩნია გიორგის მიჩნევა დიდი ეკლესიის ქტიტორად. ბევრ საბუთს რომ არ მოვეუხმოთ, მართო ისიც საკმარისია, რომ გიორგი მცირეს, მის უზუსტეს ბიოგრაფს, ერთი სიტყვაც არა აქვს ამის შესახებ ნათქვამი.

გიორგი მცირეს იმის თქმაც კი არ ავიწყდება, რომ გიორგი ათონელს დაუწყენია „შენება სამარტკლომასა და შემკობაჲ მისი ყოვლითა სამკაულითა“. გიორგის მხოლოდ გუმბათი შეუქეთებია ეკლესიისა, ვინაიდან მონასტერს სახურავი ვასცევითოდა, „რამეთუ ზედა ტყვეი არა იყო და წყალი შთადიოდა, ვითარცა წამებენ ხატნი, რომელნი აჯოცილ არიან“<sup>47</sup>. ტყვია გიორგის კონსტანტინე მონომახისათვის უთხოვია. გამოდის, რომ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია აშენებული ყოფილა დროის მონაკვეთში ეფთვიმეს შემდეგ ვიდრე გიორგი ათონელამდე.

სწორედ ამიტომ მივიჩნით დიდი ეკლესიის ქტიტორად გიორგი დიდი. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ამის დამამტკიცებელ საბუთებს:

1. გიორგი მთელი 17 წლის განმავლობაში იყო ივერონის წინამძღოლი (1012—1029 წწ.). არ მოგვეპოვება არვითარი ცნობა ან თუნდაც მინიშნება იმაზე, რომ იგი მწიგნობრულ მუშაობას ეწეოდა. მასასაღამე, მთელი მისი პრაქტიკული საქმიანობა, რის გამოც მას ქართული წყაროები „ღიღისა“ და „მამაშენებელს“ უწოდებენ, შემოიფარგლებოდა სამშენებლო საქმიანობით. ამასვე ემატება მისი სიახლოვე სიმეგრატორო კარზე და გავლენა მთელს მთაწმიდაზე (ხელრთვები ბერძნულ საბუთებზე).

2. გიორგი ღიღს გულისხმობს ქტიტორული წარწერა ტაძრისა: „მე დაეამტკიცენ სვეტნი მისნი (ფს. 74,3) და უკუნისაღმე არა შეიძრნენ. გიორგი მონაზონი, ქართველი და აღმამენებელი“<sup>48</sup>.

იგივე წარწერა, რომლის ქართული თარგმანი ზემოთ უკვე მოვიყვანეთ, გვხვდება ბერძნულ ენაზე შექმნილ ათონელთა „ცხოვრებაშიც: „Ἐγὼ ἐταρῆσασα τοῖς στήλαις αὐτῆς, καὶ εἰς τὴν αἰῶνα οὐ παύσασθαι. Γεώργιος μοναχὸς ὁ Ἰβηρ καὶ κτήτωρ“<sup>49</sup>. ცხადია, საუბარია ერთსა და იმავე წარწერაზე.

სხვათა შორის, ეს წარწერა უნახავს XVII საუკუნის ცნობილ მოღვაწეს ტიმოთე გაბაშვილსაც. „მიმოსლვის“ ერთ თავში, რომელსაც ეწოდება

<sup>45</sup> ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 131, 2, 7—8.

<sup>46</sup> იქვე, გვ. 33, 2—7.

<sup>47</sup> იქვე, გვ. 134, 9—11.

<sup>48</sup> ქ. ქ ე ლ ი ძ ე, ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან, ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 224 (იმავემდებარის იმე სმირნაკის წიგნს „Τὸ Ἰβηρ“).

<sup>49</sup> Βίος καὶ πολιτεία... Ἰωάννου, Ἐθνήμιθου καὶ Γεωργίου, τῶν κειτόρων τῆς κατ' ἡμᾶς ἱερᾶς μεγίστης λαύρας τῶν Ἰβήρων, 39 r.







ტურინოს კომპილატორის ტექსტში კი ვკითხულობთ: „Γεωργίος, ἔξ ἁγίου Βαρθολομαίου ἡμῶν ἱεροφάνη ἡμῶν Ἱβήρων ἡσυχαστῶν ἡσυχαστῶν πρὸς βασιλέα ἡριανόμαχον καὶ πῶσιπρῶσιν ἡμῶν“ (გიორგი და ვარაზ-ვაჩე, რომელთაც ათონის მთაზე ააგეს ივერთა გამოჩენილი მონასტერი, მსწრაფლ ეახლნენ მეფეს და კეთილმოწყალებდნენ მის მიღებულნი)<sup>54</sup>.

ზემოთ მოყვანილი ორი ნაწყვეტის დაპირისპირებით თვალში გვეცემა რამდენიმე წინააღმდეგობა, რომელიც მათ შორის არსებობს. ეს სხვაობანი საფუძველს აძლევს მ. ბერძინშვილს, დაასკვნას, რომ კედრენისა და ტურინის კომპილატორის ცნობათა სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობა ნათელი და უცილობელია<sup>55</sup>. ტექსტთა შედარების შედეგად მიღებულ ერთ-ერთ წინააღმდეგობად მკვლევარი მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ „კედრენთან მარტო ვარაზვაჩეა ივერთა მონასტრის მაშენებლად მოხსენებული, კომპილატორთან კი ორივენი“ (გიორგი და ვარაზვაჩე)<sup>56</sup>.

კედრენის ზემოთ მოყვანილი ცნობის განხილვისას პ. პეტერსი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აქ საუბარია არა ორ პიროვნებაზე, არამედ ერთზე — გიორგი ვარაზვაჩეზე<sup>57</sup>. ამ აზრს იზიარებს ა. კუდანიცა<sup>58</sup>.

პ. პეტერსი გვთავაზობს Γεωργίος, ἔξ ἁγίου Βαρθολομαίου-ს შემდეგნაირ წაკითხვას: Γεωργίος, ἔξ (ἡ) ἁγίου Βαρθολομαίου — და ფიქრობს, რომ გიორგი ატარებდა ვარაზვაჩეს სახელს და, ამრიგად, დაკავშირებული იყო იოანე თორნიკ-ყოფილის მმასთან, იოანე ვარაზვაჩესთან და თვით თორნიკესთან<sup>59</sup>.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „იოანესა და ეფთუმეს ცხოვრებიდან“ ჩვენთვის ცნობილია, რომ ეფთვიმემ მონასტრის წინამძღოლობა გადააბარა გიორგის, რომელმაც რომანოზ არგირას წინააღმდეგ შემთქმულებაში მიიღო მონაწილეობა და გადასახლებულ იქნა მონოვატზე. მასადაამე, გიორგი, რომელიც მოხსენიებულია კედრენთან და ტურინის კომპილატორში, ქართული „ცხოვრების“ გიორგია, ივირონის III წინამძღოლი.

თუ გავიზიარებთ პ. პეტერსის მოსაზრებას, გამოდის, რომ ეს გიორგი ყოფილა ვარაზვაჩეთა საგვარეულოს წარმომადგენელი. საოცარია, რატომ არ შემოგვინახეს ამ პიროვნების სახელი ქართულმა წყაროებმა. ათონელთა არც ერთ გენეალოგიურ ნუსხაში, რომლებიც შედგენილია უძველეს ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების მიხედვით, გიორგი ვარაზვაჩე არ ჩანს<sup>60</sup>.

იმ შემთხვევაში, თუ არ დავეთანხმებით პეტერსის აზრს, ისღა დაგვრჩენია, დავუშვათ, რომ მთაწმიდის ქართველთა მონასტერს ჰყოლია კიდევ ერთი ქტიტორი ვიღაც ვარაზვაჩე. დაუჭერებელია, ივირონის ისტორიას „ათონის მთის გამოჩენილი მონასტრის მაშენებლის“ სახელი ასე უკვალოდ დაეკარგა. დღეისათვის თითქმის შეუძლებელია კედრენისა (რომელიც თავის მხრივ

<sup>54</sup> იქვე, გვ. 160—161.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> P. Peeters, Un colophon géorgien de Tornik le moine, *Anacta Bollandiana*, 50, 1932, გვ. 365—6.

<sup>58</sup> А. П. Каждан, Армяне в составе господствующего класса Византийской империи в XI—XII вв., Ереван, 1975, გვ. 50.

<sup>59</sup> P. Peeters, Un colophon... გვ. 366.

<sup>60</sup> ქ. კეკელიძე, II, 1945, გვ. 222; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 767.

მომდინარეობს იოანე სკილიცასაგან) და ტურინოს კომპილატორის წყაროთა დადგენა. ბუნდოვანია ის ცნობებიც, რომელსაც ეს ბერძნული ძეგლები გვაწვდიან გიორგისა და ვარაზაჩის შესახებ.

საკითხის კვლევისას, ჩვენთვის, რა თქმა უნდა, სანდო და დასაყრდენია პირველ რიგში ქართული წყაროები: გიორგი მთაწმიდლის „ცხოვრება იოანესი და ეფთემესი“, გიორგი მცირის „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისაჲ“, უძველეს ქართულ ხელნაწერთა მინაწერები და ანდერძები. არც ერთი ეს წყარო კი არ იცნობს „გიორგი ვარაზაჩის“ და არც „ვარაზაჩის“.

ქართული წყაროების ჩვენებას მხარს უჭერს ივირონის მონასტერში გავრცელებული ტრადიციული ცნობები გიორგი ქტიტორის შესახებ, რომლებმაც თავისი ასახვა პოვეს „Βίος και παύσις“—ში. აქ, როგორც აღვნიშნეთ, დასახელებულია გიორგი და არა გიორგი ვარაზაჩე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი ვარაზაჩის სახელის დამკვიდრება ვფიქრობთ, პ. პეტერსის სტატიის, *Un colophon géorgien de Tornøke le moine*“ გამოსვლის შემდეგ მოხდა. მის ქვეშ ყოველთვის იგულისხმება წინამძღვარი გიორგი ათონელი (III წინამძღვარი, რომელსაც გიორგი ერქვა) და შეიძინა პირობითი ტერმინის მნიშვნელობა.

ამგვარად, ათონის ქართველთა ლავრის ერთ-ერთ ქტიტორად, კერძოდ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის (კათოლიკონის) ამშენებლად, უნდა მივიჩნიოთ მონასტრის III წინამძღვარი, გიორგი დიდი ან გიორგი მაშენებელი.

М. З. МАЧХАЕЛИ

## О ЛИЧНОСТИ ГЕОРГИЯ, ОДНОГО ИЗ КТИТОРОВ ИВИРСКОЙ ЛАВРЫ НА АФОНЕ

### Резюме

В первой половине XVIII века в Греции, в Ивирской лавре на Афоне было создано синаксарное «Житие ктиторов монастыря».

Анализом сведений, касающихся одного персонажа данного сочинения — Георгия, доказывається, что он, являясь племянником Иоанна и Евфимия, был III игуменом монастыря в 1012—1029 годах и, одновременно, — ктитором главного сооружения лавры — Кафаликона.

Данные греческого «Жития» подтверждают грузинские источники: «Житие Иоанна и Евфимия» Георгия Святогорца; «Житие Георгия Святогорца» Георгия Мцире, которое называет Георгия (III игумена грузинской лавры), «строителем»; «Номинальные записи Ивирского монастыря», в которых Георгий именуется «великим»; «Номинальные записи феодального рода Атабатов Самцхе (Южной Грузии)» XV—XVI веков, а также несколько греческих документов 10-х годов XI века.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ქვეკლიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქეოგრაფიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა

## ვ ე ნ ი ა ბ ა ბ ე ლ ა ვ ა

## ა. ბ ის ტ უ ჟ ე ვ ის მ ო თ ხ რ ო ბ ე ბ ის თ ა რ ბ მ ა ნ ე ბ ი „ ც ი ს კ რ ის “ ფ უ რ ც ლ მ ა ზ ე

აღ. ბესტუჟევის სახელი მტკიცედ დამკვიდრდა რუსულ ლიტერატურაშიც და ისტორიაშიც. იგი იმ ბედნიერ მწერალთა რიცხვს ეკუთვნოდა, პირველი გამოჩენისთანავე რომ იპყრობენ მკითხველთა გულსა და გონებას. დღეს, რა თქმა უნდა, გაზვიადებულად გვეჩვენება ის საყოველთაო აღტაცება, მაგრამ იმ დროისათვის კი სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო. ბ. ბელინსკი, ბესტუჟევის თანამედროვე და მისი მემკვიდრეობის პირთუფენელი, იქნებ ზედმეტად მკაცრი, შემფასებელი, ყველაზე უკეთ და ამომწურავად ხსნის ამ თავიანთსავე მიზეზს: „მარლინსკის მოთხრობებში იყო უახლესი ევროპული მანერა და ხასიათი; ყველგან ჩნდა ჭკუა, განათლება, გვხვდებოდა ცალკეული საუცხოო აზრები, რომლებიც განცვიფრებას იწვევდნენ თავიანთი სიახლითაც და ჭეშმარიტებითაც. ამას დაუმატეთ მისი სტილი, ორიგინალური და ბრწყინვალე თვით ნაძალადეობაში, თვით ფრაზეოლოგიაში და თქვენ აღარ გავიკვირდებათ მისი არაჩვეულებრივი წარმატება“<sup>1</sup>.

მართლაც, მე-19 ს-ის 20-იან წლებამდე რუსი მკითხველი არ იყო მიანცდამიანც განებივრებული ისეთი მოთხრობებით, რომლებიც შესძლებდნენ მისი გემოვნების აღზრდასა და განვითარებას. ლიტერატურაში ამ დროს კლასიციტური სული მეფობდა, სენტიმენტალიზმსაც მაგრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული და ყურნალების ფურცლები წალეცილი იყო უცხოური ლიტერატურიდან ნასესხები გულდაისრული გმირების უხვი ცრემლებით. 20-იანი წლების ყურნალებში ხშირად იბეჭდებოდა ბესტუჟევის კრიტიკული წერილები, რომლებიც გამოირჩეოდა სიმახვილით, პრობლემების აქტუალობით, მებრძოლი განწყობილებით. 1823 წელს აღმანახ „პოლიარნია ზევსდაში“, რომელსაც თვითონ უშეებდა რილევეთან ერთად, გამოქვეყნდა მისი წერილი: „შეხედულებანი რუსეთის ძველსა და ახალ სიტყვიერებაზე“. აქ იგი რუსეთის ლიტერატურას უდაბურ ველს ადარებს. ეს, ბევრისათვის საკმაოდ მოულოდნელი განცხადება, მწარე სიმათლეს შეიცავდა. წერილში ბესტუჟევი ჯერ კიდევ მოკრძალებულად, მაგრამ მიანც მიუთითებს ხელშეუხებელი ავტორიტეტების ზოგიერთ ნაკლებზე, გაეკრით, ჯერჯერობით ხელოლო გაეკრით, ესება კლასიციზმის დრომოჭმულობას, ხოლო თანამედროვე პროზაიკოსებს ბრალად სდებს ფრანგებისადმი მიმბაძველობას: „ეფლობთ რა სიტყვის დაუმუშავებელ სავანძურს, პირველყოფილი ამერიკელების მსგავსად, ოქროს ვცვლით საზღვარგარეთულ სამშვენისებზე“<sup>2</sup>. შემდეგ წერილებში იგი არაერთხელ უბრუნდება იმავე საკითხებს. მისი კრიტიკული პათოსი უფრო მამხილებელი ხდება. „იყო დრო, როცა უადგილოდ ვიხრავდით სტერნივით, ერთმანეთს ველოლიავებოდით ფრანგულად, ახლა ცხრა მთას იქით გადავფრინდით გერმანულად. როდისღა ჩავდგებით ჩვენს კალაპოტში? როდის დავწერთ პირდაპირ რუსულად?“<sup>3</sup>.

რუსული თვითმყოფადი ლიტერატურისათვის ეროვნული ბრძოლა, რომელსაც ა. ბესტუჟევი აწარმოებს აღმანახ „პოლიარნია ზევსდას“ ფურც-

ლებზე, მკვიდროდა დაკავშირებული დეკაბრისტულ მოძრაობასთან. რუსული სინამდვილის უბადრუკობამ და შეუსაბამობამ განაპირობა ის რევოლუციური სული, რომელმაც საზოგადოების საუკეთესო ნაწილი მოიკვია. ბესტუჟევის იმდროინდელი კრიტიკული წერილები აშკარად რევოლუციური-აგიტაციური ხასიათისაა. და არა მარტო წერილები. როგორც ცნობილია, დეკაბრისტები აღიარებდნენ პიროვნების განუზომელ როლს ისტორიული მოვლენების წარმართვაში. ბესტუჟევის ადრინდელი მოთხრობები დეკაბრისტული პროგრამის მხატვრული პრობაგანდაა, გმირობის, სამშობლოსათვის თავგანწირვის მაგალითებით აღსავსე. ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაბეჭდილმა მისმა მოთხრობებმა მკითხველთა აღიარება დაიმსახურა. შორსა ვართ იმის მტკიცებისაგან, თითქოს ეს ნაწარმოებები ყოვლად უზადო და მხატვრულად სრულყოფილი იყო. მაგრამ იმდროინდელი სალონური, უნიათო და უიდეო პროზის ფონზე მართლაც გამოირჩევა სიახლით, ბრძოლის პათოსით, რომანტიკული აღტყინებით, მაღალი იდეალებით. ბესტუჟევი იყო „პირველი რუსული მოთხრობის შემქმნელი“ (ბელინსკის გამოთქმა), რომანტიზმის დამამკვიდრებელი და მისი ერთგული რაინდი. ბელინსკი ოდნავ ირონიულად შენიშნავდა: „ფიქრობდნენ, რომ იგი პროზის პუშკინი იქნებოდა. მისი მოთხრობა ყველაზე საიმედო სატყუარა იყო ყურნალების ხელის მომწერთათვის“<sup>4</sup>.

მისი ერთ-ერთი ადრინდელი მოთხრობათაგანია „რომანი და ოლდა“. აქ ავტორმა რუსულ სინამდვილეს მიმართა — ძველი ნოვგოროდის თავისუფალი ცხოვრება, ეგრეთ წოდებული „ვოლნიცა“, გააიდგალა. რომანი — ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, თავისუფლებისათვის მებრძოლი პიროვნებაა, რომელიც ნოვგოროდელებს მოუწოდებს თავი არ დაუხარო მოსკოვის მეფეს. მოთხრობაში დეკაბრისტული განწყობილება ძალუმაღ იგრძნობა. საინტერესოა ბელინსკის აზრი ბესტუჟევის რუსული მოთხრობების ციკლზე „როგორც ცდა, როგორც სინჯვა, ისინი საუცხოონი იყვნენ და თავის დროზე სამართლიანი ყურადღება დაიმსახურეს. მაგრამ, როგორც გაცეთებულმა და არა შექმნილმა ნაწარმოებებმა, მათ ახლა დაკარგეს თავიანთი ფასი. მათში არ იყო სინამდვილის ჭეშმარიტება, რუსული ცხოვრების ჭეშმარიტება. მათი ხალხურობა რუსულ სახელებში იყო..., გამოთქმებსა და ანდაზებში, სხვა არაფერში“<sup>5</sup>.

ადრინდელია აგრეთვე ბესტუჟევის ლივონური მოთხრობების ციკლი — „ნეიპაუზენის ციხე-კოშკი“, „რეველის ტურნირი“, „ეიზენის კოშკი“. აქ იგი ბალტიისპირეთის შუა საუკუნეების სინამდვილის სურათებს აცოცხლებს. ეს მოთხრობები გვაოცებენ სოციალური სიმახვილით. ფეოდალების მცეცობა, სიბნელე, დაუნდობლობა, უბრალო ხალხის უსიხარულო სვე თითქოს მეფის რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის შორეული ექთა. ლივონიური მოთხრობების ციკლშიც პიროვნების ჰეროიზაციის უკვე ნაცნობ ხერხს მიმართავს ავტორი, რაც რომანტიზმის, უფრო ზუსტად, პროგრესული, დეკაბრისტული რომანტიზმის ესთეტიკითაა ნაკარნახევი.

ბესტუჟევის ადრინდელი პერიოდის მოთხრობები, მიუხედავად მათი ერთფეროვნებისა და უსახობისა, მოსწონდათ სენტენციური ლიტერატურით თავმობეზრებულ მკითხველებს, რომელთაც ჯერ ისევ ასწავლიდნენ: „წესიერადამიანს არ შეპფერის გაიძვერობა და ავაზაკობა, რომ ლოთობა და ქურდობა მიუტევებელი ცოდვებია“ (ბელინსკის სარკასტული შენიშვნა ფ. ბულგარო-

ნის ლიდაქტიკურ ნაწარმოებებზე). ბესტუჟევიმა მწვავედ დასვა ახალი ლიტერატურის დამკვიდრების საკითხი, ლიტერატურისა, რომელიც შეესატყვისებოდა ეპოქის სულსა და მოთხოვნებს.

მაგრამ ბრწყინვალედ დაწყებული სამხედრო და სალიტერატურო კარიერა უეცრად შეწყდა. 1925 წლის 14 დეკემბერს სენატის მოედანზე სამუდამოდ დაემშვიდობა ბესტუჟევი აუხდენელ დეკაბრისტულ ოცნებებს, ტოლ-მეგობრებს, თავის აღმანახს, ყველაფერს, რაც პეტერბურგთან აკავშირებდა. აღიარებული მწერალი, მომხიბვლელი და გონებაამხვილი დენდი, რომლის სახელი პირზე ეკერათ მაღალი წრის ლამაზმანებს, ჯერ იაკუტის ტყვეა, შემდეგ კი — მეფის არმიის რიგითი ჯარისკაცი კავკასიაში.

უკვე თავის პირველ (1823 წ.) მოთხრობაში — „რომანი და ოღლა“ პეტერბურგელი მწერალი შორიდან ელოლიაება „თოვლიანი მუხარადით ცად მიბჭენილ კავკასიონს“<sup>6</sup>. აქვე, აგვიწერს რა თემურლენგის კარს, მხოლოდ ერთი სიტყვით იხსენიებს საქართველოს და მის უბედობას: „ამაყი მონგოლები შალის კარვებში ქეჩაზე წამოწოლილი ნებვირობდნენ და გაძარცული საქართველოს ღვინოს მიირთმევდნენ“<sup>7</sup>. მაშინ კავკასია ბესტუჟევისთვის შორეული ქვეყანა იყო, რომელიც მხოლოდ ეგზოტიკით თუ იპყრობდა მის ყურადღებას. რამდენიმე წლის შემდეგ ეს მხარე მწერლის უცვლელი ადგილსამყოფელი (1829—37 წწ.) და შემოქმედების მუდმივი თემა გახდა.

ჩვენ აქ მხოლოდ იმ ნაწარმოებებს შევეხებით, რომელთა თარგმანებიც ჯერნალ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიბეჭდა. ესენია: „ამალათ ბეგი“, „მოლა ნური“, „ღამე ხომალდზე“. „ამალათ ბეგი“ და „მოლა ნური“ — კავკასიის ციმბირში — დაღესტანშია დაწერილი.

როგორია ა. ბესტუჟევის თვლით დანახული კავკასია?

ცნობილია, რომ დეკაბრისტები დადებითად აფასებდნენ კავკასიის რუსეთთან შეერთების ფაქტს. მათი აზრით, ეს იყო თურქეთის დესპოტიზმისა და რელიგიური ფანატიზმისაგან კავკასიის განთავისუფლების ერთადერთი გზა. ისიც ცნობილია, რომ თვითონ რუსეთის პოლიტიკა დაუმორჩილებელი კავკასიის მთიელებისადმი ჰუმანურობით არ გამოირჩეოდა: დამსჯელი ექსპედიციების უმოწყალო თარეში, მთიელთა სახლ-კარის დარბევა თუ მეურნეობის გაჩანაგება — ჩვეულებრივი ამბავი იყო მაშინ მთაში. ადგილობრივი ხალხი სასოწარკვეთილის გამბედაობით იცავდა თავის დამოუკიდებლობას. ჩვენთვის საინტერესოა, იწონებდა თუ არა ბესტუჟევი რუსეთის პოლიტიკას. მკვლევარი ფ. კანუხოვა წერს: „ცარიზმის პოლიტიკის დაგმობა საქმაოდ მკაფიოდ ქლერს ბესტუჟევის ისეთ ცენტრალურ ნაწარმოებებში კავკასიონზე, როგორცაა „ამალათ ბეგი“ და „მოლა ნური““<sup>8</sup>.

ეს აზრი სწორად არ მიგვაჩნია. ამ მოთხრობებში ბესტუჟევი ცალმხრივად აშუქებს მოვლენებს, ხაზს უსვამს სიკეთეს, რაც მეფის რუსეთმა მოუტანა კავკასიას. მოვესმინოთ თვითონ მწერალს: დაღესტნელებმა „არა შეშინებულთა აღრინდებულ, რომ იყვნენ დაკუწვილი გალავანგარეთ მთიულთაგან, განაგრცელეს შორს თავიანთი ჯეჯილი და ვენახი ველთა და მთათა შინა... კპოვებენ უკვე ღარიბნი იმა სიუხვისა ნივთთა, რომელნიცა ადრე აქვნდათ მდიდართ იშვიათად. ადრე 7 სახლს ჰქონდა 1 რკინის ქვაბი, ახლა ყოველს სახლში არა თუ შურქელი და კოკანი, მყაყლიც აქვსთ თითბრისა“<sup>9</sup>.

მედლის მეორე მხარეს — მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას ბესტუჟევი ვერ ამჩნევს, იქნება — ცენზურის შიშითაც. როგორც დეკაბრის-

ტი, როგორც უბრალოდ ჰუმანური ადამიანი, იგი უეჭველად თანაგრძნობით იქნებოდა გამსჭვალული ამ საცოდავი, ჩამორჩენილი, თავზეხელაღებულნი ხალხისადმი, მაგრამ მათ ნაკლავ კარგად ზედავდა. „ისინი (მთიელები) უარს ანბობენ განათლებასა და კეთილდღეობაზე, რადგან მასში ბორკილებს ზედავენ, რადგან შეუძლებელია მძარცველობისა და განათლების შეთავსება, ძარცვა და თავისუფლება მათთვის ერთია: ძარცვა მათი სტიქიაა, საარსებო წყაროა“<sup>10</sup>. მით უფრო ნაძალადევად ჟღერს მკვლევარ ვასილევის სიტყვები: „მოუხედავად თავიანთი კულტურული ჩამორჩენილობისა, მარლინსკის მიერ დახატული კავკასიის მთიელები უნებურად უღვიძებდნენ მკითხველს მათდამი ღრმა პატივისცემას, ... მათი გმირული ეროვნულ-განმანათავისუფლებელი ბრძოლისადმი თანაგრძნობას“<sup>11</sup>.

გაივლის რამდენიმე ათეული წელიწადი და ალ. ყაზბეგის მომხიბლავი კალამი შექმნის თავისუფლებისმოყვარე მთიელების ამაღლებულ სახეებს, მეფის რუსეთის მოხელეების შეუბრალებელ ტიპებს, და ეს სულ სხვა კუთხით დანახული და აღქმული სურათები გვიჩვენებს, რა მწარე ნაყოფი ესხა მაშინდელ ცივილიზაციას.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ბესტუვეს. „არც ერთი სხვა მხარე არაა ისე ახალი ფილოსოფოსის, ისტორიკოსის, რომანტიკოსისათვის“, — წერდა იგი კავკასიის შესახებ ერთ-ერთ პირად წერალში. კავკასიის ბუნების პირველყოფილი სილამაზე მთელი არსებით შეიგრძნო მწერალმა. უამრავი დიფირამბიდან მოვიყვანთ მხოლოდ ერთს: „ო, როგორ ეყვარებოდათ რუსებს ეს მხარე, მათი სამშობლო რომ იყოს! ვერ ვადმოგვცემთ, რა მშვენიერია იგი ზაფხულის სამოსელშიც და ზამთრის აღმასებშიც!“<sup>12</sup>, — სწერდა იგი ძმებს.

მაგრამ ბესტუვევი კავკასიის სტუმარი კი არა, ტყვე იყო. გონება ჩლუნგი ოფიცრების გარემოცვა, ვაუთავებელი ჩხრეკა, შერყეული ჯანმრთელობა, ბნელით მოცული მომავალი სასოწარკვეთილებაში ავლდებოდა მას: „ღმერთმა იცის, რაა ჩემი ცხოვრება: სიკვდილი ვუწოდო — ცოდვაა, სიცოცხლე — სირცხვილია“<sup>13</sup>. ან: „ზედი ჩემი უძრავია, როგორც აზია“. წერაც უჭირდა. „გონებრივი მეცადინეობისათვის არაფერი არ არის ისე დამლუპველი, როგორც სამხედრო სამსახური“<sup>14</sup>.

აი, ასეთი სულიერი დეპრესიის პირობებში დაწერა მან ნაწარმოებები, რომლებსაც გაცივებითა და ალტაცებით შეეგება რუსი მკითხველი. 5 წლის (1825—1830 წწ.) დუმილის შემდეგ იგი ჯერ ანონიმურად, მერე კი მარლინსკის ფსევდონიმით ბეჭდავს პეტერბურგის ჟურნალებში. კავკასიის კასპისპირა მხარე, მისი კულტურა, ეთნოგრაფია, ისტორია თუ პოეზია ბესტუვევის დაუღალავი შესწავლის საგანი გახდა. დიდი მონდომებით დაეუფლა იგი სპარსულ და თათრულ ენებსაც. მკითხველებს იზიდავდა მისი მოთხრობების თემატიკა, დახლართული სიუჟეტები, მძაფრი ენებებით დამუხტული პერსონაჟები, ეთნოგრაფიული მასალის ზღვა, ზოგჯერ სისხლსავსე პეიზაჟები თუ ბატალიური სურათები.

30-იან წლებში დაწერილი მოთხრობები სავრძნობლად განსხვავდება ადრეული პერიოდის ნაწარმოებებისაგან. გაქრა მაშინდელი ოპტიმიზმი, უსრუხველობა, განმანათლებლური იდეების გულუბრყვილო რწმენა. რამდენად ერთგული დარჩა ბესტუვევი თავისი დეკაბრისტული იდეალებისა — აი საკითხი, რომელიც მკვლევრებს დიდად აინტერესებთ. ზოგი ფიქრობს, რომ ბესტუვეს აღარაფერი შერჩა ადრინდელი დეკაბრისტული განწყობილებიდან.



ზოგიც ცდილობს იმ მინიშნებებისა და შენიღბული აზრების გაშიფვრას, რომლებიც გაფანტულია 30-იანი წლების მოთხრობებში. ერთი რამ ცხადია: რევოლუციური ცეცხლი არ განელებულა ბესტუჟევის სულში. აი, ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც მან თავისიანებს გაუგზავნა დალესტინიდან: „რა დიდებულ საუკუნეში ვცხოვრობთ! დინასტიები და ხალხები ისპობიან და ჩნდებიან და საფრანგეთი, როგორც გოლიათური დროშა, როგორც საბრძოლო ქვემეხი, ახლაც იძლევა გადატრიალებების ნიშანს“<sup>15</sup> (იგულისხმება 30-იანი წლების ივლისის მოვლენები საფრანგეთში). რაც შეეხება ნაწარმოებებს, რა თქმა უნდა, მათში ვეღარ ვიპოვით დეკაბრისტულ პროპაგანდას: განპატივებული ოფიცერი, რომელსაც საგანგებოდ ადვენებდნენ თვალყურს, რევოლუციის ქაღალდ ვერ გამოდგებოდა. (მაგრამ მოთხრობაში „მოლა ნური“ ჩვენ დავინახეთ, რა დიდი თანაგრძნობით და სიყვარულით ხატავს ავტორი თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის პორტრეტს). 30-იანი წლებიდან მწერალი ადამიანის შინაგანი სამყაროთა დაინტერესებული და პიროვნების პრობლემას ეროვნულ-ისტორიულ თავისებურებებს უქვემდებარებს. ახლა მის მოთხრობებში ისტორიულ-კულტურული ანტურაჟი უბრალო ფონი, დეკორაჟი კი აღარ არის (როგორც, მაგალითად, ლივონურ ციკლში), არამედ პიროვნების ხასიათის, მისი ვნებათა დღევის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ეს იყო მაშინდელი დასავლეთეუროპული რომანტიზმის დამახასიათებელი თვისება. ვალტერ სკოტისა და ვიქტორ ჰიუგოს თაყვანისმცემელი, ბესტუჟევი ზეჯითად სწავლობს მათგან ისტორიული და ეროვნული კოლორიტის, ეთნოგრაფიული მასალის მჭიდროდ დაკავშირებას პიროვნების ხასიათთან, ნაწარმოების ძირითად კოლიზიებთან. ამ პრობლემის გადაწყვეტა სცადა ბესტუჟევმა „ამალათ ბეგსა“ და „მოლა ნური“<sup>16</sup>. ორივე მოთხრობის სიუჟეტი კავკასიური სინამდვილიდანაა აღებული. ვინმე ამალათ ბეგს მართლაც მოუკლავს პოლკოვნიკი ვერხოვსკი, რომელმაც ერთ დროს სიკვდილს გადაარჩინა ეს უმაღლური კავკასიელი. მოთხრობაში დახატულია ამალათ ბეგის რთული პიროვნება, ტრაგიკული ფიგურა, რომელსაც ნამდვილ ამალათთან საერთო აღარაფერი აქვს, გარდა მკვლელობის ფაქტისა. აქ გარემოსა და ხასიათს შორის ნიუნზობრივი კავშირის პრობლემა აზიურ ფონზეა ნაჩვენები. მოთხრობის პირველივე ფურცლებიდან თვალწინ გვიდგება ახალგაზრდა მთიელი, რომელსაც ძეგლსა და რბილში აქვს გამჭდარი თავისი ხალხის ზნე-ჩვეულება, ადათ-წესები, კარგიც და ცუდიც. ასპარეზობაში გამარჯვებული ამალათი კლავს თავის ცხენს მხოლოდ იმიტომ, რომ ქანცაწყვეტილი ცხოველი ბარიერს ვეღარ გადაახტა. მკითხველი დასაწყისიდანვე გრძნობს, რომ ეს დაუოკებელი ვნებების პატრონი უკან არაფერზე დაიხეცს. მცირე წყენასაც არავის აპატიებს.

ვნახოთ, როგორი მეგობრობა ან როგორი სიყვარული იცის ამ ქედმაღალსა დალესტინელსა. არსებითად ხომ ამ ორი გრძნობის ჭიდილის შედეგია ის ტრაგედია, რომელიც ამალათმა დაატრიალა. სწორად შენიშნა ფ. კანუნოვამ: „თვითონ ამალათისთვის რუსეთ-კავკასიის ურთიერთობის პრობლემა არ არის რამდენადმე მნიშვნელოვანი“<sup>16</sup>. ავტორს ამალათი რომ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირად გამოესახა, მაშინ ვერხოვსკის, როგორც მოსისხლე მტრის, მოკვლა გამართლებული იქნებოდა, მაგრამ ამალათი შორსაა პატრიოტული აღტყინებისაგან, იგი შეგუებულია რუსებთან და ახმეთ ხანის საბედისწერო სტუმრობა რომ არა, არასოდეს მოუვიდოდა აზრად მათთან ურთიერთობის გამწვავება. როცა ახმეთ ხანი მის სახლში სასიკვდილოდ დაჭრის რუს



ოდიცერს, ამაღათი იძულებული გახდება მთებში გაიხიზნოს. აქ, მთებში მას დაეხმარება დანახვისთანავე შეუყვარდება ახმეთ ხანის მშვენიერი ასული — სულთანეთა. მწერალი, რა თქმა უნდა, საღებავებს არ იშურებს, რომ ჩრდილოელ მკითხველებს აზიური მცხუნვარე სიყვარული დაუხატოს. „ჩემი სახელით შევაძრწუნო ყოველი ავაზაკი და ვატირო ანგელოზნი ჩემის მოქმედებით!“<sup>17</sup>, — ემუქრება ამაღათი სულთანეთას, თუ იგი მასთან გაპარვაზე უარს იტყვის.

ერთ-ერთი ბრძოლის დროს ამაღათი ტყვედ უყარდება რუსებს. თითქოს სასიკვდილო განაჩენი გარდაუვალია, მაგრამ პოლკოვნიკი ვერხოვსკი შეიწყნარებს დამორჩილებულ მტერს და მეგობრულად უწვედის მას ხელს. რუსი პოლკოვნიკი — ნათელი, ამაღლებული პიროვნება — უპირისპირდება ამაღათს — პრიმიტიულ, გრძნობამოპარებულ, ნახევრად ველურ კავკასიელს. ვერხოვსკის კარგად ესმის, რომ აქ, ამაღათის სამშობლოში, „გონება არის შებურვილი აყენისა არტახებში... წიგნთა და მავალითთა მისიონერებისას არა უმოქმედნითა რა“<sup>18</sup>.

და აი, ვერხოვსკი, რომელსაც სჭერა ადამიანის ბუნებაში კეთილი საწყისის არსებობისა, განმანათლებლის გულმშურვალებით შეუდგება ამაღათის „მოქცევას“, წერა-კითხვასაც ასწავლის. ნელ-ნელა იხსნება მთიელისათვის აქამდე ბნელით მოცული სამყარო, ფართოვდება მისი გონებრივი პირობონტი, ფაქიზდება, ნათლდება მისი სული. მოვიყვანთ ნაწყვეტს ამაღათის დღიურიდან: „მაშ ეს არის ახალი მსოფლიო, რომელსაც უწოდებენ აზროვნებად? მშვენიერო მსოფლიოვ! შენ დიდხანს იყავ ჩემთვის მღვრიე და შესქელებული, ვითა ირმის ნახტომი, რომელსა იტყვიან, არის შედგენილი ათას ვარსკვლავთაგან. მე მეჩვენება, რომელ გამოვალ ბნელისა ღრუბლისაგან, აღვალ მთასა ზედა ცნობისასა“<sup>19</sup>. ორი ერთნაირად ძლიერი გრძნობა იბრძვის მის არსებაში — სიყვარული და მეგობრობა. ამაღათი სწავლობს გრძნობების დაოკებას, თავის დამორჩილებას. ვერხოვსკი მისი კეთილი მოძღვარია, ფრთხილი და დავკორვებული მრჩეველი — „მე იმასთან, ვითა დედასთან ბარტყი მერცხლისა, გამოვცდი ახალ ფრთებსა“<sup>20</sup>. როცა სულთანეთა ამაღათს შესთავაზებს რუსებისაგან განდგომას და მასთან მთაში დარჩენას, ბეგი ახერხებს უარი უთხრას სათაყვანებელ ქალს — მოვალეობის გრძნობა წმიდათაწმიდაა: „ბედმან დამაკავშირა მათთან გაუტეხელისა მადლობათა ჯაჭვითა“<sup>21</sup>.

თითქოს ზეიმობს ცივილიზაციის ყოვლისშემძლეობა, დათრგუნვილია ადამიანში საუკუნეების მანძილზე დაბუდებული ბნელი, სტიქიური ძალები, მაგრამ — მხოლოდ დროებით. სულ მცირე ეპეიც საეპარისი ხდება, რომ ამაღათის გონება ხრიოკ უდაბნოდ იქცეს და პირველყოფილ ვენებებს მოუხმოს. ვერხოვსკიმ გილაღატა და გაციმბირებს ვიპირებსო, — ჩააწყვეთებს ახმეთ ხანი ამაღათს და სულთანეთას პპირდება ცოლად, თუ ყალიმად რუსი პოლკოვნიკის თავს იხილავს. საბედისწერო გადაწყვეტილება მიღებულია, მაგრამ იოლი როდია მისი შესრულება. ამაღათის სინდისი შფოთავს, საშინელი შინაგანი ბრძოლა მიმდინარეობს მის არსებაში, სულთანეთასთან მოსალოდნელი ბედნიერებაც ველარ ახარებს: „გადვიელი სისხლიან ხალიჩაზე და მოვალ შენთან, აღვასრულებ საშინელ აღთქმას... უმანკო ქალი! შენ იქნები მიზეზი გაუგონარის ავაზაკობისა“<sup>22</sup>.

დანაშაულის ჩადენის მომენტიდან იგი შინაგანად დაცარიელებული არსებაა; მოკლული პოლკოვნიკის აჩრდილი ყველგან თან დასდევს საზარელ მოგონებად. მას ყველა ზურგს აქცევს, საცოლმე კი; დაბოლოს, სიცოცხლე-





მობეზრებული, მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ებმება, რომ მტრის მიანც დაუდუმოს ამბოხებული სინდისი. სულთმობრძავე ამაღათის სახეც რომანტიკოსის კალმისთვის ჩვეული ტიპური სურათია — ვნებათა ჭიდილის უბედური მსხვერპლი, ტრაგიკული ფიგურა, რომელიც თანაგრძნობას თუ არა, სიბრაულეს მიანც იწვევს: „გველებრივი კული მწუხარებისა, ჩარეცხილი ცრემლთაგან ლოყებზე, ღრმა ნაკეცები შებლისა, არა დროთაგან დაჰრელებული, გარნა ვნებათაგან; და სისხლით დაჩნეული ნაკაწრი უხდენდა მშვენიერსა პირის სახესა, რომელზედაც გამოიხატებოდა როგორიღაც ტანჯვით ტკივნეულება, რაღაც უსაშინელეს სიკუდილისა“<sup>23</sup>.

ამგვარად, განმანათლებლური იდეებისა და რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ადამიანური ბუნების შეჯახება პირველის დამარცხებით დამთავრდა. მკვლევარი კოტლიარევსკი აქებს ბესტუევეს იმ უპირატესობის სწორად შეფასებისათვის, რომელიც გააჩნია გრძნობას გონებაზე ყოველ უშუალო, ნახევრად ველურ ნატურაში. „ამაღათი ბუნების შვილია და მოთხრობა მის შესახებ მისი ხელახალი აღზრდის უიღბლო ცდის ისტორია“<sup>24</sup>. ეს მართლაც ასეა, მაგრამ თვითონ ამაღათის სახე არ არის ბუნებრივი, მხატვრულად გამართლებული. როგორც კი ამაღათი ცივილიზაციას ეზიარება (ამას იგი მეტად სწრაფად ახერხებს) და საერთო საკაცობრიო იდეებზე წაუბორობიკებლად იწყებს მსჯელობას, იგი, როგორც ტიპი, კარგავს მხატვრულ დამაჯერებლობას და ვერხოვსკის რომელიმე პეტერბურგელ მეგობარს უფრო ჩამოჰვავს, ვიდრე გაუნათლებელ აზიელს. მით უფრო მოულოდნელია მკითხველისათვის ასეთი გრძნობაგაფაქიზებული ადამიანისაგან შემპირწუნებელი დანაშაულის ჩადენა. ავტორს სურდა დამეტკიცებინა, რომ ამაღათის ხასიათი განპირობებულია აზიური გარემოთი, ბუნებით, რომელშიც მოუთოკავი ვნებები მძვინვარებენ, და რომ ვერავითარი ცივილიზაცია ვერ ჩაახშობს ამ ყოვლისწამლევაც ვნებებს. მან ეს ვერ შეძლო. მარლინსკის ამაღათი ზერევე, მხატვრულ სიმართლეს მოკლებული ტიპია; თუმცა ავტორს მიაჩნდა, რომ „ამაღათის ხასიათი თანაბრად ძლიერადაა გამოსახული პირველი თავიდან, სადაც იგი კლავს თავის ცენს, რომელსაც არ უნდა გადახტომა, უკანასკნელამდე, სადაც იგი ვერაგულად ასალმებს სიცოცხლეს მეგობარს“<sup>25</sup>.

ვერხოვსკის სახე არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი. იგი ზოგადი რომანტიკული ტიპია, ავტორის იდეალი, განმანათლებელი, ჰუმანისტი, რომელსაც კომპარული წინათგრძნობები უფორიაქებს სულს და სენტიმენტალურად განაწყობს. თუ ამაღათის სახე მისი ქარიშხლიანი ვნებებით დიდხანს შემორჩება მკითხველის მენსიერებას, ვერხოვსკივე ამას ვერ ვიტყვით.

და მიანც, ნაკლის მიუხედავად, მოთხრობას ისეთი დიდი რეზონანსი ჰქონდა, რომ 1870 წელს პეტერბურგში დაიდგა აფანასიევის ოპერა „ამაღათ ბეგი“ (ალიაბიევიც წერდა ამავე სახელწოდების ოპერას, ოღონდ არ დაუმთავრებია).

მარლინსკის მეორე მოთხრობა — „მოლა ნური“ დაუმთავრებელია. განსხვავებით „ამაღათ ბეგისაგან“, აქ კონფლიქტის თავი და თავი სოციალური უთანასწორობაა. ნაწარმოები უბრალო ხალხისადმი თანაგრძნობითა და სიმპათიითაა გამსჭვალული. სამართლიანობისათვის მეგრძოლი ტიპის გამოსაძვრწად მარლინსკიმ ამჯერად აზიელი ყაჩაღის სახე აირჩია. მოლა ნურიც, ამაღათივით, რეალური პიროვნება ყოფილა და, როგორც ამტკიცებენ, ჩვენი ავტორი მას შეხვედრია კიდევც. მოლა ნურის პოეტური დახასიათება მოგვცა

მარლინსკიმ ნარკვევში „გზა ქალაქ კუბამდე“. ამ უცნაური ყაჩაღის უანგარო ბუნება, ლატაკებისადმი დიდი თანაგრძნობა, ოქროსადმი გულგრილობა მწერლის დაუფარავ ალტაკებას იწვევს. ამიტომაც არ დაკმაყოფილდა იგი მოლა ნურის ესკიზური პორტრეტით და იგი მოთხრობის მთავარ გმირად აქცია.

მარლინსკიეული მოლა ნური, როგორც მოსალოდნელი იყო, საგრძნობლად განსხვავდება პროტოტიპისაგან. რომანტიკოსი მწერლის კალამმა იგი მსოფლიო სევდით შეპყრობილ პიროვნებად, ამბოხებულ მარტოსულად წარმოგვისახა, რომელსაც კარგად ესმის მომმეთაგან განდგომის ტრაგედია, მაგრამ ხსნის გზას ვერ ხედავს. აქ იგი თვითონ ავტორია, არსებულით უკმაყოფილო, სინამდვილისადმი შეუურიგებელი. უფრო ბუნებრივია და, ამდენად, ორიგინალთან დაახლოებული მოლა ნური ღარიბ-ლატაკთა მფარველის როლში. გაჭირვების ქამს იგი მუდამ ხელს უწვდის დაშშეული თანამომძმეებს — მოუსავლიანობის დროს ხორბლით ამარაგებს, არც ფულს იშურებს, მეფური გულუხვობით ასაჩუქრებს მათ, ვისი ქონებაც „ხმლის ქარქაშში ჩაეტევა“.

მოთხრობას ორი ფაბულა აქვს, რომელთაგან ერთი — ისკანდერ ბეგისა და ქიჩქინეს სიყვარულის ამბავს ეთმობა, მეორე — თვით მოლა ნურის აღსარებაა, ავტორისათვის გამხელილი. ჩვენ წინაშეა ყაჩაღი — ფილოსოფოსი, რომელსაც შურისძიებაც მოსწყენია და სიმარტოვეც, მაგრამ ვეღარ დაბრუნებია ადამიანებს: „ჩვენ გაგვეოფს წყარო სისხლისა და მე არა მაქვს ძალი გარდავაბიჯო უკან“<sup>26</sup>. სიმარტოვეს იგი მიზანტროპად ვერ გადაუქცევია. „საშიშარია კაცთან ცხოვრება, მაგრამ უიმართოთ ცხოვრება უგემურია. მეგობრობა მათთან არის უფუნური და დამამძინებელი თრიაქი, მაგრამ მტრობა არის უმწარესი ნალევლისა“<sup>27</sup>. ეს მრწამსი ისკანდერთან დამოკიდებულებამიც ვლინდება: ისკანდერ ბეგს, რომელმაც იგი სიკვდილს გადაარჩინა, მოლა ნური მეგობრობას სთავაზობს სანაცვლოდ და საქმიტაც მალე უმტკიცებს ერთგულებას — არღვევს ინტრიგების ქსელს, რომელშიც მუხანათურად გაუბამთ ახალდაზრდა ბეგი ანგარებიან ფეთხალსა და ცბიერ მოლა სადექს, და ეხმარება მშვენიერი ქიჩქინეს დახსნაში.

მოთხრობის მეორე ნაწილი, როგორც ვთქვით, არ არის დასრულებული. ეს მოლა ნურის ისტორია უნდა ყოფილიყო. ყაჩაღი ცდილობს გაამართლოს თავისი სისხლიანი პროტესტი — ბიძის მკვლელობა, რომელმაც დაუნდობლად გაქვეა მისი ადამიანური ღირსება და თავმოყვარეობა. ბელინსკიმ თათარი კარლ მოორი უწოდა მოლა ნურს და ამ შედარებით გაამასხარავე მისი მეტისმეტად პათეტიკური განწყობილება, ფილოსოფიური განსწავლულობა. „ვინ ლაპარაკობს, — წერდა იგი მოლა ნურის აღსარების შესახებ, — ლიონელი რაინდი, იტალიელი ყაჩაღი თუ რომანტიკული სკოლის ფრანგი ლიტერატორი?... არა, ეს არის კავკასიელი თათრის ენა... ჭკვიანი თათარი ყოფილა! ჩანს, რომ მეცნიერებას დაუფლებია, განსაკუთრებით კი — რიტორიკას“<sup>28</sup>.

სქემატურია ნაწარმოების მეორე გმირის — ისკანდერ ბეგის სახე. ვერხოვსკის მსგავსად ესეც რომანტიკული ტიპის შტამპია, ოღონდ აღმოსავლური კოლერით შეფერილი. როცა გვაღვისაგან შეწუნებულმა დერბენდელებმა, ძველი ჩვეულების თანახმად, გადაწყვიტეს ყველაზე უმანკო და ლამაზი ყმაწვილი, „წმინდა სულითა და გულითა“, აეგზავნათ მალდაღის მთაზე თოვლის ჩამოსატანად, არჩევანი ისკანდერზე შეაჩერეს. ასე გაეცნო მკითხველი ისკანდერს — ყველა ამქვეყნიური ღირსებით დაჯილდოებულ ახალგაზრდას, რომელიც გამო-



რჩეოდა უბრეტენზიობით, „კმაყოფილებდა მცირე შემოსავალსა მცირე მუშაობისაგან და არა მწუხარებდა“<sup>29</sup>.

მაგრამ მოლა ნურის გაბედული ჩარევა რომ არა, სიღარიბე მას უნაპირო მწუხარების მიზეზად — ქიჩქინესთან სამუდამო განშორების მიზეზად გადაექცეოდა. ქიჩქინეს ბიძის — მირსა ფეთხალის განაჩენი, მისი ზიზღნარევი ირონია ისკანდერის მიმართ უღმობელი იყო: „...რით აცხოვრებს ჩემს დისწულსა... რამდენი ჩიტის კვერცხი აქვს სახლში შემოსავალი? რამდენ ჭინჭარს ჰყიდის ნაფუძირიდან? შიშველია, შიშველი, როგორც ქუჩის ბიჭი“<sup>30</sup>. მაგრამ მოლა ნურის წყალობით, ყოველივე კეთილად მთავრდება: „ერთი მუჰა ფქვილი, ერთი ჯამი წყალი“<sup>31</sup>. ყარაბაღული ცხენი, ქიჩქინეს სიყვარული და ისკანდერი უბედნიერესი კაცია ამ ქვეყანაზე.

დერბენდელეები თვითონ ალ. ბესტუჟევის უწოდებდნენ ისკანდერ ბეგს, ალბათ იმ თვისებების გამო, რომლებიც ასე უხვად დაანათლა მწერალმა თავის გამირს.

პიერბოლურია ჰაჯი-უსუფის სახე, რომელსაც ყოველი ბურქი ავაზაკად ეჩვენება და მაინც ვაჟკაცობაზე დებს თავს. „თუ ჩვენს თავზედ ეს ვიპურები არ გვეყვანდეს, აბა, ჩვენ რა დავგესხამდა კედელშუა: თოფი მხარზედ, ფეხი — ავეანდში და ძლიეს, რაკი მთვარე ამოვიდოდა — გაბრთხილდით, ქარავენო“<sup>32</sup>.

ამ „თავგებულადებულ ვაჟკაცს“ ერთი შემახილით აყრევიანებს იარაღს მოლა ნურის ახალგაზრდა ცოლი — გულშადი.

აქვე ვიტყვით ქალთა ტიპების შესახებ. ორივე მოთხრობაში (გამონაკლისს შეადგენს გულშადი) ისინი ტრადიციებით გასრესილი, პასიური არსებებია, რომელთაც წართმეული აქვთ თავდაცვის უფლება. მოხდენილად შენიშნა მათზე კოტლიარევესკიმ: „კავასიელი ქალიშვილები სათნო მხეცუნები არიან, რომელთაც კბენა არ იციან“<sup>33</sup>.

უფრო ძლიერია მარლინსკი „მოლა ნურში“ ყოფითი დეტალების, გარემოს აღწერისას. აქ ავტორის უნებურად რეალისტური ელემენტების ნაკადი იჭრება მოთხრობაში. ასეთია თუნდაც მასობრივი სურათები შაჰ-ჰუსეინის რელიგიური სექტაკლის წარმოდგენისას: ჩადრიანი ქალებით მოფენილი ბანები, სადაც ისკანდერი ეძებს თავის ქიჩქინეს და გზადაგზა ისმენს გულახდილ საუბარს ქალებისა, რომელნიც მუდამ ბოქლომდადებულ ბავებებს მხოლოდ თავშეყრის ადგილას თუ გახსნიან და თავიანთ გულისტკივლს, ყველაზე ინტიმურ განცდებს დაუფარავად უზიარებენ ერთმანეთს. ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მარჯვედ მოწოდებული საუბრიდან მკითხველს შეუძინებლად ექმნება სრულიად გარკვეული წარმოდგენა ბნელ აზიურ ადამიანებზე. „ამალათ ბეგსა“ და „მოლა ნურში“ მარლინსკი ფართოდ იყენებს ფოლკლორულ მასალას. მოვიგონოთ „მოლა ნურის“ მხატვრულ ქსოვილში ისტატურად ჩართული ლეგენდა ქალაქ დერბენდის წარმოშობის შესახებ, ან ახმეთ ხანის მოსწრებულ იგავები „ამალათ ბეგიდან“. მოთხრობებში ვხვდებით აგრეთვე მთიელთა სიმღერებს, რომელთაგან განსაკუთრებული დინამიკურობითა და ემოციურობით გამოირჩევა მთიელთა სიკვდილის სიმღერა — „Става нам, смерть врагу, Алла-га, алла-гу“. (იგი მეტად მოსწონდა ბელინსკის). ამ სიმღერას მღერიან ალყაშემორტყმული მთიელები, რომელნიც, გრძნობენ რა აღსასრულის მოახლოებას, ზოცავენ თავიანთ ცხენებს, ამტვრევენ დაცლილ თოფებს და ხანჯლებით ეყეებებიან რუსებს. ბესტუჟევი, რომელიც თვითონ საარაკო სიმა-

მაცით გამოირჩეოდა, მთიელთა ვაჟკაცობის დიდი თავყანისმცემელი ჩემი „როგორი ხელოვნებით იბრძვიან ისინი, რა გმირულად იციან სიკვდილი“<sup>34</sup> — წერდა იგი ერთ-ერთ პირად წერილში. ერთგან მწერალი მთიელთა დიდებულ ჩვეულებას გვიქმნის: „როცა მტერს თავს დაესხმოდნენო, „არა ჰსწავდნენ სახლსა, არც განგებ აფუჭებდნენ ჭეჯილს, არ ამტრევენდნენ ხეხილს და ყურძენსა... ეს არს სათნოება, რომლითაც შექმლოთ ეამპარტავენათ ერთა თვით განათლებულთა, თუკი ესე ჰქონდეთ“<sup>35</sup>.

ბესტუვევს ეროვნული კოლორიტის გამახვილებული შეგრძნება და განუწერებელი იუმორი ახასიათებს. წაიკითხავთ მის „მოლა ნურს“ და არასოდეს დაგვიწყდებათ ხალიჩაზე ფეხმორთხმული, ინით წვერშედებილი მოლენები, რომელთა „ტყუილმეტყველების ნიაღვრით შეიძლებოდა დაბრუნებულიყო სამი თვალი წისქვილი“<sup>36</sup>. ყმაწვილკაცები კი მათ წინაშე ხმას ვერ იღებენ, რადგან „აზიაში ტუჩები, არა შეჭურვილი წვერითა, ვერ გაბედავენ ვაერიონ რჩევაში და, თუ გაიღებინან, მარტო დასამთქნარებლად“<sup>37</sup>.

ავტორ ცხვირი მირზა ფეთხალი. „მისი ყოველი სიტყვა დამაქრული ნულლია, მიმოვიღოს გულში, თითქოს ვარდის ზეთი ისხმის სულში. ამდენის სპარსულის და არაბის ლექსებით გაგიტენთ ყურებს... რომ ხელედა ჩამოუშვებთ, მრთულ დაღისტანში ვერ იპოვით 2 კაცსა, რომ იმის სიტყვას მიხედნენ გინდა ნახვარსაც“<sup>38</sup>. ან კიდევ: „უბატოცემულესი მირზა ფეთხალი ისმაილ ოღლი ნელიად გააბიჯებდა ერთი ქვიდან მეორეზედ, კალთები მისი ჩოხისა ჩვეულებისამებრ არ ჰქონდა აყეცილი და მიჰვიდნენ ქუჩის მტვერსა. დიდრო ეანი ქუსლიანი ქოშები ვარდებოდა ცუდ მოკირწყლულ გზაზედ“<sup>39</sup>. აღმოსავლური კოლორიტის ყველა ეს წვრილმანი მკითხველს ისე აღებუჭდება გონებაში, თითქოს თვითონაც გვერდით მიჰყვებოდეს ამ დაუდევარ მოლას დერბენდის ვიწრო, ბინძურ ქუჩაზე.

მსუყე აზიურ ტყუილებს სეტყვასავით გვიშენს ტრახანის დიდოსტატი უსუფი. აი, ერთ-ერთი მათგანი: „შენთან არ იყო, რომ თავი მოვსკერ ბაირალჩისა... არამზადა ასეთი გაჯავრებული იყო ჩემზედ, რომ მოჭრილმა თავმა ფეხის თითებზედ მიკბინა“<sup>40</sup>.

მაგრამ მარლინსკისეული იუმორის გამოდენება შორს წაგვიყვანდა. ორივე მოთხრობაში შეამჩნევთ ისტორიული თუ ეთნოგრაფიული კომენტარების ნეტისმეტ სიჭარბეს. ავტორს შეუძლია გაწყვიტოს სიუჟეტური ხაზი და რამდენიმე ფურცელი დაუთმოს მოსაწყვენ წიაღსვლებს, რომელთაგან კარგა მოზრდილი ნარკვევი გამოვიდოდა. როგორც ჩანს, მარლინსკის სურდა გაებათილებინა უხეირო მწერლების მიერ შექმნილი მითები კავკასიის შესახებ, რომლებიც მას აღიზიანებდა და მკითხველი შეცდომაში შეჰყავდა. ამ მიზნის მისაღწევად იგი არ ერიდებოდა კომპოზიციურ დარღვევებსაც. თუმცა თვითონვე დასცინოდა წერის ამგვარ მანერას: „ზოგჯერ მჩვევია მკითხველს სისულელეებით გაუღღვიძო მოუთმენლობა; ეს არის რეჩიტატივი ოპერიდან, რომლის დროსაც თქვენ შევიძლიათ მიირთვათ ნამცხვარი, მოიწმინდოთ ცხვირი და თვალი ჩაუკრათ ვინმეს“<sup>41</sup>.

მკითხველს ღლის პეიზაჟის ასევე გაკიანურებული აღწერა, რა თქმა უნდა, როცა უღიმღამოა და ფერგაცრეცილი. მაგრამ ზოგჯერ მწერალი ბუნების შთამბეჭდავ სურათებსაც გვიხატავს. ასეთია, მაგ., თერგის აღწერა „ამალათ ბეგში“. „ველურ მშვენიერ არს მქუხარე თერგი დარიელის ხეობაში. მუნ ვითა გენია აღავსებს ძალსა ცითგან, და ერკინების ბუნებასა, ზოგან



ქსწორე და ელვარე, ვითა მახვილი, ზოგან შავდება მრისხანებისაგან, ლეღს და გამოჰხრავს ვითა მძინვარე ნაღირი უეუნოვანთა მითათა“<sup>42</sup>.

მწერლის ენა ირანულ ხალიჩასავით მოხატული და ყვავილოვანია. რამდენადაც მისი კრიტიკული წერილების ენა უბრალოა და გამომსახველი, იმდენად მაღალფარდოვანი და მოჩუქურთმებულია მხატვრული ნაწარმოებების ენა. სწორედ ამ მოთქრთმებულ ენას, გადატვირთულს რიტორიკით თუ ეპიგრამა-კალამბურებით, უწუნებდა მას ბელინსკი. გმირების ენაც ნაკლებად ინდივიდუალურია, თითქოს არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. „მარლინსკის ყველა მოთხრობის ენა რომ თვალდახუჭულებმა მოისმინოთ, — წერდა ბელინსკი, — ვერც კი გამოიცნობთ, ვინ ლაპარაკობს — მეზღვაური ოფიცერი, ველური ჩერქეზი, ლივონელი რაინდი... XV—XVI საუკუნეების რუსი ბოიარი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ყმაწვილი; ამაღათ ბეგი თუ ორატორი მეჯიხურე“<sup>43</sup>. მოვიყვანთ მაგალითს: „აბა, ადი ბანზედ, ქასიმ. უყურე, ხომ არ სწევთამს ნამსა ახალი რქა მისის მთვარისა, ხო არ იმალება მთვარე ღამის ცის ცისარტყელაში, როგორითაც მარგალიტი სადაფისა ბუღეში“. „არა, ამი, წმინდას სილურჯეში მოსცურავს მთვარე, ცრემლის მაგიერ ისარს გამოჰყრის ზღვაში“<sup>44</sup>. — ასე სატოვანად საუბრობენ „მოლა ნურის“ ეპიზოდური პერსონაჟები — ბიძა-ძმის-შვილი, რომელნიც მხოლოდ აღმოსავლური ფონის შესაქმნელად დასჭირდა ავტორს. იუსუფი ხომ სიტყვას არ იტყვის უბრალოდ, როცა შიბა, ის აცხადებს: „შე... ვგრძნობ გვალვას ჩემ მუცელში. ასეთი გვალვა არის, რომ მგონია ბებერამ თავის ქსელი გააბა“<sup>45</sup>. ან კიდევ: „ასეთი მშვიერი ვართ, რომ ნიანგს, რომელზედაც დედამიწა დგას, შთავსთქამდით“.

„რომანტიზმი, მარლინსკის შეხედულებით, ჰუმანიტეტის ალფა და ომეგაა, ჰევყნიერების ჰევაუთხეღია, ყოველგვარი სიბრძნის გასაღებია, ყველაფრის ამოხსნაა დედამიწაზე და ჰევსენელშიც, ყველა მიზეზი, ყველა საწყისის საწყისი, ყველა გამოცანის ამოცნობაა, დედაბრის ცხვირზე წამოსკუპული ნეკეპით დაწყებული და გენიოსის იღუმალი ფიქრით დამთავრებული“<sup>46</sup>. — ასე დასცინოდა ბელინსკი ბესტუჟევის ფანატიკურ ერთგულებას რომანტიზმისადმი. მწერლის კრიტიკულმა წერილებმა, ისევე როგორც მხატვრულმა ნაწარმოებებმა, თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს კლასიციზმის, სენტიმენტალიზმისა და თვითონ რეაქციული რომანტიზმის დათრგუნვისათვის ბრძოლაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალ, რეალისტურ მიმართულებასაც იგი მტრულად შეეგება. (ხომ ცნობილია, რომ ბესტუჟევი აღმერთებდა პუშკინის „კავკასიის ტყვეს“, „ბაღჩისარაის შადრევანს“ — რომანტიკულ ნაწარმოებებს და არ იოსწონდა არც „ევგენი ონგენი“, არც „ბორის გოდუნოვი“). რეალიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი, ბესტუჟევისათვის ბოლომდე უცხო და მიუღებელი დარჩა. მაგრამ 30-იან წლებში მისი მოთხრობები დადებითი მოვლენა იყო რუსული ლიტერატურისათვის. ცდება შარუპიჩი, როცა ბესტუჟევის ამ პერიოდის ნაწარმოებებს ანაქრონიზმად თვლის. სწორედ ამ წლებში დაიშვილდა მარლინსკიმ პროზის უგვირგვინო მეფის სახელი. შარუპიჩი წერს: „მარლინსკის მოთხრობები შეტევის შემდეგ „ვაშას“ ძახილი იყო და დეზორგანიზაციის გამოწვევა უფრო შეეწოთ იმდროინდელი რუსეთის პროგრესული ძალების რიგებში, ვიდრე ალტყინება. მარლინსკის მოთხრობების პროგრესული მნიშვნელობა დროთა განმავლობაში ამოიწურა“<sup>47</sup>.

აქედან იმ მცდარი დასკვნის გაცემა შეიძლება, თითქოს ბესტუვევი 30-იან წლებშიც არ მალავდა თავის დეკაბრისტულ განწყობილებას და, დონკიხოტური გულუბრყვილობითა და ოპტიმისტური იმედებით აღსავსე, მთელი სმით ჟღაგებდა რევოლუციურ იდეებს.

თუ ბესტუვევის ნაწარმოებთა პროგრესული მნიშვნელობა მალე ამოიწურა, ეს იმიტომ მოხდა, რომ რომანტიზმი როგორც ლიტერატურული მიმართულება საკმაოდ მოძველდა და თავისი პოზიციები რეალიზმს დაუთმო, მაგრამ ბესტუვევმა, როგორც კრიტიკოსმა და პროზაიკოსმა, სასიკვდილო ლახვარი ჩასცა დრომოკმულ ლიტერატურულ მიმართულებებს და ეს ცოტას როდი ნიშნავდა. ისევ ბელისკის სიტყვები მოვიშველიოთ: „და მაინც, მარლინსკი სამუდამოდ დარჩა შესანიშნავ პიროვნებად რუსულ ლიტერატურაში. მისი დიდება და დაცემა იმის მკვეთრი და ჭკუის სასწავლი მავალითია, თუ რაოდენ არამყარია ზოგჯერ ყველაზე ბრწყინვალე წარმატებანი ლიტერატურათა გარდაშვალ ეპოქებში“<sup>48</sup>. მარლინსკის კიდევ ერთი ნაწარმოები დიბეჟუდა „ცისკრის“ 1853 წლის მესამე ნომერში. ესაა „ღამე ზომალზე“, მისი ერთ-ერთი აღრინდელი მოთხრობა, ყმაწვილური „შეცოდება“, რადგან ნაწარმოები წმინდა სენტიმენტალური ხასიათისაა. აქ გადმოცემულია შოტლანდიელი ჭაბუკის ტრაგიკული სიყვარულის ისტორია, რომელიც უდიდო ევროპული სენტიმენტალიზმის ვადამღერებას წარმოადგენს: კაპიტან რონალდის შეუყვარებია ადმირალ ასტონის მომხიბლავი ქალიშვილი (ორიგინალში — მერი, ქართულ თარგმანში — მარიაში), რომელსაც იგი ზღვაში დახრჩობისაგან გადაარჩენს. მაგრამ გოგონა მის უანგარო სიყვარულს რატომღაც ლორდების უგულო თავყვანისცემას ამჯობინებს (თუმცა ავტორი გვიმტკიცებს, რომ რონალდი დიდგვაროვნებით და სიმდიდრით არავის ჩამორჩება). სასოწარკვეთილი ჭაბუკი ესპანეთში გადაიხვეწება მოხალისედ, ხოლო ლონდონელ არისტოკრატთა გულგრილობა უღმობლად ამსხვრევს მერის ილუზიებს. იგი სულ უფრო ხშირად იგონებს ერთგულ რონალდის, სედა და სინანული იპყრობს, ყვაილივით ჭკნება, ილუპება. ეს მელოდრამული სიუჟეტი, რომელსაც ნაძალადევი კონფლიქტი უდევს საფუძვლად, როგორც ვთქვით, ევროპული სენტიმენტალიზმის გავლენითაა შექმნილი და ავტორის რომანტიკული შემოქმედებიდან უიღბლო გამოცალისია.

ქართველი მკითხველი მარლინსკის 50-იან წლებში გაეცნო. ამ დროისათვის იგი რუსეთში არამცთუ აღარ სარგებლობდა მოდური მწერლის სახელით, თითქმის დავიწყებულად იყო. ქართველ მკითხველებში ბუნებრივია, „ამალათ ბეგი“ და „მოლა ნური“ იმ დაუოკებელ აღტაცებას ვერ გამოიწვევდა, რომელმაც 30-იანი წლების რუსეთი შეძრა; იქნებ ზოგიერთი გულუბრყვილო ქართველი გაენაწყენებინა კიდევ (მოვიგონოთ პაროდია ქართულ ცხვირზე „მოლა ნურიდან“: „ყოველნი რომაულნი და ნემენცურნი ცხვირნი უნდა დამარხნენ სირცხვილისაგან ქართულ ცხვირთან... რა საუცხოო ცხვირებია — უდიდანი, მალაღნი, მრგვალნი და... ისე გამოლივიან... ხელი რო დააკაროთ, კახური გამოესხურებათ“<sup>49</sup>).

ის უამრავი ეთნოგრაფიული თუ ფოლკლორული ცნობაც, რასაც ხარბად ეწაფებოდა რუსი მკითხველი მარლინსკის მოთხრობებში, არ წარმოადგენდა ქართველებისათვის სიახლეს. ამგვარად, აღმოსავლური ეგზოტიკის სიცხვეულე „ცისკრის“ მკითხველთათვის ძალადაკარგული იყო. ამიტომაც აღარ გვიკვირს დავით დადიანის გულისწყრომა, გამოთქმული ჟურნალის მისამართით:



«ცისკარში» რაღებსაც გაუგებელს ამაღათ ბეგსა ბეკდევნ. რატომ ზღუდენ ბენ ქალადს და დროს კარგუნ. განა ძუელი ლექსები და უცხო-უცხო მოთხრობა არ იშოვება საქართველოში?»<sup>50</sup>. მაგრამ ისიც ნუ დაგვაიწყდება, რომ 190-იანი წლების დასაწყისისათვის ქართული პროზა ორიგინალური მოთხრობების მწვევე ნაკლებობას განიცდიდა. სწორია მ. გოცძის მოსაზრება: «რედაქტორი თავისი ჟურნალის ერთ დიდ ნაკლს ამჩნევდა, სახელდობრ იმას, რომ პოეზია ამჟამად ჭარბობდა პროზას და ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ჟურნალის ეს ნაკლი გამოეწორობინა. მაგრამ ორიგინალურ მოთხრობათა უქონლობის გამო გ. ერისთავი მას თარგმანით ავსებდა»<sup>51</sup>.

სხვა საკითხია, რომ ამ დროისათვის მას რუსულ ლიტერატურაში ბევრად უკეთესი არჩევანი ჰქონდა. «ამაღათ ბეგი» და «მოლა ნური» გიორგი ერისთავმა თავის მამათან — ივანესთან ერთად თარგმნა, ხოლო «ღამე ზომალღზე» უთარგმნია ლუკა ისარლიშვილს. თუ «ამაღათ ბეგისა» და «მოლა ნურის» თარგმანს მცირეოდენი გამართლება მაინც ჰქონდა (კავკასიური თემა, 1852—1855 წლებში კვლავ გამწვავებული ბრძოლები რუსეთსა და კავკასიის მთიანეთს შორის), სრულიად ზედმეტი იყო მესამე მოთხრობის თარგმნა, რომელიც ცრემლიანი სენტიმენტალიზმის ნიმუშს წარმოადგენს და რომლის ავტორობაზე მოგვიანებით, ალბათ, თვითონ ბესტუჟევიც სიამოვნებით იტყოდა უარს.

თარგმანის ენა საკმაოდ უხეიროა. ბევრი წინადადებიდან აზრის გამოტანაც კი ჭირს. სტილიც საოცრად ჭრელია. არაერთგვაროვანი არქაული ენით დაწერილ პასაჟებს ენაცვლება მეტად მდარე სასაუბრო ენით გადმოღებული ადგილები, რომელთაც მხატვრულობისა არაფერი სცხიათ. მაგალითად: «ვგრძნობ, თითქოს სული ჩემი განიშლება და მოფენს სიყვარულითა სურვილითა ქვეყნისა, ვითარცა ოკეანე ბრწყინვალის სიყვარულისა ზვირითა»<sup>52</sup>. «ეგ აქ სამსახურში იმისთვის თურმე წარმოვიდა, რომ იმ ცოლ-ქმარზე ჭორი არ გაეთებულეყო». «დიდი ხანი არ აბის, მაგის ბედნიერება თუ უბედურება, მომკვდარა მაგის მეგობარი რაყიფი»<sup>53</sup>.

როგორღა იგრძნობდა ქართველი მკითხველი მარლინსკის ენისა თუ სტილის სინატიფეს, მისეული გამოთქმების ბრჭყვილა სილამაზეს, რომელთაც ორიგინალის გამო ერთ-ერთმა თანამედროვემ «ბესტუჟევის წვეთებიც» კი უწოდა! «...გარეული ნადირი, რომელიც დაამშვიდა ვერხოვსკიმ, რომელიც პევიანდა დაძინებული ამაღათ, აეშო ჯაჭვიდან»<sup>54</sup> ან კიდევ: «ხან სახე მისი მიიღებდა დაცინებითს ხასიათსა, გარნა შეიცვლებოდა გაჯაგრებითსა სიწითლეში, მოკლედ ლაპარაკობდა საყვედურიანათ»<sup>55</sup>. მსგავსი აზრდაბნელებული და უნიათო არქიტექტონიკის წინადადებები მრავლადაა თარგმანში.

ვხვდებით ასეთ კურონულ თარგმანსაც: «დაღალულნი ცხენნი მათნი, მოცულნი ქაფითა და ოფლითა, ჩამოსწევდნენ ვიწრო ბილიჯზედ, რომელზედაც აღვიდოდნენ მთაზედ»<sup>56</sup>. «მხოლოდ უფსკრული ყრუდ ღრიალებდა ვითა ტიგრი, როდესაც შეჰპაა თავის მსხვერპლი და გაილოკს ტუჩებსა»<sup>57</sup>. როგორც ვხედავთ, აქ უხეშადაა დარღვეული ელემენტარული ლექსიკურ-გრამატიკული ნორმები. ლიმილის მომგვრელი კალკები: (უკეთილშობილება — не-лаго родно) წითელმეტყვიერი — краснобай, ახ ოხოზოდნენ — ахали-охали), უამრავი ბარბაროზმი (ჩურეჭი, რაზბონიკები, ოტპუსკი, ბუთილკა, ხრენი, იაბედნიკური...), კორექტურული შეცდომების ზღვა კიდევ უფრო ამცირებს თარგმანის ისედაც მცირე ღირსებებს.

მთიელთა სიკვდილის სიმღერა, რომელიც ასეთი მომხიბვლელია და შთამბეჭდავი, სულაც არ უთარგმნიათ გიორგი და ივანე ერისთავებს, ხოლო დანარჩენი ლექსები — მეტად უფერულად.

ლუკა ისარღვევინის თარგმანიც შესრულებულია ძნელად გასაგები, არქაული ენით. აქ შედარებით დაცულია სტილის ერთგვაროვნობა, თუმცა უხეში რუსიციზმისაგან არც ეს მოთხრობაა თავისუფალი.

1967 წელს ელ. უბილაძემ და ნ. მიქავამ კვლავ თარგმნეს „ამალათ ბეგი“ და „მოლა ნური“ — მოთხრობები, რომლებიც დღეს მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსს თუ დაინტერესებს, კარგი იქნებოდა მთარგმნელებს მიეწოდებინათ ქართველი მკითხველისათვის მარლინსკის კრიტიკული წერილები, რომლებიც ახლაც გვიზიდავს აზრთა სიცხველით და სიმახვილით, ფაქიზი გემოვნებით და დახვეწილობით.

### გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ბ. ბელინსკი, რჩული თხზულებანი, ტ. 1, 1952, გვ. 132.
2. «Полярная звезда», литературные памятники, 1960, გვ. 26.
3. იქვე, გვ. 492.
4. В. Г. Белинский, Собрание сочинений, т. 1, 1948, გვ. 526.
5. ბ. ბელინსკი, რჩული თხზულებანი, ტ. 1, 1952, გვ. 132.
6. «Полярная звезда», литературные памятники, 1960 გვ. 119.
7. იქვე.
8. Ф. Канунова, Эстетика русской романтической повести, 1973, გვ. 183.
9. „ცისკარი“, 1852, № 1, „მოლა ნური“, გვ. 29.
10. Семевский, Бестужев на Кавказе, неопубликованные письма к матери, сестрам и братьям, 1938, გვ. 47.
11. Васильев, Бестужев-Марлинский на Кавказе, 1939, გვ. 87.
12. Семевский, «Отечественные записки», 1860, გვ. 46
13. იქვე. 1870, № 6, გვ. 504.
14. Письма Бестужева к Н. А. и К. А. Ползвым, გვ. 485.
15. «Русский Вестник», 1870, № 6, გვ. 506.
16. Ф. Канунова, Эстетика русской романтической повести, 1973, გვ. 208.
17. „ცისკარი“, 1852, № 7, გვ. 48.
18. იქვე, № 8, გვ. 37.
19. იქვე, № 6, გვ. 31.
20. იქვე, გვ. 32.
21. იქვე, № 7, გვ. 43.
22. იქვე, № 2, გვ. 44.
23. იქვე, გვ. 83.
24. Котляревский, Декабристы, 1907, გვ. 247.
25. «Русский Вестник», 1861, из письма Полевому.
26. „ცისკარი“, 1852, № 1, გვ. 33.
27. იქვე, № 2, გვ. 34.
28. ბ. ბელინსკი, თხზულებათა კრებული, ტ. 1, 1948, გვ. 548.
29. „ცისკარი“, 1852, № 1, გვ. 29.
30. იქვე, გვ. 47.
31. იქვე, გვ. 30.
32. იქვე, № 2, გვ. 14.
33. Котляревский, Декабристы, 1907, გვ. 247.
34. «Русский Вестник», 1870, № 5, გვ. 259.
35. „ცისკარი“. 1852, № 5, გვ. 33.
36. იქვე, № 2, გვ. 18.



27. იქვე, გვ. 16, 17.
36. იქვე, გვ. 21.
39. იქვე, გვ. 26.
40. იქვე, გვ. 14.
41. «Русский вестник», 1961, № 5, № 6.
42. «ცისკარი», 1852, № 5, გვ. 28.
43. ბ. ბელინსკი, ოხზულემათა კრებული, ტ. 1, 1948, გვ. 543.
44. «ცისკარი», 1852, № 2, გვ. 10.
45. იქვე, გვ. 45
46. В. Г. Белинский, Собрание сочинений, ტ. 1, 1948, გვ. 528.
47. Шарунич, Декабрист Бестужев, 1962, გვ. 49.
48. ბ. ბელინსკი, ოხზულემათა კრებული, ტ. XI, გვ. 152.
49. «ცისკარი», 1852, № 1, გვ. 51—52.
50. მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფონდი 40/41.
51. «ქართული ენციკლოპედიის ისტორია», თბ., 1954, გვ. 326.
52. «ცისკარი», 1852, № 7, გვ. 11.
53. იქვე, № 6, გვ. 44.
54. იქვე, № 7.
55. იქვე, № 4, გვ. 51.
56. იქვე, გვ. 34.
57. იქვე, № 2, გვ. 31.

В. Г. ГАБЕДАВА

## ПЕРЕВОДЫ РАССКАЗОВ А. БЕСТУЖЕВА НА СТРАНИЦАХ ЖУРНАЛА «ЦИСКАРИ»

Резюме

Имя Александра Бестужева прочно утвердилось как в русской литературе, так и в истории. Он принадлежал к числу тех счастливых писателей, которые с первого слова овладевают сердцем и разумом читателей. Нам сегодня кажется преувеличенным то всеобщее восхищение, но для того времени популярность Бестужева была вполне закономерной.

В то время в русской литературе господствовал дух классицизма, процветал и сентиментализм, страницы журналов были наводнены слезами героев, позаимствованных из иностранной литературы. На фоне этой салонной, бесцветной и безыдейной прозы рассказы Бестужева выгодно отличались пафосом борьбы, высокими идеалами и романтическим вдохновением. И на самом деле, он являлся начинателем романтизма в русской литературе.

С переводами Бестужева грузинский читатель впервые познакомился в начале 50-х годов. К тому времени Александр Бестужев уже не пользовался именем модного писателя, в России, наоборот, он был забыт.

Естественно, что его рассказы «Амалат Бек» и «Мола Нур» не могли вызвать в грузинском читателе того большого восторга, который потряс Россию 30-х годов. Эти два рассказа перевел Георгий Эрнстави вместе со своим братом Иваном, а «Ночь на корабле» — Лука Исарлишвили.

Язык переводов довольно неудачен. Во многих предложениях трудно что-либо понять. Стиль крайне неоднороден, часто встречаются корректурные ошибки.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## თეიმურაზ ჭურგოვანიძე

## ფანტასტიკის არსი ჯადოსნურ ზღაპარში

ჯადოსნურ ზღაპარში ფანტასტიკურ გამონაგონად მიჩნეულია ის, რაც რეალური სინამდვილას ყოველდღიურ ჩარჩოებში ვერ ეტევა, თუმცა გამონაგონს შეიძლება ჰქონდეს როგორც კონკრეტულ-ისტორიული საფუძველი, ისე ცხოვრებისეული შინაარსი [1, 2]. საზღაპრო ფანტასტიკის სპეციფიკის დახასიათებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი შინაარსობრივი მხარე. საზღაპრო ფანტასტიკის საფუძველად, უწინარეს ყოვლისა, ხალხის უკეთეს მერმისზე ოცნება უნდა მივიჩნიოთ [3].

ტრადიციულად ჯადოსნურ ზღაპარში ადამიანთა წარმოსახვის მიერ შექმნილი ფანტასტიკური სახეები სინამდვილეს ცხოვრების რეალურ ფორმებში კი არ გამოხატავენ, არამედ გამოგონილს, სინამდვილეში არ არსებულს ეყრდნობიან. ამგვარ ფანტასტიკას მხატვრული ფუნქცია გააჩნია, რომლის მიზანია ობიექტური სინამდვილის გარდაქმნა. ცხოვრების სხვადასხვა მხარის გამოხატვისას (ერთის დაგმობა და მეორის მიღება) ყურადღება გამაჩვილებულია მხატვრული სიმართლის დამაჯერებლად ვახსნის, ამ სიმართლის ადამიანზე ემოციური ზემოქმედების აუცილებლობაზე.

მხატვრული სიმართლის გამოსახატავად ფანტაზიის მოხმობას განაპირობებს რეალურ ცხოვრებაში არსებული სოციალური და ეკონომიური პრობლემების გადაუჭრელობა. იდეალების განუხორციელებლობა, უპერსპექტივობა ოცნებისაკენ უზიძგებდა, შეუზღუდველი ფანტაზიის ასპარეზს უშლიდა შრომელ ადამიანს. სოციალური ჩაგვრის თავიდან მოსაშორებლად ადამიანები ოცნებაში ქმნიდნენ დევგმირ ვაჟკაცთა ისეთ მხატვრულ სახეებს, რომლებიც თავდაუზოგავად ებმებიან მჩაგვრელებთან ბრძოლაში და საკუთარ თავში პოვებენ იმგვარ ენერჯის, რომ დაამარცხონ ისინი, თავისუფლება მოუტანონ ხალხს. რეალურ ყოფაში დამკვიდრებული სიღარიბისაგან თავის დასაღწევად ადამიანები ოცნებობდნენ არაჩვეულებრივ, „უცეცხლო საჭმელებზე“, ფანტასტიკური სიმდიდრის სასახლეებსა და ბედნიერ ცხოვრებაზე.

ამგვარმა ფანტასტიკამ თანდათან შეიძინა მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია. ამ მიდგომით აღიქვამს იგი სინამდვილეს, რომელსაც უსათუოდ „გარდაქმნის“ თავისი მოთხოვნილებების შესაბამისად. ადამიანი ფანტაზიით ქმნის იმის საპირისპიროს, რისი დაგმობაც სურს რეალურ ცხოვრებაში, ოცნებობს და ნაოცნებარს ისეთ ფორმას უძებნის, რომ სასურველი ყოფა შესაძლებლად ესახება. სასურველის შესაძლებლად წარმოდგენა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზღაპარში ფანტასტიკას დაკისრებული აქვს მხატვრული პირობითობის შექმნის ფუნქცია. ჯადოსნურ ზღაპარში მხატვრულ პირობითობაზე მითითებას დასაწყის ფორმულებშივე ვხვდებით. პირობითობის სფეროდანაა სასწაულებრივი გარდაქმნების მთელი სერია, რომელთა გარეშეც ჯადოსნური ზღაპარი დაკარგავდა თავის სპეციფიკას.

ჯადოსნურმა ზღაპარმა აითვისა და თავისებურად გადაამუშავა საზღაპრო ფანტასტიკის საფუძველი— პირველყოფილი მითოლოგიური წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები, დაუქვემდებარა ისინი თავის მიზნებს, შესძინა გარკვეული მხატვრული აზრი, „გაყოველღიურა“ [4].

ჯადოსნური ზღაპრის სამყარო ფანტაზიის ნაყოფია. იგი საოცრად შორს 9. მა. ც. ნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 4



დგას რეალური სამყაროსაგან, აქვს თავისი კანონები, რომლებიც სახელმწიფო ცხოვრებაში შეუცდომლად ტარდება. ამ კანონთა დანიშნულებაა განამტკიცოს ერთი მორალი — ბორბტზე სიკეთის გამარჯვების მორალი. ამის განსახორციელებლად ჯადოსნური ზღაპარი განუწყვეტლივ მიმართავს სასწაულებრივ გარდაქმნებს. ჯადოსნურ ზღაპარში ყველაზე საოცარიც კი შესაძლებლად არის წარმოდგენილი და ყოველივე გმირის დახმარების ფუნქციისაა. რთული დავალების შესრულებისას გმირისთვის (განსაკუთრებით კი სასწაულებრივი დამხმარისათვის) სირთულეს არ წარმოადგენს ერთ ღამეში საოცარი სასახლეების, გზების, ბაღების გაშენება. ზოგჯერ ეს დავალება უფრო გართულებულია ხოლმე და გმირს ისეთი ბალის გაშენებას ავალებენ, რომელშიც რიგი ხეხილისა ყვავილობაშია, რიგი მწიფდება და რიგი უკვე დამწიფებულია. ამ საქმიანობისათვის გმირს შემთხვევით არ აძლევენ ერთ ღამეს. ამგვარ ეპიზოდებში ერთმანეთთან დაპირისპირებული არიან შეუძლებელი და ფანტასტიკური შესაძლებლობა; განხორციელებულია შეუთავსებელთა შეთავსების პრინციპი.

ჯადოსნურ ზღაპარში არაჩვეულებრივი უბრალოებით მიმდინარეობს როგორც პერსონაჟთა, ასევე საგნების მეტამორფოზა. ამ დროს ფანტაზიის შესაძლებლობები შეუზღუდველია და ყოველივე ჯადოსნური ზღაპრის სპეციფიკური ქანრული კანონების შესაბამისად ხდება, რაც, ბუნებრივია, არღვევს ბუნების ჩვეულებრივ კანონებს, უკულმა აყენებს რეალურ ცხოვრებაში მოვლენებზე დამკვიდრებულ ცოდნას.

ჯადოსნურ ზღაპარში ფანტასტიკასთან რეალობის შერწყმას აქვს თავისი გამართლება. ზღაპარში წარმოდგენილი ფანტაზია სინამდვილის გამოძახილია და მისითაა შეპირობებული. ზღაპარში თავის არსებობას ფანტასტიკა ამართლებს ადამიანთა რეალურ ცხოვრებაში შეუსრულებელი მოთხოვნილებებისა და აუხდენელი მისწრაფებების ხორცშესხმისათვის. ეს სწრაფვა, წარმოშობილი რეალური ყოფის წყალობით, მიზნად ისახავს მისი წარმოშობი სინამდვილის გარდაქმნას. საფუძველი ეყრება იდეას, რომლის განხორციელება ფანტასტიკის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.

არა მარტო საზღაპრო იდეის განხორციელებაში თამაშობს ფანტასტიკა წარმმართველ როლს. საერთოდ ჯადოსნური ზღაპარი არ არსებობს ფანტასტიკის გარეშე. იგი არის მისი „პური არსობისა“. განსაკუთრებული სიცხადით ფანტასტიკის როლი შეიგრძნობა გმირთან დაპირისპირებული სამყაროს ხატვისას.

გმირის მოწინააღმდეგეებისა და მათი სამყოფის წარმოსადგენად განკუთვნილ ეპიზოდებს მეზღაპრეები საგანგებო ფუნქციას აკისრებენ: მსმენელმა უნდა ირწმუნოს ამ სამყაროს სიძლიერე და საშინელება, უნდა შეფიქრიანდეს იგი, რათა მტერთან ბრძოლის შემდგომ გმირის გამარჯვებამ მეტი ფასი შეიძინოს, ამაღლდეს გმირი მის თვალში, ხოლო თვით გმირისთვის ეს გამარჯვება სიხარულის მომტანი გახდეს. ამგვარი ეპიზოდების გამართვისას მოქმედები სარგებლობენ ჰიპერბოლით. მკვებელთა გარეგნობის, სიდიდის, მადის, თვისებების, საცხოვრებელი ადგილისა და სხვ. გაზვიადება ნათელს ხდის ფანტასტიკური სამყაროს ბინადრებთან საბრძოლველად მისული გმირის მდგომარეობის სირთულეს. ეს სირთულე მით უფრო იზრდება, რაც უფრო გაზვიადებულია ფანტასტიკურ არსებათა ძალა.

ფანტასტიკის როლსა და დანიშნულებას ზღაპარში თვალნათლივ წარმოაჩენს ჯადოსნური მოქმედებებისა და სივრცის ზღაპრისეული წარმოსახვა.

ჯალოსნურ ზღაპარში დადასტურებული ნებისმიერი ტიპობრივი ჯალოსნური მოქმედების განხორციელება მხოლოდ ფანტასტიკის შემწეობით ხდება შესაძლებელი. საინტერესოა, რომ თვით ეს მოქმედებები ჩვეულებრივ ყოფით ნორმაში ეტევა (მათში არაფერია არაჩვეულებრივი). სამაგიეროდ, ფანტასტიკურია შედეგი ამ მოქმედებებისა.

ჯალოსნური ზღაპრის ფანტასტიკის არსი თავის ნათელ გამოხატულებას პოეზებს ავრთვე პერსონაჟთა სხვად ქცევისას. ვარდა იმისა, რომ აქ მეზღაპრეს საშუალება ეძლევა ფართო გასაქანი მისცეს თავის ფანტაზიას, ქცევა-დობა ზღაპრის კომპოზიციური ფუნქციის მქონეა.

ჯალოსნურ ზღაპარში ფანტასტიკის შექმნის წყაროდ ჩანს სიტყვის მაგიური ძალისადმი რწმენაც. ასეთ შემთხვევებში მაგიური სიტყვა ყოვლისშემძლეა. მაგიური სიტყვის შემწეობით შესრულებული ესა თუ ის ჯალოსნური მოქმედება ძალზე ამაღლებს ფანტასტიკურის შეგრძნებას, ხაზს უსვამს ჯალოსნური ზღაპრის სამყაროს არაჩვეულებრიობას.

სივრცე ჯალოსნურ ზღაპარში წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელიც განმსაზღვრელ როლს ასრულებს არა მარტო საზღაპრო სიუჟეტის ჩამოყალიბების საქმეში, არამედ მისი, როგორც პოეტური ქმნილების, შინაარსის, მისი აზრის გაგებაშიც. სივრცის ხატვისას დიდი გაჭანება ეძლევა მოქმედლის ფანტაზიას, თუმცა კი იგი დაფუძნებულია გარკვეულ ტრადიციულ წარმოდგენებზე, რომელთა დაცვა სავალდებულოა. ჯალოსნურ ზღაპარში სივრცეთა მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე. მთავარი გმირის მოქმედების სივრცე აუცილებლად გულისხმობს ადამიანთა სამყოფს (შესაბამისად — სიკეთეს, სინათლეს), ხოლო მავნებლის სივრცე წარმოდგენილია შავ-ბნელი ძალების ბუდედ, სადაც მეფობს სიბოროტე და სიბნელე.

მხატვრულ ფანტასტიკაზე დაფუძნებული მოთხრობა, რომელშიც ფანტასტიკურისა და რეალურის თანაარსებობა და შერწყმა უმტიკინეულოდ მოხერხდა, თავიდანვე აყენებდა უტყუარობის ილუზიის აუცილებლობას, რასაც ხელი უნდა შეეწყო ზღაპრის დამკვიდრებისათვის. უტყუარობის ილუზიას ხელს უწყობს ისიც, რომ „ფანტასტიკური ზღაპარი არაჩვეულებრივს გვაუწყებს, მაგრამ იმას, რაც წარმოსადგენია“ [5].

ფანტასტიკა, ისევე როგორც შეგნებული მხატვრული გამონაგონი, ზღაპარში მოქმედებისა და იდეათა განვითარების განუსაზღვრელ შესაძლებლობას იძლევა. ამით არის გამართლებული მისი მხატვრული ფუნქცია.

1. В. Я. Пропп, журн. «Русская литература», 1963, № 3.

2. Э. В. Померанцева, Русская народная сказка, М., 1963.

3. В. Г. Белинский, Полное собрание сочинений, т. II, М., 1953.

4. Е. М. Мелетинский, Теория литературы, т. II, М., 1964.

5. А. И. Никифоров, Вступительная статья, в кн. Русские народные сказки, составила О. И. Капина, М.-Л., 1930.

Т. Д. КУРДОВანიძე

## СУЩНОСТЬ ФАНТАСТИКИ В ВОЛШЕБНОЙ СКАЗКЕ

Резюме

Волшебная сказка основана на фантастике, сознательном художественном вымысле. Использование фантастики реализуется идея сказки, уничтожается зло, осуществляются мечты народа.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ჯიბლაძემ

მანანა მანსუბაძე

 ქართულ-სირიულ ლიტერატურული ურთიერთობის  
 ისტორიიდან

(„წამებაჲ წმიდისა დროსისი“ — ქართული ვერსია)

წმინდა დროსი მსოფლიო ეკლესიის წმინდანთა რიცხვს განეკუთვნება. იგი მეტად პოპულარული წმინდანია, რაზეც მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ წმინდანი ქალის შესახებ მასალები ჩვენ გვხვდება სხვადასხვა ქარის ნაწარმოებებში, როგორცაა: ჰაგიოგრაფია, პოპილეტიკა, ჰიმნოგრაფია. წმინდა დროსი მოიხსენიება იოანე მოციქულის აპოკრიფულ აქტებში<sup>1</sup>. მისი ხსენების დღეს აღნიშნავს როგორც ორთოდოქსალური, ასევე კათოლიკური ეკლესიები. მართლმადიდებლები წმინდანის ხსენებას დღესასწაულობენ: 22 მარტს<sup>2</sup>, 28 ივლისს, 22 სექტემბერს<sup>3</sup>, 6 ნოემბერს და 20 მარტს<sup>4</sup>; კათოლიკეები—22 მარტსა და 22 სექტემბერს<sup>5</sup>. ქრისტიანული ეკლესიის ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეს, როგორცაა იოანე ოქროპირი, დაუწერია ჰომილია, რომელიც წმინდა დროსისადმი არის მიძღვნილი<sup>6</sup>, ხოლო სევეროს ანტიოქელს — ჰიმნები და ჰომილიები, რომლებიც სირიულ ენაზე უთარგმნია იაკობ ედესელს<sup>7</sup>.

ქართულსა და სირიულ ლიტერატურაში დაცულია წმინდანის შესახებ ჰაგიოგრაფიული თხზულებები. აღსანიშნავია, რომ ეს ჰაგიოგრაფიული ძეგლი მარტო ამ ენებზეა შემონახული და რომელიმე სხვა ქრისტიანი ერის მწერ-

<sup>1</sup> Quasten, *Patrology, Uthrecht-Brussels*, I, 1950, გვ. 135—137. B. Pick, *Apo-cryphal acts of Paul, Peter, John, Andrew and Thomas*, Chicago, 1909, გვ. 159—175.

მართალია, აქ წმინდანის სახელია დ რ უ ს ი ა ნ ა და იგი სიუეტურადაც განსხვავდება ჰაგიოგრაფიული თხზულებისაგან, მაგრამ, როგორც ჩანს, დ რ ო ს ი და დ რ უ ს ი ა ნ ა ერთი და იგივე წმინდანია, რადგან სახელის ეს ფორმა დ რ ო ს ი ს პარალელურად დასტურდება წმინდანის „წამების“ სირიულ ვერსიაში. აქაც, ისევე როგორც ჰაგიოგრაფიულ ძეგლში, მოქმედება ტრაიანეს მეფობის დროს ხდება; დ რ უ ს ი ა ნ ა ს ქმარია ასისთავი ანდრონიკოსი, „წამებაში“ წმინდა დროსის საჭმრთა მეფესთან დაახლოებული პირი — ანდრიანე. ჩანს, დრუსიანას ისტორია, რომელიც ამ აქტებში გვაქვს, პოპულარული ყოფილა; პიკი შენიშნავს, რომ ეს ისტორია, რომელიც 150—180 წლებში შექმნილ იოანე მოციქულის აპოკრიფული აქტების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, თავისი ყველაზე საუკეთესო ნაწარმოების თვალსაზრისით გამოუყენებია მე-10 საუკუნის ერთ მონაზონს, ვინმე როსულიტა ვანდერშემელს. (B. Pick, *დსახ. ნაშრომი*, გვ. 161). საკარადლოა, წმინდა დ რ ო ს ი ს სირიული „წამების“ ავტორმა ისარგებლა ამ პოპულარული ისტორიით, ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გადმოიტანა პეტროსნაგოა სახელები, ხოლო ნაწარმოების სიუეტეტი კი შეცვალა. ვასიკანი მისცა რა თავის ფანტაზიას, ამ ვარაუდს გამოთქმის საშუალებას გვაძლევს სწორედ წმინდანის სახელი დ რ უ ს ი ა ნ ა, რომელიც მხოლოდ სირიულ ტექსტში დასტურდება.

<sup>2</sup> *Synaxaria Constantinopolitanum, Bruxelles*, 1905, გვ. 553—556. *Пролог*, 1897, м-ц марг, кѣ день, иѣ-нѣ. Жития святых на русском языке, 1906, книга сельмая, гв. 429—432.

<sup>3</sup> *Synax. Const.*, გვ. 853<sup>60</sup>, 70<sup>21</sup>.

<sup>4</sup> G. Garrille, *Le calendrien Palestino-Georgien du sinaiticus 34 (Xe siecle)*, Bruxelles, 1958, გვ. 373, 180.

<sup>5</sup> *Acta Sanctorum*, ტ. III, გვ. 370; τ. VI, გვ. 300—301.

<sup>6</sup> P. G. გვ. 50, გვ. 683—694; Montfaucon. *Ioan. Chrys.*, ტ. II, გვ. 688—703; Творения святаго отца нашего Иоанна Златоуста, архиепископа Константинопольского, в русском переводе, ტ. II, 1896, გვ. 730—741. ნაწყვეტი ამ ჰომილიდან გამოქვეყნებულია აგრეთვე, Ruitart, Th., *Acta primorum martyrum Sincera and Selecta*, 1713-ში, გვ. 536—539.

<sup>7</sup> P. S., 22, 1930, გვ. 231—248; P. O., 1948, გვ. 290—350; P. O., 7, 1911, გვ. 621—623.



ლობაში მისი არსებობის კვლიც კი არ ჩანს. მხოლოდ ბერძნულად გვყავს წმინდანის სვინაქსარული „ცხოვრება“, რომელიც კონსტანტინოპოლის სვინაქსარშია დაცული. მიუხედავად ჩვენი ცდისა, წმინდა დროსის სხვა „ცხოვრება“ ბერძნულ ენაზე არ დაიძებნა. ბერძნული ჰაგიოგრაფიის ისეთი ცნობილი მკვლევარიც კი, როგორცაა პალკინი, თავის უნივერსალურ გამოკვლევაში უთითებს მხოლოდ იოანე ოქროპირის ზემოხსენებულ ჰომილიას<sup>8</sup>.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართულ-სირიული ტექსტების შედარების საფუძველზე მათი ურთიერთმიმართების დადგენა.

ქართულმა ეს ჰაგიოგრაფიული თხზულება სამ ხელნაწერში შემოგვინახა: იერ. 2—XII ს-ის<sup>9</sup>, A382—XV ს-ის<sup>10</sup> და A381 XIX ს-ისა<sup>11</sup>. ქართული ტექსტი გამოცემული არ არის. აღსანიშნავია, რომ A382-ში წმინდანის სხენების დღედ 25 ნოემბერია მიჩნეული, ხოლო A381-ში შეცვლილია წმინდა დროსის სახელი. აქ იგი ანუსიად იწოდება, სხენების დღედ აღნიშნულია 30 დეკემბერი. სამივე ეს ხელნაწერი ერთი რედაქციისაა. სხვაობას მათ შორის მხოლოდ ზემოხსენებულ სახელთა არაერთგვარობა იწვევს. ეს, ერთი შეხედვით, შეუსაბამოა ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 30 დეკემბერი, მართლაც, წმინდა ანუსიას სხენების დღეა. ამაზე უთითებს გიორგი მთაწმიდლის დიდი სვინაქსარი, ხელნაწერები: A97 და A59 (სვინაქსარი და სადღესასწაულო)<sup>12</sup>. ეს ანუსია, რომელიც „იყო წელსა ხუთითათს შუდას ოთხმეოცდა ათვრამეტსა, მეფობასა მაქსიმიანესსა, ქალაქისაგან თესალონიკისა, რომლისა მშობელი იყვნეს ღმრთისმსახურნი...“<sup>13</sup>, რასაკვირველია, არ არის წმინდა დროსი, რომელიც იყო ანტიოქელი მოწამე, ტრაიანე მეფის ასული. როგორც ჩანს, ამ ხელნაწერის ერთ-ერთ ვადამწერს — ბეჟან არაგვის ერისთავის ასულ ანას, რომელსაც ეს თხზულება გადაუწერია<sup>14</sup>, მექანიკური შეცდომა დაუწვია, ანუსიას ნაცვლად „დროსის წამების“ ვადამწერა დაუწვია, მაგრამ, რადგან წმინდა ანუსიას სხენების დღე მას ადრე ჰქონდა გამოტანილი, წმინდანის სახელი აღარ შეუცვლია და ყველგან დროსის ნაცვლად ანუსია შეუტანია.

რაც შეეხება თხზულების სირიულ ვერსიას, იგი დაცულია VIII ს-ის სინურ პალიმფესტში<sup>15</sup>, რომლის ქვედა შრეს წარმოადგენს მე-4 საუკუნის ცნობილი სირიული სახარება. „წმინდა დროსის წამებასთან“ ერთად აქ დაცულია

<sup>8</sup> Halkin, Bibliotheca H'ogographica graeca, I, Bruxelles, 1957, გვ. 172. აქ წმინდანის სხენების დღე 15 დეკემბერია.

<sup>9</sup> რ. ბლეიკი ამ ხელნაწერს XI ს-ის ბოლოთი ათარიღებს: R. P. B i a k e, Catalogue des manuscrits georgiens de la bibliotheque patriarcale greque a Jerusalem, Paris, 1913, გვ. 13. ნ. მარი და ი. აბულძე კი მას XII საუკუნისად მიიჩნევენ. Н. М а р р, Георгий Мерчул, Жизнь св. Григория Хандзигского, 1911, გვ. VII. ი. ა ბ ლ ა ძ ე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, 1964, გვ. 5. ეს, უკანასკნელი თარიღი უფრო დამაჯერებელი ჩანს.

<sup>10</sup> თ. ჟორდანი ჩვენს ტექსტს, მოთავსებულს A 511 ხელნაწერში, მე-17 საუკუნის მიაკითხვნებს. Т. Ж о р д а н и а, Описание рукописей Тифлиского церковного Музея Карпантино-Кахетинского Духовенства, кн. II, 1902, გვ. 62. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 1961 წლის 18 მარტის № 2 აქტის მიხედვით, A კოლექციის 511 ხელნაწერი შეუერთდა A 382-ს, როგორც მისი ნაწილი, A 382 კი — XV ს-ისაა.

<sup>11</sup> Т. Ж о р д а н и а, Описание рукописей и старопечатных книг Церковного Музея Грузинской епархии, 1903, გვ. 367.

<sup>12</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი სავცესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I, თბილისი, 1973, გვ. 407, 177.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 177.

<sup>14</sup> Т. Ж о р д а н и а, დასახ. ნაშრომი.

<sup>15</sup> Studia Sinaitica, № 9, გვ. 93—101.



სხვა წმინდა დედათა ცხოვრებანი. როგორც სირიული ტექსტის გამოცემულ ა. სმიტ-ლუისი შენიშნავს, ამ წმინდა დედათა ამბებს იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ მე-8 საუკუნეში, რომ მათ გადაწერეს, იოანე სტილიტს — ბერს ბეთ მარი-კალიშიდან — მათთვის არ დანანებია ეს ცნობილი სახარება, რომელსაც თანამედროვე მკვლევრები მეტად მაღალ შეფასებას აძლევენ<sup>16</sup>.

ქართულ-სირიულ ტექსტთა ურთიერთმიმართებისას ჩვენ გამოვიყენეთ ამ თხზულების შემცველი ყველა ქართული ნუსხა. ძირითად ტექსტად მივიჩნიეთ იერ. 2, როგორც ყველაზე ადრეული.

თხზულების ქართული და სირიული ვერსიები დიდ მსგავსებას იჩენენ არქიტექტონიკის მხრივ. მათ ახასიათებთ როგორც ეპიზოდთა და პასაჟთა ერთგვარობა, ასევე მათი ზუსტი თანმიმდევრობა. ბერძნულთან მიმართებისას ვეყრდნობით ნაწარმოების მოკლე რედაქციას, რომელიც, როგორც შედარებამ გვიჩვენა, ამ მხრივ განსხვავდება ქართულ-სირიული ტექსტისგან. ჩვენ არ ვიცით, რა წარმომავლობისაა იგი. შესაძლებელია, ბერძნული სვინაქსარული „ცხოვრება“ შეიქმნა დამოუკიდებელი მოკლე თხზულების სახით, ისე, რომ ვრცელი „ცხოვრებიდან“ შემოკლების საფეხური არ გაუვლია. მსგავსი მაგალითები საკმაოდ დასტურდება ქართულ ჰაგიოგრაფიაში<sup>17</sup> და ამიტომ ანალოგიური შემთხვევის დაშვება ბერძნულში გამორიცხული არ არის. მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვივარაუდებთ ბერძნული ვრცელი რედაქციის არსებობას, ამით საქმის ვითარება არ შეიცვლება, რადგან ბერძნულ სვინაქსარულ „ცხოვრებაში“, რომელიც რაღაც მინიშნებას მაინც უნდა იძლეოდეს ვრცელ „ცხოვრებაზე“, დასტურდება ქართულ-სირიულისაგან განსხვავებული ფაქტობრივი მასალა, რაც ხაზს უსვამს ქართული თხზულების სიახლოვეს არა ბერძნულ, არამედ სწორედ სირიულ წყაროსთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თხრობათა აღწერისას ქართული სირიულთან შედარებით მეტად ხატოვანია, სტილისტურად უფრო დახვეწილი; ცალკეული ეპიზოდების აღწერისას ენა უფრო გამართული და მოქნილია. როგორც თარგმანიდან ჩანს, ამ ტექსტის მთარგმნელი მეტად მაღალკვალიფიციური დონისა უნდა ყოფილიყო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. „თავისუფალ თარგმანთან“. როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, „ჩვენში თავიდანვე განმტკიცებული ყოფილა ტრადიცია „თავისუფალი თარგმნისა“... მთარგმნელობის პროცესში ქართველები მონურად არ მისდევდნენ სათარგმნელ ნიმუშებს. იშვიათად შეხვდებით ჩვენს ძველ მწერლობაში ისეთ გადათარგმნელ ძეგლებს, რომელიც სიტყვასიტყვით, უცვლელად იყოს გადმოღებული. მთარგმნელები თავისებურად, ქართულად ამოკლებენ და ავრცობენ მათ; ასე რომ, ეს სათარგმნო ძეგლები ხშირად ორიგინალური შემოქმედების მიჯნამდე მიდის. მაგრამ ეს „თავისუფლება“, ეს „შემატება-მოკლება“ არ მიდიოდა იქამდე, რომ დედანი დამახინჯებულიყო, მთავარი, არსებითი მხარე დედნისა, როგორც იდეური, ისე მხატვრული, თარგმანში შემოდიოდა“<sup>18</sup>. სწორედ ამ სახის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, ჩვენი აზრით, ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამება წმიდისა დროსისა“.

ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

<sup>16</sup> იქვე, გვ. VI.

<sup>17</sup> ე. გაბიძაშვილი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. IV, თბილისი, 1968, გვ. 321.

<sup>18</sup> კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტუდები, I, 1956, გვ. 185—186.

სირიული<sup>19</sup> (გვ. 93): „ამ ტრაიანეს ჰქონდა დიდი წადილი და შეუპოვრად ისწრაფევოდა, რათა აეშენებინა სახალხო აბანო სირიის ქალაქ ანტიოქიაში, ხოლო განსაკუთრებით ეს იმიტომ, რომ ისინი იყვნენ ძენი ურჯულონი და ასევე სახელად უწოდა მას [აბანოს] ტრაიანე“.

ქართული: „და აქუნდა წადიერებაჲ, რამთა ქალაქსა ანტიოქიასა აღუშენოს აბანოჲ დიდი საეროჲ და უფროჲ სიდ ზოლო თანამეინაჲკეთა მისთა და თანაზიართა მისისა მის უღმრთოებისა კელ-ყო საქმჲ ესე ყოფად, რამთა აღასრულოს და სახელ-სდვა აბანოსა მას თუსსა სახელსა ზედა ტრაიანესი“.

როგორც ვხედავთ, ქართველმა მთარგმნელმა აქ აზრი უფრო დახვეწა და მკითხველისათვის უფრო გასაგები გახადა. ბერძნულში ეს ეპიზოდი საერთოდ არ დასტურდება. სხვათა შორის, აქვე ვვინდა შევნიშნოთ, რომ სირიული ტექსტის გამომცემელს ა. სმიტ-ლუისს არასწორად გაუგია ამ წინადადების ბოლო ნაწილი:

სით თიამს ქსჲ [თამი] თჲჲ და, „და სახელი მისი და

[ბუნება მისი] ტირანი იყო“. [ ] აქლუისისა. შდრ. ჩვენი თარგმანი: „და ასევე სახელად უწოდა მას ტრაიანე“. შეცდომა, ამ შემთხვევაში გამოწვეულია იმიტომ, რომ ლუისმა თჲჲ სიტყვაში ჯჲ გაიგო როგორც არსებითი სახელი (ს ა ხ ე ლ ი), რომელსაც დაერთვის მესამე პირის, მხოლოდითი რიცხვის მამრობითი სქესის ნაცვალსახელოვანი სუფიქსი თ ამასთანავე ქსჲ სიტყვა მასთან ტ ი რ ა ნ ი ს მნიშვნელობით არის ნახმარი. ამ წინადადების ასეთი გაგებითაა გამოწვეული სიტყვა სჲ (ბუნება) ჩამატება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თჲჲ ძირი აქ არსებითი სახელი კი არ არის, არამედ ზმნაა, რომელიც ნიშნავს: უწოდა, ხოლო ქსჲ სიტყვას ასეთი დაწერილობით არსად არა აქვს „ტირანის“ მნიშვნელობა. სიტყვა „ტირანი“ სირიულში ასე იწერება: თჲჲ ქსჲ კი ტრაიანეა და სხვა არაფერი, თუმცა მისი საღეჭიკონო ფორმა ალიფის გარეშეა წარმოდგენილი. როგორც ჩანს, აქ თავი იჩინა ზეპირმეტყველებაში დამკვიდრებულმა ფორმამ, სადაც ტ-ს შემდეგი ბგერა გრძელი ე, ან გრძელი ა იყო. ამან კი, თავის მხრივ, ასახვა პოვა სიტყვის დაწერილობაში. როგორც ცნობილია, ალიფს ზშირად სწორედ გრძელ ე და ა ხმოვანთა აღსანიშნავად იყენებენ. ქართულ-სირიულ ტექსტების ურთიერთშედარებამ საშუალება მოგვცა გამოგვევლინა გამომცემლის ეს უზუსტობანი. ამის საშუალება ა. სმიტ-ლუისს არ ჰქონდა.

ქართულსა და სირიულში ერთი თხრობა ასეა გადმოცემული: სირიული. (გვ. 93—94): „ხოლო იყო ზუთი ქალწული მონაზონი. სამი მათგანი ქალწული და იყო და დედა მათი ასევე. ჰყავდათ მათ სულიერი და, რომელსაც სოფო ერქვა. ესენი ცხოვრობდნენ მონასტერში. წამოვიდნენ ისინი ლამით და მოიპარეს ძელები წმინდანებისა, რომლებიც მოკლულ იქნენ ურჯულო ტრაიანეს მიერ და დაფლეს თავიანთი მონასტრის ფარულ ადგილას, უსევამდნენ რა მათი სხეულის ნაწილებს ნელსაცხებელს“.

ქართული: „ხოლო იყვნეს ადგილთა მათ მახლობელად ზუთნი დედანი მოწესენი მონასტერსა ერთსა შინა. სამნი დანი იყვნეს ქალწულნი და დედაჲ

<sup>19</sup> ტექსტიკური მიხედვების გამო სირიულ ტექსტს ვერ წარმოვადგენთ. მოგვყავს მხოლოდ ქართული თარგმანი. სირიული ტექსტი იხ: A. Smith-Lewis, *Studia Sinaitica*, № 9, გვ. 93—101.





მათი და ერთი ვინმე სხუამ მოყუასი მათი, დაა სულეირი, სახელით სოფლია და ესენი შეთქმულ იყვნეს და მოვიდოდენ ყოველთა ღამეთა და მოიპარვიდეს წმიდათა მათ გუამთა, რომელნი-იგი ტრაიანეს მიერ მოიკლვოდეს. რამეთუ შემტრნიან ივინი სულნელითა ნელსაცხებლითა და დაპკრძალნიან მონასტერსა მას შინა“.

ბერძნული თხრობა განსხვავდება მათგან; ბერძნული<sup>20</sup> (გვ. 553—554): „ზოგიერთ ასკეტერიონში იყვნენ ისეთი ქალებიც, რომლებიც დროულად იცავდნენ ღმერთის ცნებებს და ჰქონდათ სხვა საქმეებთან ერთად ადგილობრივი კანონებით დაწესებული აუცილებელი საქმე: წმინდანთა ნაშთებისათვის მირონის ცხება, ტილოში გახვევა, ასკეტერიონებში გადმოსვენება“.

ქართულ-სირიული ტექსტის მიხედვით, დროსის საქმრო—ანდრიავე მეფეს ქალაქის დაცვას ურჩევს; ამ ადგილს შემდეგი თხრობა მოსდევს:

სირიული (გვ. 95): „და მოიწონა ეს რჩევა ტრაიანემ და უბრძანა თავის მეომრებს, ეუბნებოდა რა: „გაიღვიძეთ და შეიპყარით ესენი, ვინც მოიპარეს ამ ქრისტიანთა ზიანის მომტანი და უწმინდური ძვლები. ამგვარად, გაევიგებ, რა იმედით და მოლოდინით გააკეთეს მათ ეს“.

ქართული: „სთნდა სიტყუაჲ მისი ტრაიანეს და ბრძანა მკედართა განწესებაჲ მცველად და ჰქუა მათ: „იღვიძებდით მოსწრაფედ და შეიპყრებით მპარავნი იგი არაწმიდათა მათ გუამთანი, რაჲ თა ცუნათ, თუ ვინ არიან. ანუ ვისითა სასოვნითა მკადრე-იქმნეს საქმესა ამას“.

ბერძნულშიც ანდრიავე სთხოვს მეფეს ქალაქის დაცვას, მაგრამ ამაზე ტრაიანე პასუხობს: „Ἐπιτάχειον ἄνευ ἡρώων“ — „ბრძანე, რათა დაიწყონ“.

სირიულ-ქართულში ერთი ასეთი თხრობა დასტურდება:

სირიული (გვ. 98—99): „როცა გამოიღვიძა ურჯულომი, განრიხსდა ფრიად ამაზე, რადგან სიკვდილის შემდეგაც შეურაცხყოფდნენ ისინი მის რწმენას და მის რჩევებს, ეს ღვთის მხვეალნი. შემდეგ ბრძანა, რომ ყოფილიყო ორი თორნე და დაიწვებოდნენ ყოველ დღე. როცა იგი ადრე ადგა და გამოიღვიძა, გამოსცა ბრძანება, რომელიც ამ სახისა იყო: „კაცნო გალილეველნო, ისინი, ვინც თაყვანს სცემენ მას, რომელიც ჭვარცმულ იქნა, გაათავისუფლეთ თქვენი თავი ტანჯვათაგან და მეც გასაპირისაგან. ყოველმა თქვენგანმა ჩაივალს თავი თვისი ამ თორნეებში. რამდენადაც მე დაგამცირობთ თქვენ, ღმერთი თქვენი გზრდით თქვენ“.

ქართული: „და ვითარცა განიღვიძა უკეთურმან მან, უმეტესად აღივსო იგი გულისწყრომით, რამეთუ შემდგომად სიკვდილისაცა წმიდათა მათ დედათა სირცხვილულ-ყვეს განზრახვამ მისი და ჰკონებდა. სრულიად უჩინო ყოფად ქრისტეანეთა. მაშინ ბრძანა შექმნად ორნი თორნენი სპილენძისანი და განჭურვებად ძლიერად და განსცა ბრძანებაჲ, რომელსა ზედა წერილი იყო ესრეთ: კაცნო გალილეველნო, რომელნი ჭუარცმულსა ჰმსახურებთ და თაყუანისსცემთ, იკსენით თავნი თქუენნი ფრიადთა სატანჯველთაგან და ჭირისა, რომელი ჩემ მიერ მოწვენად არს ხვალეე თქუენ ზედა და თითოეულმან თქუენთაგანმან შთაიგდენ თავი თვისი ამას მწუხრსა თორნეთა ამათ და განერენით მრავალფერთა სხუათა სატანჯველთა უწყალთაგან. რამეთუ ფრიად განმწარებულ ვარ თქუენ ზედა და რაჲ ზომცა მე გადამცირობთ თქუენ და დაგლევ. უფროსად ღმერთი თქუენი განგამარავლებს თქუენ“.

<sup>20</sup> ტექნიკური მიზეზების გამო ბერძნულ ტექსტს ვერ წარმოვადგენთ. მოგვყავს მხოლოდ თარგმანი. ბერძნული ტექსტი იხ. Synaxaria Constantinopolitana, Bruxelles, 1905, გვ. 553—556.

ბერძნულში კი ეს თხრობა საგრძნობლად განსხვავდება ქართულ-სირიულ-ლისაგან. ბერძნული (გვ. 553—554): „გამოიღვიძა რა, განცვიფრდა ის საძულველი, რომ სიკვდილის შემდეგ წმინდა ქალები არცხვენდნენ მის კანონებს და ბრძანა ქალაქის სხვადასხვა მხარეს ორი ღუმლის ანთება და ყოველდღე გაჩაღება, ღუმლისთვის წარწერის მომზადება, მეფის ბრძანების ადგილზე მიტანა და ამგვარი წარწერის ვაკეთება: „გალივევლნო, ჯვარცმულზე მლოცველნო, თქვენით გაეშურეთ სატანჯველად, ხოლო ჩვენ დაგვიხსენით უსიამოვნებისაგან. თითოეული თქვენგანი თავისით გადაეშვას ლუმელში და სიამოვნება მიიღოს“.

ამ რიგის მავალითები სხვაც მრავლადაა, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთ ჩამოთვლილიც ავლენს ქართულ-სირიულ ტექსტთა შორის არსებულ სიახლოვეს და მხარს უჭერს ჩვენს მოსაზრებას, რომ ქართული თხზულება სიახლოვეს იჩენს სირიულ და არა მის ბერძნულ წყაროსთან.

ამ პავიოგრაფიული ძეგლის ქართულსა და სირიულ ვერსიათა შორის დიდი შინაარსობრივი მსგავსების მიუხედავად სხვაობაც შეინიშნება, რომელიც, უნდა ითქვას, მათ სიახლოვეს რაიმე დაბრკოლებას არ უჭმნის. ეს ეხება თხზულების ბოლო ნაწილს. ქართულისა და სირიულისაგან განსხვავებული დასასრული აქვს აგრეთვე ბერძნულ ვერსიასაც, მაგრამ, თუ ქართული ტექსტის დაცილებას სირიულთან ლოგიკური ახსნა შეიძლება დაეძებნოს, ამას ბერძნულის შესახებ ვერ ვიტყვი. ბერძნული ამ შემთხვევაშიც ქართულ-სირიული-საგან განცალკევებით დგას.

შევეცდებით, დავასაბუთოთ ჩვენი მოსაზრება. სირიული ვერსიის მიხედვით, წმინდა დროსიმ მას შემდეგ, რაც დატოვა სამეფო კარი, რომ მონათლულიყო და შემდეგ მოწამებობრივი სიკვდილით ღმერთს მიახლოვებოდა, „სწრაფად აიღო მირონი, წაისვა მთელ სხეულზე და ჩაეარდა წყლის აუზში ამით მას წამების გვირგვინი დაედგა. მაგრამ მონათვის შემდეგ მან კიდევ შეიღდღეს იცოცხლა, როცა მიიღო მისი ხორცი და სისხლი უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ ანგელოზთა ხელთაგან, მერვე დღეს წამების გვირგვინი დაედგა მას ღუმელში დაწვით იმ მორწმუნეებთან ერთად და ჩააბარა სული თვისი ღიღებას მამა ღმრთისას და უფლისა ჩვენისას იესო ქრისტესას“ (გვ. 100—101).

როგორც ვხედავთ, ამ ეპიზოდში აზრი გაუმართავი და არალოგიკურია. თუკი წმინდა დროსი წყლის აუზში ჩაეარდა და ამით მან წამების გვირგვინი დაიდგა, მაშინ რაღა საჭირო იყო მისთვის ახლა ღუმელში დაწვა და ამით წამებულის სახელის მოპოვება? იგი ხომ ერთხელ უკვე ეწამა? ქართველ მთარგმნელს ეს აზრობრივი შეუსაბამობა შეუნიშნავს და ნაწარმოების ბოლო ეპიზოდი შესანიშნავად ჩამოუყალიბებია, აზრი გასაგები და ლოგიკური გაუხსნია.

ქართული: „გამოიღო ნელსაცხებელი იგი წმიდაა, რომელი ჰქონდა თანა და შეაცხო ყოველსა გლუმსა მისსა და შთადგა თორნესა მას შინა. რომელსა სხუათა მათ წმიდათა შთაეყარნეს თავნი მათნი. და მადლმან ღმრთისამან დაიცვა იგი ცეცხლისა მისგან უვნებლად შეიღდღეს, რამეთუ ყოველთა დღეთა მოვიდოდა ანგელოზი ღმრთისა და აზიარებდა მას უკრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა, ვითარცა არს წესი ნათლის ღებულთაჲ, რამეთუ შეურაცხა მას ცეცხლი იგი წყლად ნათლის-ღებისა, ხოლო თორნე — ემზადა... დღესა მერვესა მოვიდა ანგელოზი ზეცით... [და დროსიმ] მისცა სული თვისი უფალსა და წარვიდა ჰირთაგან ამის სოფლისათა სუფევასა ზეცისასა სადიდებლად მამისა და ძმისა და სულისა წმიდისა“.



ბერძნული (გვ. 555—556): „იცხო მირონი თავისი საძინებლიდან დაეარდა წყლის ორმოში, მოინათლა და თქვა: „მოინათლა მონა ღვთისა დროსიდა სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულითა“. შეიდი ღღის განმავლობაში მიიღო მან ანგელოზებრივი საკვები. ეს ამბავი დროსიდასაგან გაიგეს, როგორც მან თვითონ აღწერა, იმ ქრისტეს მოყვარულებმა, რომლებმაც აღმოაჩინეს და გადაარჩინეს იგი. მერვე დღეს ვევედრებოდა ღმერთს ლოცვით, ესწავლებინა, რა გაეკეთებინა, რომ უფალს მიახლოებოდა“.

როგორც ვხედავთ, ბერძნული ფაქტობრივად განსხვავდება როგორც ქართული, ასევე სირიული ვერსიისაგან და, თუ ქართულსა და სირიულს შორის შესაძლებელია მათი შემაკავშირებელი ლოგიკური ხაზის გავლება, ამის საშუალებას ბერძნული არ გვაძლევს.

ქართულ ტექსტზე სირიულის უშუალო გავლენის საილუსტრაციოდ წარმოვაჩინეთ სირიუმებს, რომლებიც თავს იჩენენ თხზულების ქართულ ვერსიაში. პირველ რიგში ჩვენ შევეუდარეთ საკუთარი და გეოგრაფიული სახელები, რომელთაც გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ტექსტოლოგიურ მიმართებათა კვლევისას.

ქართულ-სირიულ თხრობათა მიხედვით დასტურდება საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა ერთნაირი ფორმები: დროსი — დროსი, ტრაიონი — ტრაიონი, ანდრიანე — ანდრიანე, სოფია — სოფია

ანტიოქია — ანტიოქია, ორნატი — ორნატი, გალილეადან ნაფაროები — გალილეადან ნაფაროები

ბერძნული ტექსტისთვისაც საერთოა სახელთა ეს ფორმები: Δροσις, Τραϊον, Ανδριανος, Αμφιαριος, Γαλιλαϊαι, მაგრამ ქართულ-სირიულისგან განსხვავებით მასში საერთოდ არ დასტურდება სოფია, ანტიოქია, ორნატი, ამავე დროს ქართულ-ბერძნულ ვერსიაში ვერ ვხვდებით გეოგრაფიულ სახელს — სირიას. სირიულ ტექსტში ეს სახელი მხოლოდ ანტიოქიასთან მიმართებაში გვხვდება. შესაძლებელია, სირიულში მოცემულ ადგილას ქვეყნის აღმნიშვნელი სახელის ხმარება ხაზს უსვამდეს იმ გარემოებას, რომ მოქმედება სირიაში ხდება, რაც პატრიოტული გრძნობებით აღსავსე სირიელი ავტორისა, თუ გადაწყვერის ნაშრომის ავტორის უნდა იყოს. ქართველ მთარგმნელს კი გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ასეთი დაზუსტება, როგორც ჩანს, ზედმეტად მიუჩნევია და ამიტომაც იგი ტექსტში არ შეუტანია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თხზულების ქართულ ვერსიაში მთარგმნელი იძლევა წმინდანის სახელის — დროსის განმარტებას: „რომელ არს თარგმანებით ცუარი“. სიტყვა მრძის ბერძნულ ენაზე მართლაც აქვს ცვრის მნიშვნელობა, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველი მთარგმნელის შენიშვნა, რომელიც სიტყვის მნიშვნელობას ეხება, ბერძნულთან სიახლოვის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ მთარგმნელის მიერ თავისი განსწავლულობის გამოვლენის სურვილია მხოლოდ. ძველი მწიგნობრების აზრით, ბერძნული ენის ცოდნა მათ სწავლულობას გამოხატავდა. როგორც დ. ლიხაჩოვი აღნიშნავს, ორიგინალურ ტექსტებშიც კი ავტორები ხშირ შემთხვევაში ხმარობდნენ ბერძინზემებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ ამით თავიანთი განსწავლულობა ეჩვენებინათ<sup>21</sup>. ამიტომ ვასაგებია, რომ

<sup>21</sup> Д. Лихачев, Текстология, 1962, გვ. 398—399.

ქართველმა მთარგმნელმა, რომელმაც, სავარაუდოა, იცოდა ბერძნული ენაც, თავის მხრივ ტექსტში შეიტანა ბერძნული წარმომავლობის მქონე საკუთარი სახელის განმარტება და ამით მკითხველისათვის გასაგები გახადა იგი. რაც შეეხება წმინდანის სახელის — დ რ ო ს ი ს პარალელურ ფორმას — დ რ უ ს ი ა ნ ა ს, რომელიც სირიულ ტექსტში დასტურდება, ხოლო ქართულში კი — არა, ესეც, სავარაუდოა, ქართველი მთარგმნელის შეგნებული მოქმედების შედეგი იყოს. მთარგმნელმა, რომელმაც უკვე განმარტა წმინდანის სახელის მნიშვნელობა, ჩანს, მიზანშეწონილად არ ჩათვალა მისი პარალელური ფორმის — დ რ უ ს ი ა ნ ა ს შეტანა ტექსტში, ვინაიდან ეს სახელი „თარგმანებით“ არ ნიშნავდა „ცუარს“. რაც შეეხება ბერძნულს, აქაც წმინდანის სახელის ორი ფორმა გვაქვს: დ რ ო ს ი // დ რ ო ს ი დ ა. ქართული ტექსტის სიახლოვე ბერძნულთან ამ შემთხვევაშიც გამოირიცხვლია, ვინაიდან ქართულში არც დ რ ო ს ი დ ა ფორმა დასტურდება.

გრაფიკული სირიზმა რიცხვით სახელში ო ც დ ა ა თ ი. სირიულში შესაბამის ადგილას გვაქვს ს ა მ ი, ეს სხვაობა ადვილი ახასხენელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სირიული ტექსტები ხშირად დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე იწერებოდა და ამ ნიშანთა აღრევა მათთვის ძალზე დამახასიათებელი მოვლენა იყო. წინამდებარე ტექსტში ამ რიგის მაგალითები საკმაოდ დასტურდება. აქაც, ვფიქრობთ, ასეთი აღრევის შემთხვევათაან გვაქვს საქმე. რიცხვითი სახელი ს ა მ ი — ΔΔ ჩანს, ΔΔΔ ფორმით იყო წარმოდგენილი, რის გამოც მთარგმნელმა ქართულ ტექსტში შემოიტანა ს ა მ ი ს მრავლობითი ფორმა, ანუ ო ც დ ა ა თ ი. ბერძნულში კი ამ თხრობის შემცველი ეპიზოდი არ დასტურდება.

თხზულების ქართული ვერსიის მიხედვით, მეფე ტრაიანემ გამოსცა ბრძანება, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „კაცნო ანტიოქელნო, რომელნი ღმერთთა მოყულარე ხართ, თუ სა ამისა შემოსელასა ყოველნი შემოყერბით...“ სირიული (გვ. 97): „კაცნო ანტიოქელნო, ყველა, ვისაც ვწამად ღმერთების, თამუზის თვის დასაწყისში მოემზადეთ და წამოდით ჩვენთან ერთად“.

როგორც ვხედავთ, ქართველ მთარგმნელს თვის სირიული სახელწოდება ტექსტში არ შემოუტანია და მის ნაცვლად „თვე ესე“ უხმარია. ამ გამოთქმამ კი თავისებური გაუგებრობა გამოიწვია, რადგან მოცემული ეპიზოდის წინამდებარე თხრობებში არავითარი თვე არ არის ხსენებული. მაშ, რომელ თვეზეა აქ საუბარი? მთარგმნელს ბერძნული ტექსტით რომ ესარგებლა, იგი თარგმანში აუცილებლად გადმოიტანდა თვის სახელწოდებას შესაბამისი ფორმით, რადგან, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ქრისტიანობის დამყარებასთან ერთად ჩვენში შემოღის ბიზანტიიდან სექტემბრის ან ინდიქტური წელიწადი, რომელიც ქართული თვეები ზუსტად, უმეტესკლოდ ემთხვევიან შესაფერ რომაულ თვეებს“<sup>22</sup>. „ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში რომაული სახელები თვეებისა გვხვდება მერვე საუკუნის გასულიდან... მაგრამ შემოსვლით ისინი უფრო ადრე იყვნენ შემოსულნი. მათი შემოსვლა დაკავშირებული უნდა იყოს იმ ხანასთან, როდესაც ჩვენში იწყება დასავლური, ბიზანტიური ორიენტაციის ძიება“<sup>23</sup>. აქ აშკარა ხდება, რომ ქართულ ტექსტში ეს გაუგებრობა სირიულ ნიადაგზე აღმოცენდა. მთარგმნელმა სირიული „თამუზის თვის“ ზუს-

<sup>22</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი, ეტიუდები, I, 1956, გვ. 124.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 120.





მედეა აბაშიძე

## ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ О ГРУЗИИ

Письменные источники истории Грузии всегда вызывали большой интерес исследователей. Естественно, что особого внимания заслуживают собственно грузинские исторические памятники. На их основе становится возможным воссоздание подлинной научной истории Грузии, так как общеизвестно, что грузинские нарративные и документальные источники содержат наиболее полную информацию о прошлом страны.

Издание грузинских письменных исторических памятников началось еще в прошлом веке. Большая заслуга в этом деле принадлежит М. Броссе, Д. Чубинашвили, Д. Бакрадзе, Е. Такайшвили, Ф. Жордания, А. Хаханашвили. После революции И. Джавахишвили, С. Какабадзе, Л. Мухелишвили, Н. Бердзенишвили, С. Каухчишвили, К. Кекелидзе, К. Шарашидзе издали немало важных источников.

Эти публикации, хотя и осуществлены на разном научном уровне, позволили шире развернуть исследования в области истории Грузии.

Для глубокого изучения истории Грузии ценный материал содержат и иностранные источники, в частности, сочинения зарубежных авторов, записки путешественников и политических наблюдателей, документальные материалы и т. д. Их сведения, при тщательном сопоставлении с грузинскими источниками и критическом осмыслении, можно использовать для разработки многих исторических вопросов. Изучение иностранных источников по истории Грузии имеет давнишнюю историю, но их издание стало на прочную основу и приняло более планомерный характер за последние два десятилетия.

Президиум Академии наук СССР 30-го июня 1958 года обсудил вопрос об изучении и издании иностранных источников о Грузии. Была создана Комиссия по их публикации, в состав которой вошли известные грузинские ученые — Г. В. Церетели (председатель), И. В. Абуладзе, С. С. Джикия, С. Г. Каухчишвили, В. С. Путуридзе. За время своего существования Комиссия провела большую работу и в течение 17 лет опубликовала немало важных источников<sup>1</sup>.

Среди иностранных источников по истории древней Грузии по облику и ценности фактического материала одно из первых мест занимают греческие. Особый интерес для исследователей античной эпохи истории Грузии представляют сведения древнегреческого историка Геродота (V в. до н. э.), прозванного «отцом истории». Для изучения далекого прошлого Грузии и сопредельных стран большое значение имеет его фундаментальный труд, условно названный «Историей»<sup>2</sup>. Греческий историк в своем труде дает подробное описание географического положения, нравов и обычаев грузинских племен, особенностей экономической и политической жизни. Приводимые Геродотом факты, по общему признанию ученых, являются достоверными и ценными источниками по истории греко-персидских войн, очевидцем которых он был.

<sup>1</sup> Впоследствии состав Комиссии несколько изменился: Н. С. Джанашиа, С. С. Джикия, С. Г. Каухчишвили (председатель), Р. К. Кикнадзе, О. В. Цкитишвили.

<sup>2</sup> Сведения Геродота о Грузии, греческий текст (извлечения), грузинский перевод, комменгарии Т. С. Каухчишвили, Тб., 1960, См. рецензию М. Бердзенишвили, Сведения Геродота о Грузии, «Мнатоби», 1961, № 7, (на грузинском языке).

В докладной записке римского чиновника Флавия Арриана, составленной для императора Адриана, описывается его путешествие по берегам Черного моря, находящимся во владениях римлян. В извлечениях из «Перипла» содержатся ценные сведения относительно местоположения населенных пунктов, народностей Восточного Причерноморья, о внутриполитических событиях, происходивших в Грузии во II веке и римско-грузинских взаимоотношениях<sup>3</sup>.

Греческий историк Ксенофонт (V в. до н. э.) писал очень много. Среди его сочинений первое место занимает «Анабасис» («Восхождение») — своеобразный дневник, в котором Ксенофонт рассказывает о том, как Кир, набрав войско в Малой Азии, двинулся в поход на Восток против персидского царя Артаксеркса II, а затем к берегам Черного моря, где они вступили на землю, населенную грузинскими племенами. Автор дает описание этих племен, их своеобразного быта, обычаев, нравов, взаимоотношений и связей с соседними народами.

В «Римской истории» греческого историка II-III вв. Диона Кассия<sup>4</sup> дается исторический обзор, начиная с эпохи легендарного Энидея до 229 года с описанием войны и внешнеполитических отношений Римского государства. Для нас ценны сведения Кассия о характере взаимосвязи столицы Иберии города Мцхета и его акрополиса — Армазихе, о границах политических единиц Закавказья, социальном и политическом положении Грузии тех времен. Историк дает характеристику римско-парфянским взаимоотношениям, которые влияли на международное положение Закавказских стран, в частности Колхиды и Иберии.

«Аргонавтика» выдающегося ученого и поэта Аполлония Родосского<sup>5</sup>, выходящая из Александрии и впоследствии переехавшего на остров Родос, является обработкой мифа об аргонавтах (III в. до н. э.), связанного с историей грузинского народа. Особого внимания заслуживает этнографический материал поэмы. Автор сообщает много важных и редких сведений о поселениях западногрузинских племен в Айка-Колхети — Кутаиси. Указания древнегреческого поэта, что колхи (грузины) еще до троянских войн имели морские карты (квибры) с указаниями морских путей и книги с описанием способа добычи золота, безусловно, являются свидетельством высокого уровня культуры наших предков.

«Мне кажется,—писал Герцен,—что из всех римлян писавших один Тацит необъятно велик»<sup>7</sup>. Один из крупнейших историков и писателей Рима Публий Корнелий Тацит<sup>8</sup> в своих исторических сочинениях «Анналы» и «История» сообщает ценные сведения о внешней и внутренней политике Грузии I—II вв. В своих сочинениях он опирается на множество первоисточников, использует протоколы заседаний римского

<sup>3</sup> Путешествие по берегам Черного моря Флавия Арриана, греческий текст (извлечения), груз. перевод, комментарии Н. Кечакмадзе, Тб., 1961.

<sup>4</sup> «Анабасис» Ксенофонта, греческий текст (извлечения), грузинский перевод, комментарий Т. Микеладзе, Тб., 1967.

<sup>5</sup> Сведения Диона Кассия о Грузии, греческий текст (извлечения), груз. перевод, комментарий Н. Ю. Ломоури, Тб., 1966. См. рецензию Т. С. Кау х ч и ш в и л и, Сведения Диона Кассия о Грузии, «Грузинское источниковедение», Тб., II, 1968 (на груз. яз.)

<sup>6</sup> Аполлоний Родосский, Аргонавтика, греческий текст, груз. прозаический перевод, исследования, комментарии и указатель А. Урушадзе, Тб., 1970.

<sup>7</sup> Л. И. Герцен, Собран. соч., т. I, М., 1954, стр. 183—185.

<sup>8</sup> Сведения Тацита о Грузии, латинский текст, извлечен., груз. перевод, комментарий А. Г. Гамкрелидзе, Тб., 1970.





свѣта, записи произнесенных там речей, различные государственные документы. Заслуживают внимания сведения Тацита, касающиеся Колхиды, в частности, восстание во главе с Аникетом против Рима во время правления императора Веспасиана.

Византийская культура, возникшая на греческой основе, сыграла огромную роль в развитии средневековой культуры многих народов мира, с которыми она соприкасалась по мере своего развития, в частности, грузинской, армянской, славянской, арабской и персидской. Византийская культура оказала большое влияние на формирование грузинского ренессанса. Комиссия издала восемь томов основанной С. Г. Каухчишвили серии «Георгика, сведения византийских писателей о Грузии». В корпус вошли наиболее значительные византийские материалы IV—V вв. по истории Грузии.

Корпус начинается сведениями из двух сочинений византийских писателей IV—V вв. о языческих грузинских племенах: «Liber generationis» и «Хроники 334 года», памятника V века под названием «Notta dignitatum» и двух приложений: «Сведения Иосифа Флавия» и «Хроника» Хидатиуса. Важное значение имеют сведения выдающегося философа и ритора IV в. Темистиоса о существовании риторической (ораторской) школы в Колхиде<sup>9</sup>.

В корпус вошли сведения византийских историков V—VI веков, новеллы Юстиниана, трактат безымянного автора V века «Путешествие вокруг Черного моря», сочинения Прокопия Кесарийского, Иоанна Лиде и приложения. В приложении даются материалы по биографии Петра Ибера<sup>10</sup>. Наряду со сведениями Захария Ритора даются сообщения поэта и историка Агафия — схоластика о Западной Грузии или о стране лазов, которых раньше называли колхами<sup>11</sup>.

Четвертый том вышел в двух частях (часть I — в 1941 г., II — в 1952 г.). По сведениям византийского церковного «Эктезиса» Западная Грузия в IX веке была в административно-церковном подчинении у константинопольской кафедры. В X в. западногрузинская епархия уже не упоминается в византийских источниках, что свидетельствует о том, что она уже отошла от византийской церкви и присоединилась к Мцхетскому католикопату. По сведениям кесаря Константина Порфирогенета Иберия была экономически и политически могущественным государством<sup>12</sup>.

Кроме «Петрицонского устава», в корпусе приводятся сведения о Грузии византийских писателей XI века Леона Грамматикоса, Георга Кедрена, Никифора Вренина и др.<sup>13</sup>. Заслуживают внимания сведения о грузинском ренессансе в сочинениях известного ученого и историка XI века Микела Пселоса и известного историка XII века Анны Комнины — «Алексиаде»<sup>14</sup>. Наиболее интересны византийско-греческие материалы XII—XIV вв. о Грузии. «Истории» Георгия Пахимира и Никифора Григораса, «Трапезундская хроника» Микаэла Панаретоса, в которых дается описание жизни трапезундского царства<sup>15</sup>.

<sup>9</sup> Георгика, Сведения византийских писателей о Грузии, греческие тексты, груз. перевод и примечания А. Гамкрелидзе, С. Каухчишвили, т. I, Тб., 1961.

<sup>10</sup> Там же, т. II, 1965.

<sup>11</sup> Там же, т. III, 1968.

<sup>12</sup> Там же, т. IV, часть I, 1941; часть II, 1952.

<sup>13</sup> Там же, т. V, 1963.

<sup>14</sup> Там же, т. VI, 1966.

<sup>15</sup> Там же, т. VII, 1967.

В восьмой том корпуса (XII—XV вв.) вошли сведения Георгия Сфрандиса, Евстафия Тесалоникийского, Теодора Байсамона, Дука, Лаоника Холкокондийского и др.<sup>16</sup>

Судьбы ближайших соседей — грузинского и армянского народов тесно переплелись между собой. В истории этих стран много общего. Грузинская и армянская историографии развивались в условиях непрерывной борьбы за свою самостоятельность против завоевателей. Поэтому в армянских источниках мы находим важные сведения и по истории нашего народа. Грузинскими учеными проведена значительная работа по изучению и переводу памятников армянской исторической литературы.

В сочинении Григора Акнеци «История народа стрельцов»<sup>17</sup> описывается история вторжения монголов в Закавказье в 1122—1127 гг. Историк приводит интересные сведения по истории стран в указанный период. Сведения Григора Акнеци так же, как язык, отличаются от тогдашних армянских источников и тем, что автор был очевидцем описанных им событий.

Рост национального самосознания в Армении, протекавший в борьбе против господства Сасанидского Ирана, стремившегося уничтожить независимость страны, нашел отражение в армянской историографии V века. Из сочинений одного из самых известных армянских историков второй половины V века Лазара Фарпеци до нас дошли «Письмо Вагану Мамиконяну» и «История Армении», в которых приводятся сведения о Грузии, касающиеся в основном вопросов социальной и политической истории страны, ее исторической географии. Автор повествует о политике иранцев в Картли во второй половине V века, о вызове в Иран питиахша Аршунш вместе с другими правителями, о восстании Вахтанга Горгасала против иранцев в 482—484 гг. и т. д.<sup>18</sup>

К числу историков, являющихся приверженцами единого и сильного армянского государства в главе с царями Багратуни, принадлежал католикос Иоаннес Драсханакертци. Написанная им «История Армении»<sup>19</sup> охватывает период с 786 по 925 гг. Автор прославляет нарек этой династии, призывает князей прекратить внутренние распри и общими силами выступить против внешнего врага. Для исследователей истории Грузии его труд представляет определенный интерес, так как автор, очевидец и участник описанных им событий, сообщает ценные сведения и по истории Грузии.

Первая половина VII века — один из важных периодов в истории Грузии. Значительными источниками для истории грузино-армянских взаимоотношений и политической обстановки в Грузии того периода является «Книга посланий»<sup>20</sup>. Комиссия опубликовала критический

<sup>16</sup> Георгика, ... т. VII, 1970.

<sup>17</sup> Григорий Аканский. История народа стрельцов, армянский текст, груз. перевод и комментарии Н. Шошашвили, Тб., 1961.

<sup>18</sup> Сведения Лазара Фарпеци о Грузии, армянский текст (извлечения), грузинский перевод, комментарии Л. Н. Джанашиа, Тб., 1964. См. рецензию В. Д он д у а, «Исторические разыскания», II, Тб., 1965.

<sup>19</sup> И. Д р а с х а н а к е р т ц и. История Армении, армянский текст, груз. перевод, исследование, указатели Е. Цагарейшвили, Тб., 1965.

<sup>20</sup> «Книга посланий», армянский текст, груз. перевод, исследования, комментарий З. Алексидзе, Тб., 1968. См. рецензию: Ш. А. М е с х и я, Ценное исследование и источник первостепенной важности, «Литературная Грузия», 1969, № 5; Е. Ц а г а р е й ш в и л и, «Книга посланий», «История, обществоведение и география в школе», 1962, № 2; Т. П а п у а ш в и л и, Книга посланий, «Цискари», 1969, № 1.

10. შ ა ც ე ნ ე, ე ნ ს ა და ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ს ს ე რ ი ა, 1977, № 4



текст «Книги посланий», где сохранившаяся редакция «сравнивается с текстом, включенным в труд армянского историка X века Ухтанеса «История отделения грузин от армян». На основании анализа грузинских и армянских источников автор приходит к выводу, что в начале VII века церкви Картли и Эгриси представляли собой единое иерархическое целое, и католикос Картли одновременно носил сан митрополита Фазисского.

Эсай Хасан Джалалянц составил очень краткую, но чрезвычайно содержательную и богатую фактами «Историю страны Агван»<sup>21</sup>. В сочинении основное место занимает описание экономического и политического положения Ирана, Грузии и Азербайджана. Интересные сведения сообщает историк о внутренней политике Картли и Кахети, большое внимание уделяет Вахтангу VI, которого знал лично, и его взаимоотношениям с Ираном и Россией, связям с Петром I. Сочинение написано по личным наблюдениям историка и является замечательным первоисточником для изучения политической истории Картлийского царства первой четверти XVIII века.

В числе первых армянских исторических трудов, изданных типографским способом (1668 г.), была книга Аракела Даврижеци «Книга историй». Ученый вардапет в 1650 году приступил к составлению исторического труда, который содержит важные сведения о политическом и социальном положении Грузии в первой половине XVII века. Историк подробно описывает борьбу грузинского народа против персидских завоевателей. Даврижеци проявляет большую симпатию к Грузии и грузинскому народу. Автор является очевидцем многих им описанных событий, его сведения являются ценным первоисточником по истории Грузии того времени<sup>22</sup>.

Эпохе бурного расцвета и последовавшего за ним упадка Аниского царства, захвату Византией армянских территорий, нашествию сельджуков, разорению городов, напряженной классовой и политической борьбе посвящена «История» Аристакаса Ластивертци<sup>23</sup>. Историк освещает события, происходившие в Армении и соседних странах, детально описывает грузино-византийские отношения, нашествие сельджуков. Ластивертци был очевидцем многих описываемых им событий, в частности восстания Никифора Фока против кесаря Василия в 1022 г. В его сочинении содержится много интересных и важных данных о внешнеполитических связях Грузии с Византийским государством в XI в.

Важным источником для изучения истории Закавказья VII века и выявления общественного мнения, существовавшего в Армении во второй половине X века по данному вопросу, является труд армянского историка X века Ухтанеса «История отделения грузин от армян»<sup>24</sup>. Ухтанес в своем труде основывается на материале «Книги посланий». В книге содержится попытка выяснения на основе документальных данных причин церковного разрыва между Грузией и Арменией в VII в. В исследовании рассматриваются связанные с церковным разрывом историко-этнографические и текстологические вопросы.

<sup>21</sup> Эсай Хасан Джалалянц, Краткая история страны Агван, армянский текст, груз. перевод и комментарии К. Куция, Тб., 1971.

<sup>22</sup> А. Даврижеци, Книга историй, перевод с армянского (извлечения), предисловие, комментарии К. Куция, Тб., 1974.

<sup>23</sup> Аристакас Ластивертци, История, перевод с армянского, предисловие, указатель и комментарии Е. Чагаряшвили, Тб., 1974.

<sup>24</sup> Ухтанес, История отделения грузин от армян, армянский текст, грузинский перевод и исследование З. Алексидзе, Тб., 1975.

Персидские источники по истории Грузии X—XVII вв. были в центре внимания грузинских ученых. Особая заслуга в выявлении и изучении персидских источников принадлежит известному грузинскому иранисту В. Путуридзе. Он является автором ряда важных исследований и научно-критических изданий грузинских и персидских документов, а также переводов персидских текстов. На высоком научном уровне выполнены его публикации «Персидские исторические документы в книгохранилищах Грузии»<sup>25</sup>. В это издание, рассчитанное на несколько выпусков, вошли персидские исторические документы, хранящиеся в Институте рукописей им. К. Кекелидзе АН ГССР и ЦГИАГ.

В обоих выпусках были опубликованы фирманы, хокмы, изданные иранскими шахами Тахмасбом I, Аббасом I, Сефи I, Аббасом II и повествующие о различных событиях; эти документы содержат важный материал по политической, экономической и социальной истории Грузии и соседних стран в XVI—XVII вв. В конце книги приложены фоторепродукции всех документов как подлинников, так и копий.

Богатством и достоверностью сведений о Грузии отличается персоязычный историк XVI в. Хасан-бек Румлу. Он воспитывался при дворе шаха Тахмасба I и сопровождал его в походах. В 1547 г. участвовал в походе на Грузию. В сочинении<sup>26</sup> этого персидского историка «Ахсан-ат-Таварих» даны сведения по истории Грузии XV—XVI вв., в частности, Хасан Румлу подробно описывает нашествие шаха Тахмасба I на Грузию. Он дает обильные сведения о кызылбашских племенах, их взаимоотношениях, эмирах, ленных пожалованиях, об институте тгула, о притеснениях, чинимых местными владетелями. Особого внимания заслуживают сведения, касающиеся внутренней политики Грузии.

Искандер-бек Туркман, по прозвищу Мунши — один из лучших представителей Сефевидской придворной историографии. Пользуясь доступом к шахским архивам и являясь очевидцем и участником ряда событий, Искандер-бек написал историю царствования шаха Аббаса и озаглавил свой труд «Тарихи-алам-аран и Аббаси». Сочинение состоит из двух томов и описывает жизнь и деятельность шаха Аббаса I (1587—1629 гг.) В своем сочинении Мунши<sup>27</sup> опирается порою на сведения Хасана Румлу — при описании нашествия шаха Тахмасба и т. д. Автор освещает вопросы ирано-грузинских взаимоотношений в XVI—XVII вв. Его труд заслужил высокую оценку специалистов как ценный первоисточник по политической и социально-экономической истории Ирана и сопредельных стран.

Иранский путешественник XIX в. Маджд-ос-Салтане, получивший образование в Европе, является автором «Описания города Тбилиси». Путешественник образно рисует пеструю картину жизни города во время своего пребывания в Тбилиси в 1894 г., описывает различные стороны культурно-экономического быта города, затрагивая вопросы адми-

<sup>25</sup> В. Путуридзе, Персидские исторические документы в книгохранилищах Грузии, груз. перевод, расшифровка персидского текста, кн. I, вып. 1, 2, Тб., 1961, 1962. Вып. III издан Ин-том востоковедения АН ГССР. См. рецензию Кикиадзе Р., «Цискари», № 11, стр. 144—151, 1965; Кикиадзе Р., «Литератури Сакартвелო», № 21, 23 мая 1963 г.

<sup>26</sup> В. Путуридзе, Сведения Хасана Румлу о Грузии, персидский текст, груз. перевод и введение, примечания принадлежат Р. Кикиадзе. См. рецензию К. Табатадзе, Грузинское источинковедение, II, 1968.

<sup>27</sup> В. Путуридзе, Сведения Искандера Мунши о Грузии, персидский текст (извлечения), груз. перевод, примечания и указатель, Тб., 1966. См. рецензию М. Гобеджидзе, «Тбилиси», 14 мая 1970.

инстративного деления Кавказа и его центров, населения и истории<sup>28</sup>.

Написанная иранским историком XIII века Ала-ад-Дином Джувейни «Тарих-и Джахан-гошай» («История миропокорителя») <sup>29</sup> представляет собой одно из наиболее ранних и оригинальных сочинений о господстве монголов. Высокое положение, которое занимал автор, позволило ему иметь доступ ко многим редким, не дошедшим до нас источникам. Благодаря этому сочинению историки могут черпать богатый оригинальный материал как по истории монгол первой половины XIII века, так и по истории захваченных ими стран.

Большой географический словарь Иакута «Муджам ал-булдаи» содержит интересные сведения о политической, социально-политической и культурной истории стран Закавказья, в частности Грузии VIII—XII вв., которая у Иакута представлена относительно бедно, что вызвано тем, что автор не путешествовал по Грузии и свои сведения заимствовал у различных арабских авторов, из легенд и устных рассказов<sup>30</sup>.

Один из видных представителей арабской географии XIII в. Закарна ал-Казвини заслужил всеобщее признание своими трудами «Аджанб ал Махлукат ва гара' иб ал мавджудат» («Сотворенное диво и существующие чудеса») и «Асар ал-билад ва ахбар ал-ибад» («Памятники городов и сведения о рабах Аллаха»), в которых имеются сведения и о Грузии<sup>31</sup>.

Среди османских историков XVII в. заслуживает внимания Ибрахим Печевни<sup>32</sup>. Сведения о Грузии и Кавказе, извлеченные из его двухтомной «Истории», являются важным источником для изучения османско-грузинских и османско-кавказских политических взаимоотношений<sup>32</sup>. Интересные сведения приводит Печевни о набегах на Грузию османов, о взятии крепостей Чилдири, Тмогви, Хертвиси, Ахалкалаки, о появлении Георгия Саакадзе в лагере османов, о царе кахов Александре и т. д. История, написанная османским историком, охватывает период 1520—1640 гг. Автор является очевидцем большей части описанных им событий.

Известный турецкий путешественник XVII века Эвлия Челеби всю свою жизнь провел в путешествиях. Выполняя дипломатическую миссию и государственные поручения, Эвлия Челеби побывал в Иране, Анатолии, Сирии, Палестине, Египте и Закавказье. Свои впечатления он записывал в дневниках. В своей десятитомной «Книге путешествий» Эвлия Челеби<sup>33</sup> приводит интересные сведения исторического, геогра-

<sup>28</sup> М а д ж д - о с - С а л т а н е. История города Тбилиси, персидский текст, груз. перевод, комментарии М. Мамацашвили, Тб., 1971.

<sup>29</sup> Р. К и к и а д з е, Сведения Джувейни о Грузии, персидский текст (извлечения) комментарии, введение и примечания, Тб., 1974. Текст издан по известной публикации М. Казвини.

<sup>30</sup> Э. С и х а р у л и д з е, Сведения Иакута о Грузии и Кавказе, т. I, арабский текст (извлечения), груз. перевод, Тб., 1964.

<sup>31</sup> О. Ц к и т и ш в и л и, Сведения Закарна ал-Казвини о Грузии и Кавказе, арабский текст (извлечения), груз. перевод, введение и примечания, Тб., 1975.

<sup>32</sup> С. Д ж и к и я, Сведения Ибрахима Печевни о Грузии и Кавказе, турецкий текст, (извлечения), груз. перевод, введение и примечания, Тб. См. рецензию Н. Шенгелая, Ценный источник грузинской истории, «Литературиლი Сакартвелო», 26 марта, 1965 г.

<sup>33</sup> Э в л и я Ч е л е б и, Книга путешествий т. I, II, турецкий текст, груз. перевод, исследование, комментарии Г. Путуридзе, Тб., 1971, 1973. См. рецензию Н. Шенгелая Сведения турецкого путешественника XVII в. Эвлия Челеби о Грузии, «Мацне», Серия истории..., 1974, № 3.

фического, этнографического и политического характера, представляющие собой ценные источники по изучению прошлого Грузии. Достоинства этого сочинения заключаются еще в том, что помимо простого описания событий, он дает этим событиям собственную оценку, сопровождая их интересными рассуждениями.

«История» турецкого летописца XVIII в. Мехмеда Рашида «Тарих и Рашид» является продолжением «Истории» Найма и охватывает период с 1660 по 1722 гг. При составлении истории Рашид пользовался документальным материалом, имеющимся в султанской канцелярии. Сведения Рашида<sup>34</sup> относятся к рубежу XVII—XVIII вв. и касаются Западной Грузии, являющейся одной из звеньев антитурецкой борьбы. Заслуживает внимания сообщение летописца об административном делении Чилдырского вилайета, образованного в результате завоевания Туранией юго-западной Грузии, о походе на Грузию, где султанский двор наряду с регулярными войсками, феодальным ополчением и морским флотом предполагал включить рядовых мусульман в борьбу против неверных грузин, что должно было отвлечь последних от классовой борьбы.

Древне-русские материалы по истории русско-грузинских культурных взаимоотношений представляют собой большой интерес, так как наглядно свидетельствуют о том, что дружба и культурные отношения между русскими и грузинскими народами зародились еще в давние времена. Среди древнерусских нарративных памятников одно из важнейших мест занимает сборник «Киево-Печерский Патерик»<sup>35</sup>, представляющий собой значительный интерес для грузинских историков, так как здесь приводятся сведения о русско-грузинских культурных взаимоотношениях, в частности о приглашении грузинских живописцев для разрисовки Киевского собора. Определенный интерес представляет сочинение неизвестного русского автора «Слово и дивна повесть Динары, царицы иверского властодержца Александра, как победил царя Адрамелеха»<sup>36</sup>.

Интересный материал для грузинской историографии представляют собой сведения Василия Гагары и Арсения Суханова о Грузии XVII века<sup>37</sup>. Заслуживают внимания записи русского купца Василия Гагары, который совершил путешествие в Грузию и дал четкое описание города Тбилиси, а также видного представителя русской церковной историографии XVII века, широкообразованного для своего времени Арсения Суханова о путешествии в Грузию. Дважды побывав в Грузии в 1651 и 1652 годах, Суханов дает описание Тбилиси, Мцхета, подробно описывает прием, оказанный ему царем.

Первое московское посольство в Имеретию — посольство Толочанова и Иевлева представляло значительный интерес, так как послы должны были собрать сведения о стране, являющейся неизвестной для тогдашних правящих кругов Москвы. Дипломатическая миссия, возложенная на Толочанова, была случайным эпизодом в его жизни, но вместе с ним был дьяк Иевлев, подготовленный к дипломатической работе, поэтому он проявляет больше уступчивости и такта, чем Толочан-

<sup>34</sup> В. Чочиев, Сведения Мехмеда Рашида о Грузии и некоторых соседних странах, турецкий текст (извлечения), груз. перевод, исследование и комментарий. Тб., 1976.

<sup>35</sup> Я. Цинцадзе, Древне-русские материалы по истории русско-грузинских культурных взаимоотношений, русский текст, груз. перевод, комментарий, Тб., 1962.

<sup>36</sup> Там же.

<sup>37</sup> Я. Цинцадзе, Сведения Василия Гагары и Арсения Суханова о Грузии XVII века, русский текст, груз. перевод, обзорные рукописи. Тб., 1965.

нов. «Статейный список посла Толочанова в Имеретию в 1650—1652 гг.» представляет отчетный доклад вернувшегося в Москву русского посла<sup>38</sup>. В его докладе содержатся ценные сведения об имеретинском царстве середины XVII века, о его социально-экономической истории, о представителях местной феодальной светской и духовной аристократии, о численном составе населения, флоре и фауне Имеретии, дается перечень городов, рек и т. д. Изданный Новиковым «Статейный список...» в действительности был составлен не Толочановым, как считал Новиков, а Алексеем Иевлевым. После издания найденных М. А. Полиевктовым двух новых рукописей стало ясно, что Толочанов и Иевлев независимо друг от друга составили каждый свой вариант отчетного доклада.

«Статейный список посольства в Имеретию 1650—1652 гг.»<sup>39</sup>, составленный Алексеем Иевлевым — одним из московских специалистов XVII в. по Кавказу, вторым послом, охватывает тот же период времени, что и статейный список Толочанова. При составлении отчетного доклада об Имеретии Иевлев руководствовался частично сведениями, предоставленными ему посольским приставом Сехнией Гарсеванишвили и толмачом Бидзиной. Сообщаемые Иевлевым сведения о социально-политической структуре имеретинского царства, численности населения, жилищах, селениях, городах, реках, крепостях, церквях, монастырях, главных реках Риони и Квирыла и т. д. более разработанные и четкие, чем у Толочанова<sup>40</sup>.

В описании Грузии, составленном в 1667 году Павлом Алеппским, сыном антиохийского патриарха Макария, расказываются о событиях, происходящих в Грузии во время его длительного путешествия для сбора пожертвований в пользу антиохийского патриарха. Его интересуют города и села, церковные здания и монастыри, обычаи и нравы Грузии. Вернувшись в Москву, Макарий и Павел получили от Приказа тайных дел поручение составить описание Грузии. В это время интерес русского правительства к Грузии значительно возрос в связи с готовившейся войной против Османской державы. Павел Алеппский составил «Описание», по-видимому, по данному ему вопросу, но при составлении он включил в него и просьбу грузинских политиков и свои личные соображения. «Описание» было составлено им на арабском языке и сразу же переведено на русский.

Иоганн Антон Гюльденштедт<sup>41</sup> был натуралистом, доктором медицины, действительным членом Российской Академии наук. Путешествуя по Грузии, он составлял дневники и рапорты, которые посылал Петербургской Академии наук. Путешественник не всегда точно отображал происходящие в Грузии события, ввиду того, что исходил из положения своей страны, экономически более богатой. Его сведения носят чисто описательный характер. На основе личных наблюдений, услышанного и увиденного им, он делает попытку представить картину состояния страны. Путешественник дает минералогическое, географическое и зоолого-ботаническое описание страны. При описании Грузии Гюльденштедт пользуется также сведениями из летописей.

<sup>38</sup> Статейный список посла Толочанова в Имеретию 1650—1652, русский текст с груз. переводом Я. Цинцадзе, Тб., 1970.

<sup>39</sup> Статейный список посольства в Имеретию 1650-1652 гг., составленный Алексеем Иевлевым, русский текст, груз. перевод, обзорные рукописи Я. Цинцадзе, Тб., 1969.

<sup>40</sup> Материалы к истории Грузии XVII в., русский текст, груз. перевод и комментарии Н. Асатиани, Тб., 1973.

<sup>41</sup> Г. Е. Л. а. ш. и. л. и., Путешествие Гюльденштедта по Грузии, т. т. I, II, немецкий текст, груз. перевод и исследование, Тб., 1964.

Сочинение «История восстания Али-Бея против Османской порты»<sup>42</sup> является ценным источником по истории борьбы египетских мамлюков за независимость в 1769—1773 гг. против Турции; в нем дается описание Каира того времени, сведения о системе управления в Египте, о положении христиан в Османской империи. В качестве приложения книга снабжена дневниками анонимного автора с описанием путешествия из Алеппо в Баор.

Книга известного французского путешественника XVII века Жана Шардена «Путешествие в Персию и другие страны Востока»<sup>43</sup> является ценным источником по истории Грузии. Сочинение выделяется богатством и многообразием сведений о политической, социально-экономической и культурной жизни Грузии. Сведения, приведенные в нем, дают возможность заполнить проблемы в знаниях, разрешить многие неясные вопросы. Автор пытался разобраться в сложной структуре феодального общества грузинских царств и княжеств, дает описание города Тбилиси, рисует картину хозяйственной жизни грузинского народа.

В различных архивах и книгохранилищах Франции рассеяны интересные материалы по истории Грузии<sup>44</sup>. И. Табагуа издал документы, касающиеся взаимоотношений Грузии с Европой, в частности, Францией и Ватиканом в 1707—1714 гг., вопросов, связанных с дипломатической миссией в Европе Сулхана-Сабы Орбелиани. Много внимания уделено в документах подготовке к дипломатической миссии Орбелиани во Франции и Италии, его переговорам в Версале с французским королевским двором и Ватиканом и результатам этих переговоров.

Мы постарались сделать краткий обзор книг, изданных Комиссией по публикации иностранных источников о Грузии. Учеными Грузии проделана большая и плодотворная работа по выявлению, изданию и переводу иностранных текстов по истории нашей страны.

Современная историография ставит все новые и более сложные вопросы, требования перед источниковедцами. Однако в последнее время публикация источников по истории Грузии стала заметно отставать от развития современной грузинской историографии.

С целью повышения научного уровня публикаций и координации научно-исследовательских работ в масштабах всей республики в 1974 году при Президиуме Академии наук республики была создана Комиссия по источникам истории Грузии. Новая комиссия возглавила все работы по выявлению, изучению и критическому изданию текстов, относящихся к истории Грузии.

<sup>42</sup> С. Лузин и гн, История восстания Али-бея против Османской порты, английский текст, груз. перевод, комментарий Б. Силагадзе, Тб., 1964.

<sup>43</sup> Жан Шарден, Путешествие в Персию и другие страны Востока, перевод с французского, исследование и комментарии М. Мгалоблишвили, Тб., 1975.

<sup>44</sup> И. Табагуа, Документы из истории франко-грузинских отношений, французский и латинский текст, грузинский перевод, ч. I, Тб., 1975.

Комиссия по источникам истории Грузии АН Грузинской ССР

Представил академик АН Грузинской ССР Ш. В. Дзидангури



თინათინ ჰაპავაძე

ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის შესწავლის ისტორიიდან

ქართული ენის ფერეიდნულმა დიალექტმა, ანუ იმ ქართველთა ენამ, რომლებიც შაჰ აბას პირველმა მე-17 საუკუნეში საქართველოდან ირანში გადაასახლა, გასულ საუკუნეშივე მიიქცია ქართველი საზოგადოებრივობის ყურადღება: 1896 წ. გამოქვეყნდა ამ ყურადღების ამსახველი პირველი შრომა — ლ. აღნიაშვილის „სპარსეთი და იქაური ქართველები“. მე-20 საუკუნის ოციანი წლებიდან კი ეს ინტერესი ფერეიდნული დიალექტის მიმართ კიდევ უფრო გაფართოვდა. ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გაჩნდა ფერეიდნული დიალექტის სხვადასხვა ენობრივი თავისებურების შემსწავლელი ისეთი შრომები, როგორცაა: ა. ჩიქობავას „ენის რეფლექსები ფერეიდნულში“<sup>1</sup>, „ყე ნაწილაკის ხმარება მრ. რიცხვის მიცემითსა თუ სახელობითში დასმული დამატების აღსანიშნავად“<sup>2</sup>, „ფერეიდნულის მთავარი თავისებურებები“<sup>3</sup> და ვ. თოფურის „ნიმუში ფერეიდნის ქართული ენისა“<sup>4</sup>.

სწორედ ამავდროულად ოციან წლებში გამოიჩინა ინტერესი ფერეიდნულის მიმართ ცნობილმა ირანისტმა იური მარმაც. ჩვენი საკვლევი ამოცანა სწორედ ი. მარის ღვაწლის აღნუსხვაა ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის შესწავლის საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ იური მარის მონაწილეობა ფერეიდნულის თავისებურებების შესწავლის საქმეში შემთხვევითი ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ ი. მარი 1923—1925 წლებში სამეცნიერო მივლინებით იყო წასული ირანში, ის არ სწევია ფერეიდნის იქაური ენის ნიმუშების შესაკრებად და არც ადრე გამოქვეყნებული ფერეიდნული დიალექტის ნიმუშები შეუსწავლია მას ამ მიზნით, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის თავისებურებების შესახებ მსჯელობისას ის ეყრდნობა: 1. თავის შემთხვევით საუბარს ფერეიდნულ ჭარისკაცთან — მეთაღისთან, რომელმაც მოინახულა ი. მარი ისპაჰანში 1925 წ. 3/VIII-ს და, როგორც ი. მარი წერს, ისაუბრა მასთან 3—4 საათის განმავლობაში და 2. ფერეიდნულთა ხალხური შემოქმედების ორ ნიმუშს, რომელიც მას ამბაკო ჰელიძემ გამოუგზავნა ისპაჰანიდან 1927 წ. და რომელთაგან ერთი დაწერილია ქართულად, ხოლო მეორე — სპარსულად.

ი. მარი თანაბარი ინტერესით სწავლობს ფერეიდნულთა როგორც სპარსულ, ისე ქართულ მეტყველებას. თავის სტატიაში «Два образчика народной словесности из грузинского Ферейдана»<sup>5</sup> ი. მარი დეტალურად იკვლევს ფერეიდნულთა სპარსული მეტყველების როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ მხარეს და იძლევა სპარსული ტექსტის ზუსტ თარგმანს. ფერეიდნულთა სპარსული ენის თავისებურებების შესწავლისას ი. მარმა ისინი შეუღღარა სპარსული ენის სხვა დია-

<sup>1</sup> იხ. იური ნ. „ჩვენი მეცნიერება“, ტფილისი, 1923, № 2—3, გვ. 69—89.

<sup>2</sup> იხ. „ქართული საენიმეცნიერო წელიწადი“, ტფილისი, 1925, ტ. I—II.

<sup>3</sup> იხ. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, 1927, გვ. 197—276.

<sup>4</sup> იხ. ვახ. „ლომისი“, 1922, № 16.

<sup>5</sup> Ю. Н. М а р и, Статьи, сообщения и резюме докладов, т. I, М.-Л., 1936, с. 54—57.

ლექტების მონაცემებს და ფერეიდნულთა სპარსულ მეტყველებაში ბახთიაროზმება აღნიშნა, რაც ბუნებრივი და მოსალოდნელი იყო, რადგან თვით ფერეიდანი მდებარეობს ირანის ბახთიარის მთებში, სადაც საკუთრივ სპარსელების გარდა ბახთიარებიც ცხოვრობენ.

მართალია, ი. მარი ფერეიდნულთა ქართული დიალექტის შესწავლის საქმეში მეტად შეზღუდულ მასალას ეყრდნობა, მაგრამ მეცნიერმა ასეთ პირობებშიც შეძლო დაკვირვების წარმოება და საინტერესო მონაცემების მოპოვება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი მეორე სტატია „Из беседы с ферейданским грузином“<sup>6</sup>.

ჩვენ გავეცანით ი. მარის გამონათქვამებს და შეძლებისდაგვარად შევეცადეთ მიგვეცა მათთვის ინტერპრეტაცია და გვეჩვენებინა ის პროცესები, რომელთა შედეგადაც ჩამოყალიბდნენ ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში ი. მარის მიერ აღნუსხული ენობრივი თავისებურებები.

ი. მარი, როგორც ირანისტი, ირანულ სამყაროში მოქცეული ქართული ენით დაინტერესდა ენობრივი კონტაქტების თვალსაზრისით და ამიტომ თავისი საუბარი ფერეიდნულ ჯარისკაცთან მან სწორედ ისე წარმოართა, რომ რამდენადმე გავრკვია ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის სპარსულ ენასთან კონტაქტების საკითხი. ი. მარმა ფერეიდნულ ჯარისკაცს სთხოვა ფერეიდნულთა საქორწინო ცერემონიალის აღწერა და გამოარკვია, რომ ფერეიდნულთა საქორწინო ცერემონიალის ის ტრადიციები, რომლებიც თავის შინაარსით ემთხვეოდნენ სპარსულ საქორწინო რიტუალს, სპარსულად იყო გააზრებული და ამის შესაბამისად სპარსული სახელწოდებით აღინიშნებოდა. ასე, მაგალითად, სასიძოს მიერ სასიდედროსათვის საჩუქრად მისართმევ თანხას (თანხის მირთმევის რიტუალი პრაქტიკულად ხორციელდება როგორც სპარსელთა, ისე ქართველთა მთელთა და იზგილოთა ქორწილებში და საინგილოში მას „სამამისო ფული“ ჰქვია)<sup>7</sup>, ფერეიდანში სპარსულ ყაიდაზე „რძის ფასს“ ანუ „შირ ბაჰას“ უწოდებენ<sup>8</sup>.

როგორც ი. მარი აღნიშნავს, ფერეიდნული მეთალიას ქართული აჭრელებული იყო სპარსული სიტყვებით. ის იყენებდა შემდეგ სიტყვებს: შაერი, „პოეტი“ (სპარს. شاعر), ქეთაბი — „წიგნი“ (სპარს. کتاب), აა||ა — „ბატონი“ (სპარს. آقا), ფაიზი — „შემოდგომა“ (სპარს. پاییز), მასალა — „მაგალითად“ (სპარს. مثال), ხადმათი — „სამსახურის გაწევა“ (სპარს. خدمت), ჯამიათი — „ბრბო“ (სპარს. جمعیت), მადიანი — „ჭაკი, ფაშატი ცხენი“ (სპარს. چاکه سگ), მეთალია იყენებს სპარსულ სიგარმის საზომ ერთეულებს: ფარსახი, მენჭელი<sup>9</sup>, ასის ზევიტ მეთალიას მიერ გამოყენებული რიცხვითი სახელებიც სულ სპარსულია. მაგ.: ბისტოსე ჰაზარი — هزار و سیست و سه 23000<sup>10</sup>. თუმცა, როგორც თვით მეთალია აღნიშნავს, ზოგიერთ შემთხვევაში ფერეიდნული ქართველები იყენებენ ქართულ რიცხვით სახელებსაც. ასე, მაგალითად, მეთალიამ, როგორც კი იხმარა სპარსულიდან კალკირებული რიცხვითი

<sup>6</sup> იქვე, გვ. 58—61.

<sup>7</sup> იხ. ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთელთა სოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, გვ. 193—194. ზ. ე დ ი ლ ი, საინგილო, თბილისი, 1947, გვ. 98.

<sup>8</sup> Ю. Н. М а р и, Статьи, сообщения и резюме докладов. I, с. 60.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 58.

სახელი თექვსმეტ ხელად ასი — 1600, იქვე დასძინა, რომ „ჩვენთან თქვენ-ბურადაც ითქმის ათასი და ექსასი“<sup>11</sup>.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა ი. მარის მეორე შეკრებილ მასალაში აღი-ნუსხება: 1. სპარსული და ქართული სიტყვების შერეული ხმარება შესიტყ-ვებებში; მაგ., ჰარ წელს — „ყოველი წელს“<sup>11</sup>, სადაც ჰარ — სპარსული ნაც-ვალსახელია და ნიშნავს „ყოველს“, „წელს“ ქართული სიტყვა; 2. სპარსუ-ლი სიტყვების ქართული სუფიქსებით გაფორმება; მაგ., მორახასობა — „შეებულება“<sup>12</sup>. *مرخص* არის სპარსული სიტყვა და ნიშნავს „განთავისუფლე-ბული, ნებადართვით წასული“, ხოლო „ობა“ — ცნობილი ქართული სუფიქსი აბსტრაქტიზაციის მნიშვნელობით. 3. ფსიქოლოგიური კალკი; მაგ., „მე მოლა არა ვარ“, ე. ი. „მე არა ვარ წიგნიერი, მე ვარ უწიგნური“. კალკირებულია სპარსული გამოთქმით *من نیستم*<sup>13</sup> რაც იმასვე ნიშნავს და სადაც წიგ-ნიერება უკავშირდება მოლას ცნებას და 4. აღინიშნება სემანტიკური კალკიც. მაგ.: ფერეიდნელი ხმარობს — „ხეჯალათი არ გაეზიდე?“ რაც ნიშნავს „არა გრცხვენია?“<sup>14</sup> ეს გამოთქმა წარმოადგენს სპარსული გამოთქმის ზუსტ კალკს. სპარსული *خجالت کشیدن* სიტყვასიტყვით ნიშნავს „სირცხვილის ზიდვას, თრევას“, ანუ „თავის შერცხვენას“.

ბოლენ დე კურტენეს აზრი იმის შესახებ, რომ ენათა კონტაქტირებისას ხდება არა მარტო ამა თუ იმ ენობრივი ელემენტის სესხება, არამედ ენათა ცალკეული ნაწილებისათვის დამახასიათებელ განსხვავებათა ხარისხის შემცო-რებაც, ე. ი. მთლიანად ენის სისტემის გამარტივება<sup>15</sup>, გვეკარნახობს ყურადღე-ბა მიექციონ ენის არა მარტო სემანტიკურ, არამედ სინტაქსურ, მორფოლო-გიურ და ფონეტიკურ გამარტივებასაც. ფერეიდნელ ქართველთან ხანმოკლე საუბარში ი. მარმა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლო ყველა სფეროში ამ თვალსაზ-რისით დაკვირვებების ჩატარება, მაგრამ ფერეიდნელი ქართველის მეტყვე-ლების ფონეტიკურმა მხარემ კი მიიქცია მისი ყურადღება. ფერეიდნელთა მე-ტყველების ფონეტიკური მხარის შესახებ ი. მარი წერს: „წარმოთქმის თავი-სებურებათაგან თვალში საცემია გამოყენება სრულიად გარკვეული f და ო (ჟ) ბგერებისა და თითქოს შერბილებული მ-ს წარმოთქმა სპარსულ სიტყ-ვებში“<sup>16</sup> „ბოლოკიდური ა კი იმავე სპარსულ სიტყვებში მეთალიასთან ისმის როგორც ლია a. როდესაც მე მასთან წარმოთქვი სიტყვა *dāšā* „დასტა, ჯგუფი“, მან მე გამისწორა წარმოთქმა შემდეგნაირად: *dāšā*“<sup>17</sup>.

ორენოვნების პირობებში მშობლიური ენის ფონეტიკური სისტემის ცვლა უცხოური (ე. ი. მეორე „მშობლიური“) ენის გავლენის შედეგად ჩვეულებ-რივი მოვლენაა<sup>18</sup>. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ფერეიდნელთა ქართულმა სპარსულ ენასთან მჭიდრო კონტაქტის შედეგად სწორედ გამარტივა თავისი ფონეტიკური სისტემა, ანუ შეამცირა ამ ორი ენის ფონეტიკურ სისტემებს შორის არსებული განსხვავება ზოგიერთი დათმობების საშუალებით. ქარ-თული ენის დიალექტმა, მე-17 საუკუნიდან მოწყვეტილმა თავის მშობლიურ

<sup>11</sup> იქვე, გვ. 60, <sup>12</sup> იქვე, გვ. 58, <sup>13</sup> იქვე, გვ. 60, <sup>14</sup> იქვე, გვ. 61.

<sup>15</sup> В. Ю. Розенцевич, Основные вопросы теории языковых контактов, Новое в лингвистике, вып. VI, Москва, 1972, с. 7—8.

<sup>16</sup> Ю. Н. Марр, Статьи, сообщения и резюме докладов, т. I, с. 58.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 59.

<sup>18</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 247.

არეალს, ერთი საკუთრივ ქართული ფონემა ჯ-ჭ, რომელიც დღესაც იხმარება ზოგიერთ ქართულ დიალექტში<sup>19</sup> შეინარჩუნა, მეორე ასეთივე სპეციფიკური ქართული ბგერა კი, ბილაბიალური ყრუ-ხშული ფონემა „ფ“, შეცვალა რამდენადმე განსხვავებული არტიკულაციის სპარსული ფონემით, კერძოდ, ლაბი-ოდენტალური ყრუ სპირანტით f-თი.

ამ ორი ენის, ქართული და სპარსული ენების ფონეტიკური სისტემების ურთიერთგანმსკვლავაზე მიუთითებს ფერეიდნულში აგრეთვე მეთაღის მიერ ა ხმოვნის გამოყენება სპარსულ სიტყვებში. ფერეიდნულში გამოყენებული სპარსული სიტყვების ინლაუტში მეთაღია ა ხმოვანს უნარჩუნებს სპარსულ ქლერადობას და წარმოთქვამს მას შერბილებულად, ხოლო აუსლაუტში, სიტყვის ბოლოს იმავე ბგერას აძლევს მეტ ლიაობას და წარმოთქვამს როგორც გარკვეულ ლია ა-ს.

რით შეიძლება აიხსნას ეს პოზიციური სხვადასხვაობა ერთი და იმავე ბგერის გადმოცემისას ორი ფონეტიკური სისტემის ურთიერთგანმსკვლავის პროცესში?

ჩვენი აზრით, ეს სხვადასხვაობა განპირობებული უნდა იყოს ბგერითი ანალოგიით. საქმე ის არის, რომ ჰაიპევესზე დამთავრებული ზოგიერთი სპარსული სიტყვა და მათ შორის თვით სიტყვა *dāsūe*, რომლის შესახებაც ლაბარაკობს ი. მარსი, ქართულში ადრევე იყო ნასესხები სპარსულიდან და ადრევე იყო ის მისაღავებული ქართული ა-ბოლოხმოვნიან სიტყვათა რიგს: ბრმა, ყრმა, ყმა, ხმა და მისთანებს. საფიქრებელია, რომ ამ რიგის სპარსულ სიტყვათა ქართულ ენაში ხმარების ტრადიცია გარკვეულ გავლენას მოახდენდა ფერეიდნულში ჰაიპევესზე დამთავრებულ ნასესხებ სპარსულ სიტყვათა წარმოთქმაზე. ფერეიდნულთა მიერ სპარსულიდან ნასესხებ სიტყვებში ბოლოციდური ჰაიპევესის ლია ა-დ წარმოთქმა, ვფიქრობთ, სპარსულიდან ქართულში ადრე ნასესხებ და ა-ბოლოხმოვნიან სახელებად ქცეულ სიტყვათა ანალოგიით გახშირებასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ფერეიდნული ქართულის ფონეტიკური სისტემის გამარტივება, მისი მიმსგავსება ანალოგიის საშუალებით სპარსული ენის ფონეტიკურ სისტემასთან ხდებოდა არა მარტო სპარსულიდან ნასესხები სიტყვების ქართულ ყაიდაზე წარმოთქმის გზით, არამედ საკუთრივ ქართული სიტყვების, თუ შეიძლება ასე ითქვას, გასპარსულების გზითაც. ასე, მაგალითად, ი. მარსი აღნუსხული აქვს სიტყვები: აბანო, ხბო, ჰატარა, რომლებიც ფერეიდნულში შემდეგნაირად ქვრივენ: აბონე<sup>20</sup>, ხებონ<sup>21</sup>, ჰატა<sup>22</sup>.

სპარსულ ენაში არის მეტად მდიდარი რიგი ალიფზე დაწყებული და ჰაიპევესზე დამთავრებული ისეთი სამმარცვლიანი სიტყვებისა, რომელთაც შუაში მოუღოთ „ll“ ან „o“ — ابرو [anpyn]—გეოგრაფ. „კალაპოტი“, کوره [anrnp] — „უმწიფარი ყურძნის წვენი“, کوره [ankop] — „ჰიდროსფერო“, کوره [ankux] — „დიდი ტალა“ და მისთანები.

ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარ სიტყვათა ანალოგიით უნდა იყოს განმოვანებული ქართული „აბანო“, „აბონე“. „აბონე“ ტიპოლოგიურად ისეთი-

<sup>19</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>20</sup> Ю. Н. Марр. Статьи, сообщения и резюме докладов, т. I, с. 58.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 59.



ვე გამზოვანების სიტყვად არის გადაქცეული, როგორცაც ზემოჩამოთვლილ სპარსული სიტყვები წარმოადგენენ.

სპარსული ენის დამახასიათებელი არტიკულაციის იმ თავისებურების ანალოგიით, რომელიც ვერ იტანს სიტყვის ანალუტში რამდენიმე თანხმონის თავმოყრას<sup>23</sup>, ი. მარის თანამოსაუბრე ფერეიდნელის მეტყველებაში სიტყვა „ზხო“ გამზოვანებულია სპარსულ ყაიდაზე — თანხმონთგამყარი ხმოვნის ჩართვით „ხგზო“.

აღსანიშნავია, რომ ფერეიდნული ქართული ენის ნიმუშების ფიქსირებულ მასალა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ სიტყვათა გასრულ-ხმოვნების პროცესის განვითარებას ფერეიდნულში. ირკვევა, რომ სიტყვის თავში თანხმონათა თავმოყრის არიდება, რაც ასე დამახასიათებელი მოვლენაა ირანული ენებისათვის სხვა ენიდან ნასესხები სიტყვების შეთვისების პროცესში (შვედაროთ, მაგ. ქართულიდან ოსურში ნასესხები სიტყვები: ქართ. „წყალი“ — ოს. *caqal*, ქართ. „გლეხი“ — ოს. *glaex*, ქართ. „ქლიავი“ — ოს. *čylavi* და მისთ)<sup>24</sup>, დასტურდება ფერეიდნულის ახლადმოპოვებული მასალებითაც. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლების ზ. შარაშენიძისა და მ. თოდუას მიერ შეკრებილ მასალაში ქართულ სიტყვებს „ბრინჯი“, „მსხვილი“, „სტაფილო“ ჩვენ ვხვდებით სპარსული გამზოვანებით, ანუ ევფონური ხმოვნის ჩართვით: ბერინჯი, მოსხილი<sup>25</sup> და ისტაფილი<sup>26</sup>; მაშინ როცა ლ. აღნიაშვილის მიერ მოპოვებულ მასალაში ქართულ სიტყვაში „სტაფილო“ ჯერ კიდევ არ არის ძალაში გასრულხმოვნების პროცესი. ლ. აღნიაშვალს სიტყვა „სტაფილო“ მოწოდებული აქვს ფორმით „სტაფილი“<sup>27</sup>.

რაც შეეხება სიტყვას „ბაიტა“, რაც ნიშნავს — „პატარა“, ის, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს ა. ჩიქობავა, ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული ფორმიდან — „ბაიტარა“-დან უნდა იყოს მიღებული. ქართული ენის დიალექტებში გვხვდება „პატარა“ სიტყვის ასეთი რეფლექსები: პატარა-ბატარა — ბაატარა<sup>28</sup>. ფერეიდნულში გამოყენებული სიტყვა „ბაიტა“ „ბაიტარა“-ს ბოლო მარცვლის აპოკოპირების გზით უნდა იყოს მიღებული. ბოლო მარცვლის აპოკოპირება კი ფერეიდნულის ქართულ სიტყვებში ფიქსირებულია ჯერ კიდევ ი. მარამდე ლ. აღნიაშვილის მიერ შეკრებილ მასალაში, სადაც ქართული სიტყვა „ინანა“ წარმოდგენილია აპოკოპირებული სახით „ინა“<sup>29</sup>.

ისმის კითხვა: რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს სპარსული ენის ელემენტების იმ ნაწილს ფერეიდნულ დიალექტში, რომელიც ი. მარმა გამოავლინა? ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის რა თავისებურების ხაზგასმა სურდა

<sup>23</sup> Ю. А. Рубинчик, Современный персидский язык. Москва, 1960, с. 27.

<sup>24</sup> В. И. Абаев, Полногласие в картвельских заимствованиях. ОЯФ, М., I, 1949, с. 526—27.

<sup>25</sup> ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნული ქარაველების შესახებ, თბილისი, 1969, გვ. 48.

<sup>26</sup> მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ტოლდები, II, თბილისი, 1975, გვ. 30.

<sup>27</sup> ლ. აღნიაშვილი, სპარსული და იქაური ქართველები, ტფილისი, 1896, გვ. 211.

<sup>28</sup> ა. ჩიქობავა, ფერეიდნულს მთავარი თავისებურებები, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1927, გვ. 218.

<sup>29</sup> ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, გვ. 208.

ი. მარს ფერეიდნულში სპარსული ენის ზემომოყვანილი ელემენტების კონსტატაციით? ვფიქრობთ, ი. მარის ეს დაკვირვებები არ უნდა ემსახურებოდეს ენაში სხვა ენიდან შესული ელემენტების იმ პროცენტის გამოვლინებას, ურომლისოდაც რიგ მეცნიერებს (როგორებიც იყვნენ, მაგალითად, შუხარდტი, ნ. მარი, ბოდუნ და კუსტენე და სხვები) არ წარმოედგინათ არც ერთი არსებული ენა<sup>30</sup>. ჩვენი აზრით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ი. მარი ცდილობს გვიჩვენოს ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის სპარსულ ენასთან შერეულობა, თუმცა სიტყვა „შერეული“ ან „ნარევი“ მას თავის სტატიაში არც ერთხელ არ აქვს ნახმარი.

იმისათვის, რომ სწორად შევაფასოთ ი. მარის მიერ მოპოვებული მასალა, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიგონოთ შერეული ენის რაობა.

თუ ზოგიერთი მეცნიერის კვალდაკვალ შერეულად მივიჩნევთ მხოლოდ იმ ენას, რომლის მორფოლოგიაც წარმოადგენს ორი ენის მორფოლოგიური სისტემის ურთიერთგანსპეკვალვის შედეგს (როგორც ეს მაიჩნია, მაგალითად, ეანდრაესს)<sup>31</sup>, მაშინ, ი. მარის მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, ფერეიდნული ქართულის მიმართ ენის შერეულობის საკითხი თავისთავად იხსნება. იხსნება იმიტომ, რომ ფერეიდნული დიალექტი, რომლის ლექსიკაც აგრეირიგად არის გადატვირთული სპარსული სიტყვებით<sup>32</sup>, მაინც რჩება ქართულ ენად, რომელმაც, როგორც ეს ქართული ენის მკვლევართა ნაშრომებიდან ირკვევა, ვარგად შემოინახა არა მარტო ძირითადი მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებები ქართული ენის კახური და ინგილოური დიალექტებისა, არამედ მან ის ინერციაც კი შეინარჩუნა, რომელმაც რიგ თანამედროვე ქართულ დიალექტებსა და ფერეიდნულ ქართულში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთგვარი მოვლენები განავითარა (მაგ., მსახლერელ-სახლერულის შეთანხმების დარღვევა (დიდი სახლს), გარდაუვალი ზმნების სუბიექტის მოთხრობით ბრუნვაში ვაფორმება (კაცმა ადგა) და სხვ.)<sup>33</sup>.

ხოლო თუ შერეულ ენად მივიჩნევთ ორენოვნების იმ პროდუქტს, რომელშიც კომპლექსურად არის წარმოდგენილი უცხო ენის გავლენა როგორც ენის ფონეტიკაში, ისე მორფოლოგიაში, ისე სინტაქსში და ისე ენის ლექსიკურ შემადგენლობაში<sup>34</sup> და ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ ვინდიშის აზრსაც, რომლის მიხედვითაც როგორადაც არ უნდა იყოს ენა შერეული, მაინც ჭარბობს მასში ერთი ენა, რომელიც მის საფუძველს წარმოადგენს<sup>35</sup>, (ამავე აზრისაა ამ საკითხზე შჩერბაც<sup>36</sup>) მაშინ ი. მარის მიერ მოპოვებული მასალა თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისითაც იძლევა საფუძველს, დაისვას საკითხი ფერეიდნული ქართულის შერეული ბუნების შესახებ.

<sup>30</sup> А. Россети, Смешанный язык и смешение языков, Новое в лингвистике. вып. VI, стр. 114.

<sup>31</sup> Ж. Вандриес, Язык. Москва, 1937, с. 48.

<sup>32</sup> „თუ კაცმა ცოტა მაინც არ იცის სპარსული ენა, ძნელად გაუგებს მათ, ისეა გადატვირთული მათი მეტყველება სპარსული სიტყვებითო“, — აღნიშნავს ზ. შარაშენიძე თავის ნაშრომში — „ახალი მასალები ფერეიდნული ქართველების შესახებ“, გვ. 13.

<sup>33</sup> ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქაჯთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961, გვ. 252.

<sup>34</sup> А. Россети, Смешанный язык и смешение языков, с. 115.

<sup>35</sup> W i n d i s c h, Zur Theorie der Mischsprachen und Lehnwörter, CB. d. k-s, 9. W. Phil.-hist., H., V. 49, 1897, s. 113. ციტირებას ვახდენთ ლ. ვ. შჩერბას შრომის მიხედვით: «О понятии смешения языков», сб.: Л. В. Щ е р б а, Избранные работы по языкознанию и фонетике, т. I, Л., 1958, с. 42.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 52.



მიუხედავად იმისა, რომ ი. მარი ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტზე ზოდურად შეეხო, მან სტატიაში „Из беседы с ферейданским грузином“ ვისი ენათმეცნიერული ერუდიციისა და საკვლევადიებო გამოცდილების წყალობით შეძლო ფერეიდნელთა მეტყველების სწორედ იმ თავისებურებათა აღნუსხვა რომლებიც შერეულობის ელემენტებს წარმოადგენენ (სახელდობრ, ფონეტიკურ სისტემათა ურთიერთგანსჯვალვა, შესიტყვებებში სპარსული და ქართული სიტყვების შერეული ხმარება, სპარსულ სიტყვათა ქართული სუფიქსებით გაფორმება, გამოთქმათა ფსიქოლოგიური და სემანტიკური კალკირება, რიცხვითი სახელეების სპარსული და ქართული წარმოება).

Т. А. ЧАВЧАВАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ИЗУЧЕНИЯ ФЕРЕЙДАНСКОГО ДИАЛЕКТА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

Наряду с грузинскими учеными ферейданский диалект грузинского языка привлек внимание и Ю. Н. Марра. О своих наблюдениях он сообщил в двух статьях: «Два образчика народной словесности из грузинского Ферейдана» и «Из беседы с ферейданским грузином». Ю. Н. Марр интересовался наличием персидских элементов в грузинской речи ферейданцев. В предлагаемой статье дана попытка интерпретировать выделенные Ю. Н. Марром особенности ферейданского диалекта и по мере возможности определить процессы, результатом которых они являются. Ю. Н. Марр подметил именно те особенности грузинской речи ферейданцев, которые являются элементами смешения: взаимопроникновение фонетических систем, смешанное употребление персидских и грузинских слов в словосочетаниях, оформление грузинскими суффиксами персидских слов, психологическое и семантическое калькирование.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანულ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. შერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

## დამანა მილიმომილი

 ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის  
 ისტორიისათვის მართულ ზმნაში<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, მ- და გუ- პრეფიქსები ძველ ქართულში პარალელურად გვხვდება ზმნაში I პირის (პირდაპირი და ირიბი) ობიექტის აღმნიშვნელად. აქედან მ- პრეფიქსი ორსავე რიცხვში (გან-მ-აძლიერა მან მე. გან-მ-აძლიერ-ნ-ა მან ჩუენ, მაქუს მე იგი მ-აქუს ჩუენ იგი); ხოლო გუ- პრეფიქსი კი მხოლოდ მრავლობითში (გან-გუ-აძლიერ-ნ-ა მან ჩუენ; გუ-აქუს ჩუენ იგი).

ამ პარალელურ ფორმათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ცნობილია ის ფაქტი, რომ მ- და გუ- პრეფიქსები მრავლობითს რიცხვში დასმული I ობიექტური პირის აღნიშვნისას ძველ ქართულში ენაცვლება ერთმანეთს, ორი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლეოდა: 1. მათი ფუნქციები წარმოშობით სხვადასხვაა: კერძოდ, მათ ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ფუნქცია ეკისრებოდათ ზმნაში (1, გვ. 25, წმ. 3, გვ. 335 შწმ. 1; 4, გვ. 373—4; გვ. 185, § 224; 5, გვ. 223); 2. ისტორიულად ისინი ზინონიმური ფორმანტებია (როგორც I ობიექტური პირის აღმნიშვნელნი ზმნაში) და სხვადასხვა დიალექტური წრიდანა შემოსული სალიტერატურო ენაში (6, გვ. 114).

მეორე მოსაზრება დამტკიცებულია იმ წინამძღვრიდან ამოსვლით, რომ მრავლობითისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ერთია და, ამდენად, ინკლუზივის (გუ-) ფორმანტი, როგორც ამავე დროს მრავლობითის ნიშანი, არ შეიძლება თანაარსებობდეს მრავლობითის (-ენ>-ნ) სუფიქსთან ერთ ფორმაში. ხოლო რადგანაც გუ- პრეფიქსი სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობის -ნ სუფიქსთან ერთადაა წარმოდგენილი ზმნაში (გან-გუ-აახლ-ნ-ა), ამიტომ ძველ ქართულში იგი არ შეიძლება იყოს მრავლობითის ნიშანი. პრეფიქსი გუ-, ისევე როგორც მ-, I ობიექტური პირის გამოხატველი ფორმანტია როგორც სახელობითში დასმულ ობიექტიან ფორმებში (დაგუამდაბლნა მან ჩუენ), ასევე ნიცემითში დასმულ ობიექტთან (გუ-აქუს ჩუენ ნ, გვ. 100). ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ქართულში მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპი სუფიქსურია და გამოჩაყლის სწორედ მხოლოდ გუ- პრეფიქსი წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ამ მოსაზრებისათვის ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტი ისაა, რომ ძველ ქართულში გუ- პრეფიქსი მხოლოდითი რიცხვის I პირის ობიექტის გამოხატველად არასოდეს არ გვხვდება. იგი იხმარება მხოლოდ მრავლობითს რიცხვში დასმული ობიექტის აღსანიშნავად.

მაგრამ პირველი მოსაზრება განმტკიცებულ იქნა იმ ამოსავალი დებულებით, რომელიც გულისხმობს, რომ მრავლობითი რიცხვისა და ინკლუზივ-

<sup>1</sup> წაკითხულია მოხსენებად 1974 წ. მაისში ფილოლოგიის ფაკულტეტის XVII სამეცნიერო სესიაზე.





ექსკლუზივის კატეგორიები სხვადასხვაა და, ამდენად, ისინი ზინაში სხვა სხვა მორფემებით უნდა ყოფილიყო აღნიშნული. ნაშრომში „ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში“ (2, გვ. 233) სენური ენის მასალაზე დაყრდნობით ა. ონიანმა დასაბუთა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებს არ აყისრია მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია. მრავლობითის ფორმანტები სუფიქსებია, ხოლო პრეფიქსები — სულ სხვა, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამომხატველნია ზინაში (ხუ-პარი-დ — ლ-პარი-დ).

ასეთ შემთხვევაში გუ-პრეფიქსისა და მრავლობითის -ენ (-6) სუფიქსის თანაარსებობა ზინის ფორმაში წინააღმდეგობას აღარ შეიცავს და თითქმის მართლდება ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში მ-//გუ-პრეფიქსთა პარალელური ხმარება და მათი ურთიერთშენაცვლება I ობიექტურ პირში გადმონაშთია ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევისა ქართული ზინის პირიან ფორმებში. ამ მოსაზრების ავტორთა აზრით, გუ-პრეფიქსი უნდა ყოფილიყო ინკლუზივის აღმნიშვნელი, მ-კი ექსკლუზივისა. მაგალითად, ა. ონიანი წარმოგვიდგენს ვარაუდს, რომ „ძველ ქართულში დადასტურებული ფორმები (მაქუს ჩუენ და დამიდგინა ჩუენ) ექსკლუზივის ოდინდელი გამოხატვის ნაშთია, ხოლო მ-ფორმანტი ამ კატეგორიის ოდინდელი ნიშანი“ (2, გვ. 234), ასევე, გუ-პრეფიქსი — ინკლუზივის ოდინდელი ნიშანი. თუ დასახელებული მოსაზრება გამართლებულია გუ-პრეფიქსის მიმართ (რომელიც ინკლუზივის გამომხატველი უნდა ყოფილიყო ოდესღაც), იგი ვერ გავრცელდება მ-პრეფიქსზე, რომელიც აშკარად I ობიექტური პირის ნიშანია ზინაში და ვერ შეითავსება სხვა ფუნქციას (მით უფრო, ექსკლუზივისას, რომელიც მრავლობითის ვაგებას შეიცავს), თუ გავითვალისწინებთ ამოსავალში ქართული ზინის აგებულების აგლუტინაციურ პრინციპს (რაც დღესაც ძირითად პრინციპად რჩება).

ამის ნათელ საბუთს ისევ სვანური ზინა წარმოადგენს; მასში აგლუტინაციის პრინციპი ისტორიულად III სუბიექტურ პირშიც კი არის გატარებული (ა-ი — ლ-ი-ხ, სადაც ლ-\*ნ (1, გვ. 8).

უნდა ვიფიქროთ, რომ გუ-პრეფიქსის (როგორც ინკლუზივის გამომხატველი ფორმანტის) ცალი — ექსკლუზივის ფორმანტი უნდა ყოფილიყო არა მ-პრეფიქსი, რომელიც ძველ ქართულში გუ-პრეფიქსის პარალელურად იხმარება, არამედ სულ სხვა აფიქსი, რომლის კვალიც უკვე გამქრალია ძველ ქართულში. თუ სვანურის მონაცემებს მივხედავდით, სადაც ობიექტურს უღვლილებაში  $O_1 = \text{მ-}$ ,  $O_i = \text{გუ-}$ , ხოლო  $O_e = \text{ნ-}$ , მაშინ ქართულისათვის ობიექტური უღვლილებისას ეს სქემა ასევე წარმოგვიდგებოდა, ოღონდ  $\text{ნ-პრეფიქსის ადგილს უცნობი } x \text{ აფიქსი დაიჭერდა: } O_1 = \text{მ- } O_i = \text{გუ- } O_e = x$

მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის მოსაზრება, რომელიც ა. ონიანს აქვს განვითარებული სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმისა და მრავლობითი რიცხვის  $O_1$  და  $S_1$  პირთა ფორმების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.

<sup>2</sup> იგივე მოსაზრება დამოუკიდებლად გამოთქვა დ. ნინუამ სადისერტაციო ნაშრომში „ბრძანებითი კილო ქართულში“.

საქმე ისაა, რომ სევანურში ამ მხრივ განსხვავება სუბიექტურსა და ექსკლუზივის უღვლილებაში. I სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვისა და ექსკლუზივის ფორმები პრეფიქსებით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან (S<sub>ნ</sub>ხ.—ხტათური; Se — ხტათური-დ). ინკლუზივი კი ლ~ლგ — პრეფიქსითაა გამოხატული (Si ლ~ათური-დ).

განსხვავებით სუბიექტური უღვლილებისაგან, ობიექტურს უღვლილებაში I პირს თავისი ნიშანი აქვს — O<sub>1</sub> მ-; ინკლუზივის თავისი: O<sub>1</sub> გუ-; ექსკლუზივის კი თავისი — Oe 5-.

ამიტომ, ბუნებრივია, დაისვა კითხვა: ამოსავალი ვითარება სუბიექტურს უღვლილებაშია დაცული თუ ობიექტურში? ა. ონიანის აზრით, ამოსავალი ვითარება დაცული უნდა იყოს სუბიექტურს უღვლილებაში, ე. ი. იქ, სადაც S<sub>1</sub> და Se ფორმები ერთხვევია ერთმანეთს. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების პერიოდში მხოლოდობისაგან განსხვავებული ის ფორმა უნდა ყოფილიყო, რომელიც ორ პერსონალურ პირს აერთიანებდა (I და II). ექსკლუზივი კი, რომელიც I პირთან ერთად „არაპერსონალურ“ მესამე პირსაც შეიცავდა (ზოლო II-ს გამორიცხავდა), მხოლოდობითი რიცხვის ფორმასთან ისე მკვეთრად არ უნდა ყოფილიყო დაპირისპირებულიო (2, გვ. 230).

მაგარი ამ საკვებით ლოგიკური ვარაუდის საფუძველზე ავტორი სრულადად მოულოდნელად დაასკვნის, რომ „I ობიექტური პირის პრეფიქსი ისტორიულად ექსკლუზივის ნიშნადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებულიო“. ასეთი ნიშანი კი არის ყველა ქართველურს ენაში, ესაა მ-, რომელიც სევანურში ამჟამად მხოლოდ მხოლოდობის რიცხვშია დადასტურებულიო. ექსკლუზივის ნიშანი 5- პრეფიქსი, რომელსაც ქართველურ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, მეორეული ჩანს და მიღებული უნდა იყოს მ-სგანო.

საბოლოოდ, სევანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის ა. ონიანის მიერ წარმოდგენილი სქემა ასეთია:

სუბ. უღვლილება:

Si ხტ-  
Se ხტ-  
Si ლ-

ობ. უღვლილება

O<sub>1</sub> მ-  
Oe \*მ→5-  
O<sub>1</sub> გუ-

როგორც ვხედავთ, S<sub>1</sub> და Se გამოხატულია ერთი და იმავე პრეფიქსით (ხტ-); O<sub>1</sub> და Oe ამოსავალში გამოიხატება ერთი და იმავე (მ-) პრეფიქსით, დღეს კი მათი გამოხატულება სხვადასხვაა (O<sub>1</sub>-მ-; Oe-5-).

თუ ამგვარი სქემა სინქრონიულ ასპექტში გამოართლებულია (მას შემდეგ, რაც ობიექტურ უღვლილებაში O<sub>1</sub> და Oe-ის პრეფიქსები განსხვავდა და, ამგვარად, ექსკლუზივის თავისი საკუთარი ნიშანი გაუჩნდა, ამის მიხედვით შეიძლება სუბიექტურს უღვლილებაშიც ექსკლუზივის ნიშნად ხტ- პრეფიქსი ვიგულოთ, ე. ი. იგივე S<sub>1</sub> პირის პრეფიქსი), ამოსავალში ამგვარი სქემის დაშვება შეუძლებელია. O<sub>1</sub>-ის პრეფიქსი მ-, ისევე, როგორც S<sub>1</sub>-ის გ- (ხტ-) ისტორიულად (ამოსავალში) არ შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ექსკლუზივის ნიშნადაც (რომელსაც მრავლობითის გაგება უნდა ჰქონოდა), თუ გავითვალისწინებთ ქართული (/სევანური) ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის აგლუტინაციურ პრინციპს (ცნობილია, რომ ფლექსიური ტიპის გამოვლენის გამოჩაკლისი შემთხვევები ქართულ ზმნაში მეორეულია და ამოსავალში სტრუქტურული თვალსაზრისით აგლუტინაციურ ტიპს გვიჩვენებს. მხედველო-



ბაში გვაქვს სვანურში  $S_2$ -ის პრეფიქსული წესით გამოხატვის ვადმონაწილეობის თხევები, ქართულში  $S_2$  მრავლობითი რიცხვის სუფიქსები, რომელთაც დღეს პირის გამოხატვის ფუნქციაც აკისრიათ, დაბოლოს  $O_1$ -ის მრავლობითის გუპრეფიქსი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ისტორიულად ორი ფუნქციის მატარებელი არ ყოფილა).

ინკლუზივის ფორმაში I პირთან ერთად აღსანიშნი II პირიცაა. ინკლუზივის კატეგორია I პირთან ერთად აუცილებლად ჩაირიცხავს II პირსაც, III პირი კი შეიძლება იგულისხმებოდეს, შეიძლება არა. ექსკლუზივის ფორმა II პირს გამოირიცხავს, იგი I და III პირს გულისხმობს. ამგვარად, III პირის არსებობა ორივე ფორმაშია შესაძლებელი — ინკლუზიურშიც და ექსკლუზიურშიც. მნიშვნელობა ენიჭება იმას, არის თუ არა ჩაირიცხული II პირი. თუ არის — ამას გამოხატვა ესაჭიროება, თუ არ არის — არა. აქედან ცხადია, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია განსაკუთრებული აფიქსით II პირის აღნიშვნას მოითხოვდა მისი არსებობის შემთხვევაში (ინკლუზივი), მისი არარსებობის აღნიშვნა კი, ცხადია, საჭირო არ იყო (ექსკლუზივი).

აქედან ლოგიკურია დასკვნა, რომ ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივის კი არა.

ამგვარად, ისტორიულად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფორმა: ნიშნისანი — ინკლუზივისა და უნიშნო — ექსკლუზივისა. ეს უკანასკნელი, ცხადია, დამემთხვეოდა მხოლოდობითი რიცხვის ფორმას ორსავე უღვლილებში (ობიექტურშიც და სუბიექტურშიც).

სქემა შემდეგი სახისა იქნებოდა:

	ობ. უღვლილება		სუბ. უღვლილება
C1 მ-	Ci გუ- Ce Ø	Si ე-(ხტ)-	Si x (ლ) Se Ø.

რა პრინციპი უნდა დასდებოდა საფუძვლად ინკლუზივის კატეგორიის გამოხატვის წესს? პრინციპი მეტად მარტივი იყო: ფორმაში იგულისხმებოდა I და II პირი — ნიშნებიც ორივე პირისა იყო წარმოდგენილი (საქმე ეხება მხოლოდ ობიექტურს უღვლილებას: შემთხვევითი არ არის, რომ ქართულში სუბიექტურს უღვლილებში კვალიც კი არ არის დარჩენილი ამ კატეგორიის არსებობისა, მაშინ, როდესაც გუპრეფიქსი ობიექტურს უღვლილებში დღესაც ცოცხალია, თუმცა სხვა ფუნქციით). სქემა ასეთი იქნებოდა:  $O_1 > *გმ \rightarrow გუ$

სადაც გ-ს მომდევნო პოზიციაში, თავდაპირველად თანხმოვნების წინ (გმC) შემდეგ კი ანალოგიით ხმოვნების წინაც (გმV), მ გადადიოდა უმარცვლო უში (მღრ. ქმრევი  $\rightarrow$  ქურევი  $\rightarrow$  ქერევი)<sup>3</sup>.

ამგვარი დაშვება ლოგიკურად სავსებით გამართლებულია და ეს პიპოთეზა, როგორც ცნობილია, ადრევე იქნა გამოთქმული (1, გვ. 26), ოღონდ მის აღიარებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ სვანურში სუბიექტურს უღვლილებში ექსკლუზივის ნიშნად მიჩნეული ხტ-პრეფიქსი, რომელიც ზემოთ მიღებული წესის მიხედვით  $S_1 S_2$ -ს უნდა გულისხმობდეს, შედგენილობის მიხედვით  $S_2$  (b)  $S_1$  (უ) -ს შემცველი გამოდიოდა, რაც შინაარსის მიხედვით შეუძლებელია.

<sup>3</sup>  $O_2$  პირის ნიშნად სვანურში დღეს გ-ს არსებობა დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება, რადგანაც „მისი პირვანდელი სახე გ- უნდა ყოფილიყო“ (1, გვ. 26).



მაგრამ ისმის კითხვა: არის თუ არა სევანური ზმნის სუბ. უღვლილებების ექსკლუზივ-ინკლუზივის ფორმა ისეთივე აგებულებისა, როგორც ობიექტურს უღვლილებების? დღევანდელი სურათის მიხედვით ამას ვერ ვიტყვი: ინკლუზივის ნიშანი არის **ლ-**, ერთი ბგერა (რომელსაც ვერავითარი ლინგვისტური მანიპულაციით ვერ ჩავთვლით მიღებულად ორი პრეფიქსისაგან).

სუბიექტურს უღვლილებების, ვფიქრობთ, საქმე სულ სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. აქ არც ინკლუზივის ნიშანი არის შედგენილი ორი შესაბამისი ნიშნისაგან და არც ექსკლუზივის ნიშანი უნდა ჩაითვალოს ამგვარი წარმოშობისად. ლოგიკურად ორი დამეზბის შესაძლებლობა გვაქვს: ან ამ უღვლილებების ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია უფრო გვიანდელი ჩამოყალიბებულია, ვიდრე ობიექტურს უღვლილებების, და მაშინ ვასაგებია, რატომ არ დაედო საფუძვლად მის გამოხატვას ძველი წესი: კატეგორიას უკვე აბსტრაქტული გავება ჰქონდა და ნიშანიც აბსტრაქტული მიიღო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სევანურში ამ უღვლილებით დაიტვირთა უფუნქციოდ დაჩენილი **სა-**ის პრეფიქსი **ლ-**, მას შემდეგ, რაც **სა** გამოხატვა ზმნურ სისტემაში სუფიქსებს დაეკისრათ. ხოლო ექსკლუზივს კი, ისევე, როგორც ობიექტურს უღვლილებების, ნიშანი არ ჰქონდა. **ხუ-** პრეფიქსი, სადაც ძირითად ელემენტად უ მიაჩნიათ, **სა-**ის ნიშანია (1, გვ. 7). არ არის გამორიცხული, რომ **სა-**ის თავდაპირველი პრეფიქსის — **გ-**ს წინ **ხ** ფონეტიკურად იყოს განვითარებული (მდრ. ქვიშა, ღვინო). შემდეგ კი **ხ-**ს მომდევნო პოზიციაში **ე-უ** (მდრ. ძვ. ქართ. ხუყავ; შეხუბთ: შეეხაბ>შეხაბ>შეხუბ).

ამგვარად, სევანურში ექსკლუზივის ფორმის **ხუ-** არის არა ამ კატეგორიის ნიშანი, არამედ **სა-**ის ნიშანი (სადაც უ-ს წინ **ხ** განვითარებულია).

ამ დამეზბას მხარს უჭერს ის, რომ ქართულში სუბიექტურს უღვლილებების არავითარი კვალი არ ჩანს ამ კატეგორიის გარჩევისა მაშინ, როცა ობიექტურს უღვლილებების **მ-** და **გუ-** პრეფიქსთა პარალელური არსებობა ძველ ქართულში გვივარაუდებინებს ამ კატეგორიის ოდინდელ გარჩევას ზმნის ფორმაში (რასაც მხარს უჭერს სევანურის დღევანდელი ვითარებაც: **მ-** მხოლობითი რიცხვის **ო<sub>1</sub>**; **გუ-** ინკლუზივი).

ან ის დავარჩენია ვივარაუდოთ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბებისას სევანურ **სა** პრეფიქსს უკვე მიღებული ჰქონდა **ხუ-** კომპლექსის სახე და, ამგვარად, ინკლუზივის ნიშნად ველარ მიიღებდნენ **სა** **სა** (**გხ>ხგ>ხუ**) ნიშანთა კომბინაციას, რადგანაც ინკლუზივის ფორმა ასეთ შემთხვევაში დაემთხვეოდა **სა-**ისას და აქედან — ექსკლუზივის ფორმას. ამიტომ, ენაში ინკლუზივის გამოსახატავად გამოიძებნა სულ სხვა საშუალება, კერძოდ **ლ-** ნიშანი, რომელიც, სრულიად შესაძლებელია, წარმოშობით სწორედ **სა** პიარის ფუნქციონირებას პრეფიქსი იყო და ისევე განაგრძობდა არსებობას (უფუნქციოდ), როგორც ოდესღაც ქართულში **გუ-** პრეფიქსი (მანამ, სანამ ამ უკანასკნელს არ მოუსწრო ძვრებმა სინტაქსის სფეროში და მრავლობითის გამოხატვა არ დააკისრა).

ასეა თუ ისე, ობიექტური და სუბიექტური უღვლილება ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით სევანურში სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

## 1. ობიექტური უღვლილება:

	ძველი:	ახალი:
$Ci$ მ-	$Ci$ გუ-	$Ci$ გუ-
	$Ce$ $\emptyset$ ( $Ci$ მ-)	$Oe$ ნ-

## 2. სუბიექტური უღვლილება:

$Ci$ ხტ-	$Si$ ლ-	-დ
	$Se$ - $\emptyset$ - ( $Si$ ხტ-)	-დ

ისტორიულად არც ობიექტურს უღვლილებაში და არც სუბიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივს ნიშანი არ ჰქონდა. ამიტომ ობიექტურს უღვლილებაში იგი ემთხვეოდა მხოლოდითი რიცხვის ფორმას. სუბიექტურს უღვლილებაში კი ექსკლუზიური ფორმა არ ემთხვეოდა მხოლოდითისას (თუმცა  $S_1$  პრეფიქსი ხტ- ახლდა), რადგანაც მას ბოლოში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი ერთვოდა: ხტარი — ხტარიდ, რომელიც მას მხოლოდითისაგან განასხვავებდა, მეორე მხრივ კი იგი ინკლუზივის ფორმისაგან განასხვავებდა  $S_1$  პრეფიქსის გამო: ხტარიდ ლარიდ. შესაძლებელია. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ფორმის განსხვავება მხოლოდითისაგან (მი მა ყ ა ნა მ ა ყ ა). მორფოლოგიურმა საჭიროებამ გზა გაუხსნა შესაძლებელი ფონეტიკური პროცესების ვანზორციელებას: როგორც ალ. ონიანი უშეგბს, ობიექტურს უღვლილებაში მხოლოდითისაგან ექსკლუზივის ფორმის განსხვავება უნდა მომხდარიყო მას ნაში გადასვლის გზით. ამის მიზეზი კი უნდა ყოფილიყო მრავლობითი რიცხვის ნა ნაცეალსახელი, რომელიც აუცილებელი თანამდევით იქნებოდა მრავლობითი რიცხვის გაგებით ნახმარი რომელიმე მაყა ფორმისა (რომელიც მხოლოდითი რიცხვის ფორმას ემთხვეოდა, რადგანაც მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნებოდა).

მეორე გარემოება, რომელსაც  $m > n$  გადასვლაზე შეეძლო ემოქმედა, ეს მისი მხოლოდითის წყვილთან (მი მაყა) ტიპოლოგიური დამსგავსების, ანალოგიის გავლენა უნდა ყოფილიყო ნა მ ა ყ ა > ნა ნ ა ყ ა (გ. მაჭავარიანი).

ასე განსხვავდა ობიექტურს უღვლილებაში მხოლოდითის ფორმისაგან ექსკლუზივის ფორმა ზემოსვანურში. ქვემოსვანურში, როგორც ცნობილია, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია არ არსებობს. თუ ვივლულისხმებთ, რომ იქ ეს კატეგორია არსებობდა და მოიშალა, ამისათვის ხელი იმას უნდა შეეწყო, რომ იქ, როგორც ჩანს, ექსკლუზივის ფორმაში არ მომხდარა  $m > n$  გადასვლა, ე. ი. არ მომხდარა ექსკლუზივის ფორმის მხოლოდითისაგან განსხვავება, ხოლო, რადგანაც არ არსებობდა ინკლუზივთან მკვეთრად დაპირისპირებული ექსკლუზივის ფორმა (ეს უკანასკნელი მთლიანად ემთხვეოდა მხოლოდითის ფორმას), აზრობრივი დაპირისპირებაც თანდათან მოიშალა. ამიტომ გახდა შესაძლებელი ამ პროცესზე გავლენა მოეხდინა ქართულს.

ამგვარად, ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის კატეგორიის ნიშნით გაფორმება მეორეული მოვლენაა. სუბიექტურს უღვლილებაში კი დაცულია ამოსავალი ვითარება: ექსკლუზივის ნიშანი არა აქვს, მაგრამ სვანურში იგი ფორმით მაინც განსხვავდება მხოლოდითის ფორმისაგან მრავლობითი რიცხვის სუფიქსით:  $S_1$  — ხტაში,  $S_1$  — ლაშიდ  $Se$  — ხტაშიდ.

თუ ზემოთქმულს თავს მოვეყრით, შეიძლება დავასკვნათ:

1. გუ- პრეფიქსი, ისტორიულად ინკლუზივის ნიშანი,  $O_2 + O_1$  პრეფიქსთა კომბინაციითაა შედგენილი:  $g^m > g^t$ .

2. ექსკლუზივის ნიშანი ისტორიულად არ ჰქონია, რადგანაც განსაკუთრებული აფიქსის მხოლოდ II პირის არსებობის აღნიშვნა საჭიროებდა. ობიექტურს უღვლილებაში (სევანურში მხოლოდითის ფორმისაგან განსხვავების საჭიროებამ გზა გაუხსნა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას: ნაი მაყა-ნაი ნაყა და, ამგვარად, სევანურში ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ნიშნად საბოლოოდ გაფორმდა ნ- პრეფიქსი.

3. სევანურში სუბიექტურს უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევა შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. ამიტომ მისი გამოხატვის წესს არ დასდებია საფუძვლად ორი პირის ნიშნის კომბინაცია. ინკლუზივი საგანგებო ლ- პრეფიქსითაა აღნიშნული, რომელიც შესაძლებელია ისტორიულად სავ პრეფიქსს დაეუკავშიროთ. ექსკლუზივის კი აქაც არა აქვს ნიშანი.

4. ქართულში, როგორც ჩანს, სუბიექტურს უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირების გაჩენამდე ეს კატეგორია ობიექტურმა უღვლილებაშიც დაკარგა, განსხვავებით ზემოსევანურისაგან, სადაც ეს კატეგორია კიდევ უფრო გაძლიერდა და სუბიექტურს უღვლილებაშიც მოხდა ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმალური გარჩევა.

5. ქვემო სევანურში, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ექსკლუზივის ფორმა არ დაპირისპირებია ერთი მხრივ — მხოლოდითისა და მეორე მხრივ — ინკლუზივის ფორმას, ე. ი. არ მიეცა გასაქანი ზემოთ დამახვლებულ ფონეტიკურ პროცესს (ნაი მაყა — ნაი ნაყა). ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება აღარც სუბიექტურს უღვლილებაში მოხდა. შემდგომ კი ქართულის გავლენით ეს დაპირისპირება ობიექტურს უღვლილებაშიც შესუსტდა და საბოლოოდ მოიშალა.

6. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის სქემა ისტორიულად ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

ობიექტურს უღვლილებაში სევანურში

Oi მ- Ci გუ<გმ  
Ce ნ-<იმ-><Ø

ქართულში

Oi მ- Oi გუ<გმ  
Ce Ø

სუბიექტურს უღვლილებაში სევანურში

Oi ხტ- Ci ლ-(დ)  
Ce Ø-(დ)

ქართულში სუბიექტურს უღვლილებაში ამგვარი დაპირისპირება არ განვითარებულა.

#### დამოწმებული ლიტერატურა

1. თოფურია ე., სევანური ენა. ზნა. ობილსი, 1967.
2. თნიანი ალ., ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, „მაინე“, 1965, № 1.
3. შანიძე ა., ქართული ზნის საქეცი, თსუ მოამბე, ტ. VI, 1926.
4. შანიძე ა., ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის I პირისა სევანურში, „წელიწადული“, 1923—24.
5. შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, ობილსი, 1953, გვ. 185, § 224.
6. ჩიქობავა არნ., მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზნის უღვლილების სისტემაში, იფე, ტ. I, 1946.

დ. ი. მელიქიშვილი

## ОБ ИСТОРИИ ВЫРАЖЕНИЯ КАТЕГОРИИ ИНКЛЮЗИВА- ЭКСКЛЮЗИВА В ГРУЗИНСКОМ ГЛАГОЛЕ

Резюме

Автор статьи, принимая предположение о первичности системы инклюзива-эксклюзива в пракартвельском глаголе, считает, что в основе показателя инклюзива лежит материальное выражение  $O_1$  и  $O_2$  лиц:  $gm- \rightarrow gu-$  ( $gm- \rightarrow gu-$ ). В специальном показателе нуждалось значение, содержащее  $O_2$  лицо. Что же касается эксклюзива, он исключал  $O_2$  лицо, следовательно, не имел особого показателя.

Формантом эксклюзива невозможно считать префикс  $m-$  ( $m-$ ), который является показателем  $O_1$  лица. По принципу аглютинации, господствующему как в общекартвельском глаголе, так и в глаголе современных картвельских языков, он не мог совместить функцию эксклюзива, содержащего понятие множественности.

В сванском языке показатель эксклюзива  $n-$  ( $n-$ ) (в объектном спряжении) вторичного происхождения (предполагается процесс типологической аналогии:  $O_1$   $b\check{z}a$   $m\check{y}a \rightarrow Oe$   $b\check{z}a$   $n\check{y}a$ : Г. Мачавариани, А. Ониани).

Что же касается субъектного спряжения, там форма эксклюзива и по сей день не имеет особого показателя и отличается от формы  $S_1$  лица лишь суффиксом множественного числа  $-d$  ( $-d$ ). Префикс  $h\check{t}$  ( $xu$ ) является показателем  $S_1$  лица и только.

В грузинском языке система инклюзива-эксклюзива в объектном спряжении, вероятно, исчезла прежде, чем успела развиться в субъектном спряжении, чему, должно быть, способствовало то, что она не имела противоположной формы в виде эксклюзива (она совпадала с формой ед. ч.  $O_1$  лица).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

მ ა ყ ვ ა ლ ა მ ი მ ა ლ ა მ ი

## მეტყველების ნაწილები ნასესხობათა თვალსაზრისით

(ბაცბურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)

ნასესხები სიტყვების რაოდენობრივ შეფარდებას მსესხებელი ენის სიტყვებთან მეტყველების ნაწილთა მიხედვით, ანუ მეტყველების ნაწილთა ლიაობის საკითხს, თანამედროვე ლიტერატურაში საგანგებო ყურადღება ეთმობა. ამ მხრივ საინტერესო მასალას წარმოგვიჩენს ბაცბურ-ქართული ორენოვანი სიტუაცია.

ბაცბურ ენაში გვხვდება ლექსიკურ ნასესხობათა ორგვარი წყება: ერთი მხრივ, გვაქვს ნასესხები სიტყვები, რომელნიც სათანადო საგანთა და მოვლენათა ერთადერთ აღმნიშვნელს წარმოადგენენ, მეორე მხრივ კი ისეთი ნასესხები სიტყვები, რომელნიც იმავე მნიშვნელობის ბაცბურ სიტყვათა პარალელურად ისმარებიან. პარალელურად ნახშირი უცხო სიტყვები თანდათან იმდენად იფართოვებს გამოყენების არეს, რომ მათი გავლენით იკარგება ბაცბური ენის სათანადო ლექსიკური ერთეულები. ისე რომ, პირველი სახის ნასესხობანი უკვე დამკვიდრებულია ენაში, მეორენი კი დამკვიდრების გზაზე დგანან.

ბაცბური ენის ლექსიკურ ფონდში უკვე საგრძნობია ორივე სახის ნასესხობათა ხვედრითი წონა. ნ. ქადაგიძის „ბაცბური ენის ლექსიკონში“ შესული 5808 სიტყვიდან 2143 ნასესხებია ქართულიდან ან ქართულის გზით. დარჩენილი 3665 ბაცბური სიტყვიდან 2575 ერთეულმა უკვე შეიძინა ქართული ლექსიკური პარალელი. ნასესხობათა აღნიშნული ორი ფენა ორენოვნების სხვადასხვა დონეს ასახავს, ამიტომ მათი განხილვა მეტყველების ნაწილების მიხედვით და მიღებული მონაცემების ერთმანეთთან შედარება საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მეტყველების ნაწილთა ლიაობის შესახებ ორი ენობრივი კოლექტივის ურთიერთობის სხვადასხვა საფეხურზე.

საანალიზოდ გამოვიყენეთ ნ. ქადაგიძის „ბაცბური ენის ლექსიკონი“<sup>1</sup>. მასში შესული ლექსიკური მასალა დავყავით საკუთრივ ბაცბური წარმომავლობისა და ნასესხები სიტყვების ფენებად; სიტყვათა თითოეული ფენა დავაჯგუფეთ მეტყველების ნაწილების მიხედვით და შევადგინეთ ორგვარი ცხრილი. პირველ ცხრილში თითოეული მეტყველების ნაწილის მიხედვით ერთმანეთს შევადარეთ ლექსიკონში შესულ ქართულ და ბაცბურ სიტყვათა რიცხობრივი მონაცემები და გამოვთვალეთ ნასესხობათა პროცენტული შეფარდება საკვლევი მეტყველების ნაწილის სიტყვათა საერთო (ბაცბურ-ქართულ) რაოდენობასთან; მეორე ცხრილში ისევ მეტყველების ნაწილთა მიხედვით ბაცბური სიტყვების გვერდით აღვრიცხეთ მათივე ქართული ლექსიკური პარალელიზმები და გამოვთვალეთ ამ უკანასკნელთა პროცენტული შეფარდება ბაცბურ მასალასთან. ეს პარალელიზმები ნ. ქადაგიძის „ბაცბური ენის ლექსიკონში“

<sup>1</sup> ლექსიკონი ზელნაფრია, შედგენილია 1940 წელს და იწახება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიურ ენათა განყოფილებაში.





მოყვანილი არაა. ჩვენ ისინი მოვიპოვეთ საშუალო ასაკის (40—50 წლის) რამდენიმე ცდის პირის მეშვეობით. ზემოაღნიშნული გამოთვლების დროს შორისდებულები არ გავვითვალისწინებია, რადგან, როგორც ცნობილია, აქ რთულია საკუთარისა და ნასესხების რამდენადმე სრული გამიჯვნა.

მიღებული ორი ცხრილით საშუალება მოგვეცა, ერთმანეთისათვის შეგვედარებინა მეტყველების ნაწილთა ლიაობის ხარისხი ორენოვნების სხვადასხვა საფეხურზე: პირველი ცხრილი ენაში უკვე დამკვიდრებულ ნასესხობებს ემყარება და განვილლ პერიოდს ასახავს, მეორე ცხრილში გათვალისწინებული უცხო სიტყვები კი ჯერ მხოლოდ პარალელისშემების უფლებით სარგებლობს და უახლეს ვითარებას გვიჩვენებს.

1-ლი ცხრილის მიხედვით ირკვევა, რომ ორენოვნების განვილლ საფეხურზე ბაცებურში ნასესხობათა მიმართ მაქსიმალური ლიაობით ხასიათდებოდა არსებითი სახელები. ნასესხები არსებითი სახელების პროცენტულმა შეფარდება ბაცებურ ენაში ხმარებულ არსებითთა საერთო რაოდენობასთან 65,3% შეადგინა. გაცილებით უფრო ნაკლები ლიაობა ახასიათებდა ზედსართავს (14%), რიცხვით სახელს (22%), ზმნას (19%), ზმნიზედას (6%) კავშირს (22%), ნაწილას (21%). რაც შეეხება ნაცვალსახელსა და თანდებულს, ისინი სესხების პროცენტისათვის მთლიანად ჩაკეტილ სისტემას ქმნიდნენ.

როგორც ცნობილია, რიცხობრივად ლექსიკონებში არსებითთან ერთად ყველაზე დიდი ადგილი ზმნას უკავია. მოსალოდნელი იყო, რომ ნასესხობათა მარჯვენა მხარის მიხედვითაც ზმნა კვლავ არსებითის გვერდით აღმოჩნდებოდა. სინამდვილეში მდგომარეობა საპირისპიროა: გვაქვს 19% ნასესხები ზმნა 65% ნასესხები არსებითის გვერდით. ბაცებური ენის ზმნური ლექსიკა ქართულისაგან მკვეთრად განსხვავებული აგებულების გამო ძნელად იგუებდა სესხებას. ზმნის სესხების შემთხვევაში საჭირო ხდებოდა მთელი რიგი მორფოლოგიურ-ფონოლოგიური გარდაქმნები, რათა ახალ ლექსებებს შესძლებოდა თავისუფლად ჩაბმულიყო ბაცებური უღვლილების რთულსა და მკაცრად კოდირებულ სისტემაში. ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ნასესხები ზმნის ძირი, რომელსაც ბაცებურში ფუძედ გადააქცევს მეშველი ზმნის ღართვა, აუცილებლად უნდა გაერთმარცვლიანებულიყო; გარდა ამისა ანგარიში ეწეოდა მთელი რიგ აკრძალვებს ძირისეული თანხმონების თანამიმდევრობაში; იმის გამო, რომ გარკვეული მორფოლოგიური ფუნქციით იტვირთებოდა ძირის კუთვნილი ხმოვანი, ის აუცილებლად ა-ს სახით უნდა რეალიზებულიყო. დასახელებულ მოთხოვნათა დაცვით ყველაზე ადრე ნასესხებმა ზმნურმა ფუძეებმა წმენდა, ცდა, არჩევა — მიიღო ასეთი სახე: წამ-დარ, ცად-დარ, ჩავ-არ-დარ, სადაც დარ მეშველი ზმნაა, არ მანამავებელი ელემენტი, დანარჩენი კი ძირი. მანამავებელი ელემენტი არ ძირითადად ნასახელარ ზმნებში იხმარება და მისი წარმოჩენა ამჯერად თვითონ ქართული ენის ამოსავალი ფორმის ბგერითი ანალოგიით უნდა აიხსნებოდეს. მიღებული ფორმები, როგორც ვხედავთ, აღარ ჰკავს ამოსავალს და აღარც მათი ეტიმოლოგიური კავშირი იგრძნობა სათანადო ქართულ ფუძეებთან.

გარდაქმნათა ეს სირთულე იყო მიზეზი, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ბაცებური ურთიერთობის მანძილზე დიდხანს, თითქმის დღემდე, ზმნა დაუმორჩილებელ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა ლექსიკური გავლენისათვის. ზმნის მაგალითზე ნათლად იჩინა თავი იმ გარემოებამ, რომ „რაც უფრო“

ცხრილი 1

		ბაცბური სიტყვები	ნასესხები სიტყვები	საერთო რაოდენობა	ნასესხობათა % - ული შეფარდება სიტყვათა საუ- თო რაოდენო- ბასთან
1	არსებითი სახელი	824	1556	2380	65,3%
2	ზედსართავი სახელი	628	106	734	14,1%
3	რიცხვითი სახელი	38	11	49	22,4%
4	ნაცვალ-სახელი	49	—	49	0
5	ზმნა	1859	448	2305	19,2%
6	ზმნიზედა	224	14	238	6%
7	თანდებული	14	—	14	0
8	კავშირი	7	2	9	22%
9	ნაწილაკი	22	6	28	21%

ცხრილი 2

		ბაცბური სიტყვები	ქართული პარალელიზ- მები	პარალელიზმების %-ული შეფარდება ბაცბურ სიტყვე- ბთან
1	არსებითი სახელი	824	545	66,1%
2	ზედსართავი სახელი	628	448	71,7%
3	რიცხვითი სახელი	38	2	5,2%
4	ნაცვალ-სახელი	49	1	2,04%
5	ზმნა	1859	1459	78,5%
6	ზმნიზედა	224	85	38,03%
7	თანდებული	14	1	7%
8	კავშირი	7	3	42,7%
9	ნაწილაკი	22	5	22,7%

„შეკრულია“, შემოფარგლულია სისტემებრივად ენის ესა თუ ის რგოლი, მით უფრო ძნელია გარეშე ვლემენტების შეღწევა მასში“<sup>2</sup>.

უღლების სისტემასთან შედარებით ბრუნების სისტემა უფრო მარტივია ბაცბურში და სახელთა ბგერითი აგებულებაც არ არის ისე მკაცრად რეგლამენტირებული, როგორც ზმნებისა. სწორედ ამიტომ ადრე დათმო სესხების საკითხში პოზიციები არსებითებმა და გვიან — ზმნებმა.

ზედსართავებსა და ზმნიზედებს არსებით სახელთაგან ძირზე დართული საგანგებო მუშარმოებელი გამოარჩევდა: პირველისათვის ესაა ნაზალური ხმოვანი, მეორისათვის კი — თანხმოვანი შ. როგორც ვხედავთ, აქაც გარკვეული გარდაქმნები იყო საჭირო, რომ ნასესხები ზედსართავი სახელი ან ზმნიზედა ბუნებრივად შეხამებოდა ახალ ენობრივ სისტემას. ამიტომაც, რომ ისინიც არსებითებზე უფრო გვიან დაეჭვმდებარნენ უცხო ენის ლექსიკურ გავლენას, გვიან დაიწყეს ქართულ ნასესხობათა შეგუება.

ორენოვნების განხილულ საფეხურზე მთლიანად ჩაკეტილი სისტემის წევრებს წარმოადგენს თანდებული და ნაცვალსახელი. ლექსიკური გავლენისადმი თანდებულის ასეთი მდგრადობა წინადადებაში მისი განსაკუთრებული როლით უნდა აიხსნებოდეს: როგორც ქართულში, ისევე ბაცბურში თანდებული სიტყვებს შორის სინტაქსური კავშირის დამყარების ერთ-ერთი ფართოდ გა-

<sup>2</sup> ბ. ფ. ჩ. ხ. უ. ა. ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974, გვ. 343.



რცელბული საშუალებაა. სრულმნიშვნელოვან სიტყვებთან შედარებით, გარდა თანდებულისა, ყურადღებას იქცევს სხვა არასრულმნიშვნელოვანი სიტყვების შეზღუდული ღიაობა. ჩანს, სრულმნიშვნელოვანი სიტყვები როგორც გამოყენების მხრივ, ისე სესხების საკითხშიც მეტი დამოუკიდებლობით სარგობდება: გაცილებით ადვილია მათი მოწყვეტა უცხო კონტექსტიდან და ჩართვა ახალში, მაშინ როდესაც არასრულმნიშვნელოვანი სიტყვები თითქოს უფრო ღრმად არის ჩართული მშობლიური ენის სინტაქსურ ქსოვილში და ქმნის გარკვეულ კონსტრუქციებს, საიდანაც მათი ამოღება შედარებით უფრო ძნელია; გარკვეულ ენობრივ ანალიზთან არის აგრეთვე დაკავშირებული არასრულმნიშვნელოვანი სიტყვების ჩართვა მსესხებელი ენის სინტაქსურ კონსტრუქციებში. ამ მხრივ, როგორც ცნობილია, თანდებულს უკიდურესი პოზიცია უკავია.

რაც შეეხება ნაცვალსახელს, როგორც ნასესხობათა მიმართ აბსოლუტურად ჩაეტილი სისტემის წევრს, ასეთი შეუვალაობა ყოველდღიურ სიტყვათხმარებაში მისი გამოყენების განსაკუთრებული სისშირით უნდა ავხსნათ. მხოლოდ ამ მიზეზს შეეძლო ნაცვალსახელის, როგორც სრულმნიშვნელოვანი სიტყვის, ასე დიდხანს და ასე საიმედოდ დაცვა ქართული ენის ლექსიკური პარალელულობისაგან. თუ რიგი დღეების მანძილზე აღვრიცხავდით ერთისა და იმავე ინდივიდის მიერ ნახმად სიტყვებს, ალბათ, თავისი სისშირით მათ შორის პირველ ადგილს სწორედ ნაცვალსახელები დაიჭერდა.

სესხების საკითხში რამდენადმე თავისებურ ვითარებას წარმოგვიდგენს რიცხვითი სახელები. თუ პირველი ცხრილის მონაცემებს წინასწარ შევადარებთ მე-2 ცხრილის მონაცემებთან, დავინახავთ, რომ ყველა სხვა მეტყველებლის ნაწილმა დროთა სვლაში ღიაობის ხარისხის პროცენტული ზრდა გვიჩვენა: აქ კი მდგომარეობა შებრუნებულია: გვაქვს მკვეთრი კლება 22%-დან 2%-მდე. რით ავხსნათ ეს გამონაკლისი?

ჩვენ მიერ გამოქვეყნებული ლექსიკონის შედგენამდე ერთი საუკუნის წინათ ი. ცისკარიშვილის (ციცკაროვის) მიერ დაწერილი „წოვა თუშური ენის მოკლე გრამატიკის“ საილუსტრაციო მასალაზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, ვავითვალისწინოთ ის რიცხვითი სახელები, რომლებიც აღარ შევიდა ლექსიკონში და დაკარგულად ითვლება<sup>3</sup>. ისევე როგორც ქართულში, თვლის სისტემა ბაცბურ ენაშიც ათობით-ოცობითა და შეიცავს მარტივსა და რთულ რიცხვით სახელებს. იმის გამო, რომ ქართულში ეს ოცობითობა მხოლოდ 100-ის ფარგლებში ხორციელდება, ხოლო ბაცბურში ეს სისტემა გრძელდება ასს ზევითაც, ბოლომდე, მივიღეთ მეტად რთული წყობის, ძნელად გასაანხრებელი რიცხვითი სახელები, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე საფეხურიან მათემატიკურ მოქმედებას შეიცავენ. მაგალითად, გვაქვს:

ა) მარტივი რიცხვითი სახელები: ცჰაა—ერთი, ში—ორი, კო—სამი, იტა—ათი, ტყა—ოცი.

ბ) ერთსაფეხურიანი მათემატიკური მოქმედების შემკველი რთული რიცხვები: ცჰააიტა—ათერთი (11); შიიტა—ათორი (12); კოიტა—ათსამი (13), ფხაუზტყ—ხუთჯერ ოცი(100); იწატყ—ათჯერ ოცი (200), ფხიწატყ—ხუთმეტჯერ ოცი (300); ტყაუზტყ—ოცჯერ ოცი (400).

<sup>3</sup> გრამატიკა ხელნაწერია, ინახება ლენინგრადში — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

გ) მრავალსაფეხურიანი მათემატიკური მოქმედების შემცველი რთული რიცხვითები: შაწტყაუზტყა ფხაუზტყა — ორჯერ ოცჯერ ოცი და ხუთჯერ ოცი (900); შაწტყაუზტყა იწატყა — ორჯერ ოცჯერ ოციდა ათჯერ ოცი (1000). ასეთი სისტემით, მაგალითად, რიცხვი 1977 ასე უნდა გადმოგვეცა: დმიეწ ტყაუზტყა იწატყა კოუზტყა ვორლეიტყა — ოთხჯერ ოცჯერ ოცი და ათჯერ ოცი და სამოცი და ჩვიდმეტცი.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს გადაჭარბებული სირთულე იყო მიზეზი, რომ მალე დაივიწყეს ბაცებმა მშობლიური ენის თვლის სისტემა და თითქმის მთლიანად ქართულ სისტემაზე გადავიდნენ; დღემდე საკუთარი შემორჩა ყველა მარტივი და რამდენიმე ადვილად გასააზრებელი რთული რიცხვითი სახელი. ისე რომ, როგორც კი საქმე მარტივ რიცხვით სახელებამდე მივიდა, ეს მეტყველების ნაწილი უცხო ენობრივი გავლენისათვის თითქმის მთლიანად ჩაექტილ სისტემად იქცა. ის ისევე, როგორც ნაცვალსახელი, ახლა უკვე გამოყენების სისწორის გამო არ იკარგება. კონსტრუქციის სირთულე ზმნასთან დაკავშირებით სიტყვათა შენახვის კრიტერიუმად გამოვაცხადეთ, აქ, კი, პირიქით, დაკარგვის მიზეზად მიგვაჩნია: პირველ შემთხვევაში სიტყვის სირთულეში მის გრამატიკულ წყობას ვვარაუდობთ, აქ კი საკითხი შინაარსის სირთულეს ეხება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ენობრივი კონტაქტის განხილულ საფეხურზე ამა თუ იმ მეტყველების ნაწილზე უცხო ენის ლექსიკურ გავლენას რამდენიმე მიზეზი აბრკოლებდა: 1. სიტყვის ფონოლოგიური სტრუქტურა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისსავე მორფოლოგიურ აგებულებასთან; 2. სიტყვათა როლი სინტაქსურ კონსტრუქციებში და 3. მოხმარების სისწორე.

ცხრილების შედარება გვიჩვენებს, რომ მეტყველების ნაწილთა ლიოზის საკითხში დღეისათვის მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. საგულისხმოა, რომ მაქსიმალური ლიოზით ახლა ხასიათდება არა არსებითი სახელი, არამედ ზმნა. ქართული ენის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად, როგორც ხედავთ, ამ მეტყველების ნაწილმაც დათმო პოზიციები: ბაცბური ენის ზმნათა ძირების ერთმარცვლიანი მოდლების გვერდით შემუშავდა მრავალმარცვლიანი მოდლები ნასესხები ზმნური ძირებისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა უამრავი ზმნური სინონიმური პარალელის გაჩენა. ზმნურ ძირთა სასესხებლად შექმნილი მოდელი იცვლებოდა უცხო ენობრივი გავლენის სტადიების მიხედვით. დღეს მოქმედი მოდელი, ბუნებრივია, სხვაგვარად შედარებით ყველაზე მარტივია და ითვალისწინებს შემდეგი სახის გარდაქმნებს:

ა) ქართული ზმნური საწყისის მთლიანი ფუძე გააზრებულია, როგორც ძირი ბაცბური ზმნისათვის და მას მეშველი ზმნა დარ უნდა დაერთოს: ქართ. წერა — ბაცბ. წერა დარ, გადასხმა — გადასხმადარ...

ბ) ორზემეტმარცვლიან ფუძეებში იკუმშება -ებ თემისნიშნისეულ ხმოვანი: ყვედრება — ყვედრბადარ, გათერთება — გათერთბადარ...

გ) -ავ თემისნიშნისანი ზმნების -ვა დაბოლოება არაბაგისმიერთა მეზობლობაში ო ხმოვნით იცვლება: კითხვა — კითხოდარ, აკინძვა — აკინძოდარ...

როგორც ვხედავთ, წინა საფეხურის ვითარებასთან შედარებით ზმნათა სესხების საკითხში მდგომარეობა გამარტივდა: ჯერ ერთი, ზმნათა სესხებისათვის აღარაა საჭირო ძირის რთული მორფოლოგიურ-ფენოლოგიური გარდაქმნები; მეორეც, შენარჩუნებულია ნასესხები სიტყვების ეტიმოლოგიური კავშირი ქართული ენის შესაბამის წევრებთან. მზა, მარტივი ყალიბი საშუალებას



იძლევა ქართული პარალელი გაუჩნდეს ბაცებურში ხმარებულ თითქმის ხე-ბისმიერ ზმნას. ამ პროცესიდან ჯერჯერობით გამონაკლისს ქმნის ხშირად ხმარებული ლექსემები, როგორცაა, მაგალითად: ალ<sup>1</sup>არ — ჭამა, მალ<sup>2</sup>არ — სმა, დათხარ — ტირილი, დელარ — სიცილი, დიშარ — წოლა, ხეჯარ — ჯღომა, თოპარ — ძილი, ჰაწამდლარ — გავიძება, დათხარ — შეწვა, თივარ — დასვენება, დექარ — დაძახება, ატარ — გაჩუნება, დაჯდარ — გაზრდა, ჰექარ — ყურება... ჩანს, ლექსიკური გავლენის წინააღმდეგ გამოყენების სიხშირეს მეტი ძალა ჰქონია, ვიდრე სიტყვის კონსტრუქციულ სირთულეს.

ლიაობის მხრივ პროცენტული სიდიდე მიემატა თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს. ზმნის შემდეგ ყველაზე დიდი ძეგრა ამ მხრივ ზედსართავმა სახელმა განიცადა. მისი ლიაობის ხარისხი დღეისათვის 14-დან 71 პროცენტამდე გაიზარდა. სესხების პროცესში ქართულ ზედსართავ სახელთა ერთგვარი დაჯგუფება მოხდა: ქართული -იან, -ოსან, ოვან სუფიქსიანი ზედსართავები, რომელნიც დაბოლოებით ბაცებური ენის ნაზალური ხმოვნით დამთავრებულ ზედსართავებს ემსგავსებიან, დღეს თითქმის უცვლელად და თავისუფლად გადადის ამ ენაში. ქართული ზედსართავული -ურ (-ულ) დაბოლოება ბაცებურში უკვე ისესხა<sup>3</sup>. ჩვენი დაკვირვებით, ნასესხებია აგრეთვე უ — ო თავსართ-ბოლოსართიც<sup>4</sup>. ამიტომ აღნიშნული დაბოლოებები ქართული ზედსართავებისა ბაცებურის თვალსაზრისით უკვე ბუნებრივად იქცა. რაც შეეხება ქართული ენის სხვაგვარად დაბოლოებულ ზედსართავებს (მალა-ი, წითელი-ი...), მათი სესხება ჯერჯერობით ნაკლებად ხდება. გარდა დაბოლოებებისა, ქართულიდან სესხებას აძნელებს სათანადო ბაცებური სიტყვების გამოყენების სიხშირე.

არსებით სახელთა სესხებისას ასეთი მკვეთრი ნახტომის გაკეთება ენას აღარ შეეძლო, რადგან უკვე დიდი იყო ნასესხობათა რიცხვი; ლიაობის ხარისხის მატებამ აქ მხოლოდ ერთი პროცენტი შეადგინა, მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკური პარალელების გარეშე მხოლოდ თავისებური წარმოშობისა და შინაარსის აბსტრაქტული სახელები (მაგ.: ღაზნა, ლაქნა, ალ<sup>1</sup>ნო...) და ხშირად გამოყენებული ლექსემები დარჩა.

მცირე ცვლილება შეეხო რიცხვით სახელსაც, უცვლელი კვლავ მხოლოდ ნაცვალსახელი და თანდებულია. პირველს ისევ გამოყენების სიხშირე იცავს, მეორეს კი განსაკუთრებული როლი სინტაქსურ კონსტრუქციებში.

ამრიგად, სესხების პროცესის შემადგერჩებელი ზემოთ დასახელებული სამი ფაქტორიდან დღეისათვის ერთი თითქმის მთლიანად მოიხსნა, მოქმედებას განაგრძობს მხოლოდ ორი: მოხმარების სიხშირე და სიტყვათა როლი სინტაქსურ კონსტრუქციებში.

სესხების თვალსაზრისით ბაცებური ენის უახლოესი მომავლის გასათვალისწინებლად საინტერესო მასალას იძლევა ახალგაზრდა (15—20 წლის ასაკის) ბაცებთა მეტყველებაზე დაკვირვება: აქ შობოლიური ენის სიტყვებისათვის უცხო ენის პარალელიზმების შექმნის ტენდენცია უჩნდებათ ნაცვალსახელებსაც და თანდებულებსაც. მაგალითები ასეთი სესხებისა ჯერჯერობით მხო-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. Ю. Дешериев, Бибийский язык, М., 1953, გვ. 10.

<sup>2</sup> უ — ო თავსართ-ბოლოსართი, გარდა ნასესხები სიტყვებისა, გვხვდება შემდეგ ბაცებურ სიტყვებში: უ-ტოტო-ო უხელო, ხელგაიოუელი, უშნო, უ-ხაშრო-ო უუნარო.

ლოდ თითო დავადასტურეთ: ნაცვალსახელებიდან პარალელურად იხმარება ცული ყოფაქცევის ადამიანის აღმნიშვნელი ბაცბური ო შ ტ მ ა შ ტ რ უ ნ და ქართული ი მ ნ ა ი რ (ი); თანდებულებიდან -კენ გარკვეულ კონტექსტებში იმავე შინაარსის ბაცბურ- ჰა თანდებულებიან ფორმებს დაერთვის: ცერივ -ჰა-კენ ოწლიბალუ—„ცერისაკენ, ნაპირისაკენ გაიწიე“; მინდერივ -ჰა-კენ დუჟ-ტაახ—„მინდერისკენ მივდივართ“.

როგორც ვხედავთ, ძლიერ ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო უცხო ენის ლექსიკური გავლენისაგან მსესხებელი ენის სიტყვათა ყველაზე გამძლე დამცველი ფაქტორების რღვევის პროცესი. მწელია, გადაჭრით ითქვას, რომელი ფაქტორი გასტანს უფრო დიდხანს: მოხმარების სიხშირე, თუ მონაწილეობა სინტაქსურ კონსტრუქციებში. საფიქრებელია, რომ უპირატესობა ამ მხრივ პირველს დარჩება.

ნასესხობათა ცნობილი მკვლევარი ურიელ ვიარაიხი განიხილავს ამერიკის ნორვეგიულში არსებულ ინგლისურ ნასესხობათა სტატისტიკურ მონაცემებს და აღნიშნავს, რომ „არსებითთა პროცენტი ნასესხობებს შორის დაახლოებით 50%-ით მეტია არსებითთა პროცენტზე ნორვეგიულსა ან ინგლისურში მთლიანად. მეორე მხრივ ზმნებისათვის ეს პროცენტი 20-ით დაბალია, ვიდრე ამ ენებში საერთოდ, ხოლო ზოგიერთი მეტყველების ნაწილი ნასესხობათა შორის წარმოდგენილია უფრო სუსტად“.

ვიარაიხის მიერ წარმოდგენილი შედეგების შედარება ჩვენი ცხრილების მონაცემებთან სხვადასხვა შეფარდებას გვიჩვენებს:

	არსებითი სახლები		ზ მ ნ ე ა ი			
	არსებითთა % ნასესხობებს შორის	არსებითთა % ბაცბურ სიტყვებში	მათი სხვაობა	ზმნათა % % ნასესხობებს შორის	ზმნათა % ბაცბურ სიტყვებში	მათი სხვაობა
1-ლი ცხრილის მიხედვით	72,3%	22,5%	+50%	20,9%	50,8%	-30%
მე-2 ცხრილის მიხედვით	21,1%	22,5%	-1%	56,6%	50,8%	+6%

1-ლი ცხრილის მიხედვით წარმოებული გამოთვლები არსებითთა საკითხში თითქმის მთლიანად დემთხვა ნორვეგიული ენის ინგლისურ ნასესხობათა მონაცემებს, ზმნათა საკითხში კი მსგავსება იმაში გამოიხატა, რომ სხვაობამ აქაც უარყოფითი რიცხვი მოგვცა. რაც შეეხება მე-2 ცხრილის შედეგებს, მდგომარეობა აქ შებრუნებულია: სხვაობა არსებითებში უარყოფითი რიცხვით გამოიხატება, ზმნებში კი დადებითი რიცხვით. აღნიშნული ცხრილები დამათი მიხედვით წარმოებული გამოთვლები გვიჩვენებს, რომ მეტყველების ნაწილთა ლიაობის საკითხში ორენოვნების ყოველი ახალი საფეხური განსხვავებულ შედეგებს იძლევა.

© У. В а й н р а и х, Одноязычие и многоязычие, Н.П. VI, М., 1972, зб. 46. -

M. V. MIKELADZE

## ЧАСТИ РЕЧИ С ТОЧКИ ЗРЕНИЯ ЗАИМСТВОВАНИЯ

(по материалам бацбийско-грузинского двуязычия)

## Резюме

В бацбийском языке выделяются два ряда слов, заимствованных из грузинского языка. Слова одного ряда усвоены на пройденной ступени двуязычия и представляют собой уже укоренившиеся заимствования, вторые пока что употребляются параллельно с собственно грузинскими словами и являются новейшими заимствованиями. Разбор этих обеих групп по частям речи и сравнение полученных результатов дают представление об открытости частей речи на разных ступенях взаимосвязи двух языковых коллективов.

В результате проведенных сравнений выясняется:

1. На пройденной ступени двуязычия заимствованию того или иного грузинского слова в бацбийском языке препятствовали следующие обстоятельства: а) сложность морфологической структуры соответствующих бацбийских слов; б) их роль в синтаксических конструкциях; в) частота употребления.

2. В настоящее время под влиянием грузинского языка значительно изменилась фонологическая структура бацбийского языка, что сказалось и на морфологии. Поэтому дальнейшее заимствование слов затрудняется только двумя следующими факторами: ролью слов в синтаксических конструкциях и частотой их употребления.

ი. გოგებაშვილის სახელობის თეატრის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ქიციანტაძემ

მ ა ვ შ ნ ს ტ ა რ ა ო ს ნ ის ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ტ ი მ ს ტ ის დ ა მ დ გ ა ნ კ ო მ ი ს ი ა შ ი \*

1976 წ. 18 ივნისი

ს ბ ლ ო მ ა ს დ ა ე ს წ რ ე ნ ე ნ : ი . გ ი ვ ი ნ ი ე შ ი ე ლ ი , გ . კ ა რ ტ ო შ ი ა , ც . კ ე ვ ე ი ე , ე . მ ე ტ რ ე ე ლ ი , ს . ც ა ი - შ ე ლ ი .

გ ა ნ ი ხ ი ლ ე ს ს ტ რ ო ფ ე ბ ი : 555; 555,1; 556; 557; 558 (პროექტი მოამზადეს ც. კევიციემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშაილიშვილმა, ნ. ტყეშელაშვილმა).

555 კარვის კალთა ჩახლართული ჩავეკრე, ჩავეკარაბაკე,

ყმასა ღერჯთა მოვეკიდე, თავი სტეტსა შეუტაკე.

წინამწოლთა დაიზახნეს, გლოვა მიხტედა საარაკე;

და ცხენსა შეეჯე, წამო-ცა-ვე; ვაჭუბი მეცტა ხაურტაკე.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 551) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: შეუ-ტაკე (შეუტაკე), წინამწოლთა (წინა მწოლთა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: კარვის ჩახლართული კალთა ჩავეკრე, ჩავეკადე, მოყმეს ფეხებში მოე-კიდე ხელი, თავი სეტეტზე მივახეთქებინე. წინამწოლებმა (მსახურებმა) დაიყვირეს, მათ საა-რაკო (ლიდი) გლოვა ხელათ წილადა; ცხენზე შეეჯეკი, წამოვადე; საურტაკე (სურტაკის ქვეშ ჩასაცემელი) ჯაჭვის პერანგი მეცა.

555,1 აწ გაუცუდდეს ფარსადანს იგ მახი თაობირობანი;

ავად მოუქდა ხტარაზმას ქორწილი, სიძესძლობანი;

მზე დაუკარგავს ტარიელს, ეწიენეს ვარდთა ზრობანი,

და წესია ამა სოფლისა, ვაზაფხულს მოზღვეს სოლობანი.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 705) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სიძეს-ძლობანი (სიძე-რძლობანი), ზრობანი (ძრობანი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლა ფარსადანს უქმად ჩაურა მისმა თათბირმა; ცუდად მოუხდა (აენო, არ არგო) ხტარაზმას ქორწილი, სიძერძობი; მზე (ნესტანი) დაუკარგავს ტარიელს, ვარ-დებს უწია დაზრობამ. ამ სოფლის წესია: ვაზაფხულს მოსდევს შემოდგომა.

556 ყმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი ნოსაწეარი;

წამოვე, წვესა დამიწვეს, ღაეკოცე ჩემი მღვეარი.

ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთავან შურევეარი,

და მუნ შივან შევე მშუილობით, ამოდ იგივე მე ვარი!

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 552) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვინიეშვილი: პირველ ტაეში მოსაწე ვარი ზახილის მსაზღვრელად არის გა-გებული. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში მოსაწე ვარი ზმაურის, ყოინის აღმ-ნიშნული სიტყვაა. აქაც ამ მნიშვნელობით (ე. ი. ზახილის სინონიმად) უნდა იყოს ნახშირი. ამიტომ ზ ა ხ ი ლ ის შემდეგ მძიმე უნდა დაესეთ.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

სტროფის შინაარსი: ვანმარდა ჩემი ამბავი, ატყდა წიოკობა (ვანგაში); წამოვედი, და-მღვეარენ, დაეხოცე ჩემი მღვეარები. ქალაქი მქონდა გამაგრებული, მტერთავან უძლეველი, შიგ შევედი უვნებლად, საამოდ (იარგად) ისევე მე ვარ.

557 კაცნი ვავგზაუნენ, ვაცნობე ყოლვან ლაშქარსა ვტელასა;

«აქე მომართეთ, ვინცადა ჩემსა იქმოლეთ შტელასა».

არ ვაწყდა მოსლვა მღვეართა დამესა ღია ბნელასა,

და ჩემი რა ცნიან, სცვიდიან თავებსა მათსა მრთელასა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 553) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ხალხი ვავგზაუნენ, ყველვან ვაცნობე მთელ ლაშქარს: «აქეთ გამო-ემართეთ, ვინც კი ამირებთ ჩემს დახმარებას». მღვეარის მოსვლა არ შეწყვეტილა იმ ძალიან ბნელ დამეს; როცა ვავგზაუნენ, რომ ეს მე ვიყავი, თავის გადარჩენას ცდილობდნენ.

\* ვაგრძელება. დასაწყისი იხ. «მაცნე», ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №№ 3, 4; 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4; 1977, № 3.



558 ცისკრად ავღვ, შევეკაზმე, რა გათენდა დამე დილაღ,  
 ენახენ სამნი დიდებულნი მეფისაგან მოგზავნილად;  
 ებრძანა, თუ: ღმერთმან იცის, გამეზარდე ვითა შვილად,  
 და ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმამილად?

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 554) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ პირველ ტაეპში, ცეზურასთან, მამის ნაცვლად დაისვა წერტილი-მამიე.

სტროფის შინაარსი: ცისკრისას ავღეკი, შევეკაზმე; როცა გათენდა, ენახე, რომ მეფეს გონოვგზავნა სამი დიდებული; შემოეთვალა: „ღმერთმა იცის, შეილივით მყავდი გაზრდილი, ჩემი სიხარული ასე რატომ შემეცვალე მწუხარებად?

#### 1976 წ. 2 ივლისი

სხლმას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციანი, ე. მეტრეველი.

განიხილეს სტროფები: 559; 560; 561; 562; 563; 564 (პროექტი მოამზადეს ც. კიციანი, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 564,1 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიციანემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

559 ხუარაზშმას სისხლი უზარალო სახლად რად დამადებინე?

თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე?

მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიკოცხლე მამრებინე.

და დღედ სიკუდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე!

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 555) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ხუარაზშმას უდანაშაულო სისხლი ჩემს სახლს (გვარს, ოჯახს) რად დააკისრე? თუ ჩემი ასული გინდოდა, რატომ არ გამაგებინე? მე, შენს მოხუც გამზრდელს, სიკოცხლე მომამულე (გამიარბე), სიკვდილის დღემდე შენი თავი ვერ მაახლებინე (ახლოს არ მამყოფებინე)!

560 მე შეუთქალე: დმეფო, ვარ უმაგრესი რვალისა,

თქარა რად მიშლის სიკუდილსა ცეცხლა სირცხვილთა აღისა?

მაგრა, თოთი იცით, კელმწიფე ვამს მქმნელი სამართლისა,

და მე, თქუენმან მზემან, მამორის ნდობა თქუენისა ქალისა!

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 556) შედარებით პროექტში შემდგომი ცვლილება: შეუთქალე (შევეთვალე). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე შევეთვალე: „მეფეო, რვალზე (სპილენძზე) უმაგრესი ვარ, თორემ რად მაშლის სიკვდილს სირცხვილის ცეცხლი (რად არ ვეკვები სირცხვილის აღის ცეცხლით)? მაგრამ, თავად იცით, ხელმწიფე სამართლიანი უნდა იყოს, მე, თქვენს მზეს ვვიცავ, ღმერთმა მამორის თქვენი ასულის ნდობა!

561 იცით, ინლოთა სამეფო რაზომი სრა-საჯლომია! —

ერთიდა მე ვარ მემკუიღრე, — ყუელაი თქუენ მოკვლომია;

ამოწყდა მათი ყუელაი, მამული თქუენ დავრწომია;

და დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია.

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 557) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ პირველი ტაეპის ბოლოს ძახილის ნიშანი შეიცვალა მამით, ამოწყდა და შეიცვალა ამოსწყდა ფორმით.

სტროფის შინაარსი: იცით, ინლოეთის სამეფო რამდენი სატახტოცაა, — ერთი მელა ვარ შემკვიდრე. — ყველა თქვენ გრგებთათ: სხვების ყველა (შემკვიდრე) ამოწყდა, სამკვიდრო თქვენ დავრწაბა; დღემდე ტახტი უჩემოდ არავის უნდა (აზრად არავის მოსვლია).

562 ვერ გათნე, თქუენმან კეთილმან, აწ ვეე ამართალაი:

ღმერთმან არ მოეცა ყმა შვილი, გიზის ერთაა ქალია,

ხუარაზშმა დასტა კელმწიფედ, დამრწების რა ნაცვალა?

და სხტა მუფე დაჯდეს ინლოეთს, მე მერტყას ჩემი კრმალაა?!

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 558) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვერ გეპირფერები, თქვენმა სიკეთემ (თქვენმა გახარებამ), ახლა მამ  
სამართლიანი არ არის: ღმერთმა არ მოგცა ვაჟიშვილი, ერთი ქალი გიზის, ხვარაზმმა (რომ)  
დასვა ხელშეწივდ, მე სანაცლო რა დამარჩება? სხვა დაჯღეს მეფედ ინდოეთში, მე კი ჩემი  
ხმალი მერტყას?!  
563 შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე. გამაროდე!  
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე.  
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოფუჭრიდე,  
და სხუას მუშუელსა გარეგანსა, მომკალ ვისცა ვინატრიდეა“  
საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 559) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შენი ასული არაფრად მინდა, გაათხოვე, მომაშორე! ინდოეთი ჩემია  
და ჩემ გარდა არავის მივცემ. ვინც ჩემსაში შემეცილება, მას მისი მამულიდანაც ამოვადებ,  
შოვსობ, სხვა გარეშე დამხმარე თუ ვინატრო ვინმე, მომკალ!  
564 „მე კაცნი გამეგზავნეს, ვონებასა გავეშავე,  
რომე მისი ვერა მეცნა, ამას უფრო დავედავე.  
მას ზღუდესა გარდავადე, მინდორთავე რომე ვავე,  
და მესმა საქმე საშინელი, თუცა თავი ვერ წაგავე.“  
საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 560) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ეს კაცები გავგზავნე, ფიქრმა გამაშმაგა. მისი (ნესტანის) რომ ვე-  
რაფერი გამეგო, ამან უფრო დამდავა, იმ ზღუდეს გადავადექი, მინდორისკენ რომ მქონდა ავე-  
ბული, გავიგე საშინელი ამბავი, მაგრამ თავი ვერ მოვიკალი.  
564.1 შეუმან, საწყალმან ასმათმან, ნახეთ, რა ნახა თქალითა!  
ტარიელისკენ იარა დამწუარმა დანავალითა,  
უთხრა: „ამ საქმის მნახეი სიკუდილით შემეწყალითა;  
და მას შერთის უწყეს ყოველი, შენ ხელმქნა მიაველითა“.  
1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 715) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ხელმქნა  
(ხელ-ქმნა), შეუმან, საწყალმან (შემან საწყალმან); მეორე ტაგების ბოლოს მძიმეა წერტილ-  
ნიჰილს ნაცვლად, მესამის ბოლოს კი — წერტილ-მძიმე მიძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ  
იქნა.

სტროფის შინაარსი: ნახეთ, (თუ) ბედშავმა, საწყალმა ასმათმა რა ნახა (თავისი) თვლით!  
ტარიელისკენ გასწია დაფერფლით დამწუარმა, უთხრა: „ამ საქმის (ნესტანის გადაკარგვის)  
მნახველს წყალობა მიყავი და მომკალი; მას (ნესტანს) შენ გამო უწყვეს ყველიფერი, მიაველ  
მას შენი გახელება.“

1976 წ. 10 სექტემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ციციშვილი, შ. ძიძი-  
გური.

განიხილეს სტროფები: 565; 566; 567; 568; 569; 570; 571; 572; 573 (პროექტი მოამზა-  
დეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურა-  
ბელიძემ).

465 გამოინდეს ორნი ქვეითნი, — მე მივეებე წინარე, —  
ქალი ჰყვა ერთსა მონას, — «ევანმცა თუ მოღმა ვინ არე».  
თავგაგლეჯილი ასმათი, პირსა სისხლანამომდინარე!  
და აღარ მიყიელა დიმილით, არცელა გამივინარე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 561) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირ-  
ველსა და მეორე ტაგში დამატებულია ტირეები, ამასთან პირველი ტაგების ბოლოს წერტილი  
შეცვლილია მძიმით; მეორე ტაგების მეორე ნახევარი ჩასმულია კუთხოვან ბრჭყალებში, ტაგ-  
ების ბოლოს ორწერტილის ნაცვლად დასმულია წერტილი; მესამე ტაგების ბოლოს მძიმის  
ნაცვლად დასმულია ძაბილის ნიშანი.

გ. კარტოზია: პროექტში შეტანილი პუნქტუაციური ხასიათის ცვლილებები იმის შედე-  
გია, რომ მეორე ტაგების სართიმო სიტყვა არე სხვაგვარად არის გააზრებული, ვიდრე აქა-  
მდე ესმოდათ: აკ. შანიძის აზრით, არე არის ზნის ხელოვნური ფორმაა, რ. პატარიძის  
მიაჩნია, რომ ესაა რე-ნაწილადართული ა (არს ზნის ნაშთი). მე ვფიქრობ, აქ გვაქვს



სავსებით ჩვეულებრივი წარმოება სიარულის აღმნიშვნელი რ-ტირანი ზმნისა: წყნარად მდგომარეობს პირის ფორმა: არე (=ატარე) შენ იგი. ნახევარტაგის (ვეცანძა, თუ მარტაგისა) აზრია: „გავიგო, აქეთ ვინ ატარე (=გავიგო, აქ ვინ მოგაყვანია)“. ტარელის შინაგანი მეტყველება მიმართულია მონისადმი, რომელიც შორიდანვე შეინიშნა და წინ მიეგება, რათა გაეგო ბისი თანხლები ქალის ვინაობა. შინაგანი მეტყველების ანალოგიური მაგალითია ხატაელებთან ბრძოლის დროს ტარელის მიმართვა ხმლისადმი: „შუბი გატყდა, კელი ჩაყვავ: დაქაბე, კრმალო, ვინცა გლეხსა! (439ჟ). ამის გათვალისწინებით უნდა გასწორდეს ამ ტაგის პუნქტუაციაც.

ი. გვიგნიშვილი: არე სიტყვის ყოველგვარი დაჯავშრება არის ზმნისათან მიუღებელი. აქ წარმოდგენილი ახსნა ამ ფორმისა საინტერესოდ მეჩვენება. მე მომხრე ვარ ამგვარი წაკითხვისა და გაგებისა. ოღონდ წინ არე (პირველ ტაგში) უნდა დაიწეროს ერთად.

შ. ძიძიგური: პროეტის წაკითხვის და ტექსტის გაგებას მეც ვუჭერ მხარს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ზედმეტია ტირეების დამატება. ნუ გავართულებთ პუნქტუაციას!

გ. კარტოზია: ვფიქრობ, ტირეები აუცილებლად საჭიროა, რათა ჩანდეს I—II ტაგში წინადადებათა თავისებური წყობა და მოქმედების თანმიმდევრობა: გამოჩნდა ორი ქვეითი, (შორიდანვე დაიწინა, რომ) ერთ მონას ქალი მოჰყავდა; მე წინ მიეგებე, (გულში მივმართე მონას): „გავიგო, აქ ვინ მოგაყვანია“.

ა. ბარამიძე და ს. ცაიშვილი აგრეთვე მხარს უჭერენ ტირეების ამოღებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროეტის წაკითხვა და გაგება, ოღონდ I—II ტაგში მოიშალეს ტირეები; წინ არე დაიწეროს ერთად.

სტროფის შინაარსი: გამოჩნდა ორი ქვეითი, ერთ მოყმეს ქალი მოჰყავდა; მე წინ მიეგებე, (გულში მივმართე): „გავიგო, აქეთ ვინ მოიყვანე“. (აღმოჩნდა) თამაგაგლეჯილი (საბურავ-მოხდილი) ასმთი, რომელსაც პირისახეზე სისხლი ჩამოსდიოდა. აღარ დამიძახა ოიმილით, აღარც გამიკინა.

566 იგი ენახე, დაეგნე, ვინებანი გამომავანი;

შორით უკმე: რაშიგან ვართ, ანუ ცეცხლმან რად დაგუდავანი?

მან საბრალოდ შემომტირნა, ძლივ სიტყუანი გამოავანი,

და მითხრა: დემერტმან სიმერგულე ცისა ჩუენთუის რისხვით წამოვრავანი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 562) შედარებით პროეტში შემდეგი ცვლილება: უკმე (უცხმე). პროეტში მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ის (ასმთი) დაეინახე, დაეიგნე, გავშავდი (შევეფთოდი, ავფორიქდი); შორიდან დაეუძახე: „რა გეჭირს (რა ამბავია ჩვენს თავს) ან ცეცხლმა რატომ დაგუწვა?“ მან საბრალოდ (საწყვალოდ) შემომტირა, სიტყვა (ენა) ძლივს ამოიღო, მითხრა: „დემერტმა ცარგვალ რისხვით დაგვატეხა (თავს)“.

567 ახლოს მივე, კულაყა ეკითხე: რაშიგან ვართ? თქუი მართალია!

კულა საბრალოდ ამიტირდა, კულა მოეღვა ამით ალი,

დიღხან სიტყუა ვერა მითხრა, მისთა ჳირთა ნათალი,

და მკერდსა წითლად უღებუიდა სისხლი დაწუთა ნაწუთალი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 563) შედარებით პროეტში ცვლილება არ არის. პროეტში მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლოს მივედი, ისევ ვკითხე: „რა მოხდა (რა ამბავია)? მართალი თქუი!“ ისევ საბრალოდ ატირდა, ამის გამო ისევ მოეკიდა ცეცხლი (მწუხარებისა). დიღხანს ვერაფერი მითხრა, თავისი ჳირის შეათედიც კი, მკერდს წითლად უღებავდა დაწუთებულ წეთ-წეთად ჩამოშინარე სისხლი.

568 მერმე მითხრა: ამოგაკსენებ, ესე რადმცა დავიმაღე?

მავრა ვითა გაგახარნე, შენცა აგრე შემიწყაღე:

ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარნენ, შემიხუეწე, შემიბრალე,

და დამკენ ჩემსა საწუთროხა, დემერტსა შენსა მიაგაღე!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 564) შედარებით პროეტში ცვლილება არ არის. პროეტში მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მერმე მითხრა: „გეტყვი, ამას რატომ დავიმაღე? მაგრამ როგორც (მე) გაგახარებ, შენც ისე დამასაჩუქრე: ნუ მაცოცხლებ, ცოცხალს ნუ დამტოვებ, შეისინე ჩემი ხეწისა, შემიბრალე, მომპოვებ ამ ქვეყანას, ლეთის გულისათვის!“

569 მიამბო: «ოღეს სასიძო მოჰკალ და კმა დაგივარდა,  
შეფეხა ესმა, აივრა, მართ მისგან გასატკეცვარდა,  
შენ დაგიზახნა: «მიკმეთო», კმამალად გაკმაშივიარდა;  
და პოვანხეს, შინა ვერ გპოვეს, მით შეფე გამოივარდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 565) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაბეში შეიცვალა პუნქტუაცია: შენ დაგიზახნა, მიკმეთო», — კმამალად გაკმაშივიარდა.

სტროფის შინაარსი: მიამბო: «როდესაც სასიძო მოკალი და ხმა დაგივარდა (გამეღიანდა შენი ამბავი), შეფე გიგო, ზე წამოიჭრა, ამის გამო შეწუხდა (ეს ამბავი მისი სატიკიარი გახდა), შენ მოგიციოხა, «მიხმეთო», — ხმამალა იახხა; გქენხეს, შინ ვერ განხეს, ამიტომ შეფე (თავისი ბედის) მოიჩივარი (მოჩივანი) შეიქნა.

570 ჰკადრეს: «აქ აღარ არის, კარნი საღმე გაუვლიან»,  
შეფე ბრძანებს: «ვიცი, ვიცი, შეტად კარგად შემეგინან:  
მას უფურდა ქალი ჩემი, სისხლნი ევლთა მოულტრიან,  
და რა ნახიან ერთმანერთი, არსუხეღვა ვერ დათმიან.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 566) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოახსენეს: «აქ აღარ არის, (ქალაქის) კარები გაუვლია». მეფემ ოქვა: «ვიცი, ვიცი, ძალიან კარგად შესმის (გამიგია): მას (ტარიელს) უფურდა ჩემი ქალი, (ამიტომაც) დაულერია (ზევარაზმუაპის ძის) სისხლი ევლად. როდესაც ნახეღენ ერთმანეთს (ტარიელი და ნესტანი), ვერ ძლებდენ, რომ არ შეეხეღათ ერთმანეთისათვის.

571 აწ, თავმან ჩემმან, მას მოვკლავ, ჩემად დაღ ვინცა მადესა!  
შე ღმრთისა უთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!  
მით ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?

და თუ დავარჩინო, ღმერთი ვემო! მისად პატივად გზად ესა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 567) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხარ (უთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ახლა, ჩემს თავს ფიცავ, მოვკლავ ჩემს დას (მოვკლავ მას, ვინც ჩემ დად მიქციეს)! შე ვთხოვე ღვთის გზაზე დაეყენებინა (ნესტანი), მას კი ეშმაკის ბადემი გაუბამს! იმ გარყენილებმა (ნესტანმა და ტარიელმა) ისეთი რა მისცეს, რას დაპირდენ? თუ ვაცოცხლო (დავარ), ღვთის მგომობელი ვიყო მის სასქელად ეს (სიკვდილი) არის გამზადებული.

572 მის შეფისა წესი იყო: თავი მისი ძტირად ფიცის,  
და თუ ფიცის, არ გატეხის, მასვე წამხა დაამტკიცის.  
ფესე წყრომა შეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის,  
და მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ ვრძნებთა ცაცა იცის.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 568) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ შეფის ჩვეულება იყო: თავის თავს იშვიათად დაიფიცებდა, და თუ დაიფიცებდა, (ფიცს) არ გატეხდა, მყისვე შეასრულებდა. «შეფის ეს გაწყრომა (განარისხება) ვინც გააგონა და იცოდა (მისი ხასიათი), მან უამბო დავარ-ქაჯს, რომელიც გრძნებთი (ჯადოქრობით) ცასაც სწევდებოდა (ცასაც იმორჩილებდა, ცასაც თავისად გაიხდიდა).

573 დავარს, დასა შეფისასა. უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:  
«თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დავარჩენს, იცის ერმან».  
მან აგრე თქვა: «უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან!  
და ვისგან მოვკლევ, ვისთვის მოვკლევ, მიიხჭედროს იგი ვერ მან».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 569) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დავარს, შეფის დას, უთხრა ვილაც უღმერთომ (ღვთის მტერმა): «თავი დაიფიცა შენმა ძმამ (და) ყველამ (ხალხმა) იცის, არ ვაცოცხლებს». მან (დავარმა) ასე თქვა: «უღანაშუალო ვარ, იცის მოწყალე ღმერთმა! ვისგანაც მოვკვდები, ვის გამოც მოვკვდები (იგულისხმება ნესტანი), მას ვერ ირგუნებს ის (ტარიელი).



1976 წ. 24 სექტემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ციციშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 574; 575; 576 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კინაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 577; 578; 579; 579,1; 580; 581 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. ალექსიშვილმა, ნ. ციციშვილმა).

574 პატრონი ჩემი აგრევე იყო, წამოხტე შენ ოდეს; შენეულნივე რიდენი გებურნეს, ტურფად შტენოდეს. დაგარ მოხოქმიდა სიტყვითა, რომელნი არა მსმენოდეს: და «ბოზო, შენ ბოზო, რად მოჰკალ? ვეჭუტ, შენცა არა კლხენოდეს!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 570) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ჩემი პატრონი (ქალბატონი) ისევე იყო, როგორც შენი წამოსვლინას; შენი (შენი ნაჭონი, შენი ნაჩუქარი) რიდე ეხურა, ძალიან უხდებოდა. დავარი მოთქმით ამბობდა (ისეთ) სიტყვებს, რომლებიც (მანამდე) არ გამეგონა: «შე ბოზო, ბოზო, რატომ მოჰკალი? ვფიქრობ, შენც არ გაიხარებ!

575 როსკიპო, ბოზო დიაყო, საქმრო რად მოაკლევინე? ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზლევინე? არ ცუდად მოჰკლავს ძმა ჩემი, რა გიყავ, რა გაქნევინე? და აწ, ღმერთსა უნდეს ვერ მიხტდე, ვახ ვხე დაამლევინე!»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 571) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: როსკიპო, ბოზო დედაცაყო, საქმრო რატომ მოაკლევინე (ტარიელს)? ან მისი სისხლი (სისხლის ფასი) ჩემი სისხლით რატომ გადახდევინე (მეფეს)? ტყუილბრალად არ მოჰკლავს ჩემი ძმა. რა გიყავ, რა გაქნევინე (მე რა ბრალი მაქვს)? ახლა, თუ ღმერთი იწებებს, ვერ ერგები მას (ტარიელს), ვისაც ეს საქმე (კორწინება) ჩააშლევინე!

576 ქელი მიჰყო, წამოხიდა, თმანი გრძელნი დაუფუშნა, დაალება, დაალურჯა, მედგრად პირნი მოიქუშნა. მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულოქუნა, ოდენ უშნა, და ქალმან შეგან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 672) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ხელნაწერთა დიდი ნაწილი მეორე ტაგების საართომ სიტყვად კითხულობს მოთქმულ შინაარსს. მე სარწმუნოდ მიმანია ლიტერატურაში (ე. ხინთიბიძე) გამოთქმული მოსაზრება ამ წაკითხვის პირველადობის შესახებ. სტროფის პირველი და მეორე ტაგების ყველა ზმნა სუბიექტად დავარს გულისხმობს, სუბიექტად — ნესტანს. ამ ზმნაშიც ეგვევ ვითარებაა საგულევებელი (დავარსა მოთქმულნი პირნი ნესტანს).

შ. ძიძიგურიც აგრეთვე მხარს უჭერს ასეთ წაკითხვას.

რედაქციის სხვა წევრებს (გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ციციშვილი) მიანიათ, რომ აქ აზრობრივად უფრო გამართლებულია სათავის კეცვის ფორმა: მედგრად პირნი მოიქუშნა (= სასტიკად განრისხდა, სახეზე მრისხანება გამოხატა).

მომდევნო სხდომაზე (15. X. 76) ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ აქ პირველად წაკითხვა უნდა იყოს მოთქმულ შინაარსს, რომელიც B1B7B8 ხელნაწერებშია დატული (მასვე უჭერს მხარს A4-ის მოთქმულ შინაარსს). შდრ. საბა: მოკლევა წაგლეჯა კორცთა. ტაგის აზრია: ცემით დაალურჯა, სასტიკად დაუგლიჯა პირისახე.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მოთქმულ შინაარსს.

რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით გამოთქმა ქალმან შეგმან. ა. ბარამიძისა და გ. კარტოზიას აზრით, ქალმან შეგმან = ბედშემა ქალმა (ე. ი. ასმათა); ს. ციციშვილი ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ზანგი მომეღელი ქალი.

სტროფის შინაარსი: ხელი მოჰკიდა, მოსწია, გრძელი თმები დაუფუშა (დაუშალა), დაეცვა, დაალურჯა, სასტიკად დაუგლიჯა პირისახე. მან (ნესტანმა) პასუხი არ გასცა, მხოლოდ ამოიოხრა, მხოლოდ დაიყენესა. ბედშემა ქალმა ვერაფერი არგო (= მე, ბედშემა, ვერა ვარგე), ვერც წყლულები დაუშუშა.

577 რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დაღურჯებითა,  
წამოღვეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა,  
მათ კილობანი მოჰქონდა, უუხუნეს არ აჯებითა,  
და მას შივან ჩასტეს ივა მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 573) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დავარმა გული რომ იჭერა მისი (ნესტანის) ცემითა და დაღურჯებით, წამოღვა ქაჯური შესახედაობის ორი მონა, მათ კილობანი მოიტანეს და ხევეწა არ დაუწყიათ, ის მზე კილობანში ჩასვეს და ეტყობოდა, რომ ტყვედ აქციეს.

578 მან უთხრა: წჳადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღუთხა ვიპაია;  
წმიდისა წყლისა ვერ ნახოს შეინეავე, ვერცა ლიპაია;  
მათ გაუხარნეს, ეჴამალად იფიქლეს: «იპი, იპია».

და ესე ენახე და არ მოეკუე, არა ჰგავს არცა სიპია.

საიუბილეო გამოცემასთან განსხვავებით, სტროფი ძირითადად არის ჩათვლილი. 1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 729) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დაკარგეთ (დაკარგეთ), წმიდისა (წმინდისა), მოეკუე (მოეკვე).

ე. კიციქიძე აღნიშნა, რომ სტროფი არის ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში, არ იცნობს მხოლოდ ვახტანგის გამოცემა. ამიტომ სტროფის ჩანართად ჩათვლის საკმაო საფუძველი არ არის.

რედაქციის წევრები მხარს უჭერენ სტროფის ძირითადად ჩათვლას. ამასთან აღნიშნა, რომ სტროფს ახალი მხატვრული დეტალები შემოაქვს თხრობაში. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მან (დავარმა) უთხრა: «წადით და გადაკარგეთ იქ, სადაც შუაგული ზღვაა; ველარ იხილოს წმინდა (მტკნარი) წყალი, ვერც გაიყინულა და ვერც დამდნარი სახით»; მათ (ქაჯებს) გაუხარდათ და ხამალა შესძახეს: «იპი, იპია». ეს ენახე (ამის მომსწრე ვიყავი) და არ მოეკელი, სიპ ქვაზე უმატრესი აღმოეჩნდი.

579 ზღუთიუე გააღლნეს სარკმელნი; მაშინეუ გაუჩინარდა.

დავარ თქვა: «მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და-!

ვირე მომკლვიდეს, მოეკუდები, სიცოცხლე გასაწყინარდა».

და დანა დაიცა, მო-ცა-კულა, დეცა, გაისხლმდინარდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 574) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ პირველ ტაეში გააგლნეს შეცვლა გააარნეს ფორმით, რომელიც მთელ რიგ ხელნაწერშია დადასტურებული. რედაქციის წევრებს სარწმუნოდ მიანიჭა ი. გიგინეიშვილის მოსაზრება გააარნეს ფორმის პირველადობის თაობაზე (იხ. მისი «გამოკვლევები «ვეფხისტყაოსნის» ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ», თბ., 1975, გვ. 242—244).

სტროფის შინაარსი: (კილობანი) ზღვისკენ ფანჯრიდან გაატარეს და მაშინეუ გაუჩინარდა (გაქარა). დავარმა თქვა: «ამის ჩამდენს ვინ არ ჩამქოლავს (ამის ჩამდენი ჩასაქოლო ვარ!) ვიდრე მომკლავდეს (ფარსადანი), მე თვით მოვიკლავ თავს, სიცოცხლე მძიმე შეიქნა (სიცოცხლე აღარ ღირს)». დანა ჩაიცა, კიდევ მოკვდა, დავარდა და სისხლის მდინარედ იქცა.

579,1 ნესტან-დარეჯან ქაჯე მისცა, დავარ ეხუევის დანებას;

მზისა ხხიუხა და მწვერვალსა უფსკრულსა ჩაიყურანებას;

მას უებროსა მნათობსა ნავსა სმენ კილობანებას;

და პირსა ბურკენ და უკლებტენ, შუქს ვინდა მოივანებას?

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 731) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მწვერვალსა (მწვერვალსა).

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაეში მძიმე დისცა: ნავსა სმენ, კილობანებას. სტროფის შინაარსი: ნესტან-დარეჯანი ქაჯებს მისცა, დავარი ეგება დანას (თავს იკლავს), მზის შუქსა და მწვერვალს (ე. ი. ნესტანს) უფსკრულში აგდებს (ჩაიყვანს); იმ შეუღარებელ მნათობს ნავში სვამენ, კილობანში; კილობანი დაბურეს, დაეცტეს, (მის) შუქს (ამის შემდეგ) ვილა იხილავს მოვანებულს (ავსებულს)?

580 რად არ მიკუირებე ციცხალსა, მე ლახუარდაუსობელსა!

აჴ იგი მთავე, რა მშართებს ამისსა მაზარობელსა!

ზენაარ, დამკსენ სიცოცხლე სულთაფმადრუთობელსა!

და საბრლოდ ცრემლსა ადენდა უკლებსა, დაუშრობელსა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 575) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რატომ არ ჰკვირობ, რომ მე ცოცხალსა და ლაზვარდაუსობელს (ლაზვარი გაუგმირავს) მხედავ! ახლა ის შიყავი, რაც ამის მახარობელს (ასეთი ამბის მომტანი) შეკუთვინის! გაფიქვებ, მომავლი სიცოცხლე მე, ვინც სულს ვერ ვთმობ (სიცოცხლეს მოწყურებული ვარ!)“ (ასმათი) შესაბარალისად ცრეულსა ღერიაა შეუჩერებელსა და დაღურთველს.

581 მე უთხარ: «დაო, რად მოგკლა. ანუ რა შენი ბრალაია? —

რამცა ვქმენ ნაცვლად, თუთ რომე მისი ჩემზედა ელაია! —

აწ თავსა მისად საძებრად მივსცემ, სად კლდე და წყალიაა.

და სრულად გაქეპავდი, შემექმნა გული მართ ვითა სალია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 576) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხარ (ვეუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე ვუთხარო: „დაო, რატომ უნდა მოგკლა, ან კი რა შენი ბრალაია? — რა უნდა ქენა იმის სანაცვლოდ, რაც მისი (ასმათის) ვალი მადევს! — ამიერიდან მის საძებრად გავიტრები იქ, სადაც წყალი და კლდეა (მთელ ქვეყანას მოვივლი)“. მთლიანად გაქეპავდი (უგრძნობელი გავხდი), გული საღ კლდესავით შემექმნა.

#### 1976 წ. 15 ოქტომბერი

სხლომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 582; 583; 584; 585; 586; 587 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალიშვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუმშალიშვილი, ნ. ცქიტიშვილი); 588; 589; 590 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კენაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

582 მეტან ზარმან გამაშვავა, მომიცადა ცხრო და თრთოლა;

გულსა უთხარ: ანუ მოკლდეა, არას გარგებს ცული წოლა,

გაჯგოს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა.

და აპა ფამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 577) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხარ (ვეუთხარ).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით პირველ ტავეში მიღებულ იქნა წაკითხვა: მომეკიო და: ცხრო და თრთოლა.

თ ა ნ ა წ ა მ ო ყ ო ლ ა დაიწერა შერწყმულად.

სტროფის შინაარსი: დიდმა მწუხარებამ (თავზარდაცემმა ამავემ) შვავად, გვიად მაქცია, ამიტუდა ციებ-ციხელება და კანკალი; გაიფიქრე: „ანუ მოკლდეა, უმოქმედობა (ამაო წოლა) არაფერს გარგებს, უმჭობესია (შენთვის) გაჭრა მის საძებრად, გავარდნა და ველად რბენა. აპა, (დადგა) ფამი, ვისცა ჩემი წამოყოლა გინდათ!“

583 შევე, ფიცხლად შევეკაშვე, ცხენსა შევეუ შეკაშმული;

ას სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა თანა ხანდახმული,

წამომყვა და წამოვედი კართა გარე დარაზმული,

და ზღუის პირს მივე, ნავი დამზტა, მენავემან მნახა ზმული.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 578) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: შესაბ ტავეში წ ა მ ო მ ყ ე ა ს ნაცვლად უნდა მივიღოთ რიც ხელნაწერში დადასტურებული გ ა მ ო მ ყ ე ა ს. თუმცა წ ა მ ო მ ყ ე ა ს წ ა ს ალიტერაციული განმეორება (უქერს მხარს (წამომყვა და წამოვედი)).

ი. გიგინეიშვილი: ას სამოცი მოყმე ტარიელს ციხენიმაგრიდან გამოყვეა და არა წამოყვეა. ამიტომ მართლაც გა-პრვერბიანი ზნადა სავირო.

ს. ცაიშვილი: წინაშავალ სტროფში ტარიელი მიმართავს თავის მოყმეებს: „აპა ფამი, ვისცა გინდა ჩემი თანა წ ა მ ო მ ყ ო ლ ა“. ბუნებრივია, რომ მომდევნო სტროფში იმავე წაპრვერბით იყოს ეს ზნა წარმოდგენილი. გასწორება სავირო არ არის.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა: წ ა მ ო მ ყ ე ა ს.

სტროფის შინაარსი: შევედი და მსწრაფლ გავემზადე, შეკაშმული (იარაღსმული) შევექვი ცხენზე; ას სამოცი საუკეთესო მოყმე, ჩემთან ნამყოფი (გამოცდილი), წამომყვა და რაზ-

ნად დაწყობილი გამოცდით კარებს (ქალაქის ზღუდეს), მივედი ზღვის ნაპირას, (იქ) ნავი დამხვდა და შენვემ შემატყო, რომ ვჩქარობდი (ამოქმედებული ვიყავი).

584 ნავსა შევევე, ზღუასა შევე, ზღუასა შიგან გავალავდი.  
 არსით ნავი მომავალი უნახავად არ დავაგდი;  
 მოველოდი, არა შესმა, შმაგი უფრო გა-ვე-ემშავდი,  
 და რომე სრულად მომიძულვა, ღმერთსა თურე ასრე ესხავდი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 579) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ხომალდში ჩავექვი, ზღვაში შევედი და იქ დავიდე ბინა, არც ერთი ხომალდი (საიდანაც უნდა ყოფილიყო მომავალი) უნახავად არ დამიტოვებია; ველოდი, მაგრამ ვერაფერი შევიტყვე. შმაგი კიდევ უფრო გავმძავდი, ღმერთს თურმე ისე ესხავებოდა, რომ სავსებით მომიძულა.

585 რომე დავავე წელიწადი, თუე თორმეტი გამოვცა,  
 მაგრამ მისი მნახავიცა სიზმრიე კაცი არ შეოცა;  
 თანამყოლი ყულაკაი ამომიწყდა, დამტოცა.

და ვთქუი, თუ: «ღმერთსა ვერის ვპკარებ, რაცა სწადღეს, აგრე ვყოცა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 580) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ერთი წელი რომ დავავეი, ეს თორმეტი თვე ოცად (ოც თვედ) გადამექცა, მაგრამ მისი მნახველი კაცი სიზმარშიც არ მეჩვენეს, თანმხლები ყველა ამომიწყდა, დამხვოცა, ვიფიქრე: «ღმერთს ვერაფერს შევკარებ, როგორც ინდომებს (რასაც მოისურვებს), მეც ისე ვიზამ».

586 ზღუა-ზღუა ცურვა მომეწყინა, მით გამოვე ზღუისა პირსა,  
 გული სრულად გამიმეცდა, არ უსმენდი არც ვაზირსა;  
 ყულაკაი დამეფანტა, დარწმობდა რაცა ჭირსა.

და კაცხა ღმერთი არ გასწირავს, სოფლისაგან განაწირისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 581) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უსმენდი (ვუსმენდი).

ა. ბარამიძე: მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარს ზღუნაწერთა უმრავლესობა ასე წარმოგვიდგენს: ასრე მისგან განაწირისა. სოფლისაგან განაწირისა ნარედაქციევ ზღუნაწერებში ვევექს. იგი ტაეპის ვადაკეთების შედეგი ჩანს. სხვათაგან ვერ ვიშეკვლებთ. სოფლისაგან განაწირისა ისეთი გამჭვირვალე შესიტყვებაა, რომ მას შეკეთება არ სჭირდება. ტექსტში უნდა აღდგეს: ასრე მისგან განაწირისა.

ბ. ცაიშვილი: მისგან (ასრე მისგან) აქ აღნიშნავს სოფელს და წაიკითხვა ასრე მისგან მეორეულია, მიღებულია ცნობილი ტაეპის „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირისა“-ს გავლენით.

გ. ვიგინიშვილი: ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო მეოთხე ტაეპის წინ მაგრა კავშირი გვეჩონოდა (ყველა დამხვოცა, მაგრამ ღმერთი არ გასწირავს ასე სოფლისგან განწირულ კაცს).

დადგინეს: მიღებულ იქნეს ტაეპის წაიკითხვად: კაცსა ღმერთი არ გასწირავს ასრე მისგან განაწირისა (== მისგან განაწირ კაცს ღმერთი ასე არ გასწირავს) (წინააღმდეგი ს. ცაიშვილი).

სტროფის შინაარსი: ზღუა-ზღუა ცურვა მომბეზრდა, ამიტომ გამოვედი ზღვის ნაპირზე, გული სულ მხეცივით გამოხდა, არავის რჩევას აღარ ვუღმედბდი ყურს; სულ ყველა დამეფანტა, ვინც კი გასპირს გადარჩენოდა. მისგან განაწირ კაცს ღმერთი ასე არ გაწირავს (როგორც მე გამწირა)!

587 ერთი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი,  
 ჩემნი გულისა მღებულნი და ჩემნი შემავონანი.  
 მისნი ვერა ვცნენ ამბავნი ვერცა ღრამისა წონანი,

და ტირილი მიჩნდის ლხინად და მდინდან ცრემლთა ფონანი”.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 582) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დამრჩა ერთი ეს ასმათი და ორი მონა, ჩემი გამამხნეველებნი და შემგონებულნი. მისი (ნესტანის) ამბავი ოტრის ოდენიც (ღრამის წონაც) კი ვერ შევიტყვე, ტირილი ლხინად მიმანდა და ცრემლთა ღვაბი მდიოდა.



- 588 „ღამით მეველო, მოვიდოდი, ზღუისა პირსა ანდეს ბაღნი;  
 ჰკვანდა, ქალაქს ევაზლენით, ცალკერძ იყენეს კლდეთა ნაღნი;  
 არ მუამის კაცთა ნახვა, მადღაღვიდეს გულსა ღაღნი;  
 და მუნ ვარდევქე მოსტენვად, დამხუღეს რამე ზენი ღაღნი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 583) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: (მთელი) ღამე ნავალი ვიყავი, მოვიდოდი, ზღვის ნაპირს გამოჩნდა ბაღები; ეტყობოდა, ქალაქს მივუახლოვდით, ცალ მხარეს გამოქვაბულები იყო; არ მსიამოვნებდა აღმიათა ნახვა, გულს მიღაღვად დაღები (გულს მიწვავდა შანთები); ენახე ლაღად აზრდილი ზეები და იქ ჩამოვხტი (ჩამოვქვეითდი) დასასვენებლად.

- 589 ხეთა ძირსა მივიძინე, მათ შინათა ჭამეს პური;  
 მერმე ავდეგ შევღიანი, მიღამებდა გულსა მური;  
 ვერა შეცნა ვეზომ გრძელად ვერ ჰორი და ვერ დასტური.

და ველთა ცრემლი ასოვლებდა, თუალთა ჩემთა მონაწერი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 584) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ზეების ქვეშ მივიძინე, მონებმა პური ჭამეს; მერმე ავდეგი სევღიანი, გულს მიბნელებდა მური (ჭვარტლი): ამდენ ხანს (ასე დიდი ხნის განმავლობაში) ვერადერი შემეტყო, ვერც ტყუილი (ჰორი) და ვერც ნამდვილი. ველს ასველებდა ჩემი თვალბიდან მონაწერი ცრემლები.

- 590 ზახილი მესმა, შევხედენ, მოყმე ამაყად ყიოდა,  
 შემოირბედა ზღუის პირ-პირ, მას თურე წყლული სტკიოდა;  
 კრმლისა ნატეხი დასტერილი აქუს, სისხლი ჩამოსდიოდა,  
 და მტერთა ექაღდა, წყრებოდა, ივიხებოდა ჩიოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 585) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ძახილი (ყვირილი) მომესმა, გავიხედე, მოყმე ამაყად გაჰყოფდა (იძახდა), ზღვის ნაპირს ვასწვრივ შორბოდა (მოაპყენებდა ცხენს), მას თურემ ჰკრილობა სტკიოდა; ხმლის ნატეხი (სისხლით) დასერილი ჰქონდა, სისხლი ჩამოსდიოდა, მტრებს ვუმუქრებოდა, წყრებოდა, იღანძვებოდა, ჩიოდა.

#### 1976 წ. 29 ოქტომბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. შეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 590,1; 591; 591,1; 592; 593 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კინაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

- 590,1 ფრიდონ, მოყმე დაყოდილი, შავს ზის მოვა ზღუა-ზღუა ცურვით;  
 ველთ კრმალი აქუს გატეხილი, ბიძაძეთა მწერომი მღურვით;

მას ისრები ზედ ასუთა, სისხლი ღუარად, არ მოწური;თ;

და მოქლომა მას ლომეულსა ივ ღალბანდი მრუდად ბურვით.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 744) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ფრიდონ, მოყმე დაყოდილი, (ფრიდონ მოყმე დაყოდილი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ფრიდონი, დაპირილი მოყმე, შავ ცხენზე ზის, ზღვა-ზღვა ცურვით მოდის; ხელში გატეხილი ხმალი უპირავს, ბიძაშვილებზე მღურვით წყრება; მას ისრები ზედ ასუთა, სისხლი ღვარად (მოსდის), არა წურვა-წურვით; მას, ლომეულს, მრუდად მობურული ღოღბანდი (თავსაბურავი) შეენის.

- 591 ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, აწ ესე მე მიითქ რომელი,  
 მართ ვითა ქარი მოქროდა გაფიცებული, მწერომელი;  
 მონა მივხწიე, მისისა შვერისა ვიყავ მნდომელი;

და შევსთაღე: «დადგე მიწეზე, ლომსა ვინ გაწვევს, რომელი?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 586) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იქდა შეე ტაიჰზე, რომელიც ამჟამად მე მყავს, ქარივით მოქრბდ, განრისხებული, გამწყრალი; მონა დავაწიე, მისი შეყრა (შეხვედრა) მინდოდა; შეეუთვალე: „განერდი, მითხარი, შენ, ლომო, ვინ გერჩის?“

591,1 აქ ტარიელ შეყვრების, მოეგებვის ზღუისა პირსა;

უცხო უცხოს შეემცნების, ამართულამს ისრის პირსა;

მას უამბობს ღლატასა და იგ მტერთავან წანაკიხნა,

და ჰკითხავს: ღვინ ხარ, ლომო, გმირო? პირი გივავს მზისა პირსა“.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 746) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ პირველი ტაეპის ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად და-  
რსვა მძიმე.

სტროფის შინაარსი; აქ ტარიელი შეყვრება, ვეგებმა ზღვის ნაპირას; უცხო უცხოს გაეც-  
ნობა, ისრის პირს ამოუღებს; მას (ტარიელს) უამბობს (ფრიდონი) ღლატას და მტრებისაგან  
წყაიღდება, ეკითხება: „ვინ ხარ, ლომო, გმირო? პირი მზეს მიგავას“.

592 მას მონასა არა უთხრა, არცა ხიტყუა მოუსმინა;

ფიცხლა შეეჯე, ჩავეგებე, მე ჩაუსწარ, ჩავე წინა,

უთხარ: დაღვე, გამაგონე, შენი საქმე მეცა მინა“

და შემომხუნა, მოვეწონე, სიარული დაითმინა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 587) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ჩა-  
უსწარ (ჩავესწარ), უთხარ (უთხარა), გამაგონე, შენი საქმე მეცა (გამაგონე შენი საქმე, მე-  
ცა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იმ მონას არაფერი უთხრა, მისი სიტყვაც არ მოისმინა; სწრაფად  
შეეჯეკი ცხენზე, ჩავეგებე, ჩავესწარი, თავს დავუარე, ვუთხარი: „განერდი, გამაგებინე (მითხა-  
რო), შენი ამბავი მეც მინტერესებს!“ შემომხუნა, მოვეწონე, განერდა (სიარული შეწყვიტა).

593 გამივალა, ღმერთსა ჰკარდა: «შენ ასეთი ხედი ვით ხენ?»

მერმე მითხრა: «მოგაკხენებ, აწ სიტყუანი რომე მკითხენ:

იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ,

და უკანაშეხა მილაღატეს, საჭურველნი გარ ვერ ვითხენ“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 588) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გარ  
ვერ ვითხენ (ასრე ვითხენ).

გ. კარტოზია: მეოთხე ტაეპის ბოლოს პროექტში აღდგენილია გამოცემითა ტრადიციული  
(1966 წლამდე) წაკითხვა: საჭურველნი გარ ვერ ვითხენ (ასეა, ა-ს გარდა, A12-ში,  
ზღვ. ავრ. A4 გარვე ვითხენ). ვითხენ, როგორც მიუთითებენ ლიტერატურაში (თეიმურაზ  
ბაგრატიონი, დ. ჩუბინაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ი. ჭავჭავიძე), ნაწარმოებია რთხმ  
ზმნიდან.

ი. გიგინეიშვილი: თუ ასეა, დავწერთ ვითხენ. ამასთან შევეცალათ წინამდებელ  
სიტყვათა რიგი: ვერ გარ ვითხენ. სიტყვათა ამგვარ წყობას ხელნაწერთა მეტი რი-  
ცხვი უჭერს მხარს.

რედაქციის წევრები არ დაეთანხმნენ სარიტომო სიტყვაში რ-ს ჩართვას, რადგან ვით-  
ხენ. ვერ ვითხენ, კონიექტურაა და, მეორეც, რითმას დაარღვევს. რაც შეეხება სიტყვათა რი-  
გის შეცვლას, რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

დადგენეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: საჭურველნი ვერ გარ ვითხენ.

სტროფის შინაარსი: შემხუნა, ღმერთს შეჰხუნა: „შენ ასეთი ხე როგორ ახარე! (= ასე-  
თი ხესავით ტანადი კაცი როგორ გაზარდე!“ მერმე მითხრა: „გეტყვი (იმის პასუხს), ახლა  
რომ მკითხე: ის მტრები მეტყვენ ლომებად, რომლებიც აქამდე თხებოდ მყავდა გდაქცეული  
(დაფაზნებული მყავდა), შეუიარაღებელს დამესხნენ თავს, იარაღი ვერ ავისისი!“

#### 1876 წ. 5 ნოემბერი

სტომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტ-  
რევილი, ს. ციციშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 594; 595; 596; 597; 598; 599 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ,  
გ. არაბულმა. ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ).

594 მე უთხარ: «დაღვე, დაწმარდი, გარდაცქეთ ძირსა ხეთასა;

არ შეუღრკების კაბუცი კარგი მახჭილთა კუთასა“.



თანა გამოყევა, წვედით უტკობსნი მამა-მეთასა.

და მე გავეჟირეჲ ჳურეტასა მის ვმისა სინაზეთასა.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 589) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხარ (ვეთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე ვეთხარის: „დადექი, დაწყნარდი, ჩამოხტეთ ხის ძირში; კარგი მოყმე არ შეუშინდება მახვილით დაჭრას“. თან წამომყევა, წვედით მამა-შვილზე უფრო ტკბილად შეთვისებულნი. მე გამაკვირვა იმ მოყმის სიტუფის ზილვამ.

595 ერთი მონა დასტაქარი მყეა და წელულნი შეუხუზიანა,

ახრის პარნი ამოუხტანა, დაკოდინი არ ატკიანა.

მერმე ეკითხე: ვინ ხარ ანუ მკლავან შენმან ვისგან იენა?»

და საამოზლად დამირიგდა, რაეი მისი გაამჩიენა,

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 590) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებს ვანსხვავებულად ესმით მესამე ტაეში გამოთქმის — მკლავის ვნების — შინაარსი. ა. ბარამიძეს, ი. გვიგინიშვილს, ც. კვიციანს, ე. მეტრეველს მიაჩნიათ, რომ გამოთქმა მხოლოდ მეტაფორულად უნდა გაეიგოთ, ე. ი. მკლავის ვნება = ძლიევა, დაჯანბნება. გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური ფიქრობენ, რომ მკლავის ვნება ნიშნავს მკლავის დაჭრას (მკლავმან შენმან ვისგან იენა? = მკლავში ვინ დაჭრა?). შ. ძიძიგურმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ მკლავის ვნება არც „ვეფხისტყაოსანში“, არც ძველ ქართულში, არც დიალექტებში დაჯანბნებას, ძლიევას არ ნიშნავს. უნდა გაეიგოთ კონკრეტული მნიშვნელობით.

სტროფის შინაარსი: ერთი დასტაქარი მონა მყავდა და (იმან) ჳრილობები შეუხვია, ისრის პირები ამოუღო ისე, რომ ჳრილობები არ ატკიანა. მერმე ვკითხე: „ვინა ხარ ან ვინ გქლია (შენი მკლავი ვისგან დაზიანდა)?“ მზობაზე დამეთანხმა, ჩივილი დაიწყო (მოიკვირა გახდა).

596 პირველ მითხრა: ანა ვიცი, რა ხარ ანუ რას ვამსგავსო?

ანუ ვერე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გავავსო?

რამან შეგქმნა მოყუითანედ, ვარდ-ვიშერი რომე რვაგუსო?

და ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიცა რად დაგავსო?

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 591) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მესამე ტაეში შეგქმნა შეიცეალა შექმნა ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვერ მითხრა: „არ ვიცი, რა ხარ ან რას შეგადარო? ან თავიდან რამ გავავსო, ან შემდეგ რამ დაგასუსტა ასე? რამ ვაყავითლა ის, რგული ვარდი და ვიშერი რომაა (= პირისახე)? ღმერთი თავის მიერვე ანთებულ სანთელს რად ჩავაქრობს?“

597 მულღანზანზარის ქალაქი, ახლოს მე მაქუს რომელი,

ნურადინ-ფრიდონ სახელ მქეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი;

ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამჯდომელი,

და ცოტა მაქუს, მაგრა ყოველგნით სიკეთემიუწდომელი.

საიუბილო გამოცემასთან (სტრ. 592) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილი: პირველ ტაეში ახლოს ფორმა შეუფერებელია, მიუხედავად იმისა, რომ მას ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა წარმოგვიდგენს. მულღანზანზარი ფრიდონის სამფლობელოა და როგორ შეიძლებოდა მას ამ ქალაქზე ეთქვა: ახლოს მაქუს. ახლოს უნდა შეიცეალოს შინაარსობრივად უფრო შესაფერი ახლა ფორმით. ახლა თუმცა ნუსხეში არ დასტურდება, მაგრამ მის მხარის უქერს B<sup>2</sup>-ის წაკითხვა ახლად.

გ. კარტოზია: რადგანაც ტარიელი და ფრიდონი მულღანზანზარის გარეთ შეხვდნენ ერთმანეთს და არა თვით მულღანზანზარში. ფრიდონს შეეძლო ეთქვა თავის ქალაქზე, აქ ახლოს მაქუს.

ი. გვიგინიშვილი: მაშინ უნდა ეთქვა: ახლოს არისო ან ახლოს ჩვენ გვაქუსო.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ახლა მე მაქუსო რომელი (წინააღმდეგნი: გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი).

სტროფის შინაარსი: (არის) მულღანზანზარის ქალაქი, რომელიც ახლა მე მაქეს; სახელად ნურადინ-ფრიდონ მქვია, მეფე ვარ იქ მზობანებელი; ეს ადგილი, სადაც ჩამომხტარი-

ხარ, ჩემი სამფლობელოს საზღვარია. პატარა (სამეფო) მაქვს, მაგრამ ყოველმხრივ ცალი (ისეთი, რომ მის სიკეთეს ენა ვერ გამოთქვამს).

598 მამის ძმა და მამა ჩემი პაპან ჩემთან გაყენა ოდეს,  
ზღუდას შეიან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს,  
თუთ ბიძასა ჩემსა მიხუდა, ვისთა შეილთა აწ დაჰყოდეს;  
და მათვე დარჩა სანადირო. არ მივსცემდი, მომეჩინოდეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 593) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მამა ჩემი (მამა-ჩემი), პაპან ჩემთან (პაპა-ჩემთან).

მეორე ტაგის მეორე ნახევარი ტირებებით გამოიყო. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ჩემი მამის ძმა და მამაჩემი როდესაც გაყო პაპაჩემმა, ზღუდა (რომ ერთი) კუნძულია, — ჩემ წილად ითქმოდა, — ბიძაჩემს ერგო, ვისმა შეილემაც ახლა დამპყრეს; მათვე დარჩათ სანადირო ადგილი, მე არ ვანებებდი და მედაცებოდნენ (მერჩოდნენ).

599 დღეს გამოვე ნადირობას, ზღუდას პირსა ვინადირო,  
ქორის დეუნა მომწოდებდა, მით მრეკალი არ ვაჰქირე;  
სათა უთხარ: «მომიცადეთ, მოვიდოდე შეცა ვირე!»  
და ხუთთა ოდენ ბაზიერთა შეტი არა დავიჭირე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 594) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხარ (უფთხარ).

მეორე ტაგში ქორის დეუნა შეიცვალა წაკითხვით მუნა გასლვა, რომელიც რედაქციითა უმრავლესობაშია წარმოდგენილი.

სტროფის შინაარსი: დღეს სანადიროდ გამოვედი, ზღვის პირზე ვინადირო, იქ (იმ კუნძულზე) გასელა მინდოდა, ამიტომ ბევრი მარევი არ ვაეუოლე; ლაშქარს ვუთხარი: «დამიცადეთ, სანამ მოვიდოდე!» ხუთი ბაზიერის შეტი არავინ ვიახლ.

1976 წ. 12 ნომბერი

სხლომას დასწრენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 600; 601; 602; 603; 604; 605; 606; 607 (პროექტი მოაშუადეს ც. კიციანი, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

600 ნათია გავე. ზღუისაჲან შტო რამე გამოვიდოდა.  
არ ამოეპყრეფდი გამოყოფთა, ვთქუ: «ჩემთა რად დავერიდო, და-?»  
დამეძახუნეს, ხიმრავლე შე მათი არ გამოვიდოდა,  
და ვნადირობდი და ვიზახდი, ჯმა ჩემი არ უდიდოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 595) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვთქუ: «ჩემთა (ვთქვი, «ჩემთა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ხომალდით გავედი, (გადაცურე) ტოტი (სტრუტი), ზღვიდან რომ გავდიოდა. არაფრად ვეგდებდი განაყოფებს, ვიფიქრე: «ჩემთანებს რად დავერიდო?» და-ჯახუნებული მყავდნენ (ისინი), მათი სიმრავლე არაფრად მიმიჩნდა, ვნადირობდი და (დიდი ხმით) ვიძახდი, ჩემი ხმა არ იყო პატარა.

611 მართლად იჯარეხ, წუნობა მათი თუ ესე კმადა კითა!  
გამომპარნეს ლაშქარნი, გზანი შენიკრნეს ნათია,  
თუთ ბიძასქენი ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,  
და ჩემთა გაუჯღეს ლაშქართა ონად თავისა მკლავითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 596) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბიძასქენი (ბიძაქენი).

ი. გვიგინიშვილი: ბიძასქენი ეტიმოლოგიური წაკითხვაა. ტექსტში უნდა დარჩეს ბიძასქენი, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობაშია დაცული.

ც. კიციანი: რუსთაველის დრისთან უფრო ახლო მდგომ ძეგლებში (XIII—XIV სს. საბუთებში) სწორედ ბიძასქე დასტურდება. ბიძასქე უფრო მოგვიანო ხანის (XVII—XVIII სს.) ხელნაწერებში გვაქვს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა ბიძასქენი.

სტროფის შინაარსი: ნამდვილად გაჰყარდნენ, მათი დანაგვრა ასე როგორ შეიძლებოდა!

(თავიანთი) ლაშქარი გამომაპარეს, გზები შემიკრეს ხომალდებით, თვითონ ჩემი ბიძაშვილები ამხედრდნენ, ჩემს ლაშქარს საომრად შეებნენ გაღმა (ხმელთხუე).

602 მათი შესმა, დაინახე ზახილი და კრმალოთა ელვა,  
ნავი ვსთხოვე მენავეთა, მით ვიფილე მე ერთხელ ვა,  
ზღუასა შუევე, მომეგება მეომარი ვითა ღელვა,  
და სწალდა, მავრა ველარა კუნეს ჩემი ზედა წამოქელვა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 597) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ, ა. ბარამიძის წინადადებით, ვა ჩაისვა კუთხოვან ბრწყალეზში.

სტროფის შინაარსი: გავიგონე მათი ყრვინა და დაინახე ხმლების ელვაება (პრიალი), ნავი (ხომალდი) მოვთხოვე მენავეებს, ამიტომ ერთხელ დავიძახე „ვაი“, ზღვაში შევედი, მეომრები (ზღვის) ტალასავით მომეგებნენ, უნდოდათ, მავრამ ველარ შეძლეს ჩემი გადათელვა.

603 კელა სხუანი დიდნი ლაშქარნი უკანა მომეწყოდეს,  
იქით და აქით მოიქვლეს, ერთგნით ვერ მომეროდეს,  
არ მომწურვოდეს წინანი, ზურგიით შესროლეს მე ოდეს,  
და კრმალსა მიეწდევ, გამიტვდა, ისარნი დამეულოდეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 598) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: უკან კიდევ სხვა დიდი ჯარი მეწყოდა, იქიდან და აქედან (ყოველმხრივ) მომვარდნენ (ალყაში მომიმწვდიეს), ერთი მხრიდან ვერ მეროდნენ, წინანი (წინ მყოფნი) ჯერ არ იყვნენ მოახლოებულნი, რომ ზურგიდან უკვე (სხვანი) მესროდნენ, ხმაღს მიეწდევ, გამიტყდა, ისრები გამომელდა.

604 მომეჯარნეს, ველარა ვუმნ, ნათი ცხენი გარღვიხლბუნვე,  
ზღუა-ზღუა ცურვით წამოუვე, ჩემი მჭურტი გაეცდუნვე;  
თანამფლანი ყუელაკანი დამიოცნეს, დამირნეს მუნვე,  
და ვინცა მღელდა ვერ შემომსტდა, მიუბრუნდი, მივაბრუნვე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 599) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მიუბრუნდი (მივებრუნდი).

გ. კარტოზიას წინადადებით შემომაქდა შეიცვალა შემომაქდა ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ყოველმხრივ შემომერტუნენ, ველარაფერი ჯენი (გავავეთ), ნავიდან ცხენი გადავახტუნე, ზღვა-ზღვა ცურვით წამოვუვედი, ჩემი შემხედვარე გავაცივდრე; ყველა თანმხლები დამიხოცეს, იქვე დამჩინენ, ვინც მომღელდა, ჩემამდე ვერ მოაღწია, მივებრუნდი, უკუვაქივე.

605 აწ ივი იქმნას, რაცაღა ენუბოს ღმრთისა წადილსა!  
ვექუ, ჩემი სისხლი არ შერჩეს, ძალი შესწევდეს ქადილსა!  
ოკრად გაუქდი წოფასა მათ საღამოსა და დილსა,  
და უკმობ ყუაეთა და ყორანთა, მათ ზედა გაქნე ზადილსა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 600) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაუქდი (გავუხდი), უკმობ (უცხობა).

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპში უნდა აღდგეს ხელნაწერთა და გამოცემათა უმრავლესობაში წარმოდგენილი წაკითხვა: ძალი შემწვედღეს ქადილსა. ამასთან ქადილსა უნდა გავიგოთ გარემოებად.

ა. ბარამიძე აგრეთვე მომზრება შემწვედღეს ფორმის მიღებისა.

ე. კიკვიძე და გ. კარტოზია მხარს უჭერენ პროექტის წაკითხვას. მათი აზრით, ნახევარტაეპის აზრია: ჩემს მუქარას ძალაც შეეწევა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ძალი შემწვედღეს ქადილსა.

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში საღამოსა და დილსა უნდა განვიხილოთ პირდაპირ ობიექტებად, ისევე როგორც ყოფასა: ოხრად გავუხდი მათ ყოფას, საღამოსა და დილსა. ამიტომ ყოფასა-ს შემდეგ მიიმე უნდა დაისვას.

გ. კარტოზიას და ე. კიკვიძეს მიაჩნიათ, რომ მძიმის დასმა საჭირო არ არის, რადგან საღამოსა და დილსა დროის გარემოებებს წარმოადგენს. ტაეპის აზრია: ოხრად გავუხდი მათ საღამოთა და დილით (ე. ი. დღისით და ღამით) ყოფას (არსებობას).



დაადგინეს: დაისვას მძიმე ტაპის შიგნით (ოკრად გაუქდი ყოფასა, მათ საღამოსა ფეჩქენული ზინგლიჩინსა).

სტროფის შინაარსი: ახლა მოხდეს ის, რასაც ღმერთი ინებებს! ვფიქრობ, რომ ჩემი სისხლი არ შერჩებათ, ძალა შემწვევს დაეიქადნო! ოხრად გაუვხდი არსებობას (სიცოცხლეს), დღეს და ღამეს (გავუმწარებ), მოუხმობ ყვაეებს და ყორნებს, მათზე (ჩემს ბიძაშვილებზე) გავამართოვინებ ნადიმს!"

606 ამა ფამან შემოკუთა, გული მისკენ მიმიბრუნდა.

მოვაქსენე: ანჭარება შენი ყოლა არა უნდა,  
მეცა თანა წამოგყვები, დაიოცუნენ იგი მუნ, და-!

და ჩუენ ორთავე მეომარი განაღამცა შეგვიძრწუნდაჲ!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 601) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამ მოყვემ (ფრიდონმა) მიმიზიდა, გული მისკენ მიმიბრუნდა. ვუთხარი: „შენი ანჭარება სრულიადაც არაა საჭირო, მეც თან წამოგყვები, ისინი იქ დაიხოცებიან! ჩვენ ორივეს მოწინაღმდეგე დილაღ შეგვიძრწუნდება!“

607 ესეცა უთხარ: ამაბავე ჩემი არ გავგვონების,  
უფრორე წყნარად ვიამბობ, თუ ფამი ჩუენ გუქქონებისა.

მან მითხრა: «ღვინი საწემო მავას არ შეეწონების!

და ღღელ სიკუდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დავემონების».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 602) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: უთხარ (ვეუთხარ).

გ. კარტოზიას წინადადებით მესამე ტავეში არ შეიცვალა რა-თი (მან მითხრა: «ღვინი საწემო მავას რა შეეწონების!»).

სტროფის შინაარსი: ესეც ვუთხარი: „ჩემი ამაბავე შენ ვაკონილი არ გექნება, უფრო მშვილად ვიამბობ, თუ საამისო ღრო გვექნება (მოგვეცემა)“. მან მიპასუხა: „მავას ჩემი რა ღვინი შეედრება! სიკვდილის დღემდე ჩემი სიცოცხლე შენ დავემონება“.

#### 1976 წ. 19 ნოემბერი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგენიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 606; 609; 610; 611 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშაიშვილმა, ნ. ციტიშვილმა).

608 მიველით მისხა ქალაქსა ტურფასა, მავრა ცოტასა;  
გამოეგუნეს ლაშქარნი, ისხმდეს მისთუის ოტასა,

პირსა იხოვდეს, გაჰვრიდეს ნახოკსა ვით ნაფოტასა,

და ეხუოდან, ჰკოცნიან კრმალსა და საღტე-კოტასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 603) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მიველით მის ლამაზ, მავრამ პატარა ქალაქში; გამოეგება ლაშქარი, მისთვის თავზე მტვერს იყრიდნენ, პირს იხოვდნენ, ნახოკს ნაფოტივით ყრიდნენ (ნახოკი ნაფოტივით ცვიოდა), ეხეოდნენ, ჰკოცნიდნენ ხმალს — ხმლის ვადასა და ქარქაშის საღტეს.

609 კულა მოეწონე, ვეტურფე მე მისი გარდნაყიდარი;

შემსხმდიან ქებასა: «მზეო, შენ ჩუენთუის იღარი!»

მიველით, ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი,

და ვქელასა ტანსა ემოსა ზარქაში განაზიღარი“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 604) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ისეც მოეწონე მას, კარვალ (ლამაზად) მოვეჩვენე მე, მისი შენახველრი: ქებას მასხამდნენ: „მზეო, შენ ჩვენთვის იღარე!“ მიველით, ვნახე მისი ლამაზი და მდიდარი ქალაქი, ყველას ტანს ეცვა ოქროქსოვილი.

610 „მოჯობდა, ომი შეემლო, წმარება ცხნა-აბჯარისა;

დავაკზმეთ ნავი, კატარღა და რიცხუი სხათა ჯარისა;

კაცი კმდა, მისთა მჭურტათათუის ღონემცა ეაჯა რისა!

და აწ ვითხრა ომი მოყმისა, მებრძოლთა დამსაჯარისა.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 605) შედარებით პროექტში ცვლილება არ ვერცხუნული  
 გ. კარტოხაას წინადადებით ნავეი-კატარლა კომპოზიტად დაიწერა. **პროექტის შესახებ**  
 ცვლილებით მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოკეთდა, ბრძოლა შეეძლო, ცხენ-აბჯრის ხმარება; შეეჭურვეთ  
 საბრძოლო ხომალდები და მრავალრიცხოვანი ჯარი; კაცი იყო საჭირო, რომ ფრიდონის შემ-  
 ხედველათვის გაძლების რაიმე საშუალება გამოეთხოვა (ლეთისაგან).

611 მათი შესმა დაბირება, ჩაბალახთა ჩამობურვა;

ნაღი წინა მომეგება, არა ვიცი, იყო თუ რვა.

ფიცხლა ზელა შევეჯაქე, მათ დაიწვეს ამოდ ცურვა;

და ქუსლი ვჰკარ და დაუქციე, დაიხახნეს დიაცურ ვა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 606) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: იყო  
 თუ რვა (შვიდი თუ რვა), დაუქციე (დავექციე).

ა. ბარამიძის წინადადებით მეორე ტაეპში აღდგენილ იქნა წაკითხვა შვიდი თუ რვა  
 (წინააღმდეგი ც. კიციძე).

რედაქციამ გაიზიარა ი. გიგინეიშვილის აზრი, რომ ამოდ (მესამე ტაეპში) ნიშნავს:  
 მწყობრად, შეწყობილად.

მეოთხე ტაეპში ნაცვლად წაკითხვისა ქუსლი ვჰკარ და დაუქციე მიღებულ  
 იქნა: ქუსლი შევეცი, დაუქციე.

სტროფის შინაარსი: გავიგონე მათი (საომრად) მზადება, ჩაფხუტების ჩამობურვა; ხომალ-  
 დი წინ მომეგება, არ ვიცი, შვიდი იყო თუ რვა. სწრაფად შევეჯახე, მათ დაიწვეს მწყობრად  
 (შეწყობილად) ცურვა; ქუსლი ვჰკარ და დაველენე, დიაცურად იყვირეს, ვაიო.

## ახალი წიგნები

ჰამომცემლობა „მეცნიერება“

**მ. აბულაძე, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში.**

ნაშრომში ნაჩვენებია, თუ როგორ შეიქმნა მე-20 საუკუნის 10-იან წლებში ქართული სიმბოლისტური სკოლა „ცისფერი ყანების“ ლიტერატურული ჯგუფის სახით. მიმოხილულია ევროპული და რუსული სიმბოლიზმის თეორიული საფუძვლები და ახსნილია, კერძოდ, სახე-სიმბოლოს არსის რაობა. ცალკეა გამოყოფილი და გაანალიზებული ვალერიან ვაფრინაშვილის, როგორც ყანწელთა შორის ყველაზე ორთოდოქსი სიმბოლისტი პოეტის, პოეზია. განხილულია ცისფერყანწელთა შემოქმედება დაბეჭდილი მათს პერიოდულ გამოცემებში („ცისფერი ყანები“, „შვილდონანი“, „მეოცნებე ნიამორები“ და „ბახტრიონი“). დასასრულს მოცემულია ამ ლიტერატურული კორპორაციის იდუარ-ორგანიზაციული კრიზისი და დაშლა.

გვ. 150, ფასი 85 კაპ., ტირაჟი 1500.

**მარიამ ქარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციისათვის.**

რედაქტორი ს. ცაიშვილი

ნაშრომი ეძღვნება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ტექსტოლოგიურ ანალიზს პოემის ხელნაწერთა ისტორიული კლასიფიკაციის მიზნით. ნაშრომში გამოყოფილი და შესწავლილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტილისტური რედაქციები (სამეფო სახლის, ზახასეული, ბებურიშვილისეული, მუხათუნისეული); აღგვირბა მუხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგის პროტოგრაფი და გაუკვეთილა პროლოგის კავშირი პოემასთან რედაქციული წარმომავლობის თვალსაზრისით; საუკუნეთა განმავლობაში მეფის ღმრთისწორობის იდეის ევოლუციის ფონზე შესწავლილია ხელნაწერების რედაქციათა „სიძველე-სიახლე“; ბოლო თავი ეხება ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ხელნაწერთა მნიშვნელობას „რთული წყაიბთვის“ პრინციპით პოემის ტექსტის დადგენაში.

146 გვ., ფასი 1 მან. 40 კაპ., ტირაჟი 1000.

**მ. მამაცაშვილი, გორგანის „ვის ორაინს“ და ქართული ვისრამიანი.**

რედაქტორი დ. კობიძე

ნაშრომში გორგანის პოემა განხილულია როგორც ქართული რომანი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ძველია პართელობის შესახებ შემარგებელია ახალი არგუმენტებით. ავტორი ცდილობს ახსნას ისიგი, თუ რამ განსაზღვრა პოემის ქართულად თარგმნის საუბროება.

ქართული „ვისრამიანის“ დახასიათებასთან დაკავშირებით ნაშრომში მოყვანილია ახალი არგუმენტი (ქართულ ხელნაწერებში აღმოჩენილი დედნისეული ბეითური სისტემის დაცვის სახით), რომელიც ფაქტობრივად ადასტურებს ადრევე გამოთქმულ მოსაზრებას ქართული თარგმანის სიზუსტის შესახებ.

ისტორიულ-ფილოლოგიური საკითხების კვლევის გვერდით ნაშრომში მოცემულია პირველი ცდა ქართული „ვისრამიანის“ თეორიული შესწავლისა მთარგმნელის მთარგმნელობითი მეთოდისა და მხატვრული აზროვნების თვალსაზრისით.

258 გვ., ფასი 1 მან. 90 კაპ., ტირაჟი :700.

**ჰილ-ეტრატის იადგარი**

რედაქტორი ა. შანიძე

გამოსცეს და გამოკლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა.

„ჰილ-ეტრატის იადგარის“ სახელწოდებით ცნობილია ხელნაწერი, რომელიც დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სამ წიგნად (H—2123 I, II, III). იგი ძველი ქართული ენისა და ჰიმნოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლთაგანია, წარმოადგენს საგალობელთა კრებულს, რომელთა უმრავლესობა წარმომობით VII—VIII საუკუნისაა და გადაწერილია იერუსალიმში არა უგვიანეს XI საუკუნისა. ძეგლის ერთი ნაწილი დაწერილია ჰილზე (პაპირუსზე), მეორე კი — ეტრატზე (პერგამენტზე), რაც საერთოდ იშვიათი მოვლენაა.





ტექსტი წარმოდგენილია მთლიანად. მას ერთვის ძველის ზოგადი დახასიათება და ერცე-ლი გამოკლევა ორთოგრაფიულ და ენობრივ თავისებურებათა შესახებ.

300 გვ., ფასი 3 მან. 10 კაპ., ტირაჟი 1500

**კალიდასა, ღრუბელი — მაცნე (მეგვა-ღუტა).**

პოემა სანსკრიტიდან თარგმნა, გამოკლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო თინათინ ჭავჭავაძემ.

რედაქტორი ზ. კიკნაძე

ძველი ინდოეთის უდიდესი პოეტისა და დრამატურგის კალიდასას (V ს.) „მეგვა-ღუტა“ (ღრუბელი-მაცნე) მსოფლიო ლირიული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია. „მეგვა-ღუტა“ კალიდასას პოეტური შემოქმედებისათვის ისეთივე მწვერვალია, როგორც მის დრამატურგიაში — „შაკუნტალა“.

„მეგვა-ღუტა“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. წინამდებარე წარმოადგენს პირველ ქართულ თარგმანს წარმოადგენს. თარგმანს დართული აქვს კომენტარები, გამოკლევა, სანსკრიტული ტექსტი და სანსკრიტულ-ქართული ლექსიკონი.

გამოკლევა, პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში, გვაწვდის კალიდასას „მეგვა-ღუტასა“ და ანალოგიურ მოტივებზე შექმნილი „მეგვა-ღუტას“ წინამობედი ნაწარმოების „გაბატარაბარამის“ (გაბტხელი ჭურჭელი) შედარებით ანალიზს, რის ფონზეც გვიჩვენებს კალიდასას პოეზიის ღირსებებს.

წარმოში საყურადღებოა როგორც საზოგადოლო აღმოსავლური, ისე ინდური ლიტერატურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

132 გვ., ფასი 80 კაპ., ტირაჟი 1600.

**ღონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღზომი საქართველოს შესახებ**

ტექსტი ვაშიფრა, თარგმნა, გამოკლევა და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ.

რედაქტორი ი. ტაბაღუა.

1627—1654 წლებში საქართველოში სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდა სწავლული აღმოსავლეთმცოდნე ღონ კრისტოფორო დე კასტელი, რომელმაც დავიძოვა უნიკალური ჩანახატები საყურადღებო მინაწერებით XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ და სამეურნეო ცხოვრებაზე. მისი ცნობები საინტერესო და სანდოთია როგორც თეოთმზილველისა, განსაკუთრებით სამეგრე-

ლოზე. კასტელის ჩანახატები და მინაწერები დოკუმენტურად აესებენ და აზუსტებენ ჩვენი ცოდნის საქართველოს მდებარე XVII საუკუნის აქამდე უცნობი თუ ნაკლებად შესწავლილი ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების გაშუქებისათვის.

კასტელის ჩანახატების მდიდარი კოლექცია აქამდე ჩვენში ცნობილია მხოლოდ ათი-ოდე სურათის პუბლიკაციით, რომელსაც უკანასკნელ ხანებში მიემატა ამდენივე სურათი გამოქვეყნებული სხვადასხვა დროს თამარაშვილის, ალენისა და ლენგის ნაშრომებში.

წინამდებარე აღზომი წარმოადგენს კასტელის ჩანახატების პირველ სრულ პუბლიკაციას, რომელთა დედნები დაცულია პალერმოში, მათი ვხედვებით თეიმურაზ პირველის, გიორგი სააკაძის, ნიკოლოზ ირბახის, რეზიის, სამეგრელოს, აფხაზეთის, სვანეთის, ჩერქეზეთის მთავრებისა თუ სხვების დღემდე უცნობ ზოგ სურათს. განსაკუთრებულ საყურადღებო ქართული ხელნაშობის, მიწათმოქმედების, ჩაემულობის, სამშენებლო ხელოვნების ამსახველი ჩანახატები, ცეკვები, სსსიმღერო ტექსტები, მოიპოვება ქართულ გამოქმთათა დღეწერილობანით.

კასტელის ხელით შესრულებული მინაწერები სურათებზე ლათინურ, ბერძნულ, იტალიურ, სირიულ, ებრაულ, სპარსულ, თურქულ ენებსა თუ სიცილიურ ან მეგრულ დიალექტებზე თარგმნა და განმარტა ბეჟან გიორგაძემ, აგრეთვე დაურთო სათანადო შენიშვნები ხუთასზე მეტი სურათისათვის.

457 გვ., ფასი 10 მან., ტირაჟი 4 000.

**საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, III სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წინსახაყებში, წიგნი I, ნაკვეთი 4.**

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურაძემ.

სერის რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი.

ტომის რედაქტორი რ. კიკნაძე

კრებულში ქვეყნდება ნადირ-შაჰისა და იბრაჰიმ-შაჰის 24 ფირმანის სპარსული ტექსტი და ქართული თარგმანი. საბუთებს აბლავს არქეოგრაფიული აღწერილობა, აღმოსავლურ ტერმინთა განმარტება და საძიებლუმი.

დაინტერესებული მკითხველი მრავალ საყურადღებო ცნობას ნახავს ამ დოკუმენტებში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ხალხების ირანთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესახებ.

127 გვ., ფასი 65 კაპ., ტირაჟი 2 000.

6109/13

ფასი 1 მან.

76 198

